ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი

მუზეუმის მაცნე

III

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის

აჭარის მუზეუმი

მუზეუმის მაცნე

III

ბათუმი 2010

მთავარი რედაქტორი

გოდერძი ფოფოჩავა

სარედაქციო კოლეგია:
პროფესორი ნუგზარ მგელაძე
პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი
ისტორიის დოქტორი თემურ ტუნაძე
ექსპერტი ბიძინა ავფხაზავა

სამდივნო: რუსუდან კობრავა
ნანა ქორიძე
ნანული სებუა
ლალი ჯანტურიძე – კომპიუტერული უზრუნველყოფა
ზაალ შენგელია – ფოტოგრაფი

ნომრის რედაქტორები:
პროფესორი ნუგზარ მგელაძე
ისტორიის დოქტორი თემურ ტუნაძე

რეცენზენტები:
პრფესორი მალხაზ სიორიძე
პროფესორი კახაბერ სურგულაძე

© გამომცემლობა ???

ISSN 1987-6807

გოდერძი ტოტოჩავა

ბათუმის ურბანიზაციის ზოგიერთი საკითხი[1]

ქალაქური ტიპის დასახლებები აღმოცენდნენ პირველყოფილ თემური წყობილებიდან მონათმფლობელურში გადასვლის ეპოქაში და იგი დაკავშირებულია საზოგადოებრივი შრომის განაწილების გაღრმავებასთან, ხელოსნობის მიწათმოქმედებისაგან გამოყოფასთან, კლასებისა და სახელმწიფოს შექმნასთან. ძვ.წ.ა. III–I ათასწლეულებში ქალაქები ჩნდებიან: შუამდინერეთში, ეგვიპტეში, მცირე აზიაში, სირიაში, ინდოეთში, ჩინეთში და კავკასიაში. ანტიკურ სამყაროში წამყვან როლს თამაშობდნენ ათენი, სირაკუზი, კართაგენი, რომი და სხვა ქალაქები. ქალაქებმა ძლიერი გავლენა მოახდინა შუასაუკუნეებში ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე. ისინი ხელს უწყობდნენ სასაქონლო ფულადი ურთიერთობების განვითარებას. ქალაქებში გაჩნდა წარმოების კაპიტალისტური წესის ელემენტები ბურჟუაზიული კულტურის საფუძვლები. ურბანიზაციის პროცესის გაძლიერებამ XIX ს-ში მიგვიყვანა „ქალაქურ რევოლუციასთან“, ქალაქებში მოსახლეობის დიდი ნაწილის კონცეტრაციასთან, რაც შესაძლებელი გახადა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ, ტრანსპორტისა და კავშირის საშუალებების განვითარებამ. აგრეთვე სამედიცინო ცოდნის გაღრმავებამ.

ქალაქები იქმნებოდნენ და ვითარდებოდნენ, როგორც თავდაცვის საყრდენი პუნქტები, ვაჭრობის, ხელოსნობის და სამრეწველო წარმოების ცენტრები, აგრეთვე ხელისუფლების თავმოყრის, ადმინისტრაციული მოღვაწეობის, მომსახურებისა და კულტურის ცენტრები. ქალაქებში იქმნებოდა უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობები ურთიერთობის ეფექტურობის ასამაღლებლად და ხდებოდა ამასთან დაკავშირებული მოღვაწეობის ინტეგრაცია. ცივილიზაციის მნიშვნელოვანი მიღწევები დაკავშირებულია ქალაქების განვითარებასთან.

ურბანიზაციის პროცესი სტიმულს აძლევს სოციალურ აქტივობას, ამაღლებს განვითარების ტემპებს – ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ და ტექნიკურ სფეროებში, მაგრამ მისი ეფექტურობა, როგორც სოციალური პროგრესის ფაქტორისა, დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე. ურბანიზაციის სტიქიურობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში აღრმავებს სოციალურ წინააღმდეგობას და წარმოშობს მუდმივ შეტაკებებს საკუთარ ინტერესებსა და ქალაქის განვითარების ინტეგრირებულ ტენდენციებთან.

საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე ძვ.წ.ა. II ათასწლეულიდან გვხვდება ქალაქური ტიპის დასახლებები, ანტიკურ ხანაში კი მათ სათვალავი არა აქვს, საქართველოს, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ ნაწილში ერთერთი უძველესი ქალაქური ტიპის დასახლება იყო ბათუმის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ბათუმის გორის მიდამოებში, იქ სადაც მდ. ყოროლისთავი შავ ზღვას უერთდება. ბათუმის გორის არქეოლოგიური გათხრები მნიშვნელოვან ცნობებს გვაძლევენ. აქ I ათასწლეულის დასაწყისიდან აღირიცხება ადამიანთა ცხოვრება. VII საუკუნეში ჩანს სავაჭრო ეკონომიკური განვითარების კულმინაცია და ფართო კავშირი ბერძნულ სამყაროსთან. მოპოვებულია უამრავი იმპორტული კერამიკა. შემდგომ საუკუნეებში, აქ ცხოვრება აღარ ჩქეფს. ეტყობა სავაჭრო პუნქტებმა ჩრდილოეთით – პეტრასკენ გადაინაცვლა. წერილობით ცნობებს ბათუმზე იძლევიან ძველი ბერძენი მწერლები. პლინიუსი ბუნების ისტორიაში წერს: „140 000 ნაბიჯის მანძილზე ტრაპზუნდიდან მდ. აბსარისია და იმავე სახელის მქონე ციხე შესართავთან. ამ ადგილებში მთებს გადაღმა იბერიაა, ხოლო ნაპირს გასწვრივ მოსახლეობენ ჰენიოხები, ამპრევეტები, ლაზები. მდინარეებია: აკამფსისი, ისისი, მოგორისი, მათისი, კოლხთა ტომებია აქ“ (ყაუხჩიშვილი, 1969:12).

არიანეც მოიხსენიებს მდინარე ბათისს, იგი ამბობს, რომ მდინარე შავ ზღვას ერთვის იქ სადაც ნაპირი ნახევარმთვარის სახის რკალს აკეთებსო (ყაუხჩიშვილი, 1964:56). „ბათის“ ბერძნულად ღრმას ნიშნავს, მართლაც როცა პლინიუსი შავი ზღვის სიღრმეზე მსჯელობს ამბობს, რომ ბათისთან 300 სტადიონზე ხმელეთიდან ძალიან ღრმააო. მეორე საუკუნეში ლათინურ რუკას ბათუმის ადგილას აწერია პორტეს ალტუსს, რაც ლათინურ ენაზე ღრმა ნავსადგურს ნიშნავს. არიანე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მდინარეებს შორის ბათისსაც ასახელებს. მდინარეების სახელების გარკვევის შემდეგ დადგინდა, რომ ბათისი – თანამედროვე მდ. ყოროლისთავია. იქვე გორაზე ახლაც დგას ნაციხარი. ამ ბერძენ ავტორთა შემდეგ ბათუმს ახსენებს მხოლოდ XIV საუკუნის ისტორიკოსი მიქეელ პანა-რეტასი. როგორ მოხდა, რომ საუკუნეების განმავლობაში არ ახსენებდნენ ამ ქალაქს. ს. ყაუხჩიშვილის აზრით ეს გამოწვეულია, იმით რომ ბათუმს მოიხსენიებენ, როგორც პეტრას, რაც რომაულად ქვას ნიშნავს. პეტრას ციხე დღევანდელი ციხისძირია და ბათუმის

[1] ნაშრომი შესრულებულია 1979 წელს.

გორიდან ათი კილომეტრითაა მოცილებული. VI საუკუნეში ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს ლაზიკის ქალაქ პეტრასთან მიმდინარეობდა ბრძოლები ამ ამბებთან დაკავშირებით პროკოფი კეისარელი ახსენებს პეტრას. იგი წერს: „პეტრა ზღვისპირა ქალაქია კოლხეთში ეგრეთ წოდებულ ევქსანის პონტოსთან“. მისივე სიტყვით, პეტრა გამაგრებული იყო გარეზღუდით, სხვა სამშენებლო საშუალებით. ქალაქი პეტრა მიუვალია ჯერ ერთი ზღვის მხრით, მეორე ციცაბო კლდეებით, რომელიც აქ ყოველმხრივ არის აღმართული... პეტრაში მჯდარი სარდალი განაგებდა სავაჭრო საქონლის შეტანა-გატანას. მის ნებაზე იყო დამოკიდებული რა საქონელს შეიტანდა ლაზეთში“ (ყაუხჩიშვილი, 1964:58–59). აქედან გამომდინარე ს. ყაუხჩიშვილი ასკვნის: პეტრა ვერ იქნებოდა სავაჭრო ქალაქი ახლომახლო ნავსადგური, რომ არ ყოფილიყო, ამიტომ ეს ორი ციხე ერთ ქალაქად იყო გააზრებული ბიზანტურ ისტორიოგრაფიაში. შემდგომ მეცნიერი ცდილობს „ბათის“ ეტომოლოგია ქართველური ენების საფუძველზე მოგვცეს, იგი ამ სიტყვას ძირქვას უკავშირებს, ბერძნებმა კი ადგილობრივი სახელი ბერძნულ ღრმად გაიაზრესო. სამწუხაროდ ღვაწლმოსილი მეცნიერი არ უთითებს, თუ რომელ ქართველურ ენაშია შემონახული ბათ - ძირი, როგორც ქვა.

გაურკვეველი მიზეზების გამო შემდგომ საუკუნეში კნინდება ქალაქი. ბათუმი XIII საუკუნეში გურიის სამთავროს შემადგენლობაშია, მაგრამ აქ აღარ მიდის ინტენსიური სავაჭრო ცხოვრება. XVIII საუკუნეში ბათუმი თურქების ხელში გადადის და საერთოდ კარგავს ქალაქის სახეს, შეწყდა ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობა, ადგილობრივი გლეხობა პირადი მეურნეობითაა დაკავებული, სავაჭროდ არ სცალია, ხოლო ევროპული ვაჭრები სიფრთხილის გამო ვერ ბედავენ შემოსვლას. სავაჭრო საქმეს მხოლოდ ოსმალები მისდევენ. ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე 1769 წელს წერდა: „ქუთაისიდან ვაჭრები მიდიან ნავებით და სამს ციხეში – ბათუმ, ფოთსა და სოხუმს გასასყიდად გააქვთ წმინდა სანთელი, აბრეშუმი, ბამბა, ბეწვეული – მელიის, კვერნისა და ვეფხვის და საჭმლის ხორაგი, იქედანაც წყლით მოაქვთ ოსმალის სავაჭრო. სხვადასხვა ფერის ფარჩა, შაქარი, ყავა და სხვა. აქ მოაქვთ სტამბოლიდან, ყირიმიდან გემებით, იმერეთში ხმელეთიდან შემოდიან არზუმიდან, ტრაპიზონიდან და სხვა“ (Грамоты т. 2, част 1, стр. 4). მაგრამ ეტყობა ვაჭრობა ინტენსიური არ უნდა ყოფილიყო. ამოტომაც ბათუმი ვერ იქცა საყრდენ პუნქტად ოსმალეთის ვაჭრობაში და ურბანიზაცია ნელი ტემპით მიდის. უნდა ითქვას, რომ ოსმალეთი ზედმიწევნით აგრარული ქვეყანა იყო და ურბანიზაციის პროცესი ნელა მიდიოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების დახმარებით განაგრძობდა არსებობას ბათუმის ნავსადგური, მაგრამ მაინც ჩამორჩებოდა იგი თავის ამოცანებს სავაჭრო საქმეში. მრეწველობა არ იყო განვითარებული თურქეთში და რა თქმა უნდა აჭარაში, სადაც მხოლოდ შინახელოსნობას მისდევდნენ.

როგორც მოგეხსენებათ, ურბანიზაცია არის ისტორიული პროცესი ქალაქების როლის ამაღლებისა საზოგადოების განვითარებაში, რომელიც იწვევს ცვლილებებს საზოგადოების სოციალურ და დემოგრაფიულ სტრუქტურაში, კულტურაში, ცხოვრების წესში, ფსიქოლოგიაში, აგრეთვე ადამიანთა ურთიერთობის ფორმების კონცენტრაციაში. აქედან გამომდინარე ურბანიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია დემოგრაფიული ცვლილება. დემოგრაფია კი თავის მხრივ სწავლობს სოციალურ–ეკონომიკურ და გეოგრაფიულ ფაქტორთა პირობით შესაბამისად ხალხთმოსახლეობის რიცხვიანობას, კვლავწარმოების, სტრუქტურის, დინამიკის, გადაადგილების, მიგრაციის და სხვა მოვლენათა და პროცესთა კანონზომიერებას. ჩვენ შევეცდებით წინამდებარე ნაშრომში მოვახდინოთ ნაწილობრივი დემოგრაფიული სტატისტიკა 1878-1906 წლებისა ე.ი. გავარკვიოთ ბათუმის მოსახლეობის რიცხვიანობა, შედგენილობა, გადაადგილება, აგრეთვე ბათუმში ურბანიზაციული პროცესის დაჩქარება და აქ მოსახლეობის მიგრაციის მიზეზები.

XIX საუკუნის დასაწყისში ბათუმი ქალაქის ტიპის დასახლებაც კი არ არის (რა თქმა უნდა ევროპული სტანდარტებით). 1906 წელს გამოცემულ კრებულში «Батум и его окрестности» ა.ს. მესხი სტატიაში «развития Батумское городское хозиайство» მოჰყავს ფრანგი მოგზაურის ანდრიან დიუპრეს ცნობა, რომელიც 1807 წელს იყო ბათუმში. იგი წერს, რომ ბათუმი დიდი სოფელია და არა დაბა, ქალაქის ტიპისა, აქ 2000–მდე მცხოვრებია, ხოლო ფრენკელი წერს: «по сведеням которые я почерпнум из французской записки (Notice sir Batum) нашего бывшего вицеконсула Джиудичи, в Батумского нахэ, в том числе 1871 году домов 1076, жителей 3327 душ, в том числе мусульман 3027, греков (провосласного вероисповедения) 93 и армян католиков 11 душ, сверх того 651 дом, 3324 черкескими эмигрантами» (Френкел, 1879:10). ხოლო ვ. ჯილფორდ პალგრევი (ინგლისელი კონსული ანატოლიაში) თავის ანგარიშებში 1872 წელს იძლევა ბათუმზე შემდეგ ცნობებს:

246 კომლი, მუდმივი მცხოვრები – 1383 (1/12 ბერძნები, 1/3 ჩერქეზები) (აქაც და ზემოთაც ბათუმი ნაჰიეს აღწერის დროს აფხაზები არიან მოხსენიებული ჩერქეზებად). ა. ფრენკელს მოჰყავს ცნობები „ტრაპეზუნტის კალენდრიდან“ «а в Батумском нахэ: дворов армянских 14, греческих 30, чепкеских 331, мусульманских (турецких грузин) 1260 и всего 1635 дворов, жителей католиков 5, армян 29, греков 85, черкесов 655, мусульман 2291 и всего 3065 душ» (Френкел, 1879:10). ავტორი აღნიშნავს, რომ მოტანილი ციფრები მხოლოდ მამაკაცებს ეხება, ქალებზე კი ცნობები არ გვაქვს. რა თქმა უნდა ეს არ ეხება ვ. ჯილფორდ პალგრევის ცნობებს, სადაც ბათუმის ნაჰიეზე კი არა ბათუმზეა ლაპარაკი. გ. ყაზბეგის მიხედვით ბათუმში 7200 სული ცხოვრობს, რაც 1200 კომლს შეადგენს. ტრაპიზონის კალენდარი კი 3065 სულ ს აღრიცხავს, მაგრამ ამდენივეს თუ დავუმატებთ და თანაც გავითვალისწინებთ, რომ ქალები მამაკაცებზე მეტი არიან, გ. ყაზბეგის ცნობა ბათუმის ნაჰიეს მცხოვრებთა რიცხვზე მართებულად უნდა ჩავთვალოდ. ცნობები თვით ბათუმის მცხოვრებთა რიცხვზე ერთმანეთისაგან განსხვავებულია:

ანდრია დიუპრე - 2000 სული, 1807 წ.
ჯილფორდ პალგრევი - 1383 სული, 1872 წ.
ი. მესხი - 3000 სული, 1878 წ.
ბლამიეზე - 4970 სული, 1873 წ.

ანდრიან დიუპრესა და ვ.ჯილფორდ პალგრევის ცნობებს 65 წელი აშორებს და მოსახლეობა იმის მაგივრად, რომ გაზრდილიყო შემცირებულია, მაგრამ ვფიქრობთ დიუპრემ იმხანად ბათუმში დროებით ჩამოსული მოსახლეობაც ჩათვალა, თორემ მუდმივ მცხოვრებთა რიცხვი გაცილებით ნაკლები უნდა ყოფილიყო. სარწმუნო უნდა იყოს ვ.ჯილფორდ პალგრევის ცნობები. ჯერ ერთი მას დიდი ხნის განმავლობაში ეკავა კონსულის თანამდებობა თურქეთში და უკეთესად მოახერხებდა აღრიცხვას, მეორეც იგი, როგორც ხშირად ჰქონდა ადგილი ინგლისურ დიპლომატიაში „ინტელეიჯენ სერვისის“ აგენტი იქნებოდა და ექნებოდა მეცნიერული მეთოდი ზუსტი ცნობების მოპოვებისა. იგი აღნიშნავს, რომ 1383 მუდმივი მცხოვრებია, ახლა ერთიღაა გასარკვევი მხოლოდ მამაკაცებს გულისხმობს თუ ქალებიც ჰყავს სათვალავში. გ.ყაზბეგის ცნობებში მოცემულია, რომ ბათუმში არის 1200 კომლი და 7200 მცხოვრები ე.ი. 1 კომლში 6 სულს ანგარიშობს, ხოლო ფრენკელის ცნობებით 1076 კომლია და 3327 სული მცხოვრები. აქ კომლში 3 სულია ნაანგარიშევი. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ რომ ფრენკელი, მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებს ითვლის, ასე რომ საშუალო ციფრი კომლის შემადგენლობისა აქაც 6-ია. მაშინ თუ ე.ჯილფორდ პალაგრევის 246 კომლს 6-ზე გადავამრავლებთ, მიახლოებით სწორია მისი ცნობა და ქალებიც ნაგულისხმევია. გამოდის რომ 1872 წლისთვის ბათუმში 1383 მუდმივი მცხოვრები უნდა ყოფილიყო. აქედან 1/12 ბერძენი 1/3 კი ჩერქეზი (აფხაზი) ე.ი. 115 ბერძენი და 461 აფხაზი. 867 კი ადგილობრივი მცხოვრები უნდა ვიგულისხმოთ ე.ი. მუსულმანი ქართველი. ეტყობა თურქები მაინდამაინც არ ეტანებოდნენ მუდმივ საცხოვრებლად ბათუმს, ალბათ კლიმატური პირობების გამო. ბათუმის მხარეში მალარიის ეპიდემია წუთითაც კი არ სწყდებოდა, თანაც არც თუ ისე განვითარებული სავაჭრო ქალაქი იყო თურქეთის მასშტაბითაც კი. ი.მესხის ცნობით ქალაქში 3000 მცხოვრებია, რაც ორჯერ აღემატება ჯილფორდის მონაცემებს. ბუნებრივი ნამატის ასეთი რიცხვი დაუჯერებელია, სადღაც ექვსიოდე წელიწადში 1800 სულის მომატება შეუძლებელია. ბათუმის ურბანიზაციის ტემპი კი დაბალი იყო, ვფიქრობთ 1878 წელს ბათუმში უნდა ჩამოსახლებულიყვნენ სომეხი ემიგრანტები თურქეთიდან, რაც დოკუმენტურადაც დასტურდება სომეხთა ეპისკოპოსის წერილიდან თურქეთის ხელისუფლებისადმი 1878 წელს. ამას ადასტურებს ისტორიული ფაქტები 1878 წელს აღებული იქნა ყარსი და სომეხ მცხოვრებლებს საშუალება მიეცა დაეტოვებინათ მათთვის არასასუფეველი მუსლიმანური თურქეთი და უკვე ქრისტიანული რუსეთის შემადგენლობაში შესული ბათუმისაკენ დაძრულიყვნენ. შემდგომი აღწერები ადასტურებენ სომეხთა გაზრდილ რიცხვს წინა წლებთან, კერძოდ 1872 წელთან შედარებით. აქვე უნდა ვიგულისხმოთ თურქი არა მუდმივი მოსახლეობა რომლებმაც არ დასტოვეს ქალაქი ბერლინის კონგრესით იყო გათვალისწინებული სავაჭრო მოსაზრებების გამო, ასე რომ ვფიქრობთ ი.მესხის ციფრი 3000 სული 1878 წელს სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს.

1878 წელს დამთავრდა რუსეთ-თურქეთის ომი და ბათუმი რუსეთის ხელში გადავიდა. რუსეთს კარგად ესმოდა, თუ რა სარგებლობა შეეძლო მოეტანა ბათუმს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით რუსულ ეკონომიკაში. იგი უკვე მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან ცდილობდა ვაჭრობის მოგვარებას ბათუმში, ამას ადასტურებს დღესაც შემორჩენილი ფირნიშები რუსული სადაზღვევო საზოგადოებისა. ყველაზე ძველი ამ ფირნიშებს შორის 1827 წლისაა. ბათუმის მნიშვნელობა შესანიშნავად სჩანს მარქსის სიტყვებში 1853 წელს «Так так Батумская гавань единственное надиожное убежище для кораблей восточной части

Черного моря, то обладение россией лишено бы турцию последней военно-морской базе на Понте и превратило бы исключительно русское море».

ქალაქის განვითარება ხდება იმ ადგილებში რომლებიც გამოდგება სამხედრო პუნქტებად და მოსახერხებელია სავაჭრო ცენტრებად. ბათუმი ორივე პირობას აკმაყოფილებდა, თანაც იგი შეუერთდა ქვეყანას, რომელშიც განვითარებული იყო კაპიტალისტური წარმოების წესი. 1878 წელს შედგა ევროპულ სახელმწიფოთა კონგრესი ბერლინში. ინგლისელთა მცდელობის შედეგად ბათუმი უბაჟო ქალაქად-პორტოფრანკოდ გადაიქცა. ასევე ბერლინის ხელშეკრულებით ქართველ მუსლიმანებს მიეცათ უფლება 1879-21 წლების მანძილზე მუჰაჯირად წასულიყვნენ თურქეთში. ოსმალეთის პროპაგანდის შედეგად აჭარიდან 30000 კაცი გადასახლდა, მართალია ბევრი მათგანი დაბრუნდა, მაგრამ მაინც საგრძნობლად იკლო მოსახლეობამ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბათუმიდანაც იქნებოდნენ მუჰაჯირები, მაგრამ შემდგომდროინდელი სტატისტიკა ბათუმის მოსახლეობისა ამას არ იმჩნევს. ეკონომიკისა და მრეწველობის განვითარება დაჩქარებული ტემპით მიდიოდა, რაც თავისთავად აჩქარებდა ისტორიულად აუცილებელ ურბანიზაციის პროცესს, ბათუმში ხდებოდა მოსახლეობის თავმოყრა.

1883 წელს გაიყვანეს რკინიგზის ხაზი ბათუმი-სამტრედია და ბათუმი ბაქოსთან აღმოჩნდა დაკავშირებული. ბაქოს ნავთობს გზა გაეხსნა ევროპაში ზღვით. მანამდე კი ბათუმი აივსო ვაჭრებითა და სხვადასხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლებით, მიმდინარეობდა წინასწარი სამუშაოები, ემზადებოდნენ ქარხნების გასახსნელად. ინჟინრებმა ბუნგემ და პალაშოვსკიმ დაარსეს „კასპია შავი ზღვის ნავთის გადამამუშავებელი და სავაჭრო საზოგადოება“ (1886 წელს იგი როტშილდის ხელში გადავიდა) შემდგომ 1885 წელს ბიდონებისა და ნავთის ტარის ქარხნებს ხსნიან სიდერიდისი და რიხნერი. 1887 წ. ხაჩატრიანცი და მანთაშევი ცივიანოვი და სხვები. 90-იანი წლებისათვის ტექნიკური რევოლუცია ბათუმსაც შეეხო და მოხდა ნახევრად კუსტარული ქარხნების მექანიზაცია და წვრილი ბურჟუაზია გაკოტრდა. 1900 წლისთვის შემორჩა ხუთი დიდი ქარხანა ნავთის ტარის დამამზადებელი: როტშილდის, მანთაშევის, ცივიანოვების და სიდერიდისი მუშათა რიცხვმა 2000 მიაღწია, რაც 1872 წლის მთელი მოსახლეობის რიცხვზე დიდია (1383 სული) რა თქმა უნდა ბუნებრივი ნამატი ასე დიდი არ იქნებოდა, ბათუმს მოაშურა ქართველმა გლეხობამ, თუმცა არანაკლები დაიძრა რუსეთიდან და რუსეთის სამხრეთიდან. სანამ შევუდგებოდეთ მოსახლეობის აღწერის ანალიზს და შევეცდებით ქართულად მოლაარაკეთა რიცხვის დადგენას, რეტროსპექტულად გადავხედოთ საქართველოს მე-19 საუკუნის ერთ მონაკვეთში და გავიხსენოთ რა სოციალურ ძვრებს ჰქონდა ადგილი 60-იან წლებში.

„გლეხის მეურნეობის ევოლუციაზე დიდი გავლენა ჰქონდა სოფლის მშრომელ მოსახლეობაში მესარეწეობის განვითრებას და გარე საშოვარზე გასვლის პრაქტიკის გავრცელებას. საბჭოთა ისტორიკოსებმა ნათელ ჰყვეს, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობა უფრო სწრაფად სწორედ ქვეყნის იმ ნაწილში ვითარდება, რომლის მშრომელი მოსახლეობა უპირატესად მესარეწეობას ეტანებოდა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:56). მეცხრამეტე საუკუნის მასალები მკაფიოდ ადასტურებენ მესარეწაობას და გარე საშოვარზე გასვლის ფართოდ გავრცელებას. საქართველოს უმიწო და მცირემიწიან გლეხობაში 60-იანი წლებისათვის შეიმჩნევა სახელოსნოების გამრავლება. ეს ძვრები იყო პირველი ნაბიჯი გლეხობისა ქალაქისაკენ, სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს სამრეწველო განვითარებას საქართველოს ქალაქები. ნელ-ნელა ირღვევა ფეოდალური ურთიერთობანი და იმარჯვებს კაპიტალიზმი.

1861 წლის 19 თებერვალს მეფემ გამოსცა მანიფესტი ბატონყმობის გაუქმების შესახებ, მაგრამ მიწა მემამულეთა ხელში დარჩა. გლეხს მიენიჭა უფლება მისი „ნადელი“ შეესყიდა მემამულის თანხმობით, ნადელის საკუთრებად შეძენამდე გლეხი დროებით ვალდებულ მდგომარეობაში რჩებოდა. ამიტომ იგი რეფორმამდელ ყველა გადასახადს იხდიდა. ყველა გლეხს არ შეეძლო შეეძინა „ნადელი“ ამიტომაც მთელს რუსეთში გლეხთა მიწათმფლობელობა მეოთხედით, ზოგან ნახევრით შემცირდა. მიუხედავად ამისა მანიფესტმა ბიძგი მისცა კაპიტალიზმის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას. 1884 წ. მსგავსი მანიფესტი საქართველოშიც გამოიცა ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. მანიფესტის განხილვაში მთელი ქართველი საზოგადოებრიობა მონაწილეობდა 13 ოქტომბერს ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში განიხილეს პროექტი პრივილეგიური წოდების ინტერესების მაქსიმალური დაცვით. საბოლოოდ 1865 წლის 25 მარტისათვის რეფორმა დამტკიცდა. ლენინმა თქვა, რომ ეს ყბადაღებული რეფორმა იყო გლეხობის უსინდისო გაძარცვა.

1884 წლიდან 1904 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოში ნადელთა გამოსყიდვის გზით სულ 4595 კაცი გადავიდა მესაკუთრეთა კატეგორიაში. აქედან დიდი ნაწილი-3741 მთავრობის სესხის გამოყენებით. ბევრი მემამულე არ აძლევდა გლეხებს საშუალებას გამოესყიდა

მიწა, ზოგიც სახსრებს ვერ შოულობდა, ამიტომაც აღმოსავლეთ საქართველოში მცირე-მიწიანი და უმიწო გლეხები ბევრი რაოდენობითაა (მიწა მხოლოდ დროებით ვალდებულ გლეხთა 31,5% გამოისყიდა) თბილისში ამ პერიოდში ჩქარი ტემპით ვითარდება სამანქანო მრეწველობა და გლეხობა ქალაქისკენ მიისწრაფვის. სწორედ გლეხთა უმიწოდ დარჩენა იყო თბილისში მოსახლეობის მატების ერთ-ერთი მიზეზი. ამავე მიზეზითაა განპირობებული დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის მატება. თუ აღმოსავლეთ საქართველოში გვქონდა ერთი მსხვილი სამრეწველო ქალაქი. დასავლეთში იგი რამდენიმეა, ფოთი, ქუთაისი, ჭიათურა. დასავლეთ საქართველოს გლეხობამ უკეთესად გაართვა თავი მიწების გამოსყიდვას, ისინი მომაგრდნენ სარეწებსა და საშოვარზე გასვლის საშუალებით. მესაკუთრეთა კატეგორიაში გადავიდა დროებით ვალდებულ გლეხთა 60% „ქუთაისის გუბერნია იყო ერთად-ერთი მთელ რუსეთის იმპერიის მასშტაბით, სადაც გლეხებმა საკუთარი სახსრებით გამოისყიდეს სანადელო და ჩამოჭრილი მიწები“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:385).

ამრიგად, საქართველოში სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთ შედეგს და მის გამოხატულებას წარმოადგენდა მრავალრიცხოვან გლეხთა გაჩენა. ჩნდება თავისუფალი მუშახელი იმ გლეხთა ხარჯზე, რომლებიც უმიწოდ დარჩნენ. ჩვენის აზრით სწორედ ამ გლეხთა ნაწილი დაიძრა ბათუმსა და ფოთის ნავსადგურებისაკენ. განსაკუთრებით მეზობელი გურიიდან. უმიწოდ დარჩენილი გურული გლეხობა ფოთს მიაწყდა, მაგრამ ფოთის შესაძლებლობები დიდი არ აღმოჩნდა აქ მუშახელი ბევრი არ იყო საჭირო, ხოლო ქუთაისსა და ჭიათურას მეგრელი და იმერელი გლეხობა აძლევდა მუშახელს. 1883 წლიდან მოსახლეობა სწრაფი ტემპებით მატულობს ბათუმში, რასაც ხელი შეუწყო მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ. გარდა გურული გლეხობისა, ბათუმისკენ დაიძრა გლეხები საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც. ქართველი გლეხობის უმიწოდ დარჩენას ხელი შეუწყო რუსული შოვინიზმის პოლიტიკამაც. ისინი საქართველოში ასახლებდნენ რასკოლნიკებს, მოლაკანებს, დუხობორებს, სკაპეტებს, რასაც ორი მიზანი ჰქონდა, რუსეთიდან მათი მოშორება როგორც არამართმადიდებლებისა და საქართველოში რუსული მოსახლეობის გაზრდა. აწყობდნენ სამხედრო დასახლებლებს და ყოველივე ეს ადგილობრივი ქართველი გლეხობის ხარჯზე. 1878 წლიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ სომხების ხარჯზე ხდება მატება, რომლებიც ყარსიდან, ართვინიდან და ერზურმიდან დაიძრნენ, ხალხი ბათუმს რუსეთიდანაც მოაწყდა. პირველ რიგში ჩინოვნიკები, ათასი ჯურის ვაჭრები და ავანტურისტები. იმ პერიოდში უამრავი ლიტერატურა გამოდიოდა ბათუმზე და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ „Русские тропики“ ასე უწოდებდნენ აჭარის ზღვისპირეთს. მართლაც ბევრ რუს გენერალს და თავადს ჰქონდა აგარაკი მახინჯაურსა და ციხისძირში. თვითონ ქალაქმა მოკლე დროში იცვალა სახე. გრ. ორბელიანის სიტყვით ბათუმში ოციოდე ცუდი სახლი იდგაო. რუსეთთან შეერთების შემდეგ აშენდა შესანიშნავი შენობები ნეოკლასიკურ სტილში, გაყვანილ იქნა მოკირწყლული სწორი ქუჩები, ინგლისური ქალაქების სტილში. დაინერგა ცივილიზაციის მონაპოვრები: რკინიგზა, ფოსტა, აშენდა საავადმყოფოები, მოკლედ ბათუმი მოკლე ხანში ევროპული ტიპის საპორტო ქალაქად იქცა. ჩვენ აქ არ შევეხებით თვითონ ქალაქის ურბანიზაციის განვითარებას. დავუბრუნდეთ ჩვენს მიზანს, შევეცადოთ გავარკვიოთ მოსახლეობის მატება და ქალაქის ეროვნული შემადგენლობა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართველი მუსლიმანების რაოდენობა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ მონაწილეობდა ვაჭრობაში, მიწებითაც უზრუნველყოფილი იყვნენ და ქალაქებს არ ეტანებოდნენ. ბატონყმობა აჭარაში არ იყო, რადგან არ იყო თურქეთში. ახლა განვიხილოთ აღწერის შედეგები:

1882 წლის 19 მარტს აღწერის შედეგად ბათუმში აღმოჩნდა 8771 სული, 6931 მამაკაცი, 1740 ქალი, მაგრამ მუდმივი მოსახლეობა ნაკლები უნდა ყოფილიყო. ბათუმის შემადგენლობა შემდეგნაირი იყო: ქართველი - 1156, რუსი – 980, თურქი – 603, აფხაზი – 377, სომეხი – 908, სპარსელი - 112, ებრაელი - 179, ბერძენი - 1106, გერმანელი - 145, ფრანგი – 24, იტალიელი - 19, ინგლისელი - 10.

თუ 1872 წლის ციფრებს შევადარებთ დავრწმუნდებით, რომ ქართველების რიცხვი დიდად არ გაზრდილა, რაც იმას მოწმობს რომ მუშახელი ბათუმს დიდი რაოდენობით ჯერ არ სჭირდება. მკვეთრად იმატა თურქთა რიცხვმა, რაც თითქოს პარადოქსულია, ბათუმის რუსეთის ხელში გადასვლის შემდეგ მატულობს თურქი მოსახლეობა. რაც იმას მოწმობს, რომ ოსმალმა ვაჭრებმა იგრძნეს ბათუმის სავაჭრო პერსპექტივები. თუ მანამდე რუსები თითოოროლა კაცი იყო, 1878 წელს თითქმის უტოლდება ქართველთა რაოდენობას, ეს არცაა გასაკვირი რუსეთიდან ჩამოდიოდნენ სპეციალისტები: ინჟინრები სხვადასხვა დარგისა, ვაჭრები, მოხელეები. ბერძნების რიცხვის გაზრდა სომხურ პრობლემასთანაა დაკავშირებული.

მათ ურჩევნიათ ქრისტიანულ ბათუმში გააჩაღონ ვაჭრობა. გაჩნდა ისეთი ეროვნებებიც რომლებიც თურქთა დროს საერთოდ არ იყო. მაგ. სპარსელები და ებრაელები. ქართველთა რიცხვი კი დიდად არ მომატებულა რადგან მუშახელი ქალაქს არ სჭირდება. უმიწო გლეხობა ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით არ დაძრულა ბათუმისაკენ. ქართველების რიცხვი, როგორც ვთქვით 1156 საინტერესოა დავადგინოთ მუსლიმან ქართველთა რიცხვი. რელიგიურ გრაფაში მოცემულია რომ 3158 მართლმადიდებელი იყო. ბათუმში კი მართლმადიდებლები რუსები და ქართველები იყვნენ. მუსლიმანთა რიცხვი კი 1282-ია თუ ამ რიცხვს გამოვაკლებთ 608 თურქს და 112 სპარსელ მივიღებთ მუსულმან ქართველთა რიცხვს 577-ს, მაგრამ თუ მართლმადიდებლების რიცხვს-3158, გამოვაკლებთ რუსების რიცხვს 980, 2178 გვრჩება, რაც ქართველ მაჰმადიანთა რიცხვს არ შეესაბამება, რადგან ისინი მუსულმან ქართველებთან ერთად 1156-ია თუ მუსულმანთა რიცხვს დავაკლებთ მივიღებთ 579-ს, დაგვრჩა 1671 მართლმადიდებელი, რომელიც ეროვნულ გრაფაში არაა შეტანილი უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ჯარის ნაწილებია, რომლებიც ბათუმთან იდგა, მიუხედავად იმისა რომ პორტოფრანკოს წესით ქალაქის დაცვა იკრძალება. შემოერთების შემდეგ მოსახლეობა თითქმის სამჯერ გაიზარდა.

1890 წლის აღწერით ე.ი. 12 წლის შემდეგ მოსახლეობა 18123 სულია აქედან 14120 კაცი 3 947 ქალი. მათ შორის 3449 მეცხოვნე ჯარისკაცთა რიცხვია. მოქალაქეთა რიცხვი 14674-ია. ეროვნებათა გრაფაში 4161 რუსია, 3574 ქართველი. იმატა სომხების რიცხვმაც -3128 კაცია ბათუმში, თურქების რიცხვი 1171. ეს აღწერა მოხდა 17 ივნის და აღრიცხულია ყველა ვინც ამ დროს იმყოფებოდა ბათუმში აღწერის შედეგები სრულყოფილი არ არის და არ იძლევა ჩვენთვის საჭირო ინფორმაციას მუსლიმანი ქართველების რიცხვის დასადგენად. სამაგიეროდ სრულ ინფორმაციას იძლევა 1897 წლის 28 იანვრის აღწერა. 28512 სულია აღწერილი - 20439 კაცი, 8059 აქედან დროებითი 1714, 8518 უცხოელი. მუდმივ მცხოვრებთა რიცხვი 18280 კაცი გამოდის, რაც 1876 წელთან შედარებით 6-ჯერ მეტი ე.ი. 600%-ით გაიზარდა მოსახლეობა 19-ი წლის მანძილზე. მშობლიური ენის მიხედვით 6027 ქართველია, ამათგან 1654 მუსლიმანი ქართველი. შემდგომი აღწერები კი გვიჩვენებენ, რომ ურბანიზაციის ჩქარი ტემპი შენელდა, ერთგვარად შემცირდა კიდევაც ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი, რადგან იგი დროებითმა მცხოვრებლებმა მიატოვეს, რაც ქარხნების დახურვამ გამოიწვია, მაგრამ მიგრირებული ქართველები შერჩნენ ქალაქს. 1903 წლის აღწერის მონაცემებით ქალაქში 29545 სულია აქედან 6624 ქართველი. 1911 წლისათვის კი ქალაქში 28512 სულია, ერთი მესამედი რუსი და ერთი მესამედი ქართველი. როგორც ვხედავთ მოსახლეობის რიცხვმა ოდნავ მოიკლო, მაგრამ ქართველთა რიცხვი არ შემცირებულა იგი 9500 კაცამდეა. ჩვენთვის უცნობია მუსლიმან ქართველთა რიცხვი ამ პერიოდისათვის, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქართველთა რიცხვის ზრდა ბათუმში უკვე ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე მიმდინარეობს. 1878 წელს ადგილობრივ ქართველთა მცირე ნაწილი ცხოვრობდა ქალაქში, რუსეთის შემოსვლის შემდეგ მუჰაჯირობას ჰქონდა ადგილი, მიუხედავად ამისა ქალაქში ბევრი მუსლიმანი ქართველი ჩამოვიდა ბათუმის შემოგარენიდან (ბათუმის ნახიედან), უმეტესად ეკონომიურად ძლიერი ოჯახები, რომელთაც ჰქონდათ ფულადი საშუალება ჩაბმულიყვნენ ვაჭრობაში. ბათუმის ნახიეს გლეხობას მაინცდამაინც არ მოუწევდა გული ქალაქში საცხოვრებლად, ისინი მიწათმოქმედებას მისდევდნენ, ქალაქის სიახლოვითაც სარგებლობდნენ დროებითი სამუშაო იქმნებოდა თუ სხვა რამ, ან ზემო აჭარის რეგიონიდან რაიმეს შესასყიდათ, თუ ჩამოვიდოდა. ნაკლებად ჩამოდიოდნენ ქობულეთიდანაც, მაგრამ ნელ-ნელა მაინც ივსებოდა ქალაქი ადგილობრივი ქართული ელემენტით. წინამდებარე ნაშრომის ამოცანა არ არის საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ ბათუმის ურბანიზაციის საკითხების შესწავლა, მაგრამ უნდა ითქვას სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიძრა აჭარის მთიელი ქართველობა და ბათუმის მოსახლეობის ზრდა ძირითადი მათ ხარჯზე ხდება.

1864 წლის ფეოდალურ სამიწო ურთიერთობათა გაუქმებამ და 1870 წლიდან ბათუმში მრეწველობის განვითარებამ ერთდროულად შეადგინეს მიზეზი, რომლის გამოისობითაც დაიწყო ბათუმის ურბანიზაცია. დიდი აზიური სოფლიდან ერთი ათეული წლის განმავლობაში მივიღეთ პატარა ევროპული ტიპის ქალაქი, თუმცა საქართველოში ისე, როგორც რუსეთში, გრძელდებოდა ურბანიზაციის პროცესი, მაგრამ ნელი ტემპით. განსაკუთრებით მე-20 ს-ის დასაწყისიდან, რადგან მონარქისტული მმართველობა გასაქანს არ აძლევდა მძლავრ მანქანურ მრეწველობას. ჩვენ ბათუმის ურბანიზაციის პროცესს გაკვრით გადავავლეთ თვალი და შევამჩნიეთ, რომ რევოლუციის წინა წლებში შემცირდა მოსახლეობის გადაადგილება ქალაქად, ჩვენ არ შეგვწევს ძალა განვსაზღვროთ იმ მიზეზთა ერთობლიობა რამაც შეანელა ბათუმის ურბანიზაციის ტემპი, მაგრამ ერთი რამ შეგვიძლია ვთქვათ, დასაწყისში ურბანიზაცია მიდიოდა არაქართული მოსახლეობის ხარჯზე. ქარხნების დახურვის შემდეგ, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო ურბანიზაციის პროცესის ტემპების

შენელებისა, ქართული მოსახლეობა მატულობს ქალაქში და მოსახლეობის არაბუნებრივი ნამატი, თუმც მცირე, მაგრამ ქართული ეთნიკური გარემოდან გვაქვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბათუმში მოსახლეობის ინტეგრირების შეწყალების ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ დასავლეთ საქართველოს გლეხობის 60% კერძო მესაკუთრე იყო და დასავლეთ საქართველოში ერთ ადგილას არ ხდებოდა მოსახლეობის თავმოყრა, არამედ იქმნებოდა პატარ-პატარა ქალაქებში ე.ი. დასავლეთ საქართველოში ურბანიზაცია გრძელდებოდა, მაგრამ არა ისე როგორც ვთქვათ ავსტრალიაში, სადაც მოსახლეობა თავს ორ დიდ პუნქტში იყრიდა, სიდნეისა და მელბერნში. ქართველ მესაკუთრე გლეხს ხელს უფრო აძლევდა თავის მამულთან ახლოს პატარა ქალაქში ჰქონოდა აღებ-მიცემა, თუ მანუფაქტურა კიდეც შორს წასულიყო თავისი მამულიდან.

ბათუმის ურბანიზაციაზე ბევრი რამ შეიძლება დაიწეროს, თუ სათანადო მიმართულებით წარვმართავთ კვლევას, ჩვენი ნაშრომი მხოლოდ მოკრძალებული ცდაა გაგვესაზღვრა მოსახლეობის არაბუნებრივი მატების ტემპი და ურბანიზაციის პროცესის გამომწვევი ადგილობრივი სპეციფიკური მიზეზები.

ლიტერატურა

1. ახვლედიანი ხარიტონ, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ბათუმი 1978
2. სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1979
5. ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, თბ., 1969
6. ყაუხჩიშვილი ს., რას მოგვითხრობენ ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, თბ., 1964
7. Анисимов С. Батумское побережие „Русские тропики“. Батум, 1911 г.
8. Батум и его окрестности. Батум, 1906 г.
9. Батум по однадневной переписи 17-го июня 1890 г. изд. Батумский городском управой 1891 г.
10. Веру И.А. Батум и его окрестности, 1910 г
11. Грамоты т. 2, част 1.
12. Френкел А. Очерк чурук-су и Батума. Тифлис, 1879 г.
13. Философская энциклопедя, т.5. Москва, 1973 г.

რუსუდან კობრავა

ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ისტორიიდან

ბათუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი - თვითმმართველი ქალაქია და მის მმართველობას განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის“ შესახებ. იგი ამოქმედდა 2005 წლის 16 დეკემბრიდან, თუმცა ქალაქის თვითმართველობას გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს.

ბათუმის საკრებულოს დაარსება და ჩამოყალიბება დაკავშირებულია მასშტაბურ გეოპოლიტიკურ პროცესებთან. 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში რუსების გამარჯვების შემდეგ 1878 წ.25 აგვისტოს დღის 2 საათზე ბათუმში შემოვიდა რუსული ჯარი სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით. აქედან იწყება ბათუმის ახალი ისტორია, მიუხედავად რუსეთის სახელმწიფოს იმპერიულ ხასიათისა, ეს მხარე ევროპული კულტურის მაცნე იყო. ამავე პერიოდისათვის საქართველოში მიმდინარეობდა მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

სწორედ ამ პერიოდში რუსეთის იმპერიის ხელისუფლება შეუდგა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ტაი-კლარჯეთის და განსაკუთრებით ბათუმის ინტეგრაციას რუსული სახელმწიფოს ფარგლებში. ბათუმს, როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ასევე ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიის უკიდურესი სამხრეთ საზღვრების გამაგრებისათვის. ამ მიზნების განხორციელებისათვის საჭირო იყო გარკვეული ღონისძიებების გატარება. უპირველესად ახალი წესრიგის შემოღება (ინტერვიუ გოდერძი ტოტოჩავასთან, „ბათუმური ქრონიკები, 2008). პირველი ნაბიჯი იყო საპოლიციო მმართველობა. 1878 წ. ბათუმის პოლიცმაისტერად დაინიშნა დურმიშხან ჟურული, რომელიც ქალაქს განაგებდა სახლმფლობელებისა და ვაჭრებისაგან არჩეული 3-4 დეპუტატის დახმარებით. საპოლიციო მმართველობის დროს ბათუმს საოლქო მართველობიდან გამოყოფილი ცალკე ფინანსები ჰქონდა.

1885 წ. ბათუმის 90 მცხოვრებმა კავკასიის მთავარმმართებლის სამოქალაქო ნაწილს გადასცა თხოვნა ქალაქში თვითმმართველობის შემოღების შესახებ. თხოვნაში ნათქვამი იყო, რომ ბათუმში თვითმმართველობის შემოღება ხელს შეუწყობდა ქალაქის კეთილმოწყობას და სხვა საკითხების ადგილზე გადაწყვეტას. ამ თხოვნის წინააღმდეგი წავიდა ბათუმის მაშინდელი პოლიცმაისტერი ვოზნესენსკი, რომელმაც თავისი უარი დაასაბუთა მოტივით-ბათუმს ინტელიგენცია არ ჰყავსო. ამ და სხვა მიზეზების გამო ეს საქმე შეჩერდა 1887 წლამდე (Месхи, 1906:483-485)

მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაცია გრძნობდა, რომ სწრაფად მზარდი ქალაქის დატოვება პოლიციის გამგებლობაში დიდხანს არ შეიძლებოდა. ბათუმის ოლქის ყოფილი სამხედრო გუბერნატორის გენერალ-მაიორ გროსმანის დაჟინებული მოთხოვნით ქუთაისის გუბერნატორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბათუმში შემოეღოთ საქალაქო მდგომარეობა. ამ მიზნით – მოსამზადებელი სამუშაოების წარმოებისათვის 1887 წ. ნოემბერში შეიქმნა კომისია კ.ა. სევერინის თავმჯდომარეობით. კომისიამ შეადგინა საარჩევნო სიები, რომელიც დაამტკიცა გუბერნატორმა, მაგრამ შემდეგ კომისიის მოქმედება შეჩერდა და საქმის წარმოება გადაეცა საპოლიციო სამმართველოს. საბოლოოდ 1888 წ. 25 აპრილს მოვიდა იმპერატორის ბრძანება შემოღებულიყო ბათუმში საქალაქო მდგომარეობა 1870 წ. იმ შეზღუდვებით, რომ თვითმმართველობასთან არ ყოფილიყო სამშენებლო განყოფილება (ის იყო დამტკიცებული მხოლოდ 1900 წელს) და ქალაქის თავის თანამდებობა პირველ ოთხ წელს ყოფილიყო არა არჩევითი, არამედ დანიშვნითი კავკასიის მთავრობის მიერ (Гурская, 1901:34-35) ამ ბრძანების შესრულება დაევალა ახალ კომისიას, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე კ. დ. გავრონსკი.

1870 წ. რუსული საქალაქო დებულების შესაბამისად, მოქალაქეს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო თვითმმართველობის არჩევნებში, თუ იგი აკმაყოფილებდა შემდეგ პირობებს: 1. იყო რუსეთის ქვეშევრდომი; 2. იყო 25 წლის და მეტი ასაკის; 3.ქალაქში

ფლობდა უძრავ-მოძრავ ქონებას და იხდიდა შესაბამის გადასახადს, ან ჰქონდა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება და გააჩნდა ფასიანი სანებართვო მოწმობა; 4. მასზე არ ირიცხებოდა გადასახადთა ნარჩენები. მოსახლეობის ეკონომიკური კატეგორიების შესაბამისად ყალიბდებოდა სხვადასხვა თანრიგის სამი საარჩევნო კრება. პირველ თანრიგში შედიოდნენ მსხვილი მესაკუთრეები (სახლმფლობელები, ვაჭარ-მრეწველები), მეორეში-საშუალო შემლების მოქალაქენი, მესამეში კი ის წვრილი მესაკუთრეები, რომლებიც იხდიდნენ გარკვეულ საქალაქო გადასახადს. ყოველი თანრიგი ირჩევდა სათათბიროს ხმოსანთა მესამედს.

საქალაქო თვითმმართველობის განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა სათათბირო, რომლის ხმოსანთა რაოდენობა, ქალაქის სიდიდის შესაბამისად 36-დან 150 კაცამდე მერყეობდა. სათათბიროს უფლებამოვალეობაში შედიოდა ქალაქის თანამდებობის პირთა არჩევა და მათი ხელფასების განსაზღვრა, ქალაქის შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტის დამტკიცება, თვითმმართველობის სახელით კრედიტორის აღება, საქალაქო საქმეთა განხილვა, სხვადასხვა საკითხზე მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა და სხვ.

საქალაქო სათათბირო ირჩევდა მის წინაშე ანგარიშვალდებულ გამგეობას, რომელსაც აღმასრულებელი ფუნქციები ეკისრებოდა. გამგეობაში რამდენიმე კაცი შედიოდა და იგი ქალაქისათვის თავმჯდომარეობით მუშაობდა. სათათბირო ქმნიდა მუდმივ და დრობით მოქმედ კომისიებს, რომელთაც ევალებოდათ საქალაქო მეურნეობის ცალკეულ სფეროთა ხელმძღვანელობა ან განსაკუთრებული რთული საკითხების დამუშავება და მნიშვნელოვანი პროექტების შედგენა. სათათბიროს ხმოსნები, ქალაქისთავი, გამგეობის წევრები და სხვა თანამდებობის პირები ერჩეოდნენ 4 წლის ვადით.

საქალაქო თვითმმართველობის ძირითად ფუნქციას შეადგენდა კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობა. მას ხელი უნდა შეეწყო აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის, გაეხსნა სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, საავადმყოფოები, საქველმოქმედო დაწესებულებები (ბენდიანიშვილი, 2008:232-233).

1888 წ. 25 აგვისტოს და 2 აგვისტოს ჩატარდა ხმოსანთა არჩევნები 3 საარჩევნო კრებაზე. 525 ამომრჩევლიდან ყოველ საარჩევნო კრებას უნდა აერჩია 12 ხმოსანი, სულ 36. არჩეული 36 ხმოსანისგან შედგებოდა 1 სახალხო სათათბირო. 17 სექტემბერს ჩატარდა ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს თანამდებობის პირთა არჩევნები, რომელთაც ფიცი დადეს 1 ოქტომბერს და ეს დღე ითვლება ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის დღედ. სათათბიროს შემადგენლობაში პირველ ოთხწლეულში შევიდნენ შემდეგი ხმოსნები: პირველი თანრიგის: ციმერმანი ა. ფ., კოიანდერი ა. ი., ერგარდტი ვ. ა., მელქონიანელი ო. გ., პასსეკი ნ. ბ., სევერინი კ. ა., ზროდლოვსკი ს. ი., ვანშეიდტი ა. ი., მამულოვი ი. ა., რელიგიონი ფ. ა., ცეიტლინი მ. გ. მეორე თანრიგის: ბიკოვი დ. ი., ტიხუმოვი მ. ნ., კარა-აღა-ზადე-ჰუსეინ-ეფენდი, ბოიანი ი. ს., ალავერდოვი ა.რ., მჭედლოვი ლ. ლ., კეშიშ-ოღლი მ., კოჩხოევი ი. ი., სტეპანოვი გ. ა., ტერ-ასატუროვი ნ. ბ., ცატუროვი ა. ა., ეფრემიდი ნ. კ. მესამე თანრიგის: აბაშიძე სანჯაყ-ბეგ-ზადე იბრაიმ ბეგი, ოგანეზოვი ს. ა., ხარაზოვი დ. ფ., საბაშვილი ს. ს., როსტომ-აღა-ზადე-სულეიმან-აღა, ვარშავსკი ი. ა., აბაშიძე-სანჯაყ-ბეგ-ზადე ჰუსეინ ბეგი, მამედოვი გ. დ., შადინოვი ი. ს., მჭედლოვი გ. დ., კოჩეტკოვი გ. ე. და დავითაია პ.ზ.

რელიგიური მრწამისა და ეროვნებით პირველი სათათბიროს შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: რელიგიური მრწამსის მიხედვით: მართლმადიდებელი - 10, კათოლიკე - 6, სომეხი-კათოლიკე -1. სომეხი-გრიგორიანელი - 9. პროტესტანტი - 1. ქართველი მუსლიმანი - 4. ეროვნების მიხედვით: რუსი - 8, ქართველი - 11, სომეხი - 10, ბერძენი - 2, ებრაელი - 2, პოლონელი - 2, გერმანელი - 1. ამ შემადგენლობიდან ინჟინერი იყო - 4, იურისტი - 2, ჩინივნიკი - 3, ვაჭარი - 14, ექიმი - 1, სამხედრო - 3, აფთიაქარი - 1 და სახლმფლობელი - 8.

პირველი ოთხწლეულის ქალაქის თვითმმართველობა შედგებოდა შემდეგი თანამდებობის პირებისაგან: მთავარმმართებელის მიერ დანიშნული ქალაქის თავი კ. დ. გავრონსკი, თვითმმართველობის 3 წევრი: დ. ი. ბიკოვი - ბათუმის საბაჟოს ყოფილი თავმჯდომარე (ის დაინიშნა ქალაქის თავის მოად-

გილედ); ა. ი. კოიანდერი და ი. ს. შადინოვი; ქალაქის მდივანი ი. ს. მესხი; სხვა სამსახურთა პერსონაჟი შედგენილი იქნა შემდეგი პირებისაგან: ბუხჰალტრად დაინიშნა თბილისის თვითმმართველობის ყოფილი ბუხჰალტერი ს. დ. ტარუმოვი, საქმეთა მმართველად მ. ა. ჩხატარაიშვილი, მოლარედ გ. გ. გუდზი და სანაპიროს ზედამხედველად ს. პ. ვერნიგორი.

ამით დასრულდა ქალაქის საზოგადოებრივი თვითმმართველობის დაკომპლექტება. ქალაქის თვითმმართველობის პირველი შემადგენლობის მიერ ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: 1. დაიწყო და დამთავრდა ჭაობების ამოშრობა რკინიგზის გასწვრივ, ჩატარდა ქალაქის ნიველირება, შემუშავდა ქალაქის ხიდებისა და წყალსადენების მოწესრიგების საერთო გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედო ქუჩების მოწყობისათვის მომავალ სამუშაოებს. ასფალტის საფარი დაიგო და მოწესრიგდა ქალაქი ძველ თურქულ ნაწილში, შემოღებული იქნა დებულება საპორტო შემოსავლების შესახებ, ჩატარდა პირველი სერიოზული სამუშოები ქალაქის წყალსადენის გაფართოებისათვის, 1890 წ. 17 ივლისს ჩატარდა ქალაქის მოსახლეობის აღწერა, დამტკიცდა ქალაქის სანიტარული და ვეტერინალური ექიმების თანამდებობები, აღიძრა შუამდგომლობა ზოგიერთ სანოტარო წესის შეცვლის, ბათუმში ვაჟთა გიმნაზიის გახსნის, რკინიგზაზე ტარიფების შემცირებისა და სხვა საკითხებზე. (Месхи, 1906:487-491).

სათათბიროს პირველი შემადგენლობა ფუნქციონირებდა არა 4, არამედ 6 წელს, ხმოსანთა ახალი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 1892 წ. დაიწყო კიდეც, თანრიგების მიხედვით საარჩევნო სიების შედგენა, მაგრამ კომისია წააწყდა ხელშემშლელ გარემოებას, რომ ბათუმის ცენზიან მოქალაქეთა უძრავ-მოძრავი ქონების ერთ მესამედი ეკუთვნოდა „კასპია-შავი ზღვის საზოგადოებას“. ამ საზოგადოების წარმომადგენლები ხვდებოდნენ ამომრჩეველთა 1 თანრიგში, მათ უნდა აერჩიათ ხმოსანთა მესამედი. ამის გამო საჭირო შეიქმნა ახალი საარჩევნო კანონის შემოღება.

1892 წ. 30 დეკემბერს საქალაქო საქმეთა ქუთაისის საგუბერნიო საკრებულომ მიზანშეწონილად ცნო ბათუმში გატარებულიყო ახალი საარჩევნო კანონი. ეს კანონი მართალია აუქმებდა საარჩევნო თანრიგებს, მაგრამ სამაგიეროდ რამდენჯერმე ზრდიდა საარჩევნო ცენზს. საარჩევნო სიებში შეჰყავდათ მხოლოდ მსხვილი და საშუალო შემლების მესაკუთრეები, პირველი და მეორე გილდის ვაჭრები, რომლებიც ფლობენ ქალაქში უძრავ ქონებას, რომელიც შეფასებული იყო არანაკლებ ათას მანეთად.

ამ დროისათვის გავრონსკი გადადგა და ქალაქის თავის მოვალეობის შესრულებას



ლუკა ასათიანი

შეუდგა მისი მოადგილე, თვითმმართველობის წევრი ა. ი. კოიანდერი, რომლის ხელმძღვანელობით ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები 1894-1898 წლების ხმოსანთა არჩევნებისათვის. დადგენილი წესის მიხედვით 1894 წ. 12 ოქტომბრის არჩევნების დღისათვის საარჩევნო სიებში აღმოჩნდა 318 ამომრჩეველი. (Месхи, 1906:494). გაჩაღდა წინასაარჩევნო მუშაობა.

ბათუმში მცხოვრებ ყველა ეროვნებას სურდა ქალაქის თავად მისი ერის წარმომადგენელი გამხდარიყო. განსაკუთრებულ პრეტენზიას აცხადებდნენ რუსები და სომხები. ქალაქისთავის მოვალეობის შემსრულებელი კოიანდერი დარწმუნებული იყო, რომ არჩევნები მის სასარგებლოდ დამთავრდებოდა, სომხებმა კი ქალაქისთავის კანდიდატად გენერალი ბებუთოვი ჩამოიყვანეს.

საჭირო შეიქმნა ქართული ფრაქციის მუშაობის გააქტიურება, რათა თვითმმართველობაში რაც შეიძლება მეტი ქართული ორიენტაციის პიროვნება მოხვედრილიყო. ეს საქმე იკისრეს ივანე მესხმა და გრიგოლ ვოლსკიმ. მათი მოხერხებული მოქმედება და სიტყვა თანდათან ზრდიდა მომხრეებსა და თანამგრძნობთა რიცხვს. როცა მომხრეთა საკმაო რიცხვი შეიქმნა, გადაწყვეტილება მიიღეს შემოეერთებინათ ბერძენი ამომრჩევლები. საბოლოოდ ვოლსკისა და მესხის მომხრეთა ამომრჩევლებმა გაიმარჯვეს. ხმოსანთა შორის უმეტესობა ქართველებას ეკუთვნოდა.

საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო, სავარძელზე მოთავსებული იყო და არჩევნების მსვლელობას აკვირდებოდა ამ შემთხვევისათვის თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული ილია ჭავჭავაძე. ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი აღტაცება გამოიწვია ქართველებში (კლდიაშვილი, 1984:55-56). დღის წესრიგში დადგა ქალაქის თავის თანამდებობისათვის შესაფერისი კანდიდატის შერჩევა. ასეთ კანდიდატად დასახელებული იქნა ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავი ლუკა ასათიანი.

1894 წ. 12 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სათათბიროში არჩეული იქნა 35 ხმოსანი. ამათგან 8 რუსი, 3 პოლონელი, 19 ქართველი, 5 ბერძენი. არჩეულმა ხმოსნებმა 1894 წ. 25 ნოემბერს დადეს ფიცი და იმავე დღეს ჩატარდა სათათბიროს თავმჯდომარის არჩევნები. სათათბიროს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ხმოსანი ს. ზროდლოვსკი. 1895 წ. 25 იანვარს კი ჩატარდა თვითმმართველობის თანამდებობის პირთა არჩევნები. არჩეულ იქნენ: ქალაქის თავი ლ. ასათიანი, გამგეობის წევრები: გ. ი. ვოლსკი, ი. ა. ივანოვი და ქალაქის მდივანი ი. მესხი. ქალაქის თავის მოადგილედ არჩეულ იქნა გამგეობის წევრი ი. ა. ივანოვი (Месхи, 1906:496).

ლ. ასათიანის არჩევას ქართველობა დიდი აღტაცებით მიეგება. იგი, როგორც საქალაქო საქმეების მცოდნე, მუყაითი და დაუღალავი თავდაუზოგავად მუშობდა. მის დროს ქალაქის განახლებული თვითმმართველობის საქმიანობამ სხვა ხასიათი მიიღო, ვიდრე იყო მანამდე.

ლუკა ასათიანი დაიბადა 1826 წ. ქუთაისის ახლოს მდებარე პატარა სოფელ ქვიტირში. ქუთაისის ოთხკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჯერ სწავლა გიმნაზიაში განაგრძო, შემდეგ კი მუშაობა დაიწყო. ჯერ მუშაობდა ერევნის გუბერნიის სასამართლოში, შემდეგ ქუთაისის ოლქის სასამართლოში, შემდეგ კი არჩეულ იქნა ქალაქის თავად. დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე, მშვენიერი სიტყვის პატრონი, დინჯი, წარმოსადეგი, ყოველთვის და ყველგან ტოვებდა კარგ შთაბეჭდილებას (კლდიაშვილი, 1984:58).

1898 წ. დაინიშნა ახალი არჩევნები. 18 ოქტომბერს და 15 ნოემბერს ჩატარდა ხმოსანთა არჩევნები. არჩეული იქნა 41 ხმოსანი, რომელთა შორის უმეტესობას ქართველობა შეადგენდა. 1899 წ. 7 იანვარს ჩატარდა თანამდებობის პირთა არჩევნები, რის შედეგადაც შენარჩუნებული იქნა ადრე არჩეული თანამდებობის პირები. კერძოდ: ლ. ასათიანი - ქალაქის თავი. გ. ი. ვოლსკი - გამგეობის წევრი და ი. მესხი ქალაქის მდივანი.

ლუკა ასათიანმა თავის გარშემო შემოიკრიბა ყველა პროგრესული პიროვნება ეროვნების მიუხედავად, რომლებიც ჩართული იყვნენ ყველა იმ დიდ საქმეში, რამაც განაპირობა უმოკლესი ექვსი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელება ქალაქში. აღსანიშნავია ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე ჭაობის ამოშრობა, კაპიტალურად გაყვანილი სანიაღვრე არხები, პარალელურად წარმოებდა ქალაქის დადაბლებული ადგილების ხრეშითა და გრუნტით ამოვსება. ამ სამუშაოების შესრულების შემდეგ შესაძლებელი გახდა გაყვანილიყო ახალი ქუჩები და მოასფალტებულიყო მათი სავალი ნაწილი. ქალაქში დამონტაჟდა მცირე მოცულობის ელექტროსადგური. ლ. ასათიანის და მისი მომხრეების ძალისხმევით დაიწყეს ქალაქის საავადმყოფოს მშენებლობა. დამთავრდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი ქართული სკოლის მშენებლობა (ახლანდელი პირველი საშუალო სკოლის ადგილზე). გაიხსნა ორი დაწყებითი სკოლა, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, ქალაქში დაარსდა ლომბარდი, აიგო დახურული ბაზრის შენობა, საფუძველი ჩაეყარა საჯარო ბიბლიოთეკას, გაცოცხლდა თეატრალური ცხოვრება, ფართო გასაქანი მიეცა სავაჭრო საყოფაცხოვრებო და საბანკო საქმიანობას, ქალაქის ძველი რაიონი სავაჭრო ცენტრად იქცა, აშენდა რამდენიმე

კომფორტული სასტუმრო, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ნავსადგურს (კომახიძე, 2000:43-45).

ლუკა ასათიანის ინიციატივით ქალაქის თვითმმართველობისათვის შენობის გასამართავად გამოიყო მიწის ნაკვეთი, გაკეთდა შენობის პროექტი, რომლის საფუძველზეც დაიწყეს მშენებლობა.

თავდაპირველად ქალაქის გამგეობა მდებარეობდა ნაქირავებ ბინაში მარინსკის პრ. და მიხაილოვის ქუჩების კუთხეში მდებარე თავად გურიელის სახლში (Гурская, 1901:73). ხოლო, 1903 წ. დამთავრდა ქალაქის თვითმმართველობის ვრცელი, მოხერხებული შენობის მშენებლობა დიდი დარბაზით სათათბიროს სხდომისათვის. საკანცელარიო სამმართველოს და სამშენებლო განყოფილების გარდა ქვედა სართულზე იყო ქალაქის ლომბარდი და სხვა საქალაქო დაწესებულებები, მათ შორის ბიბლიოთეკა (Марковъ, 1906:266).

1901 წ. 9 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა ლუკა ასათიანი. მისმა უეცარმა სიკვდილმა საზოგადოების დიდი მწუხარება გამოიწვია. იგი გულით დაიტირა ათასობით ბათუმელმა. მისი ნეშტი გადაასვენეს მშობლიურ ქალაქ ქუთაისში. ლუკა ასათიანის სახელის უკვდავსაყოფად მისი სახელი მიანიჭეს ახლანდელი ერას ქუჩის ერთ მონაკვეთს, აჭარის გასაბჭოების შემდეგ ქუჩას მიენიჭა მ. გორკის სახელი. ამჟამად ლუკა ასათიანის სახელი მინიჭებული აქვს იმ ქუჩას, სადაც განთავსებულია ბათუმის მერიის შენობა (კომახიძე, 2003:48).

ლუკა ასათიანის გარდაცვალების შემდეგ საჭიროებამ მოითხოვა გამომებნილიყო სხვა ქართველი მოღვაწე, რომელიც ღირსეულად გააგრძელებდა დაწყებულ საქმეს. ილია ჭავჭავაძის რჩევით შეჩერდნენ ივანე ანდრონიკაშვილის კანდიდატურაზე.

ივანე ანდრონიკაშვილი იყო ახალგაზრდა აგრონომი. ენერგიული და ნებისყოფიანი კაცი. იგი დაიბადა 1862 წ. გურჯაანის რაიონის სოფელ მელიანში. 1887 წ. წარმატებით დაამთავრა მოსკოვის პეტროვსკის სახელობის სამიწათმოქმედო და სატყეო აკადემია (ამჟამად ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია). 1889-1902 წწ. მუშაობდა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მთავარ ექსპერტად და ხელმ-



ივანე ანდრონიკაშვილი

ძღვანელობდა ფილოქსერასთან ბრძოლის ექსპედიციებს, როგორც საქართველოში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში. ი. ანდრონიკაშვილი იმხანად ხალხში აგრონომიული ცოდნა-პოპულარიზაციის მიზნით აწყობდა საჩვენებელ-საცდელ ნაკვეთებს, ცდიდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს. ანდრონიკაშვილი დათანხმდა ბათუმიდან წარგზავნილ დელეგაციას კენჭი ეყარა ბათუმის ქალაქის თავის თანამდებობაზე (კომახიძე, 2003:5-6).

1902 წ. 17 იანვარს ბათუმის ქალაქის თავად აირჩიეს ივანე ანდრონიკაშვილი. ამის შემდეგ ი. ანდრონიკაშვილი კიდევ 4-ჯერ იქნა არჩეული ქალაქის თავად.

ივანე ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა ბათუმში ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მისი ხელმძღვანელობით გაშენდა ახალი სასმელი წყლის სათავე ნაგებობა, დაჩქარებული ტემპით გაგრძელდა ქალაქის ირგვლივ არსებულ ჭაობების ამოშრობის სამუშაოები, დაიწყო გაძლიერებული ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ. აშენდა ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის შენობები, არსებული 120 ცხენისძალის მქონე ელექტროსადგური გაძლიერდა 300 ცხენისძალამდე. შეიქმნა ქალაქის ძლიერი სახანძრო რაზმი, სათანადო აღჭურვილობით. საფუძველი ჩაეყარა მწვანე კონცხის ბოტანიკური ბაღის განაშენიანებას და პირადად ი. ანდრონიკაშვილის რეკომენდაციით მის ხელმძღვანელად დაინიშნა პროფესორი ა. კრასნოვი.

1916 წ. ივანე ანდრონიკაშვილი გადადგა დაკავებული თანამდებობიდან და მისი ადგილი დაიკავა ევგენი კრინიცკიმ (დარახველიძე), რომელიც ეროვნებით ქართველი გახლდათ, ძალზე განათლებული და ერუდირებული პიროვნება იყო. ე. კრინიცკი ბათუმის ქალაქის თავის თანამდებობაზე შეცვალა ვ. საბახტარაშვილმა, საბახტარაშვილი - ჯავახიშვილმა, ჯავახიშვილი - ანჯაფარიძემ (კომახიძე, 2003:49-57).

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში შეიქმნა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა ქალაქის კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებას. რაც შეეხება ქალაქის სათათბიროს, იგი აჭარის გასაბჭოებამდე უწყვეტლივ ფუნქციონირებდა.

გთავაზობთ იმ ხმოსანთა სიას, რომლებიც არჩეული იყვნენ ბათუმში საქალაქო თვითმმართველობაში 1888–1915 წწ. ცხრილი შედგენილია ი. მესხის მონაცემების მიხედვით (Месхи, 1914:58-65).

N	გვარი, სახელი, მამის სახელი	რომელ ოთხწლეულში აირჩიეს					
		I	II	III	IV	V	VI
1	აბაშიძე ზია ბეგი, სანჯაყ-ბეგი			III			
2	აბაშიძე ჰუსეინ ბეგი, სანჯაყ ბეგი	I					
3	აბაშიძე იბრაიმ ბეგი, სანჯაყ ბეგი	I					
4	აბაშიძე ფეზლი ბეგი, სანჯაყ ბეგი			III			
5	აკინიანი ს.ი.				IV		
6	ალავერდოვი ა.ფ.	I					
7	ანჯაფარიძე მ.ს.			III			
8	ანდრეევი ს.ა.				IV		
9	არკადაქსკი ა.ბ.						VI
10	ასლან- სადე ხ.ეფენდი					V	VI
11	ბარაკოვსკი ფ.ს.				IV		
12	ბარათოვი დ.ი.		II	III			
13	ბარკალაია მ.ს.				IV		
14	ბენლისი ი.ე.		II				
15	ბერძენიშვილი ე.ს.		II			V	VI
16	ბეთანოვი მ.ს.		II		IV		
17	ბოგოსლოვსკი ე.ა.			III			
18	ბაიანი ი.ს.	I					
19	ბიკოვი დ.ი.	I	II				
20	ბიალუსკი ნ.ა.					V	VI
21	ვაკიე ა.პ.		II	III			
22	ვანშტეიდტი ა.ი.	I					
23	ვარშავსკი ი.მ.	I					
24	ვარშანიძე შ.ე.						VI
25	ვერმიშევი ა. ა.						VI
26	ვოლსკი მ.ი.		II	III			
27	გაბუნია დ.მ.					V	

28	გაიდებურავი ი.ა.				IV		
29	გედევანოვი ი.ზ.		II	III			
30	გოგიჯანოვი ა.ი.			III	IV		
31	გოგოლაძე კ.ა.						VI
32	გრიელსკი ვ.ფ.		II	III	IV		
33	გრიგორიადი ხ.ხ.					V	VI
34	გრიგორიანცი გ.ვ.						VI
35	გუგუშვილი ა.თ.		II				
36	გუნდრიზერი რ.ფ.			III			
37	გურგენიძე ს.ა.						VI
38	დავითაია პ.ზ.	I					
39	დანიელოვი გ.ა.						VI
40	დეკანოზოვი ა.დ.						VI
41	დე-პოლინი ბ.რ.		II				
42	ჯაყელი ო.ვ.			III	IV		
43	დიმიტრიადი ა.დ.		II	III	IV	V	VI
44	დუმბაძე ნ.კ.		II	III			
45	დუნიანი ს.ზ.					V	VI
46	ელიავა გ. ლ.		II	III	IV	V	VI
47	ეფრემიდი ნ.კ.	I					
48	ზაქარიანი პ.მ.					V	
49	ზაქარიანი ფ.ა.					V	
50	ზროდლოვსკი ს.ი.	I	II				
51	ივანოვი ი.ა.		II				
52	იმნაძე ნ.ო.						VI
53	კაკაბაძე ი.დ.				IV		
54	კანდელაკი დ.მ.					V	VI
55	კარა-აღა-ზადე გ.ეფ.	I					
56	კახიანი ი.მ.					V	VI
57	კვიცინსკი					V	
58	კეჭეყმაძე ნ.ი.						VI
59	კეშიშ ოღლი მ.	I					
60	ქიქოძე ლ.ს.			III	IV	V	VI
61	კოვალიოვი ვ.ა.	I					
62	კოვალენკო ნ.ს.						VI
63	კონცელიძე ი.ა.					V	
64	კოჩეტკოვი გ.ე.	I	II				
65	კოჩხოევი ი.ა.	I					
66	კოიანდერი ა.ი.	I					

67	კრასნიცკი კ.ა.					V	VI
68	კრინიცკი ე.მ.					V	
69	კუბანიევი გ.ა.		II				
70	კურტოევი ი.ბ.					V	
71	ქუთათელაძე ს.დ.			III	IV		
72	ლოპატო ვ.ა.		II				
73	ლომინაძე ი.კ.		II				
74	მავროპულო მ.დ.					V	VI
75	მემედ-აღა ზადე ო.ა.	I					
76	მამულოვი ი.ა.	I					
77	მარტინოვსკი ფ.ა.						VI
78	მასუმოვი გ.დ.	I					
79	მაჭუტაძე დ.მ. თავადი			III	IV		
80	მგელაძე კ.კ.		II				
81	მდივანი ს.გ.					V	VI
82	მელქონიანი ო.გ.	I					
83	მელია ი.ა.						VI
84	მესხი ი.ს.		II				
85	მირიმანოვი მ.მ.				IV		
86	მიხაილიდი მ.ტ.		II	III		V	
87	მნაცაკანოვი ა.ა.				IV		
88	მანდოიანცი ა.ო.					V	VI
89	მჭედელოვი გ.ლ.	I					
90	მჭედელოვი ლ.ლ.	I		III			
91	მჭედელოვი პ.ლ.					V	
92	მურომოვი ი.გ.			III			
93	მუფტი ზადე კ.ე.				IV	V	VI
94	მხეიძე კ.ა.						6
95	მხეიძე ხ.ი.		II				
96	ნაკაშიძე დ.გ. თავადი						VI
97	ნაკაშიძე მ.მ.			III	IV		VI
98	ნაკაშიძე ნ.პ. თავადი				IV		
99	ნეკლიუდოვი ა.ა.		II				
100	ნიკიტინი გ.პ.						VI
101	ნიკოლაძე მ.ი.		II	III			
102	ოგანეზოვი ს.გ.	I					
103	ოგანეზოვი ი.ი.			III			
104	პანასევიჩი ი.ფ.				IV	V	VI
105	პარონბეგოვი ი.ს.			III			

106	პალმი გ.ა.			III			
107	პასსეკი ნ.ბ.	I					
108	პეტროსიანი ა.ო.						VI
109	პეშეკეროვი ე.მ.			III			
110	პილოიანი ი.გ.					V	
111	პოდოლეცკი ლ.ი.			III			
112	პოლსკი ი.მ.		II	III			
113	პუჩინიანი კ.ბ.					V	VI
114	რადვილლოვიჩი პ.ფ.				IV		
115	რაკოვიცა გ.გ.					V	
116	რელიგიონი ფ.ა.	I					
117	როსტომ ა-ზ. ს.ა.	I					
118	რუხაძე ვ.დ.					V	VI
119	საბაევი ნ.ა.		II	III	IV	V	VI
120	საბახტარაშვილი ი.ბ.			III		V	VI
121	საბაშვილი ს.ს.	I	II	III			
122	საზონოვი ი.დ.				IV		
123	საიპოვი ნ.გ.						VI
124	სახნოვსკი ბ.ვ.					V	VI
125	სევერინი კ.ა.	I	II	III			
126	სელიტრენიკოვი მ.ა.		II				
127	სკლიარევსკი ვ.ე.				IV		
128	სიბირიკოვი კ.მ.				IV		
129	სიმეონიდი პ.ს.		II	III			
130	სიმონოვი ა.დ.		II				
131	სიმონოვი პ.დ.			III			
132	სიმულოვი კ.ბ.			III		V	
133	სომოროვი გ.ს.					V	VI
134	სტეპანოვი გ.ა.	I					
135	სტრელცოვი გ.ი.					V	
136	თაყაიშვილი დ.ა.					V	
137	ტარუმოვი ს.ს.			III	IV		
138	ტერ-ასატუროვი ნ.ბ.	I					
139	ტოხუმოვი მ.ნ.	I					
140	ტრანცი ე.ი.						VI
141	ტრიანტაფილიდისი ტ.პ.			III	IV		
142	ტრიფიმოვი ა.ტ.					V	VI
143	ფელიაკოვი ი.მ.						VI
144	ხალვაში ი.ე.					V	
145	ხარაზოვი დ.ო.	I					

146	ხაჩიკიანი ი.ო.					V	
147	ხიტაროვი ი.მ.				IV		
148	ხიტაროვ-ბესტავაშვილი ზ.ს.						VI
149	ხაჯიმიროვი ა.ა.			III			
150	ხუდადოვი ი.მ.			III	IV		
151	ჭანტურია ს.ბ.						VI
152	ჩაუსოვი გ.ნ.						VI
153	ჩილინგარიანი ა.ხ.				IV		VI
154	ჩხაიძე ტ.ე.					V	VI
155	ჩხეიძე კ.ს.			III			
156	ცატუროვი ა.ა.	I					
157	ცეიტლინგი მ.გ.	I					
158	წერეთელი ნ.ვ. თავადი				IV		
159	ტიმერმანი ა.ფ.	I					
160	ცინცაძე შ.ი.						VI
161	ცურინოვი ს.მ.						VI
162	შადინოვი ი.ს.	I					
163	შარვაშიძე პ.დ. თავადი		II				
164	შუტცი პ.კ.					V	
165	ელიავა მ.დ.					V	VI
166	ელიაშვილი ს.ს.					V	VI
167	ენუქიძე ს.ე.						VI
168	ერგარიდტი ე.ფ.	I					
169	ერისთოვი ნ.ბ. თავადი		II				

ლიტერატურა

1. ინტერვიუ გოდერძი ტოტოჩავასთან – ქ. ბათუმის საკრებულო 120 წლისაა. – გაზეთი „ბათუმური ქრონიკები“, 2008 წ. 29 ივნისი, №.6
2. ბენდიანიშვილი ა., ქალაქები, სავაჭრო-სამრეწველო დაბები, საქალაქო თვითმმართველობა და კომუნალური მეურნეობა. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი, 2008
3. კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984
4. კომახიძე თ., ქალაქ ბათუმის დაგეგმარებისა და განაშენიანების ისტორია. ბათუმი, 2000
5. კომახიძე თ., ივანე ანდრონიკაშვილი, ბათუმი, 2003
6. Гурская Н. Путеводитель и справочная книжка по гор. Батуми и окрестностям. Тифлис, 1901
7. Месхи И. Памятная книжка гласных Батумской городской думы на 1914 г. Батуми, 1914
8. Месхи И. Очерк развития Батумского городского хозяйство. - Батум и его окрестности. Батуми, 1906
9. Марковъ Л. Очеркъ Батумской торговли нефтяными продуктами. - Батум и его окрестности. Батуми, 1906

ქ. ბათუმის თვითმმართველობის შემადგენლობა. 1918–1921 წლები

ოთარ გოგოლიშვილი

ინგლის-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების პერიოდში (1877-1878 წ.წ.)

საქართველოს ისტორიაში რუსეთ-თურქეთის 1878-1878 წლების ომი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ბერლინის კონგრესზე, რომელმაც რუსეთ-თურქეთს შორის ამ ომში დაზავების პირობები გადაწყვიტა, დადებითად გადაწყდა აჭარის ბედიც. აჭარა დედასამსობლოს დაუბრუნდა. ეს იყო კიდევ ერთი პროგრესული მოვლენა ქართველი ერის გამთლიანების გზაზე.

ინგლისი, ისე როგორც 1828-1829 წლებისა და ყირიმის ომების დროს, ამ ომშიც თურქეთის ინტერესების დაცვის როლში გამოვიდა. ახლო აღმოსავლეთისა და ბათუმის ოლქის საკითხებით დაინტერესებულმა ინგლისის მთავრობამ, თურქეთისადმი ომის გამოცხადებისთანავე, დაგმო რუსეთის საგარეო პოლიტიკა: „რუსეთის ჯარების გადასვლამ პრუტზე – სწერდა თურქეთის სულთანს თურქეთში ლონდონელი დესპანი მუსურისი 1877 წლის აპრილის დასასრულს – რუსეთისათვის არაკეთილსასურველი შტაბეჭდილება მოახდინა ინგლისის საზოგადოებრივ აზრზე. გაზეთმა „დეილი ნიუსმა" აღარ იცის როგორ დაამშვიდოს აღელვებული საზოგადოება". ლონდონის საელჩო, სამხედრო სამინისტრო და გაზეთები ყოველნაირად აღვივებდნენ ინგლისის საზოგადოების მღელვარებას რუსეთისადმი, გამოხატავდნენ მხარდაჭერას თურქეთის ინტერესებისადმი.

შემდეგ, ომის მსვლელობაში და ბერლინის კონგრესზე ინგლისმა აშკარად გამოავლინა თანაგრძნობა თურქეთისადმი და თანაც ფარულად თუ აშკარად ცდილობდა ბათუმის ოლქი არ გადასულიყო რუსეთის შემადგენლობაში, რადგანაც იცოდა, რომ კავკასიის მოსახლეობაში რუსეთის მიმართ არ იყო დადებითი განწყობა. ინგლისური გაზეთები „ტაიმსი", „ბირჟის უწყებები", „დეილი ნიუსი", „დეილი ტელეგრაფი", „სტანდარტი" და სხვები, არამარტო თანაუგრძნობდნენ თურქეთს, არამედ აშკარად იდგნენ რუსეთის საწინააღმდეგო პოზიციებზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ რუსეთს ბათუმით სარგებლობა შეუძლია იმ შემთხვევაში თუ ფლოტი ეყოლება, თორემ ახლა ბათუმის ნავსადგურით ინგლისი ისარგებლებსო. უფრო მეტიც, ინგლისისა და თურქეთის ერთი გარიგების თანახმად, თუ ბათუმი, ყარსი და არტაანი, ან ერთ-ერთი მათგანი დარჩებოდა რუსეთს, და ის მაინც შეეცდებოდა სხვა რომელიმე ტერიტორიის დაკავებას, მაშინ ინგლისი თურქეთს უერთდებოდა რუსეთის წინააღმდეგ. ამასთან ინგლისი ორმაგ დიპლომატიას ატარებდა მთელი ომის განმავლობაში, თურქეთს სტყუებდა სამფლობელოებს, რუსეთს კი პირისპირ ედგა.

ინგლისი რუსეთ-თურქეთის ამ ომის ფრონტებზე ჟურნალისტებად გზავნიდა გამოცდილ ოფიცრებს, რომლებიც კი არ კმაყოფილდებოდნენ საზოგადოებისათვის უბრალოდ, დიპლომატიური ამბების მიწოდებით, არამედ ფართოდ აშუქებდნენ მნიშვნელოვან ოპერაციებს, რომლებზედაც ზოგჯერ მეტნაკლებად ომის ბედიც იყო დამოკიდებული, ახდენდნენ მოწინააღმდეგეთა ჯარის ნაწილების ბრძოლისუნარიანობისა და ტაქტიკურ მოქმედებათა შედარებებს.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" მაგალითად აშუქებდა რა 1877 წლის 4-16 ივნისის ბრძოლებს, მოუთხრობდა აჯიმექის მთებთან მამუდ ფაშის მარცხზე, ამ პოზიციებზე, თურქ ჯარისკაცთა დაცემული განწყობილების შესახებ, რომელთა საბრძოლო სულისკვეთების განმტკიცებისათვის თურქი ოფიცრები მიმართავდნენ ყველა ღონისძიებას. გაზეთი მოუთხრობდა მკითხველებს გენერალ კემბელის ცხენოსანი არმიის მარცხის შესახებ, რომელიც ძლივს გადაურჩა ტყვეობას. ინგლისის სამხედრო სამსახურის ოფიცერი, ჟურნალისტი ნორმანი ზუსტი ცნობების შეკრებისათვის ეწეოდა თურქი ოფიცრებისა და სამხედრო ექიმების დაკითხვას თვით სამხედრო ჰოსპიტლებშიც კი (თურქული დოკუმენტების კრებული, 1947:122-128). ის განსაკუთრებით დაინტერესებული იყო მოწინააღმდეგეთა ჯარების დანაკარგებით, დახოცილთა და ტყვეთა რაოდენობის სიზუსტით, არკვევდა რუსთა საარტილერიო და ცხენოსანთა ნაწილების შეტევითი და თავდაცვითი ბრძოლის თავისებურებებს, რეალურ ცნობებს აწვდიდა ინგლისის ჯარების გენერალურ შტაბს (ტაკმეევი, 1965:104).

საყურადღებოა, რომ ომის მსვლელობაში ინგლისის პოზიციები უფრო სხვაგვ-

არად გამოიკვეთა თურქეთის მიმართ, განსაკუთრებით ბათუმის ოლქის საკითხში, ვინემ ამას თურქი დიპლომატები მოელოდნენ. ომის მეორე პერიოდში ინგლისის სარდლობა დაჟინებით ცდილობდა თურქეთის გზით აჭარაში შემოგზავნილი აგენტებისა და პროპაგანდისტების მეშვეობით გაეჭინაურებინა სან-სტეფანოს საზავო პირობების სისრულეში მოყვანა, რომელიც ხელსაყრელი იყო რუსეთის იმპერიისათვის. თურქეთის არმიის მეოთხე კორპუსის მეთაურის დევრიშ-ფაშის მეთაურობით, რომელიც ბათუმის ოლქს განაგებდა, ინგლისელებს სურდათ აქ მოეწყოთ რეფერენდუმი, რომ დაეთანხმებინათ აჭარა-ლაზეთისა და ართვინის ოლქის მოსახლეობა – ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ, თუ მათ წინააღმდეგ ომს წამოიწყებდა ინგლისი, რის სანაცვლოდაც ამ ოლქების მოსახლეობის მხარდაჭერასა და ცოცხალი ძალით დახმარებას მოითხოვდნენ. ინგლისის აგენტები აჭარის მოსახლეობას სანაცვლოდ ჰპირდებოდნენ დიდ ფულად სახსრებს. ნათელი მიყო, რომ წარმატების შემღხვევაში შედეგებით ისარგებლებდა ინგლისი და არა თურქეთი. ამ მიზნით ისინი აჭარაში, ლაზეთში, ართვინში და სხვაგან აღვივებდნენ რელიგიურ ფანატიზმს, რომ გადაებირებინათ ხალხი და ართვინის ოლქის საკითხები გაეტანათ ბერლინის კონგრესზე, რათა დაემტკიცებინათ, რომ ამ მხარეთა მოსახლეობა მოითხოვს არა რუსეთის, არამედ დიდი ბრიტანეთის მფარველობას. ამ აზრის დასამტკიცებლად სურდათ მოეტანათ წერილობითი საბუთები და კონგრესისათვის ხელიდან გამოეგლიჯათ ამგვარივე გადაწყვეტილებაც.

ინგლისელები პარალელურად, პრაქტიკულად მონაწილეობდნენ ბათუმის მიდამოებში ციხე-სიმაგრეების აგების საქმეშიც. ამ მიზნების განხორციელებისათვის 1878 წლის ივნისში ჯერ ართვინის მოსახლეობაში ეწეოდა მუშაობას და პოზიციებს ათვალიერებდა ინგლისელი მაიორი ვიკონტი დიუალ-გუე, რომელმაც აქ შეკრიბა მოსახლეობა და ეკითხებოდა: იბრძოლებდნენ თუ არა ისინი ინგლისის მხარეზე თუ ომში ჩაებმებოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. შემდეგ დიუალ-გუემ ივნისის პირველ დეკადაში მუსტაფა-ფაშასთან ერთად დაათვალიერა ართვინის პოზიციები, ჩამოვიდა ბათუმში ანალოგიური სამუშაოს ჩასატარებლად. მასთან ერთად ბათუმის სანაპიროსთან მოვიდა აქ მყოფი ინგლისელი აგენტი, რომელმაც მას უჩვენა ადგილი ხმელეთიდან ბატერეის (ჩანს ინგლისური ბატარეის) ასაგებად. სხვა ინგლისელი აგენტი ასეთ მუშაობას ეწეოდა ახალციხეში. ინგლისელებს ჰქონდათ ვარაუდი დევრიშ-ფაშის შემწეობით აჭარა-ახალციხე-ართვინში დაექირავებინათ დაახლოებით 4 ათასი კაცი ინგლისის სამხედრო სამსახურისათვის. ამ საიდუმლო გეგმის გამომზეურებისა და რუსეთის არმიის შტაბისათვის შესატყობინებლად ნაყოფიერი მუშაობა გასწია შერიფ ხიმშიაშვილმა.

დიდი ბრიტანეთის გეგმების გამოცნობაში თურქეთის ადგილობრივ ხელისუფლებას დიდად დაეხმარა „დეილი ნიუსისა" და „სტანდარტის" სპეციალური კორესპოდენტების შუვერისა და დონოვანის ჩამოსვლა და პრაქტიკული მოღვაწეობა ბათუმში, ქობულეთსა და აჭარის მთიანეთში. მათ უკანასკნელ ჩამოსვლას საფუძვლად დაედო აჭარის მოსახლეობაში დედოფალ ვიქტორიას მფარველობაში ოლწის შეყვანის სასარგებლო ხელწერების შეგროვების იდეა ლონდონის საოგადოებრივი აზრის მომზადება, რომ სამხედრო სამინისტროს მეშვეობით ინგლისის მთავრობას ეკისრა ბათუმის ოლქის პროტექტორობა.

ინგლისი რუსეთისადმი მტრულ გამოხდომებს აკეთებდა ბერლინის კონგრესის მომზადების პერიოდშიც. ინგლისის მთავრობა – წერდა გაზეთი „გოლოსი", ცნობს თავის განცდილ წარუმატებლობას და სერიოზულად შეშფოთებულია მისი შედეგებით, სხვათა შორის ამით აიხსნება უხეში, მტრული გამოხდომები რუსეთის წინააღმდეგ, რომლებიც კვლავ არაჩვეულებრივი სიუხვით ჩნდება ლონდონურ გაზეთებში. „ინგლისის წარუმატებლობა გამოიხატება ბიკონსფილდის მარცხში, რომელიც დაჟინებით ესწრაფოდა კონგრესზე ბათუმი შეენარჩუნებინა თურქეთისათვის, ან ინგლისელებს ჩაეგდოთ ხელში. მაგრამ ინგლისის დაჟინებით ამ პოლიტიკას ბათუმის საკითხებში წინ აღუდგა ბისმარკი, რომელსაც არ სურდა ინგლისის დამკვიდრება ბათუმის ოლქში" (ტაკმეევი, 1965:95). საინტერესოა ისიც, რომ ბისმარკის აზრი კრიტიკულ მომენტში გამოარკვია „ტაიმსის" საკუთარმა კორესპონდენტმა ბლოვიცმა, რომელმაც დაუყოვნებლივ აცნობა ეს ინგლისის მთავრობას. საქმე ის იყო, რომ ბიკონსფილდი კონგრესზე წინადადებას აყენებდა იმის შესახებ, რომ ბათუმი კვლავ დარჩეს ოსმალეთსო, მაგრამ როცა ამას

ვერ აღწევდა მოითხოვდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას, რომ ინგლისს, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებს შეენარჩუნებინათ უფლება ხელი ეფათურებინათ ოლქის პოლიტიკურ ცხოვრებისა და ეკონომიური განვითარების საქმეებში. საყურადღებოა, რომ ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების მოთხოვნა სან-სტეფანოს წინასწარ ხელშეკრულებასა და ინგლისის მიერ რუსეთისადმი გაკეთებულ მემორანდუმებში არ ჩანს. ინგლისს იმედი ჰქონდა, რომ მიაღწევდა ბათუმი არ შეერთებოდა რუსეთს. მაგრამ კონგრესზე შეიცვალა ვითარება, თურქეთმა მიზანს ვერ მიაღწია, მარცხი განიცადა ინგლისმაც. ინგლისი ვერ შეელია აჭარის ბედის ამგვარ გადაწყვეტას და კონგრესზე დიდი დავაც გამოიწვია, რაზედაც შეთანხმება ასე ჩამოყალიბდა – მისი უდიდებულესობა სრულიად რუსეთის იმპერატორი აცხადებს, რომ მისი განზრახვაა – ბათუმი გახადოს პორტო-ფრანკოდ უმთავრესად კომერციულად (გაზეთი „გოლოსი", 1878, № 254).

თურქეთმაც თავის მხრივ შეცვალა პოზიცია ინგლისისადმი, როცა სავსებით გამოვლინდა ინგლისელთა სწრაფვა ბათუმის ოლქის ხელში ჩაგდებისა. ეს კი აშკარა გახდა 1878 წლის ივლისში, ბათუმში შუვერისა და დონოვანის მოღვაწეობის დროს.

მაინც რაში მდგომარეოდა მათი მისია? შუვერმა და დონოვანმა, რომლებიც სპეციალური დავალებით ჩამოვიდნენ ლონდონიდან, კონსტანტინეპოლში ინგლისურ პასპორტზე რუსული ვიზა აიღეს იმისათვის, რომ დაწვრილებით გარკვეულიყვნენ აჭარაში შექმნილ სიტუაციაში. გაიგეს რა საზოგადოების დიდი ნაწილის რუსეთის მფარველობაში შესვლის საწინააღმდეგო აზრის შესახებ, აქტიური საქმიანობა გააჩაღეს მოსახლეობის გადაბირებისა და ბათუმის ოლქის ინგლისის მფარველობაში შესვლის მსურველთა ხელმოწერის შეგროვებისათვის. დონოვანი თავის სტატიებში წერდა იმის შესახებ, რომ ბათუმში მას საუბრები ჰქონდა ზოგიერთ ადგილობრივ პირთან და გაიგო, რომ ისინი რუსეთთან შეერთების საქმეში არავითარ კომპრომისზე არ წავლენ. ის ლონდონის საზოგადოებრიობას აცნობებდა, რომ ბათუმიდან უკვე უდეპეშეს თხოვნა ლონდონის მთავრობას ბათუმის ოლქის დაკავების შესახებ.

გაზეთ „გოლოსის" საკუთარი კორესპონდენტი გ. წერეთელი წერდა, რომ ბათუმში ხასან ბეგ ბეჟანოღლის სახლში გაცნობია ოსმან ფაშა თავდგირიძეს, რომელმაც მე თვითონ განმიცხადა, რომ ის ნამდვილად ხელს უწერდა რომელიღაც ინგლისელს მასზედ, რომ არ სურს რუსეთის ბატონობა ლაზეთშიო. გ. წერეთელი მიუთითებდა, რომ ეს იყო რომელიღაც ერთ-ერთი ინგლისელი ჟურნალისტი (გაზეთი „გოლოსი", 1878, № 254).

დონოვანის სტატიებში ნათლად ჩანდა სკეპტიკური განწყობილება ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ბათუმში, სწერდა დევრიშ-ფაშის სამუშაო კაბინეტის ღარიბულ, ცუდ მორთულობაზე, თურქული გემით უწესრიგო მგზავრობაზე, რომლითაც ბოსფორიდან ბათუმში ჩამოვიდა. დონოვანი არ ენდობოდა თურქეთის საფოსტო განყოფილებას ბათუმში, რის გამოც ზოგიერთ წერილებს ბათუმიდან მგზავრის ხელით გზავნიდა ინგლისის ტრაპიზონის საკონსულოში.

ინგლისელი ჟურნალისტები მკითხველებს მოუთხრობდნენ ბათუმის ნავსადგურის მნისვნელობაზე, ახასიათებდნენ მის ბუნებრივად მოხერხებულ მდებარეობას, „ბუხტას" და მიუთითებდნენ რომ ბათუმის დაუფლებისათვის ღირდა ბრძოლა. ონოვანი პირდაპირ წერდა, რომ: „მე არ მიკვირს, რომ რუსეთი ძლიერ აფასებს თავის შენაძენა" (აჭმ/ხ.ფ. 106. ფ.35). სხვათა შორის ამასვე ამბობდა ფრანგი ჟურნალისტი მიშელ ლემორე, როდესაც აღწერდა ბათუმის რუსეთის იმპერიის ხელში გადასვლის შესახებ.

საზოგადოდ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლეების ომში ინგლისელები ისე იქცეოდნენ, როგორც თურქეთის ერთგული მოკავშირეები, მაგრამ ომის მეორე პერიოდში მკვეთრად ჩანდა, რომ ისინი ბათუმის ოლქის ხელში ჩაგდებისათვის იბრძოდნენ. იუხედავად წერილობითი და ზეპირი პროტესტებისა თურქეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ინგლისელი ჟურნალისტები ბათუმიდან გააძევა.

როდესაც ინგლისელებს ბათუმიდან აძევებდნენ, თურქი პოლიციელები მათ ეუბნებოდნენ, რომ ბათუმიდან მათ უშვებდნენ დევრიშ-ფაშის ბრძანებით.

ინგლისელები ბათუმიდან ტრაპიზონში წავიდნენ დიდი ბრიტანეთის კონსულთან, წარუდგინეს საპროტესტო წერილი თურქეთის ბათუმელი ხელისუფლების წინააღმდეგ და მოითხოვეს საქმის ვითარება ეც-

ნობებინათ ინგლისის კონსტანტინეპოლელი ელჩისათვის.

ბათუმში შუვერისა და დონოვანის პრაქტიკულ მოღვაწეობას წითელ ზოლივით გასდევს მათი შეუპოვრობა, რადაც უნდა დაჯდომოდათ არ დაეტოვებინათ ბათუმი. მათ უარყვეს ადგილობრივი ხელისუფლების ბრძანება ბათუმიდან მათი გაძევებისა და პოლიციის არაერთი წინადადება დაეცალათ მათ მიერ ბათუმში დაქირავებული ბინა. თანაც მათ ადგილობრივ ხელისუფლებას ორჯერ წარუდგინეს წერილობითი პროტესტი, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ უცხოეთის პასპორტი ამ მხარეში კონსულის ადგილზე არყოფნისას უნარჩუნებს ბინაში დარჩენის სრულ გარანტიას და თურქ ხელისუფალთაგან ხელშეუხებელს ხდის როგორც „ბრიტანეთის ტერიტორიას" (აჭმ/ხ.ფ. 106, ფ.39-40).

ამრიგად, აქ მოტანილი ფაქტები ერთგან ნათელს ჰფენენ ინგლისისა და თურქეთის ურთიერთობას ბათუმის ოლქის საკითხის გადაწყვეტაში რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს. ისინი ნათელყოფენ ამ ურთიერთობის გამწვავებას ბათუმის ოლქის ხელში ჩაგდებისათვის, მაგრამ ეს არ მოხდა და ბათუმის ოლქი დაუბრუნდა დედასაქართველოს.

ლიტერატურა

1. **აჭმ/ხ.ფ. 106** - აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 106
2. გაზეთი „გოლოსი", 1878, № 254
3. თურქული დოკუმენტების კრებული, სანკტ-პეტერბურგი, 1947
4. ტაკმეევი ლ., 1877-1878 წლეების რუსეთის-თურქეთის ომის მასალები (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1965

რუსეთ–თურქეთის 1877–1878 წლების ომის მონაწილენი

მაყვალა ბოგუა

ჩაის კულტურის განვითარების ისტორიიდან აჭარაში

ჩაის კულტურის „ქართულ სამშობლოდ“ აჭარა ითვლება. მისი ისტორია მე-19 ს-ის 50-იანი წლებიდან იწყება. 1847 წელს ყირიმიდან შემოუტანიათ რამდენიმე ბუჩქი. დიდი ხნის განმავლობაში ატარებდნენ ცდებს და დაკვირვებებს და გადაუწყვეტიათ ჩინეთიდან ჩაის საქმის მცოდნის ჩამოყვანა, რადგან ვერ მოხერხდა ჩაის ნაყენის თვისებების გამოვლენა.

1893 წელს ჩინეთში მოწყობილმა რუსულმა ექსპედიციამ კერძოდ, მისმა ერთ-ერთმა წევრმა ჩაით მოვაჭრე პოპოვმა არჩევანი შეაჩერა 23 წლის ჩინელ ახალ-გაზრდაზე, ტრადიციულად დიდგვაროვანი ოჯახის შვილზე ლიუ ნუნ ჯოუზე (კუანტონურ დიალექტზე ლაო ჯონ ჯაო).

სწორედ მის სახელს უკავშირდება ჩაის მოშენება აჭარაში. იგი 30 წელი მუშაობდა და ამ ხნის განმავლობაში მრავალი ჩის პლანტაცია გააშენა. ააშენა ჩაის ფოთლის გადამამუშვებელი ფაბრიკა და დასაბამი მისცა საქართველოში ჩაის ფოთლისაგან მაღალი ხარისხის სასმელის (ნაყენი) მიღებას.

ტრადიციულად ჩინეთი ის ქვეყანაა, სადაც ქრისტეშობამდე მე-11 ს-ში ჩნდება ცნობები ჩაის შესახებ. ისტორიული ჩანა-წერების მიხედვით მეჩაიობამ ფართო გავრცელება თანის ეპოქაში (618-907 წწ.) განიცადა, ხოლო ხუნის ეპოქაში (960-1279 წწ.) მიაღწია არნახულ წარმატებას. თანის ეპოქის გამოჩენილმა მოღვაწემ ლუ იუმ დაწერა წიგნი „ტრაქტატი ჩაიზე“. ჩაის ბუჩქისათვის ყველაზე სასურველად ნოტიო თბილი ჰავა ითვლება. ჩინელებს ჩაი ოდითგანვე გაჰქონდათ საზღვრებს გარეთ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საქარავნო აბრეშუმის გზით. 1893 წელს ჩინელი ახალგაზრდა კაცის ლაო ჯონ ჯაოს მოწვევამ განაპირობა ჩის საქმის ფეხზე დაყენება საქართველოში.

სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა ჯიშის ჩაის ანიჭებს უპირატესობას. ქართველები მწვანეს, ინგლისელები შავ ციმხენურს, მაროკოელები ტუნისურ მწვანეს. ითვლება, რომ ანციური ჩაის ჯიში „თეკუანინსი“ საუკეთესოდ მოქმედებს ავთვისებიან სიმსივნეებზე.

ჩაის კულტურის მოსაშენებლად ამიერკავკასიაში ნიადაგი დიდი ხნის წინ მზადდებოდა. ჩაის მოსაშენებლად საუკეთე-სო პირობები აღმოჩნდა აჭარაში. ჯერ სოლოცოვმა, შემდეგ პოპოვმა, რომლებსაც ბათუმის მხარეში საუფლისწულო მამულები ჰქონდათ. დაიწყეს ფიქრი, როგორ გაევრცელებინათ ჩაის კულტურა აჭარაში. დიდი რაოდენობით ხარისხის ჩაის მიღება შეუძლებელი აღმოჩნდა, სწორედ ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება ჩინეთიდან ჩაის საქმის მცოდნე ადამიანის მოწვევა ოჯახთან ერთად. ჩინეთიდან ჩაის საქმის მცოდნის ჩამოყვანის აუცილებლობას განაპირობებდა აგრეთვე ისიც, რომ რუსეთის იმპერიას მაღალი ხარისხის ჩაის შემოტანა ჩინეთიდან საკმაოდ ძვირი უჯდებოდა, არა მარტო თვით ჩაის სიძვირის, არამედ ჩინეთის სიშორის გამოც.

არსებობს მრავალი მოსაზრება, თუ როგორ გაეცნო რუსეთი ჩაის, ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით რუსეთი ჩაის გაეცნო მე-16 საუკუნეში. „1567 წელს მეფე ივანე მრისხანემ კაზაკთა ორი ატამანი – პეტროვი და იალიჩევი გაგზავნა ბაიკალის იქეთა მხარის შესასწავლად. კაზაკებმა მიაღწიეს პეკინამდე, სადაც ისინი არ იქნენ დაშვებული ჩინეთის იმპერატორის მიერ. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ კაზაკებმა იმპერატორისადმი წარგზავნილ მოხსენებით ბარათში პირველებმა მოგვითხრეს ჩაის შესახებ“ (ორაგველიძე, 1957:5).

ექსპედიციას, რომელიც შედგა მე-19 ს-ის მე-2 ნახევარში ხელმძღვანელობდა პოპოვი, ხოლო მის შემადგენლობაში იყო პროფესორი ტიხომიროვი, ჩამოიტანეს ჩაის ბუჩქები და თესლი. პლანტაციები გაშენდა ჩაქვთან, სოფელ კაპრეშუმში და სალიბაურში 1893 წელს. სწორედ ამ წელს ჩამოვიდა ლაო ჯონ ჯაო პოპოვის მოწვევით აჭარაში ამას მოჰყვა ახალი ექსპედიცია ინდოეთში. ჩაის პლანტაციების საერთო ფართი ბათუმის მხარეში შეადგენდა 300 დესეტინას.

ჩინელი მეჩაიეები მთელი მონდომებით შეუდგნენ ჩაის კულტურის გავრცელებას,

როგორც საუფლისწილო, ისე კ. პოპოვის მამულში. მათ ნაყოფიერ მუშაობას ხელს უწყობდა ისიც, რომ ლაუ ჯონ ჯაუმ კარგად იცოდა რუსული ენა. ჩინელ მეჩაიეთა საქმიანობამ დიდად დააინტერესა ადგილობრივი გლეხობა, რომელიც მანამდე ჩაის იცნობდა, როგორც სამკურნალო და დეკორატიულ მცენარეს, ჩინელმა მეჩაიეებმა ჩაქვში ჩამოიტანეს 12 სხვადასხვა სუბტროპიკული მცენარის თესლი და ნერგი (ადამია, 1959:4).

გარდა სამკურნალო და პროფილაქ-ტიკური დანიშნულებისა ჩაის, როგორც ფართო მოხმარების პროდუქტს, აქვს კვე-ბითი ღირებულებაც, იგი იშვიათი ვიტამი-ნებით მდიდარი პროდუქციაა. ა. სუბოტინი აღნიშნავს: „ჩაი ადამიანს ამხნევებს, გულს ახალისებს, გვაშორებს დაღლილობას, აფხიზლებს გონებას, დევნის სიზარმაცეს, ამსუბუქებს და აგრილებს სხეულს, გვმატებს ათვისების უნარს. ტკბილი სიმშვიდე, რომელსაც შენ ამ სასმელის მიღებით შეიძენ, შეიძლება შეიგრძნო, მაგრამ მისი აღწერა შეუძლებელია (Субботин, 1892).

ჩაის გაშენების შესახებ კონსულტაციის მისაღებად გლეხები ჩამოდიოდნენ გური-იდან, სამეგრელოდან და აფხაზეთიდანაც კი. ლაუ ჯონ ჯაუმ შეისწავლა ქართული ენა და ამრიგად, მას შეეძლო უშუალო და ახლო ურთიერთობა ჰქონოდა ადგილობრივ მოსახლეობასთან.ლაო ჯონ ჯაო დაიბადა 1870 წელს კუანტურში (კანტონში). 18 წლის ასაკში მიიღო კაპიტნის წოდება, მაგრამ სამხედრო სამსახური არ გაუგრძელებია. კუანტურიდან 5000 ვერსის დაშორებით ნენქოუს პროვინციაში მუშაობა დაიწყო ჩაის ერთ-ერთ ფაბრიკაში თანამშრომლად. აქ მან 5 წელი დაყო. სწორედ ამ ფაბრიკაში ჩავიდა პოპოვი, რომელიც დაინტერესდა ჩაის მოშენებით ბათუმის მხარეში. პოპოვმა აქ ორი თვე დაყო და სწორედ მაშინ შესთავაზა ლაო ჯონ ჯაოს სამუშაოდ წასვლა კავკასიის მამულებში ჩაის კულტურის გაშენების მიზნით. გაფორმდა ხელშეკრულება 3 წლის ვადით. კავკასიაში ლაო ჯონ ჯაო ჩამოვიდა 1893 წლის ნოემბერში.

სამი წლის განმავლობაში მან მიაღწია იმას, რომ გაეკეთებინათ ჩაის ნერგების დიდი ორანჟერეა, მოაწყო ჩაის გადამამუ-შავებელი მცირე ფაბრიკა. მესამე წელს მოიკრიფა 100 გირვანქამდე ჩაის მწვანე ფოთოლი და ხელით დამზადდა პირველი ჩაი. ეს უკანასკნელი საუკეთესო გამოდგა, გაეგზავნა მოსკოვში პოპოვს, რომელიც ძალიან კმაყოფილი დარჩა (დაღუნდარიძე, 2003:31).

ხელშეკრულების გასვლის შემდეგ 10 ჩინელი მუშა უკან დაბრუნდა სამშობლოში, ხოლო ლაო ჯონ-ჯაო მივლინებით გაემგზავრა და ნახევარი წელი სამშობლოში დაყო. ბათუმში იგი დაბრუნდა მრავალ-რიცხოვანი ოჯახით: დედა, ცოლი, და (დედის ნაშვილები გოგონა), 5 წლის ვაჟი და ახალშობილი ქალიშვილი. თან ჩამოიყვანა 12 მუშა-ოსტატი მეუღლეებთან ერთად. მეორე მისი ჩამოსვლა მოხდა 1897 წელს. იგი დასახლდა კაპრეშუმის ნაკრძალში საიდანაც იშლებოდა ბათუმის და ზღვის შესანიშნავი ხედები. 7 წლის განმავლობაში იმსახურა კ.ს.პოპოვთან ჩაის ფაბრიკის დირექტორად და მისი სამივე მამულის სრულუფლებიან მმართველად.

ჩაის წარმოების განვითარების მიზნით, როდესაც ლაო ჯონ ჯაო ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში მივიდა, აღაშფოთა იმ პირობებმა, რომელიც იქ დახვდა. ჩაის კრეფის სეზონზე მუშაობდნენ გაზაფხულიდან ზაფხულის ჩათვლით, დილის 4 საათიდან 8 საათამდე, ორ ცვლაში. თითოეული ცვლა 8-8 საათი გრძელდებოდა. ლაო ჯონ ჯაომ სრული წესრიგი დაამყარა ფაბრიკაში.

1897 წელს პოპოვმა დაიწყო ცეილონის ჩაის ფაბრიკის მსგავსი ფაბრიკის მშენებ-ლობა. ლაო ჯონ ჯაოს მუშაობით კმაყოფილი დარჩა მიწათმოქმედების მინისტრი ერმოლ-ოვი. მან გაუწია რეკომენდაცია ლაო ჯონ ჯაოს საუფლისწულო მამულების მთავარი მმართველის თანამდებობაზე. 1901 წელს იგი მიიწვიეს ჩაქვის მამულში ჩაის ფაბრიკის გამგედ. იმავე წლის დეკემბერში ლაო ჯონ ჯაოს თავს დაატყდა დიდი უბედურება, ფილტვების ანთებამ იმსხვერპლა დედამისი. იგი დაკრძალეს ჩაქვში.

სანამ პოპოვი ჩაის ფაბრიკას ააშენებდა, ჩაის გადამუშავებას სალიბაურში ხელით წარმოებდა, სადაც მიჰქონდათ აგრეთვე, სხვა პლანტაციებში მოკრეფილი ჩაი (ბაბილოძე, 1960:31).

ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის ფაბრიკები 1898 წლიდან უშვებდნენ სამრეწველო ჩაის.

ჩაის გადამუშავებას ფაბრიკებში უშუალოდ ხელმძღვანელობდა ლაო ჯონ ჯაუ. ჩაქვის ჩაის ფაბრიკა არა მარტო ბაიხის ჩაის უშვებდა, არამედ აგურა ჩაის და ჩაის მტვერსაც ამზადებდა (ლორთქიფანიძე, 1989. ხ.ფ. 327, 326).

ფაბრიკის მუშები კმაყოფილები იყვნენ ლაო ჯონ ჯაოს მუშაობით. 1905 წლის რევოლუცია არ შეხებია მის ფაბრიკას ამ პერიოდში მუშაობა შეწყვიტა პოპოვის ჩაის ფაბრიკამ, რომელიც 1909 წელს დაიხურა, ლაო ჯონ ჯაოს დახმარებით პოპოვმა შეძლო 1911 წელს თავიდან აემუშავებინა ფაბრიკა. საუფლისწულო მამულებში 10 წლიანი მუშაობის შემდეგ ლაო ჯონ ჯაო დააჯილდოვეს მესამე ხარისხის სტანისლავის ორდენით, ხოლო 1912 წელს პეტერბურგში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე „რუსული რივიერა“ მან მადლობის ფურცელი დაიმსახურა.

პირველად 1911 წელს ლაომ 1200 მანეთად შეიძინა 10 დესეტინა მიწა ბათუმის მახლობლად – ჩალთაში. 1918 წელს ლაო ჯონ ჯაომ პირველად გამოუშვა ჩაი პირადი დამღით, რომლის გაყიდვაც წარმატებით დაგვირგვინდა. 1914 წლიდან ომის დაწყებასთან დაკავშირებით ბევრი თანამშრომელი დაკარგა ლაო ჯონ ჯაომ. (დაღუნდარიძე, 2003:39). 1918 წლიდან ჩაქვის მამული თურქეთის სამხედრო მთავრობის ხელში გადავიდა. 1919-1920 წლებში ჩაის ფაბრიკა ჩაქვში დიდი რაოდენობით ჩაის ამუშავებდა. 1920 წელს ჩაქვის მამული გადაეცა საქართველოს მთავრობას.

ჩაის წარმოების განვითარების მიზნით ჩაქვის საუფლისწულო მამულში1896 წ. ჩინეთიდან მოიწვია ჩაის სპეციალისტთა მეორე ჯგუფი. ქ. ხანკოუდან ჩაქვში ჩამოვიდნენ ტაი ვო-ინი, ციუ ცია-ბი, ხეცია გუ-ანი, ჟაო ლი-ეფი, ფინ ხუაი-ცინი, ტოსიე ძინი. მათ თან ჩამოიტანეს ჩაის მოვლისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

900-იანი წლებიდან ჩაის კულტურა მტკიცედ იკიდებს ფეხს აჭარაში, რაც მთვარია ჩაის გაშენებას ხელი მოჰკიდა გლეხობამ. თუ 1893 წ. ჩაი მხოლოდ ერთ გლეხს ჰქონდა გაშენებული, ხოლო 1900 წელს 20 გლეხს, 1910 წ. ჩაის კულტურის მოყვანას უკვე ასზე მეტი გლეხი მისდევდა (ლორთქიფანიძე, 1989. ხ.ფ. 327, 326).

1900 წელს პარიზში გაიმართა მსოფლიო გამოფენა, სადაც პოპოვი ოქროს მედლით დააჯილდოვეს. მედალს ჰქონდა წარწერა „კავკასიის ჩაი მსოფლიოში საუკეთესოა” კიდევ უფრო გაითქვა სახელი ქართულმა ჩაიმ 1901-1903 წლებში. ქ. გლაზგოსა და ქ. რეიმსში მოწყობილ გამოფენაზე. 1924 წ. ლაო ჯონ ჯაო დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

1930 წ. ჩაქვში აგებული ახალი ფაბრიკა–გიგანტი, რომლის სიმძლავრე 1000 ტონას შეადგენდა, იმ დროისათვის ყველაზე დიდი იყო. აქ ჩაის ფოთლის შრობა სპეციალურ ფიტულებში 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, შემდგომში ბუნებრივი შრობის ნაცვლად ხელოვნური შრობა იქნა შემოღებული. შრობის ხანგრძლივობა 24 საათიდან 6 საათამდე შემცირდა. ჩაის საშრობი ფარდულების ნაცვლად სპეციალური დანადგარები იქნა დამონტაჟებული (ლეკვეიშვილი, 1978).

1926 წელს ლაო ჯონ ჯაუ ოჯახთან ერთად დაბრუნდა ჩინეთში. სამშობლოში წასვლის წინ მან მუზეუმს სახსოვრად დაუტოვა ჩინური ნივთები, რომლებიც ინახება მუზეუმის ფონდებში, ნაწილი კი გამოფენილია სტაციონალურ ექსპოზიციაში. მუზეუმშია დაცული აგრეთვე, სხვადასხვა პირებისაგან შეძენილი და შეგროვებული ჩინური ნივთები. ლაო ჯონ ჯაოს რძალი ნონა თუშმალიშვილი მე–20 ს. 60-იან წლებში იმყოფებოდა ჩვენს მუზეუმში. ნონას ქალიშვილი ლიუ ყანდარელი გუანვენი ორჯერ იყო აჭარის სახელმწიფო მუზეუმში, ჩინეთიდან ჩამოსულ ახლობლებთან ერთად. მუზეუმს ჰქონდა მასთან მიმოწერა. იგი პროფესიით მხატვარ–დეკორატორია, ქმარი გივი ყანდარელი მხატვარია, შვილი – ირაკლი არქიტექტორი, ცხოვრობს თბილისში.

1989 წ. მუზეუმს ეწვია ლაუ ჯონ ჯაოს შვილიშვილი. ლიუ ყანდარელი და მისი ბიძაშვილი – ჩინელი სცენარისტი ვან-ლი, რომელმაც გადაწყვიტა დოკუმენტური ფილმის გადაღება ლაო ჯონ ჯაოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ასევე დაბა ჩაქვში ნინოშვილის ქ. 12-ში მას სურდა

გახსნილიყო მემორიალური მუზეუმი (ლორთქიფანიძე, 1989. ხ.ფ. 327, 326).

ლიტერატურა

1. ადამია თ., ჩინელი მეჩაიეები აჭარაში. – გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, №605, 3 ოქტომბერი, 1959 წ.
2. ბაბილოძე ა., ჩაის მრეწველობა საბჭოთამდელ აჭარაში. – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ.1, ბათუმი, 1960
3. დაღუნდარიძე ნ., ჩაის კულტურის სათავეებთან საქართველოში, თბ., 2003
4. ლორთქიფანიძე ნ., ლიუ ყანდარელი - გუანვენის მოგონებები. – აჭმ. ხ.ფ. № 1327, 1326, ბათუმი, 1898
5. ლეკვეიშვილი ს., ჩის მრეწველობის განვითარება აჭარაში. – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 784, ბათუმი, 1978
6. ორაგველიძე ი. ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების ორგანიზაცია, თბ., 1957
7. Субботик А. П. Чай и чайная торговля в России и других государствах. С-Пб., 1892 г.

სურ. 1. ლაო ჯონ ჯაო ოჯახისა და საზოგადოების წევრებთან

სურ. 2. ლაო ჯონ ჯაოს ოჯახი

სურ. 3. ლაო ჯონ ჯაოს დაფასოებული ჩაი

სურ. 4. კუსტარული წესით ჩაის დასამუშავებელი დანადგარი

ასმათ ბაჯელიძე

ბათუმის კათოლიკური ეკლესია

ბათუმის ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდი გარდატეხა დაიწყო 1883 წლიდან. ბათუმი-სამტრედიის რკინიგზის ხაზის გაყვანამ და ბათუმის ნავსადგურის რეკონსტრუქციამ ქალაქი უცხოელ და ადგილობრივ ვაჭარ-მრეწველთა ყურადღების ცენტრში მოაქცია. დაიწყო ბათუმის ნავსადგურიდან ბაქოს ნავთობპროდუქტების, ჭიათურის მარგანეცის, ტყიბულის ქვანახშირის ექსპორტი. ამუშავდა როტშილდის, რიხნერის, ძმები ნობელების, სხვათა ქარხნები. შეიცვალა ქალაქის იერსახე, როგორც სერგეი მესხი აღნიშნავს: „ყველგან ახალი შენობები გაუშენებიათ ან აშენებენ, მთელი ახალი უბნები გაკეთებულან, ქალაქის ბაღს ჰმართავენ, ქალაქი „გაპლანულია, ტბებს აშრობენ, წყალი გამოჰყავთ“ (მესხი, 1950:38). შესაბამისად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობის რიცხვი, რომელიც ეროვნული და რელიგიური მრწამსის მიხედვით მრავალფეროვანი იყო, მათ შორის, ქართველ და ევროპელ კათოლიკეთა რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევდა, ისინი ბათუმში ჩამოვიდნენ მესხეთიდან, ჯავახეთიდან, გორიდან და როგორც ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს „ოსმალეთის საქართველოდანაც“. ქალაქში იყო მოქმედი ეკლესიები და მეჩეთები. ქართველ კათოლიკებს არ ქონდათ სალოცავი ტაძარი, ამიტომ ისინი სომხურ კათოლიკურ ეკლესიაში დადიოდნენ, რომელიც დონდუკოვი-კორსაკოვის, დღვანდელი კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე მდებარეობდა. მათთვის წირვას აღავლენდა პატრი ანსელომ მღებრიშვილი. სომეხი მრევლი უკმაყოფილო იყო ამ ფაქტით. თუმცა არც ქართველები იყვნენ კმაყოფილნი, მათ საკუთრი სალოცავის აშენება სურდათ, ამიტომ ბათუმში მცხოვრებმა ქართველმა და ევროპელმა კათოლიკებმა მიმართეს უმაღლეს მთავრობას ეკლესიის მშენებლობის ნებართვის თხოვნით. თანხმობა ტაძრის აშენების შესახებ მიღებული იქნა 1896 წელს. შეადგინეს მშენებლობის გეგმა, ტაძრის პროექტის ავტორი იყო არქიტექტორი მ. ზაგორსკი. გეგმა და პროექტი დამტკიცებული იქნა 1897 წლის 27 იანვარს. ამის შემდეგ დაიწყო ფულის შეგროვება ტაძრის მშენებლობისათვის. ერთ თვეში ბათუმში მცხოვრები კათოლიკების მიერ შეგროვდა 1500 მანეთი. ეკლესიისათვის გამოყოფილი იქნა 400 საჟენი მიწა, 200 საჟენი თავად იყიდეს და მიმართეს თხოვნით სტეფანე ზუბალაშვილს - გაეწია ხელმძღვანელობა ტაძრის მშენებლობისათვის, მან ეს თხოვნა მიიღო და მრევლს აღუთქვა, რომ თავისი დედის ელისაბედ მიხეილის ასულ თუმანიშვილის სულის მოსახსენებლად ააშენებდა ეკლესიას და მშენებლობისათვის გაიღო 15 000 მანეთი. აღსანიშნავია, რომ ელისაბედ თუმანიშვილის სურვილი ყოფილა ბაქოს ნავთის მრეწველობის საქმის კარგად წარმართვის შემთხვევაში ბათუმში აეშენებინათ კათოლიკური ეკლესია, თუმცა ქართველ კათოლიკებში ტაძრის აშენების აზრი პირველად აბატ პეტრე ხარისჭირაშვილს გამოუთქვამს. იმთავითვე ამ აზრს ეთანხმებოდა ქართველი ვაჭარ-მრეწველი სტეფანე ზუბალაშვილიც. იგი ცნობილია, როგორც შესანიშნავი მამულიშვილი, პატრიოტი, ქველმოქმედი და მფარველი ყველა გაჭირვებულისა და ღატაკისა, დიდი მეცენატი ქართული კულტურისა და განათლებისა.

ეკლესიის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1897 წლის 12 აპრილს. ტაძარი ნაშენებია ქუთაისის წითელი და ყვითელი ქვით, გოთურ-რომაულ სტილზე. ასეთი ნაგებობა საქართველოში იშვიათი იყო, რადგან იმ დროს ძირითადად ბიზანტიური სტილის ნაგებობები შენდებოდა. ეკლესიის სიგრძე 16, სიგანე 11, ხოლო სიმაღლე 21 საჟენია. შენობას აქვს სამი კარი: ერთი შუაში, ერთი მარჯვნივ და ერთიც მარცხნივ. გუმბათის სვეტები ნაგებია წითელი ქვით. შესასვლელი კარის ზემოთ მარჯვნივ და მარცხნივ მთელი ტანით გამოქანდაკებული არიან წმინდა ნინო და ანდრია მოციქული. ქანდაკებები მაღალი ოსტატობითაა შესრულებული და მნახველის ყურადღებას იპყრობს, რადგან მათ აქვთ დიდი შინაარსობრივი დატვირთვა: ანდრია მოციქულმა პირველმა იქადაგა ქრისტიანობა საქართველოში, ხოლო წმიდა ნინო საქართველოს პირველი განმანათლებელია. ქანდაკებებს

ქონდა ევროპაში დამზადებული ქართული წარწერები. ეკლესიის კარის შესასვლელთან ორივე მხარეს მარმარილოს ქვებია - ქართული და ფრანგული წარწერებით. წაწერა იუწყება, რომ ტაძარი აგებულია სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის მიერ, მისი სულის, „მშობელთა და ძმათა და დათა სულის საცხონებლად“. ქართული წარწერა შავი ასოებითაა შესრულებული. ტაძარს აქვს ორი ზარი წარწერებით: „ზარები ესე შევწირე მე, სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა ჩემ მიერ აგებული ბათუმის ქართულის რომის კათოლიკეთა ეკლესიას“. ეკლესია გარედან თითქოს პატარა ჩანს, მაგრამ შიგნით ვრცელია. ტაძრის იატაკი დაფენილია მარმარილოს მოზაიკით. შიდა სამუშაოებზე მუშაობდნენ ევროპიდან ჩამოყვანილი ხელოსნები. ეკლესიას აქვს თავისი შესაფერისი საკურთხეველი. შესასვლელი კარის ზემოთ გაკეთებულია ქვის აივანი, სადაც დადგმული იყო ორღანი. აივანი საკმაოდ დიდია და კარგად ჩანს. აივნის ქვეშ მარმარილოს ქვებში ამოჭრილია აიაზმის წყლის ემბაზი. კედლებზე დახატულია მაცხოვრის ტანჯვა, წამება, გარდმოხსნა. ძველი და ახალი აღქმის მოძღვართა სურათები. გუმბათის ქვეშ გამოსახულია ოთხი მახარობელი, ჭერის ქვეშ ღვთისმშობლის დაგვირგვინება, მარჯვნივ და მარცხნივ საკურთხევლის ზემოთ წმიდა პეტრე, შემდეგ ლინო, კალეტო, კლეშენტო და რომის წმიდა პაპები. ეკლესიას ანათებს ბრინჯაოს ბროლის მინებით შემკობილი ჭაღები. ოცი კედლის შანდალი, რომლებიც ნათდებოდა ელექტრონით. ტაძარში წმინდა სანთელი მხოლოდ საკურთხეველში, მღვდლის წინაშე ტრაპეზზე აინთებოდა, ელექტრონით ნათდებოდა ტაძრის, როგორც შიგა ისე გარეთა მხარე. ეკლესიის კარის შესასვლელში ქართულ ენაზე არის წარწერა: „მოვედით თაყვანი ვსცეთ და ვუგალობეთ უფალსა“, ასევე არის წარწერა ლათინურ ენაზე: „Orantibus in Loco isto dimitte deccato populi bui“ („შეუნდე ღმერთო ცოდვანი ერსა შენსა, რომელნიც მოვლენ სალოცავ ადგილსა ამას“). ეკლესიის გალავნის კარის წინ მოზაიკური წარწერით შესრულებულია შენობის დაწყების და დამთვრების თარიღი – „18.12.11 98 - 19.21.04 02“. ტაძარს აქვს შესანიშნავი ეზო; ქვითა და ცემენტით ამოყვანილი, რკინის მოაჯირიანი გალავანი. ეკლესიას შიგნიდან აქვს ლათინური წარწერა: „Gibayrn nos Dowunus ex adipe frimehne et de petrs meile sasturavrt nos“, რაც ნიშნავს „გვაჭამა საპოხისაგან იფქლისა და კლდისა თაფლისა, განგვაძღო ჩვენ უფალმან“. ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავდა, რომ ბათუმის კათოლიკეებს „მხოლოდ ამ ტაძრით უხდებათ ურთიერთდაკავშირება, აქ იკრიბებიან ევროპის კათოლიკე მორწმუნენი, რომელნიც ბათუმს მოდიან ევროპის გემებით, ფრანცუზები, პოლონელები და სხვანი. ნახავენ რა ბათუმს, ასეთ ძვირფას ტაძარს აღნუსხავენ თავიანთ მოგზაურობაში და მერე ევროპელის ენებზე გადასცემენ ამ ტაძრის ამბებს და იმასაც თუ ვინ არის აღმშენებელი, რომელთა ტომის კათოლიკეთათვის და ან იგი დღეს ვის საკუთრებას შეადგენს“ (ჭიჭინაძე, 1905:98).

ტაძრის მშენებლობას ხელმძღვანელობდა მამა ანსელიმო მღებრიშვილი, შრომისმოყვარე, სამშობლოს დიდი პატრიოტი ადამიანი. სტეფანე ზუბალაშვილს გვერდით ედგნენ ძმები: ლევანი, აკოფი და პეტრე. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ საქართველოში კათოლიკე ეპისკოპოსთ კათედრა დაწესდა 1327 წლის 21 ნოემბერს და პირველი ეპისკოპოსი იყო იოანე ფლორენციელი, დომინიკელების რიგიდან. ამ დროს რომის პაპი იყო იოანე XXIII. 1743 წლიდან საქართველოში ეპისკოპოსები არ მოუწვევიათ. ტაძრის კურთხევა დანიშნული იყო 1903 წლის 5 მაისს. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იტყობინებოდა: „28 აპრილს თბილისში ჩამობრძანდა რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსი, რომელსაც ექვემდებარება საქართველოსა და კავკასიის ეკლესიები. იგი მოივლის საქართველოს, აკურთხებს ბათუმის ახალ ეკლესიას და მერე დაათვალიერებს ქუთაისის, ახალქალაქის და გორის კათოლიკეთა ეკლესიებს“. 1903 წლის ორ მაისს ბათუმში ჩამოვიდა ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ როპპი, რამდენიმე მღდვლის თანხლებით. მათ შორის იყო დონ იოანე და მიხეილ ანტონიშვილები. ეპისკოპოსს თან ახლდა სტეფანე ზუბალაშვილი. 1903 წლის 5 მაისს აკურთხეს ეკლესია, შემდეგ ედუარდ ბარონ როპპმა ფრანგულ ენაზე მიმართა მრევლს. ქართულად წარმოთქვა სიტყვა

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორმა ბატონმა პ.ოცხელმა.

XX საუკუნის 30-იანი წლების სუსხი ბათუმის კათოლიკურ ეკლესიასაც შეეხო. მართალია შენობა ფიზიკურად არ გაუნადგურებინათ, მაგრამ როგორც მოქმედმა ეკლესიამ არსებობა შეწყვიტა. განადგურდა და დაიკარგა ბევრი საეკლესიო ნივთი. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის ბატონ ხარიტონ ახვლედიანის მონდომებითა და დიდი ძალისხმევით განადგურებას გადაურჩა და მუზეუმის ფონდში დაცული იქნა საკულტო დანიშნულების მრავალი ნივთი. 1995 წელს, პირველად მუზეუმის ისტორიაში, ისტორიის განყოფილების მიერ მოეწყო ფონდებში დაცული კათოლიკური ეკლესიიდან გადმოტანილი 22 ექსპონატის გამოფენა. კომპოზიცია ასახავდა ქრისტეს შობას, ჯვარცმას და ამაღლებას. გამოფენა ეძღვნებოდა ქრისტეს შობისა და აღდგომის წმინდა დღესასწაულებს. გამოფენის შემდგომ აღნიშნული ექსპონატები გადაეცა ბათუმის კათოლიკურ ეკლესიას და ბათუმის რელიგიის მუზეუმს. თავის დროზე ეკლესიის გახსნასთან დაკავშირებით ეს ნივთები გამოიწერა სტეფანე ზუბალაშვილმა საფრანგეთიდან და ამშვენებდა ბათუმის კათოლიკურ ეკლესიას.

1988 წლის 10 სექტემბრის გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ ვკითხულობთ: „დრომ მოიტანა და დღის წესრიგში დადგა ბათუმის კათოლიკური ეკლესიის აღდგენის და როგორც კულტურის ცენტრის გახსნის საკითხი. იდეის ავტორია სსრკ სახალხო არტისტი ჩვენი თანაქალაქელი ლ. ჭყონია“. დაიწყო სარემონტო სამუშაოები. თავის დროზე სხვადასხვა სამსახურის მიერ ნაგებობის გადაკეთებამ დააზიანა შენობა, ჩამონადენმა წყალმა ჩამორეცხა კედელი, დაზიანდა მხატვრობა, რომლის აღდგენაზეც ა. გოგლიძის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ მხატვრები: რ. გედიძე, ი. დეკანოსიძე, შ. რეხვიაშვილი, მ. ციციშვილი. ტაძრის აღდგენა–განახლების ხარჯმა 2 მილიონ 200 ათასი მანეთი შეადგინა. თვით შენობა აჭარის კულტურის სამინისტროს სისტემას გადაეცა.

1988 წ. 9 სექტემბერს ტაძარში, როგორც კულტურის ცენტრში, შეიკრიბა ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები, ქალაქის სტუმრები. კულტურის ცენტრის გახსნა მიულოცა დამსწრეთ აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ბ. მახარაძემ, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, სსრკ სახალხო არტისტმა, დირიჟორმა ჯ. კახიძემ. გაიმართა დიდი კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით.

XX საუკუნის 80–იან წლებში დაწყებულმა ეროვნული მოძრაობის ახალმა ტალღამ – 1989 წლის 9 აპრილის თბილისის მოვლენებმა და 1989 წლის 19 აპრილს მაღლმთიან აჭარაში – სხალთაში მომხდარმა ტრაგედიამ, დიდმა სულიერმა ტკივილმა დღის წესრიგში დააყენა კულტურის ცენტრის გაუქმებისა და ტაძრის აღდგენის საკითხი. 1989 წ. 12 მაისს ბათუმში ჩამოვიდა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე. მასთან ერთად ჩამოვიდნენ საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები და წმიდა სინოდის წევრები. ღვთისმშობლის ეკლესიის სამრეკლოდან გაისმა ზარების გუგუნი. 13 მაისს 16 საათზე აღევლინა ლოცვა ბათუმის ღვთისმშობლის ტაძარში, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა. 14 მაისს დღის ათი საათიდან ღვთისმშობლის ტაძარში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ჩატარდა წირვა, პარაკლისი და საზეიმო ნათლობა. და თვით პატრიარქი დაუდგა ნათლიად ნათლულებს. იმ დღეს 5 ათასი ადამიანი ეზიარა ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

16 მაისს, სამშაბათს ღვთისმშობლის ტაძარში ჩატარდა მრევლის პარაკლისი. დედა ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა დიდი ხნის დადუმებული ტაძარი, ილია მეორემ მიმართა მრევლს შემდეგი სიტყვებით: „1902 წელს, როდესაც ბათუმში ამ ტაძარს აკურთხებდნენ ჩვენებურებმა დელეგაცია გამოგვიგზავნეს შავშეთიდან და მურღულიდან. ქალბატონებო და ბატონებო! სიხარული და განცდები ხშირად არიან ახლოს ერთმანეთთან, საქართველოს განსაცდელის გლოვის დღეები თბილისსა და აჭარაში მომხდარი ტრაგედიების გამო, მაგრამ ამავე დროს არ შეგვიძლია ვიგლოვოთ, უნდა ვიფიქროთ ჩვენს მომავალზე, დღეს სრულიად საქართველოში ბედნიერი დღეა, როცა იხსნება ყოვლად წმინდა ტაძარი. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ყოველთვის ერთი-

ანი იყო ჭირსა და ლხინში“. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა მღვდელი დავით შიოლაშვილი, რომელიც ამ ღირსშესანიშნავ დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთ-ხევით აყვანილი იქნა დეკანოზის ხარისხში. ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი იწოდა საკათედრო ტაძრად.

ლიტერატურა

1. კომახიძე თ., რელიგია და საღვთო სამსახურის ნაგებობა აჭარაში, ბათუმი, 2001
2. მესხი ს., თზულებანი, თხზ. ტ. 3, თბილისი, 1950
3. ჭიჭინაძე ზ., სამცხე–საათაბაგო, თბილისი, 1905
4. ჭიჭინაძე ზ., ზუბალაშვილების გვარის ისტორია, თბილისი, 1905
5. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, № 2, 1903
6. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, № 174, 1989

სურ. 1. ეკლესიის ძირითადი შესასვლელი

სურ. 2. ეკლესიის საერთო ხედი



სურ. 3. წმ. ანდრია პირველწოდებულის ქანდაკება



სურ. 4. წმ. ნინოს ქანდაკება

საშა ლეკვეიშვილი

მუზეუმის ფონდში დაცული გარდამოხსნები

საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა სახელოსნოები, რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ მკერავები, მქარგავები, მქსოველები, მღებავები და სხვა. ამ ოსტატების მუშაობა იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა სახელმწიფოსათვის, რომ XVII-XVIII საუკუნეებში მათ საქმიანობას კანონმდებლობით აწესრიგებდნენ.

ნაქარგობა დანიშნულების მიხედვით ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: საეროდ და საეკლესიოდ. საერო ხასიათის ნაქარგობაში შედის ქალისა და მამაკაცის სამოსი, თავსამკაულები, ბალიშის პირები, ფარდაგები, კაპარჭები და ა.შ. აგრეთვე დაფარნა, გარდამოხსნა და სხვა. საეკლესიო ხასიათის ნაქარგობას თავისი მნიშვნელობა და ქარგვის წესი ჰქონდა. სიუჟეტი, შესრულების მანერა, მასალა დროის მიხედვით თანდათანობით იცვლებოდა, ფეოდალურ ხანაში ქარგულობა თავისი ცხოველხატულობით უმაღლეს წერტილს აღწევს. ამის ნიმუშებია ხერხემლიძის ოლარი, შემდეგ ომფორად გადაკეთებული ნათელა ჯაყელის მიერ. მომდევნო ხანებში მაჰმადიანთა ძალადობას ებრძვის ქართველი ხალხი, ცდილობს შეინარჩუნოს თავისი რწმენა ძველი ტრადიციებითა და ჩვეულებით.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ პერიოდის ნამუშევრებიდან XV საუკუნის გიორგი VIII მონუმენტური გარდამოხსნა გვევლინება, დასავლეთ საქართველოში კი-XVIს-ის ბაგრატ III გარდამოხსნა.

XVII ს-ში საქართველო მოქცეულია მაჰმადიანთა რკალში და საშუალება არა აქვს მიჰყვეს დასავლეთ ევროპის კულტურას, მაგრამ მაინც ახერხებს შემოინახოს ძველი, არ დაკარგოს ქარგვისაკენ მისწრაფება.

ახალი ტექნიკური მასალის შემოღებასთან ერთად შეინიშნება რუსული გემოვნების გავლენა, რაც კარგად არის ასახული XVII ს-ის ოლარში, წმინდათა სამოსში, მიტრებში, თაღების სამკაულებსა და სხვა.

XVIII–XIX ს.ს. ევროპიდან რუსეთის გზით შემოდის ქარგვის ახალი მოტივები: ბაფთებით შემოხვეული მცენარეების გირლანდები, ყვავილების კონები, რის მაგალითებადაც გამოდგება ოლარები და თავსახურავები.

XVIII–XIX ს.ს. ნაქარგობაში ძლიერია ირანული გავლენა. დასავლეთიდან შემოსული ტექნიკური მასალა - ფერადი კილიტები, კლაპიტონი - ვერ ასუსტებს ამ გავლენას. ტექნიკურ მასალას ემატება კიდევ მძივები, არშიები, დაწნული ზონრები, სახეების რელიეფობისათვის დასადები ქაღალდის ზონრები, ხავერდულა.

ქართული ნაქარგობა კარჩაკეტილად და დამოუკიდებლად არ ვითარდებოდა. იგი იღებდა და ითვისებდა მეზობელი ქვეყნების მიღწევებს, მაგრამ ამუშავებდა მას და ეროვნულ სახეს აძლევდა. თავისებურია აგრეთვე ფერების შერჩევაც და მთელი სურათის ცოცხალი, მეტყველი გამოსახვა, რითაც შეინარჩუნა თავისი ეროვნული თვითმყოფადობა.

XIX ს-ის II ნახევრის პერიოდის მოგზაური მკვლევარები სამეურნეო-საოჯახო ყოფის სხვა საკითხებთან ერთად აჭარელ ქალთა ქსოვა-ქარგვასაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. მათგან აღსანიშნავია: თ. სახოკია, ზ. ჭიჭინაძე, ა. ფრენკელი, ვ. ლისოვსკი, რომლებმაც აღწერეს აჭარელი ქალების მიერ მატყლის დამუშავების რთვა-ქსოვის, შალის თელვის, ქარგვისა და სხვა პროცესები. თ. სახოკიას ცნობით ღორჯომში მოქსოვილი შალეებით იმოსებოდა ზემო აჭარის მკვიდრთა უმეტესობა.

ვ. ლისოვსკი აღნიშნავდა, რომ აჭარელი ქალები ხელით ქსოვდნენ უხეშ მაუდსა და ბეზს, რომელსაც იყენებდნენ ოჯახის წევრებისათვის საჭირო ტანსაცმლის, საცვლებისა და სხვადასხვა მორთულობათა შესაკერ-მოსაქარგავად.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ზ. ჭიჭინაძე. ფეიქრული ნაწარმი აჭარაში მისი მოგზაურობის დროსაც მზადდებოდა: ძაფი, შალი, ჩაფარიშები, არშიები, ქსოვილები, ყაითნები და ა. შ. იგი წერდა: "მთელი დასავლეთ საქართველოს სამღვდლო სამოსელი სულ აქეთ იკერებოდა. აქედანვე იგზავნებოდა აღმოსავლეთ საქართველოში ნაქსოვ-ნაკერი საეკლესიო სამკაული: დაფარნები ოქრომკედისა, აღსავლის კარების ფარდები, ოლარები, ხატების ფარდები და მღვდელმთავართა შესამოსელები. ამის ნიშნები დღევანდლამდეა აქეთ დაშთენილი, ნამეტურ იმ ოჯახებში, სადაც ძველად რომელიმე წევრი ოჯახის სასულიერო წოდების ყოფილა. ასეთ ოჯახებში დღესაც მოკრძალებით ინახავენ ქალები ძველს საეკლესიო ნივთებს".

აჭარაში გოგონებს 12-13 წლიდან ასწავლიდნენ სელის, კანაფისა და მატყლის დამუშავებას, ქსოვას და ქარგვას. ამ საქმიანობის მცოდნე გოგონები კარგ საპატარძლოებად ითვლებოდნენ.

განვითარების პროცესში ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე დამზადებული ქსოვილები თანდათანობით შეიცვალა ფაბრიკული ქსოვილებით, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისში აჭარაში ძირითადად შემოქონდათ ბერძენ, ქურთ და აჭარელ ვაჭრებს. საქონლის მიწოდების ცენტრი იყო თბილისი, ქუთაისი, ბათუმი. კარგ ქსოვილად ითვლებოდა ატლასი, აბრეშუმი, სატინა, ყანაოზი, საშალედ მაუდს იყენებდნენ. მოსახლეობის დაბალი ფენისათვის ხელმისაწვდომი იყო ბამბის ქსოვილები–ჩითი, ყუმუში, მიტკალი.

საეკლესიო სამოსელისა და სხვა ნივთების დამზადება, დამახასიათებელი ძვირფასი ქსოვილების მსგავსად, დეკორატიული ხელოვნების კარგ ცოდნასაც მოითხოვდა, რაც ტრადიციულად მოსდგამდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. ისინი თაობიდან თაობას გადასცემდნენ ეროვნული წიაღიდან ამოსულ ქარგვის ტრადიციებს.

ქართულ ნაქარგობაში შუქჩრდილების გამოყენების ტრადიცია, ბერძნული და რუსული ნაქარგობათაგან განსხვავებით, არ არის. ამიტომ სახე ყოველთვის არის "ზეზით" დაქარგული ("ზეზი" არის ძაფი, რომელიც მიიღება ოქროსა და ვერცხლის ძაფების შეგრეხით ფერად "შლილ" აბრეშუმის ძაფთან). შუქჩრდილის ეფექტს მქარგველი აღწევს სხვადასხვა სახეობის ქარგვის ტექნიკური ხერხებით: "ტეხური", "კალათური", "კილოური" და ა.შ. ამ ხერხებს ერთმანეთს უპირისპირებს და იღებს სასურველ ეფექტს. ოქრო ("მე ვარ ნათელი") დაკავშირებული ზეციურთან, ხოლო აბრეშუმი–მიწიერთან. მაცხოვრის ორი ბუნება (ღვთაებრივი და კაცობრივი) აქაც არის გაერთიანებული. აქედან გამომდინარე საეკლესიო საკულტო ნივთებსა და სამოსში შემთხვევით არაფერი გვხვდება: მასალა, ფერი, მოქარგვა, კომპოზიცია, ძაფი, თარგი – ყველაფერი იმ კანონიკას, დოგმატიკას და სიმბოლიკას ემორჩილება, რაც ძველსა და ახალ აღთქმაშია გადმოცემული.

ორნამენტული დეკორიც გარკვეულ სიმბოლიკასთანაა დაკავშირებული: ყვავილის, ფოთლის რაოდენობა, განლაგება დაკავშირებული რიცხობრივ სიმბოლიკასთან. გამოისახება სხვადასხვა მცენარე: შროშანი (ღვთისმშობლის სიმბოლო), ვაზის ფოთოლი (მაცხოვათან დაკავშირებული სიმბოლო-"მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი"), მირტა (სამფურცლიანი ბალახი, რომელიც გოლგოთის მთაზე ამოვიდა მაცხოვრის ჯვარცმის დროს). საეკლესიო ნაქარგობაში შემთხვევითი დეკორი არ გვხვდება, ყველაფერი დაკავშირებული იმ იკონოგრაფიასთან და დოგმატიკასტან, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებაში დევს.|

საქართველოს გასაბჭოების შემდეგი პერიოდი ცნობილია "უღმერთობის" პერიოდად. ეკლესია-მონასტრები გაძარცვეს, დაანგრიეს, ან საწყობებად, თავლებად და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობად აქციეს. 1935-1939 წლებში აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ბათუმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის , ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძრიდან, კათოლიკური (ამჟამად ღვთისმშობლის სახელობის მართლმადიდებლური საკათედრო ეკლესია), გრიგორიანული ეკლესიებიდან შემოვიდა და ფონდში დაცული იქნა საეკლესიო ნივთები, როგორც სამოსელი, ასევე სხვადასხვა დანიშნულების საკულტო საგანი.

ეკლესიების აღდგენის (წირვა-ლოცვის განახლების) შემდეგ მუზეუმმა ბევრი საეკლესიო და საკულტო დანიშნულების საგანი დააბრუნა უკან, ნაწილი კი კვლავ მუზეუმშია დაცული. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა და აღსანიშნავია გარდამოხსნები.

გარდამოხსნა ეწოდება სიმბოლური მნიშვნელობის საეკლესიო ნივთს – ფარდაგს, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიაში წითელი პარასკევისა და დიდი შაბათის ღვთისმსახურების დროს იხმარება.

ქრისტეს ფარდაგის სიმბოლურ გამომსახველად ახლა უკვე დაფარნაა მიჩნეული. დაფარნასთან გარდამოხსნა დაკავშირებულია არა მარტო როგორც საეკლესიო მსახურების ნივთი, არამედ, როგორც ქრისტეს დატირების გამომსახველი კომპოზიციაც.

შეიძლება ითქვას, რომ გარდამოხსნის საბოლოო შემუშავება, მის მიერ დღევანდელი დანიშნულების შეძენა XVI-XVII საუკუნეებს მიეკუთვნება.

მუზეუმის ფონდში დაცულია ექვსი გარდამოხსნა, რომელიც წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან იქნა გადმო-

ტანილი XX საუკუნის 30-იან წლებში. აქედან, ოთხი მათგანი წარმოადგენს ხელოვნების იშვიათ ნიმუშს.

გარდამოხსნა №10 889, ზომა: 170-97 სმ. (სურ.1). მუქი წითელი ფერის ხავერდის სქელ ქსოვილზეა შესრულებული, სადა, დამაგრებული სითვითა და ყაისნაღური ნაკეთობით. გამოყენებულია ოქროცურვილი ვერცხლის თმა (სირმა), ფერადი ზეზი და ფერადი აბრეშუმის ძაფი. ჭარმოადგენს ქრისტეს ტირილის კომპოზიციას. არმენაკზე დასვენებული ქრისტეს ნათელი სხეული მკვეთრად გამოიყოფა მუქი წითელი ფერის ფონიდან. მის ახლოს და ფერხთით მდგომ მტირალ ღვთისმშობელსა და იოანე მოციქულს საზეიმო განწყობილება ემჩნევათ. ასეთივე განწყობილება შეაქვთ მაცხოვართა მდგომ ჭირისუფალთ და კუთხეებში მოთავსებულ მცირე ზომის ანგელოზებს. ჭირისუფალნი და ანგელოზები, ასევე კუთხეებში მოთავსებული ოთხი მახარებლის ემბლემა მიქცეულია გარდამოხსნის მთავარი პერსონაჟისაკენ - ჯვარცმულისაკენ. კომპოზიციას გარს შემოვლებული აქვს მთლიანად ვერცხლმკედით შესრულებული, ერთმანეთში გადახლართული ტოტები ფოთლებით, რაც გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ გარდამოხსნა შეკრულია მცენარეული ორნამენტით. იქვე წარწერაც აქვს. ომპოზიცია ლაკონური და ამავე დროს დინამიკურია. ხასიათდება ფერთა სიმდიდრით და ცხოველხატულობით. ირგვლივ შემოვლებული აქვს ოქროსფერსიმებიანი ფოჩვები. კუთხეებში ასეთივე მსხვილი ფუსკულებია ფოჩვებით. სარჩულად წითელი ფერის სატინის ნაჭერია.

გარდამოხსნა, აჭმ. №10891, ზომა: 150-95 სმ. (სურ.2), მუქი მწვანე ფერის ხავერდის სქელ ქსოვილს წარმოადგენს. ქროცურვილი ვერცხლმკერდით შესრულებულ არმენაკზე დასვენებულია ჯვარცმული მაცხოვარი, რომელსაც ასევე ოქროცურვილი ვერცხლმკედით შესრულებული ქსოვილის ვიწრო ნაჭერი აქვს გადაფარებული. იქვე, ასეთივე ქარგულობით შესრულებულ სამოსელში დგანან: იოანე ღვთისმეტყველი, მარიამ ღვთისმშობელი, იოსები, ნიკოდიმოსი და სხვა, როგორც ჭირისუფალნი და ანგელოზები, ასევე კუთხეებში მოთავსებული ოთხი მახარებლის ემბლემა მიქცეულია ჯვარცმული მაცხოვრისაკენ.| გარდამოხსნა შეკრულია მცენარეული ორნამენტით-ყურძნის მტევნები ფოთლებით, ხორბლის თავთავებით. კომპოზიციას ირგვლივ აქვს წარწერა და ოქროსსირმიანი ფოჩვები. სარჩული წითელი ფერის აბრეშუმის ქსოვილია.

გარდამოხსნა, აჭმ. №10890, ზომა: 157-89 სმ. (სურ.3), მუქი მწვანე ფერის ხავერდის ქსოვილია. ცენტრში, არმენაკზე დასვენებულია ჯვარცმული ქრისტე. შესრულებულია დამაგრებული სითვით, გამოყენებულია სადა, ვერცხლის თმა და ფერადი აბრეშუმი. მაცხოვარს დამტირებელი არ ჰყავს. მას ვერცხლმკერდით შესრულებული ქსოვილის ვიწრო ნაჭერი აქვს გადაფარებული, დანარჩენი შიშველია. გარდამოხსნა შეკრულია მცენარეული ორნამენტით, რომელშიაც ყვავილებსა და ფოთლებს შორის ჯვრები და წიგნებია ვერცხლმკედით ამოქარგული. კუთხეებში მოქცეულია მცირე ზომის ანგელოზები. კომპოზიციას ირგვლივ შემოვლებული აქვს მუქი მწვანე ფონიანი წარწერა და ვერცხლისსირმიანი ფუსკულები ფოჩვებით. სარჩული მწვანე ფერის ქსოვილია.

გარდამოხსნა, აჭმ. №10892, ზომა: 170-90 სმ. (სურ.4), მუქი წითელი ფერის ხავერდის სქელი ქსოვილია. არმენაკზე დასვენებულია ჯვარცმული მაცხოვარი. შესრულებუულია დამაგრებული სითვით, გამოყენებულია ოქროცურვილი ვერცხლის თმა და ფერადი აბრეშუმი. ქრისტე დამტირებლის გარეშეა. გადაფარებული აქვს ვერცხლიმკედით შესრულებული ქსოვილი. ფეხები შიშვლეი უჩანს. გარდამოხსნა შეკრულია მცენარეული ორნამენტით (ყვავილები, ფოთლები), კუთხეებში მოქცეულია მცირე ზომის ანგელოზები. ირგვლივ შემოვლებული აქვს წითელფონიანი წარწერა და ვერცხლისსირმიანი ფოჩვები. ჭითელი ფერის სარჩულით.

გარდამოხსნა, აჭმ. №10907, ზომა: 85-65 სმ. მუქი წითელი ფერის ხავერდის ქსოვილია. ცენტრში ოვალური ფორმის წრეში მოთავსებულია ჯვარცმული მაცხოვარი, ოქროსფერი შარავანდედით. ამოყენებულია სადა, ვერცხლის სირმა და ფერადი აბრეშუმი. ქრისტეს დამტირებელი არ ჰყავს. კომპოზიცია შეკრულია მცენარეული ორნამენტით – ყურძნის მტევნები, წრეში ჯვარი, ირგვლის წარწერა.

გარდამოხსნა, აჭმ. №10908, ზომა: 75-56 სმ. ღია წითელი ფერის ატლასის ქსოვილია, შესრულებულია აპლიკაციით (კოლაჟით). გამოყენებულია საღებავი და ჩასაკერებელი ნაჭრები. შუაშია ჯვარცმული მაცხოვრის დატირება. ქრისტეს და დამტირებელთა სახეები შესრულებულია

ფერადი საღებავებით (ზეთის). ექვსივე დამტირებელი განლაგებულია ერთ მხარეს. მათ შორისაა ღვთისმშობელი. ირგვლივ შემოვლებული აქვს ოქროსფერი სირმის არშია და ფოჩვები.

ანხილული გარდამოხსნების გარდა მუზეუმის ფონდში დაცულია: მიტრები, საეკლესიო მსახურთა სამოსი - ოლარები, ფილონები, სარტყლები, ენქერები, საბუხარეები და სხვა, აგრეთვე წმინდა ნაწილების გადასაფარებლები.

ლიტერატურა

1. ბარდაველიძე ვ., ჩიტაია გ., ქართული ხალხური ორნამენტი, თბ., 1936
2. გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX ს.ს. ტ. V, თბ., 1963
3. დავითაშვილი ქ., ძველი ქართული ნაქარგობა, თბ., 1973
4. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი., 1978
5. ჟურნალი „კარიბჭე", 15-28 დეკემბერი, №25, თბ., 2006 წ.
6. ჭიჭინაძე ზ., მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ. 1913
7. Лисовский В. Чорохский край. Тиф., 1887

Სურ. 1. გარდამოხსნა №10 889

Სურ. 2. გარდამოხსნა №10 891

სურ. 3. გარდამოხსნა №10 890

სურ. 4. გარდამოხსნა №10 892

რამაზ ხალვაში

წმ. ანდრია პირველწოდებული – ქრისტეს პირველმქადაგებელი საქართველოში

აპოკრიფულ ლიტერატურაში წმ. ნდრიას მისიონერული მოღვაწეობის შესახებ ორი განსხვავებული ტრადიცია თანაარსებოვდა. ტექსტების ერთ ნაწილში მოციქულის ქადაგება უკავშირდებოდა შავიზღვისპირეთის ქვეყნებს, ხოლო მეორე ნაწილში – სკვითეთს. საქართველო წმ. ანდრიას ქადაგების ორივე მარშრუტში შედიოდა, ამიტომ IV-IX საუკუნეების ბერძენი ავტორები აკონკრეტებენ მოციქულის მისიონერულ გზას და მასში შეაქვთ: სებასტოპოლისი („ცხუმი"), აფსარელთა ბანაკი (გონიო), ჰისოს ნავსადგური (სურმენე), ფაზისი, ეთიოპია (კოლხეთი), იბერია, სუსანია („სოსანგეთი"), ფუსტა („ფოსტაფორი") და ალანია („ოვსეთი").

ამავე პერიოდის ძეგლია **„მოქცევაჲ ქართლისაჲ"** (IV-VII სს.), რომელიც წმ. ანდრიას მისიონერობაზე არაფერს გვაუწყებს და პირდაპირ მიუთითებს: „ეტყოდეს დედოფალი სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნელი და მათ თანა ყოველნი მთავარნი ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: „ვინაჲ ანუ ვითარ მოშუერ შენ ქუეყანასა ჩუენსა მაცხოვრად ჩუენდა, ანუ სადა-მე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო? მაუწყე ჩუენ საქმჱ შენი! რაჲსა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მჴსნელო, სანატელო! რამეთუ ესერა გჳსწავიეს შენ მიერ, ვითარმედ ყოფილ არაიან წინასწარმეტყუელნი პირველ მოსლვადმდე ძისა ღმრთისა ქუეყანად და მერმე **მოციქულნი ათორმეტნი და კუალად სამოცდაათორმეტნი და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ**. და ვითარ იტყჳ, ვითარმედ: „ტყუჱ ვარი მე, ანუ ვითარცა ჰინდოეთს თუ?" (ძეგლები, 1964:105).

თხზულების დამოწმებულ მონაკვეთზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილმა წმ. ანდრიას საქართველოში მისიონერობა გვიანდელ გამონაგონად მიიჩნია: „ცხადია, ეს წინადადება შეეძლო ეთქვა ან შეეთხზა მხოლოდ იმას, რომელმაც არაფერი იცოდა ანდრიას საქართველოში მიმოსვლისა და ქადაგების შესახებ" – დასძენს მეცნიერი (ჯავახიშვილი, 1900:36).

ივ. ჯავახიშვილის დასკვნას არ დაეთანხმა მ. თამარაშვილი, თუმცა „მოქცევაჲ ქართლისაჲს" აღნიშნული ცნობას ვერც მან აუარა გვერდი და აღნიშნა, რომ „ყველაზე ძლიერი საბუთი, რომელსაც ეყრდნობა ბატონი ჯავახიშვილი, ამოღებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲდან" (თამარაშვილი, 1995:162).

ქართლის ქრისტიანიზაციის ამსახველ ოფიციალურ დოკუმენტში სამოციქულო ქადაგების უარყოფის თაობაზე მხოლოდ ორგვარი დასკვნის გაკეთება შეიძლება: 1. ან „მოქცევაჲ ქართლისაჲ" არ ცნობს საქართველოს ეკლესიის სამოციქულო ხასიათს და საფუძვლიანია ქართველი მეცნიერების ერთსაუკუნოვანი სკეფსისი; 2. ან ქართველოლოგიურ მეცნიერებაში სრულყოფილად არ არის გააზრებული „მოქცევაჲ ქართლისაჲს" აღნიშნული მონაკვეთის შინაარსი.

საკითხის გარკვევაში გვეხმარება **„ქართლის ცხოვრება"**, რომელშიც ლეონტი მროველი, ერთი მხრივ, გადმოგვცემს მოციქულთა საქართველოში ქადაგების ისტორიას („მეფეთა ცხოვრება") და, მეორე მხრივ, „ნინოს ცხოვრების" ახალ რედაქციაში თითქმის უცვლელად იმეორებს „მოქცევაჲს" ცნობას: **„ეტყოდეს სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნელი და მათ თანა ერისთავნი და მთავარნი... მოციქულნი თორმეტნი და სხუანი სამოცდაათნი, და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ**, და ვითარ იტყჳ, ვითარმედ ტყუე ვარი მე, ანუ ვითარ უცხო" (ქცა, 1955:126-127).

ლეონტი მროველი ადერკის მეფობის ქრონიკაში აღნიშნავს, რომ ემყარება „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ტექსტს: „მოიღეს მუნით კვართი უფლისა ელიოზ მცხეთელმან და ლონგინოზ კარსნელმან, ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად „მოქცევასა ქართლისასა" (ქცა. 1955:36). ქედან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რომ, მროველი ეპისკოპოსის აზრით, „მოქცევაჲსა" და „მეფეთა ცხოვრებას" შორის წინააღდეგობა არ არსებობს.

მართლაც, თუ დავაკვირდებით, ვნახავთ:

1. სალომე უჯარმელი, პეროჟავრი სივნიელი და „ყოველნი მთავარნი" აღმოსავლეთი საქართველოს, ქართლის მკვიდრნი არიან და, ცხადია, სიტყვებში **„ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან"** ისინი

მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობენ;

2. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების" მიხედვით, წმ. ანდრიამ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იქადაგა და მოციქულთა მისიონერულ მარშრუტში არ შედის ქართლი: „ამისვე ადერკის მეფობასა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანნი **ანდრია და სჳმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს**. და მუნ **აღესრულა წმიდა სჳმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისასა**, საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქცივნა **მეგრელნი** და წარვიდა **გზასა კლარჯეთისასა"** (ქცა. 1955:38, 42).

ამგვარად, ლეონტი მროველი, „მოქცევაჲს ქართლისაჲს" ტექსტზე დაყრდნობით, უარყოფს მოციქულთა ქადაგებას საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში – ქართლში, რითაც საფუძველი ეცლება იმ მოსაზრებას, თითქოს „მოქცევაჲ ქართლისაჲ" არ ცნობდეს საქართველოს ეკლესიის სამოციქულო ხასიათს.

ამ თვალსაზრისით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" სრულ თანხმობაშია ძველ ბერძნულ და ქართულ ისტორიულ წყაროებთან.

ქართულ ენაზე წმ. ანდრიას ქადაგების შესახებ არსებული უძველესი ცნობები იმ თარგმანებში ფიქსირდება, რომლებიც „მრავალთავებშია" წარმოდგენილი. ამის დასტურია **„კლარჯული მრავალთავი"** (X ს.), რომლის არქეტიპები გაცილებით უფრო ადრეული პერიოდით, V-VI საუკუნეებით, თარიღდება. აღნიშნულ კრებულში დაცულია ფსევდო-დოროთე ტვირელის ჰომილია **„ათორმეტთა მოციქულთა მოსაჴსენებელი"**, რომელშიც ავტორი შემდეგს გვაუწყებს: „ანდრეა ყოველთა ზღჳს კიდეთა ბირთჳნიაჲსათა და პონტოჲსათა, თრაკთასა და სკჳთელთასა მოვლო და ქადაგებდა უფალსა. შემდგომად მისა წარვიდა **სებასტიელთა** ქალაქსა მას დიდსა, სადა **ბანაკი იგი იყო აფსარელთაჲ**, და **ფასისი** მდინარჱ, სადა-იგი უშინაგანჱსნი **ეთიოპელთანი** დამკვიდრებულ არიან, ხოლო დაეფლა პალატარას აქაელთასა, ჯუარს ეცუა თხისის მოქმედისა მიერ" (მრავალთავი, 1991:387).

ამავე წყაროს მიხედვით, კოლხეთში (ეთიოპიაში) იქადაგა და აქვე განისვენებს მატათია მოციქული: „მატათია, რომელი შერაცხილ არს ათორმეტთა მათ [თანა], ნაცვალად იუდაჲსა, პირველსა ეთიოპიასა ქადაგა ქრისტჱ, აღესრულა და დაეფლა მუნვე" (მრავალთავი, 1991:388).

ქართულ ორიგინალურ ლიტერატურაში ანდრია პირველწოდებულისადმი მიძღვნილი თხზულებების გავლენის კვალი პირველად **„აბოს წამების"** ტექსტში დასტურდება: „ტრაპეზუნტი მუნ არს, საყოფელი აფსარეაჲსა, ნაფსაჲს ნავთსადგური" (ძეგლები, 1964:59). პ. ინგოროყვას დაკვირვებით, სამივე დასახელებული პუნქტი მოციქულთა ქადაგებას უკავშირდება: ტრაპეზუნტიდან წმ. ანდრია შემოვიდა საქართველოში, აფსაროსშია წმ. მატათიას საფლავი, ნაფსაჲს ნავსადგურში (ნიკოფსიაში) კი – სიმონ კანანელისა. გარდა ამისა, გამოთქმა „საყოფელი აფსარეაჲსა" (შდრ.: ფსევდო-დოროთეს „ბანაკი იგი იყო აფსარელთაჲ" – რ. ხ.) წარმოადგენს „მოციქულთა მოსახსენებელში" დადასტურებული ფრაზის „პარემბოლე აფსაროს"-ის სიტყვა-სიტყვით თარგმანს (ინგოროყვა, 1954:211).

ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოგზაურობა დასავლეთ საქართველოს უკავშირდება **„მცირე სვინაქსარშიც"**, რომელიც ექვთიმე ათონელმა თარგმნა (მიმოსვლა, 2008:139-140). ეს ცნობა სიტყვა-სიტყვით მეორდება გიორგი მთაწმინდელის (1009-1065) მიერ თარგმნილ **„დიდ სვინაქსარში"**: „ამან ქადაგა ყოველთა ზღჳსკიდისა სოფელთა: ბირთჳნიას და პონტოს და თრაკიას და სკჳთიას. და მერმე წარვიდა სევასტოპოლის ქალაქსა მას დიდსა, სადა-იგი შესდიან ორნი მდინარენი, რომელთა ეწოდების ფასოს და ფსაროს, შინაგან ეთიოპიისა მკჳდრთა" (სვინაქსარი, 2003:254).

815-843 წლებშია დაწერილი **ეპიფანე მონაზვნის „ანდრია პირველწოდებულის ცხოვრება"**, რომელიც ფართოდ გავრცელდა ბიზანტიურ მწერლობაში. „ანდრია პირველწოდებულის ცხოვრების" გადამუშავებას წარმოადგენს **ნიკიტა-დავით პაფლაღონიელის (†890) „ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლა"**. ეს თხზულება ქართულად **ექვთიმე ათონელმა** თარგმნა 1002 წლამდე, როცა იოანე ათონელის (965-1005) „ანდერძი" დაიწერა (მენაბდე, 1980:195).

„ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლის" მიხედვით, მოციქულმა იერუსალიმიდან სამჯერ იმოგზაურა შავიზღვისპირა ქვეყნებსა და საქართველოში: პირველი მოგზაურობის დროს მან „მრავალნი ქალაქნი და დაბნები **პონტოისანი** განანათ-

ლნა", მივიდა **ტრაპეზუნდში** („**სოფელსა მეგრელთასა**"), შემდეგ – „**ქუეყანასა ქართლისასა**" და ბოლოს **პართიის** გზით დაბრუნდა **იერუსალიმში** (მიმოსვლა, 2008:174-175). მეორე მოგზაურობის დროს ანდრია მოციქულმა მოინახულა **ტრაპეზუნდი (მეგრელთა ქვეყანა)** და „მათცა შეიწყნარეს ქადაგებაჲ მოციქულისაჲ" (მიმოსვლა, 2008:187). ბოლო, მესამე მოგზაურობის დროს წმ. ანდრია სიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად შემოვიდა „**ქუეყანად ქართლისა** და **ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა**", **სოსანგეთში** მოაქცია დედაკაცი მთავარი, იქ მატათა დატოვა და სიმონ კანანელთან ერთად გადავიდა **ოსეთსა** და **აფხაზეთში**. **შევასტიაში (სოხუმში)** ის დაშორდა სიმონსაც და **ჯიქეთში** გადავიდა, სადაც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს (მიმოსვლა, 2008:188-189).

ანდრია პირველწოდებულმა სამივე მისიონერული მოგზაურობის დროს იქადაგა საქართველოში, ამიტომ **გიორგი მთაწმინდელმა** (1009-1065), თევდოსი ანტიოქიელ პატრიარქთან დისპუტის დროს (1057 წ.), „მიმოსვლის" ბერძნული ტექსტი („მიმოსლვაჲ ანდრეა მოციქულისაჲ") გამოიყენა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაცავად, როგორც მოციქულთა ქადაგების უტყუარი დოკუმენტი. გიორგი მთაწმინდელის დამოწმებულ სიტყვებში „ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლის" ინფორმაცია შემჭიდროებულადაა მოცემული. მასში გამოტოვებულია საქართველოში წმ. ანდრიას სამჯერ მოგზაურობის თემა, მაგრამ აღნიშნულია ყველა არსებითი მომენტი, რომელიც საქართველოს ეკლესიის სამოციქულო ხასიათზე მიანიშნებს: „პირველ წარკითხვისა ჰრქუა ბერმან პატრეაქსა: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყჳ, ვითარმედ თავისა მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო **ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თჳსისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი**; და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი – **სიმონს** ვიტყვი **კანანელსა** – ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს **აფხაზეთს**, რომელსა **ნიკოფსი** ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ" (გიორგი მცირე, 1967:154).

XI საუკუნის ქართული ოფიციალური ისტორიოგრაფია საქართველოში მოციქულთა ქადაგების დამადასტურებელ მთავარ დოკუმენტად „ანდრია პირველწოდებული მიმოსვლის" ტექსტს მიიჩნევდნენ, რის დასტურიცაა გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება", ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება" და ეფრემ მცირის „უწყებაჲ მიზეზსა".

„**უწყებაჲში" ეფრემ მცირე** „მოციქულთა მიმოსვლაზე" დაყრდნობით ადასტურებს ანდრია პირველწოდებულის ქადაგებას **დასავლეთ საქართველოში – აფხაზეთში** და დამატებით აღნიშნავს, რომ **აღმოსავლეთ საქართველოში – ქართლში** ქრისტიანობა იქადაგა მაცხოვრის სხვა მოწაფემ – ბართლომემ: „ითქუმის ჩუენთჳსცა „**მიმოსლვასა შინა წმიდათა მოციქულთასა**" ანდრია პირველწოდებულის მიერ **ქადაგებაჲ შორის ავაზგიაჲსა, რომელ არს აფხაზეთი** და მიერ წარსლვაჲ ოსეთად და კუალად **ბართლომეს მიერ მიმოვლაჲ ჩრდილოეთისაჲ, რომელ არს ქართლი**" (ეფრემ მცირე, 1959:4).

მოციქულთა ქადაგების შემდეგ წმ. ნინოს მისიონერობის ფაქტს ეფრემ მცირე, ლეონტი მროველის მსგავსად (ქცა, 1955:42), საქართველოში კერპთაყვანისმცემლობის კვლავ გავრცელებით ხსნის და ანალოგად მოჰყავს ბერძნების მაგალითი (შდრ.: ჯავახიშვილი, 1977:173-174).

წმ. ნინოს მისიონერული ღვაწლის აუცილებლობაზე თითქმის იდენტურია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების პოზიციაც. „**რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში**" (1104 წ.), კერძოდ, ნათქვამია: „პირველწოდებული ანდრია, ძმაჲ თავისა მოციქულთაჲსა პეტრესი, ვიდრე ჩუენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხორებელი ქადაგებაჲ სახარებისაჲ **ყოველსა ქუეყანასა საქართველოჲსასა** და ურიცხუნი სიმრავლენი ერთანი განაშორა საცთურისაგან მრჩობლ ეშმაკეულებისა... **დაღათუ ერმან ქართლისამან სიმრავლესა შინა ჟამისასა დაივიწყა ქადაგებაჲ იგი მოციქულისაჲ და საცთურისავე მიმართ კერპთაჲსა მიაქცია**" (სჯულისკანონი, 1975:545-546).

„ძეგლისწერის" დამოწმებულ მონაკვეთში გვაქვს მნიშვნელოვანი სიახლე, რითაც ის კონცეპტუალურად განსხვავდება ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებისაგან" და ეფრემ მცირის „უწყებაჲსაგან", რომელთა მიხედვითაც, წმ. ანდრიამ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იქადაგა. „ძეგლისწერაში" მოციქულთა ქადაგების ამგვარ გააზრებას ცვლის წმ. ანდრიას „**საცხორებელი ქადაგებაჲ სახარებისაჲ ყოველსა ქუეყანასა საქართველოჲსასა**", რითაც წმ. ანდრია ცხადდება

სრულიად საქართველოს განმანათლებლად და საქართველოს ერთიანობის საფუძვლად[2].

საგულისხმოა, რომ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებასა" და არსენ იყალთოელის „ნინოს ცხოვრებაში" წმ. ანდრიას მისიონერული მარშრუტი მთელ საქართველოზე განზოგადების ნაცვლად უფრო კონკრეტდება და ლეონტი მროველთან უკავშირდება კლარჯეთს, ხოლო არსენ იყალთოელთან – ნიგალს. ამ მხრივ ეს ორი ტექსტი განსხვავდება არა მარტო „ძეგლისწერისაგან", არამედ „მიმოსვლის" ტექსტისგანაც. თუმცა დაკვირვება ცხადყოფს, რომ ორივე ქართველი ავტორის ლიტერატურული წყაროა „ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლის" ექვთიმესეული თარგმანი, რომლის მიხედვითაც, ანდრია პირველწოდებული საქართველოში მესამედ მოგზაურობის დროს მოადგა „ქუეყანასა ქართლისასა და **ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა**" (გვ. 189).

ლეონტი მროველმა კარგად იცის, რომ კლარჯეთი ჭოროხის ხეობაში მდებარეობს, ამიტომ აკონკრეტებს, რომ მოციქული „წარვიდა გზასა კლარჯეთისასა" (ქცა, 1955:38).

არსენ იყალთოელი ლეონტი მროველის აზრს ავითარებს და აზუსტებს, რომ „ჭოროხის" აუზის სოფლებში უნდა ვიგულისხმოთ, აგრეთვე, „სოფლები ნიგალისა" (შდრ.: „წარვიდა გზასა კლარჯეთისასა"); პარალელური ტექსტი კი იმის დაშვების შესაძლობასაც იძლევა, რომ არსენ იყალთოელი აიგივებდა „**სოსანგელთა სოფელსა**" და „**სოფლებსა ნიგალისათა**" (ხალვაში, 2009:202-203).

წმ. ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგებასთან დაკავშირებით რამდენადმე განსხვავებულ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი **იოანე ანჩელმა (რკინაელმა)**, რომელმაც თამარის ზეობის დროს დაწერა ჰიმნოგრაფიული კანონი „გალობანი ანჩის ხატისანი". საგალობლის მიხედვით, წმ. ანდრია საქართველოში ჰიერაპოლისიდან შემოვიდა და ანჩაში მაცხოვრის ხატი შემოაბრძანა: „**ხატი განკაცებისა შენისა მოციქულისა ანდრიაჲს მიერ გამოგჳბრწყინვე**" (IV,1); „**უღაღთა ღადოთა კლარჯეთისათა იერაპოლით მოვიდა და ხატი ესე საშინელი ჩუენ, მოსავთა მისთა, მოგუანიჭა**" (VIII,3) (სულავა, 2003:298-299).

წმ. ანდრიას ქადაგება „უღაღთა ღადოთა კლარჯეთისათა" ეხმიანება მოციქულის მისიონერული მარშრუტის ლეონტი მროველისეულ ლოკალიზაციას „გზასა კლარჯეთისასა". გამოთქმაში „უღაღნი ღადონი" პოეტური სამკაულის ფუნქციას იძენს ალიტერაცია, რითაც იოანე ანჩელი გადმოგვცემს თანაგანცდას მოციქულისადმი, რომელმაც მისი ეპარქიის სანახებში მაცხოვრის „საშინელი" ხატი შემოიყვანა.

იოანე ანჩელის საგალობელში დადასტურებულ ტრადიციას რამდენიმე წანამძღვარი ეძებნება:

1) ანდრია პირველწოდებული საქართველოში ედესიდან შემოვიდა (მიმოსვლა, 2008:189); 2) იერუსალიმიდან ედესისაკენ მიმავალი მისიონერული გზა ჰიერაპოლისზე გადიოდა (ავგაროზი, 2007:131-132); 3) ედესიდან საქართველოში შემოსულმა წმ. ანდრიამ იქადაგა ჭოროხის აუზის ქვეყნებში – „ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა" (მიმოსვლა, 2008:189); 4) ჭოროხის აუზის ქვეყნებიდან წმ. ანდრიას მისიონერულ მარშრუტში ქართულ ოფიციალურ ისტორიოგრაფიას კლარჯეთი შეჰქონდა (ქცა, 1955:39).

ამგვარი ინტერტექსტი უქმნის საფუძველს ხელთუქმნელი ხატის ჰიერაპოლისური ასლის საქართველოსთან კავშირს: იერუსალიმი [– ჰიერაპოლისი] – ედესა – ქართლი, „ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა" [– კლარჯეთი – ანჩა].

ლეონტი მროველის, არსენ იყალთოელისა და იოანე ანჩელის ტექსტებმა ხელი შეუწყო **„მიმოსვლის" ქართული რედაქციის** ჩამოყალიბებას. ექვთიმე ათონელის თარგმანის ასეთი რედაქცია მოგვიანებით გაჩნდა, რასაც ადასტურებს A-161 ხელნაწერი (1738 წ.). ეს ნუსხა ძველი და შელახული დედნიდანაა გადაწერილი, რის გამოც ტექსტში ბევრი შეცდომაა დაშვებული (მიმოსვლა, 2008:129-133). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელნაწერის რედაქტორი ცნობილი მწიგნობარი რომანოზ მიტროპოლიტია, ცხადი გახდება, რომ აღნიშნული ინტერპოლაციების გაჩენის შემდეგ დიდი დროა გასული და გადამწერს ხელთ აქვს საკმაოდ

[2] დავით აღმაშენებლის ეპოქიდან მოყოლებული მოციქულთა ქადაგებასთან დაკავშირებულმა ქალაქმა **ნიკოფსმა** საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში ერთ-ერთი მთავარი ორიენტირის ფუნქცია შეიძინა „**ნიკოფსითგან** დარუბანდისა საზღურადმდე და ოვსეთიდგან სპერად და არეგაწადმდე" (სურგულაძე. 2006:196). „**ნიკოფსით** დარუბანდამდის" (ქცა, 1959:94, 103, 168, 243, 293).

ძველი და შელახული დედანი. „მიმოსვლის" ქართული რედაქცია საფუძვლად დაედო „ახალი ქართლის ცხოვრების" ვრცელ ჩანართს მოციქულთა ქადაგებაზე.

„მიმოსვლის" ქართული რედაქციაში გეოგრაფიული გლოსების (ინტერპოლაციების) უმეტესობა წმ. ანდრიას პირველ და მესამე მისიონერულ მოგზაურობებზე მოდის (ხალვაში, 2009:206-209):

I. წმ. ანდრიას პირველი მისიონერული მოგზაურობის გლოსებია – ნიგალი, კლარჯეთი და არტაან-კოლა: **„განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა,** <u>ნიგ[ა]ლას, კლარჯეთსა და არტაჰან-კოლას</u>" (ქცა, 1955:38 შენ). „ახალი ქართლის ცხოვრების" ფრაგმენტის ხაზგასმული ნაწილი „მიმოსვლის" ექვთიმე ათონელისეული თარგმანის ინტერპოლაციაა. გლოსა „ნიგალა" სათავეს იღებს არსენ იყალთოელის „ნინოს ცხოვრებიდან", „კლარჯეთი" – ლეონტი მროველისა და იოანე ანჩელის ტექსტებიდან; მოყვანილ ფრაგმენტში მათ ემატება მტკვრის აუზის პროვინციები არტაჰანი და კოლა, რომლებიც კლარჯეთს ესაზღვრებიან და ამავე დროს შედიან „ქართლის ქვეყნის" შემადგენლობაში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ „ახალი ქართლის ცხოვრების" P[1]bB ნუსხებში „მიმოსვლის" ამავე მონაკვეთს ერთვის ინტერპოლაცია დიდაჭარის შესახებ: "**განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა**, <u>რომელსა დიდაჭარა ეწოდების</u>" (ქცა, 1955:39). ამ ინტერპოლაციას კი მოსდევს „მესხური გადმოცემა" წმ. ანდრიას აჭარასა (დიდაჭარა) და სამცხეში (აწყური) ქადაგების შესახებ.

II. „მიმოსვლის" ქართული რედაქციის (resp. „ახალი ქართლის ცხოვრების" შესაბამისი ფრაგმენტის) გეოგრაფიულ გლოსათა მეორე ნაწილი (ტაო, სოსანგეთ-სვანეთ-სივნეთი და სებასოპოლის-ცხუმი) წმ. ანდრიას მესამე მისიონერულ მოგზაურობაშია შეტანილი: ა) „ესრეთ მიიწივნეს ქვეყანასა ქართლისასა და <u>მერმე წარვლეს ტაოს კერძი ქუეყანა</u> და ვიდრე მდინარედ ჭოროხადმდე" (ქცა, 1955:42). ტაო ჭოროხის აუზის ქართული პროვინციაა და ეს ინტერპოლაცია შეიძლება მივაკუთვნოთ ლეონტი მროველისა და არსენ იყალთოელის ჩანართთა (კლარჯეთი, ნიგალი) რიგს; ბ) „მიმოსვლის" ქართული რედაქცია სოსანგეთს სივნეთთან (სომხურ სიუნიქთან) აიგივებს (მიმოსვლა, 2008:132), ხოლო „ქართლის ცხოვრების" ჩანართი – სვანეთთან (ქცა, 1955:42; ხალვაში, 2009:210-211); გ) ინტერპოლაცია „სევასტე ქალაქად მივიდეს, <u>რომელსა აწ ეწოდება ცხუმი</u>" (ქცა, 1955:42) მომდინარეობს არსენ იყალთოელის „ნინოს ცხოვრებიდან": „სევასტოპოლიდ, რომელ არს ცხუმი" (არსენ ბერი, 1971:10).

„მიმოსვლის" ქართული რედაქციის შექმნა ერთიანი ქართული სახელმწიფოს რღვევას უნდა მოჰყოლოდა. XV-XVI საუკუნეებში, როცა საქართველო 3 სამეფოდ და 5 სამთავროდ დაიშალა, „მიმოსვლის" ქართული რედაქციის ჩამოყალიბება ძირითადად დასრულებული ჩანს. გეოგრაფიული გლოსების უმრავლესობაში (ტაო, კლარჯეთი, ნიგალი, არტაან-კოლა) მესხეთის პროვინციებია წარმოდგენილი, ამიტომ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს რედაქცია უმთავრესად სამცხე-საათაბაგოში ყალიბდებოდა.

„ახალი ქართლის ცხოვრების" ტექსტში „მიმოსვლის" ქართული რედაქციის ფრაგმენტებთან ერთად შეტანილია „მესხური გადმოცემის" ლიტერატურული ვარიანტი. სულ ძველ „ქართლის ცხოვრებაში" წმ. ანდრიას ქადაგების შესახებ სამი ჩანართია წარმოდგენილი: 1) მოციქულთა წილისყრის, ღვთისმშობლის ხატის გამოსახვისა და წმ. ანდრიას საქართველოში წარმოგზავნის ეპიზოდები, რომელიც „მესხური გადმოცემის" გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს (ქცა, 1955:38); 2) წმ. ანდრიას პირველი მისიონერული მოგზაურობა საქართველოში („მიმოსვლის" ქართული რედაქციის მიხედვით) და „მესხური გადმოცემა" ანდრია პირველწოდებულის დიდაჭარასა და აწყურში ქადაგების შესახებ, რომელიც უშუალოდ მოსდევს გლოსას „რომელსა დიდაჭარა ეწოდების" (ქცა, 1955:39-42); 3) წმ. ანდრიას მესამე მისიონერული მოგზაურობა საქართველოში – „მიმოსვლის" ქართული რედაქციის მიხედვით (ქცა, 1955:42-43).

ანდრია პირველწოდებულის მეორე მოგზაურობის ეპიზოდის მაგივრობა „ახალ ქართლის ცხოვრებაში" დაკისრებული აქვს ლეონტი მროველის ავთენტურ ცნობას მეგრელთა გაქრისტიანებისა და ადერკი მეფის მიერ მათი ისევ წარმართობაზე მოქცევის თაობაზე.

წმ. ანდრიასადმი მიძღვნილ გვიანდელ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში ყურადღებას იპყრობს მოციქულის მესამე

მისიონერულ მოგზაურობაში ნახსენები სოსანგეთის ლოკალიზაცია: **„მერმე შტავიდეს სოსანგელთა სოფელსა.** ხოლო მას ქუეყანასა **მთავრობდა ღღეთა მათ დედაკაცი ვინმე მთავარი**, რომელსაცა ჰრწმენა ქადაგებაჲ მოციქულთა" (მიმოსვლა, 2008:189).

თუკი „მიმოსვლის" ქართული რედაქცია სოსანგეთს სივნეთთან (სომხურ სიუნიქთან) აიგივებს, ხოლო „ქართლის ცხოვრების" ჩანართი – სვანეთთან, „მესხური გადმოცემაში" ნათქვამია, რომ სოსანგეთი იგივე აწყურია და წმ. ანდრია „მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა <u>სოსანგეთი</u>" (ქცა, 1955:39). ამგვარად, „ახალ ქართლის ცხოვრებაში" სოსანგეთის ლოკალიზაციაზე ერთდროულად ორი თვალსაზრისია განვითარებული. მესხური გადმოცემიდან მომდინარე პლასტში სოსანგეთი აწყურს „ეწოდებოდა", „მიმოსვლის" ქართული რედაქციიდან მომდინარე პლასტში კი სოსანგეთი იგივე სვანეთია. აქედან ნათლად ჩანს, რომ ეს ორი პლასტი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა.

„დედაკაცი მთავრის" ვინაობაც მხოლოდ მესხური გადმოცემის ავტორებისთვისაა ცნობილი: ექვთიმეს თარგმანის „დედაკაცი ვინმე **მთავარი**" მესხურ გადმოცემაში შეცვლილია სიტყვებით „დედაკაცი ვინმე **ქურივი სამძივარი"**, რითაც „დედაკაცი ვინმე მთავარი" დაკავშირებულია მესხ სამძივართა ცნობილ ფეოდალურ გვართან. გარდა ამისა, მესხური გადმოცემა, ყველა ქართული ლიტერატურული წყაროსგან განსხვავებით, აზუსტებს „დედაკაცი მთავრის" გაქრისტიანების მოტივს – წმ. ანდრიამ მისი გარდაცვლილი ძე მკვდრეთით აღადგინა. გადმოცემაში აწყურის ღვთისმშობლის ხატის ისტორიაც ქვრივ სამძივარს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, სამძივართა საგვარეულოს ზეობის პერიოდი (XIII-XIV სს.) ცალკე ეტაპად უნდა გამოიყოს მესხური გადმოცემის განვითარებაში (შდრ.: ქცა, 1994:140).

„მესხური გადმოცემა" (1486-1515 წწ.) ლიტერატურულად გაფორმდა სამცხის სეპარატისტი მთავრების - ყვარყვარე I-ის (1451-1498) და მზეჭაბუკის (1500-1516) კარნახითა და უშუალო მონაწილეობით. ამ გადმოცემის მიხედვით, წმ. ანდრიას ქადაგება და მის მიერ პირველი ქართველი ეპისკოპოსის ხელდასხმა დაკავშირებულია სამცხე-საათაბაგოს საეკლესიო ცენტრთან – აწყურთან, რითაც ხაზგასმულია საეკლესიო დამოუკიდებლობის მოსურნე მესხეთის ეკლესიის „სამოციქულო" ხასიათი (ხალვაში, 2009:210-213).

ამგვარი ხიფათის შემცველი იყო „რუის-ურბნისის ძეგლისწერაში" აღიარებული საეკლესიო და ეროვნული კონცეფციის უგულვებელყოფა, რითაც სარგებლობდნენ საქართველოში „საკალმასოდ" ჩამოსული იერუსალიმელი და ანტიოქიელი პატრიარქები.

„მესხური გადმოცემის" ლიტერატურულად გაფორმების დროს იმერეთი პოლიტიკურადაც და ეკლესიურადაც დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა. 1470-1474 წლებში ბაგრატ II-მ (1463-1478) იერუსალიმელ-ანტიოქიელ პატრიარქ მიხეილს იოაკიმე ცაიშელ-ბედიელი ეპისკოპოსი აფხაზეთის (დასავლეთი საქართველოს) კათალიკოსად აკურთხებინა და ამ ფაქტის დასაკანონებლად „მცნება სასჯულო" შეადგენინა, რომელშიც მხოლოდ აფხაზეთის ეკლესიის სამოციქულო ხასიათი იყო აღიარებული: **„ნინო ქართველთა დედამან მოაქცინა ქართლი, მისთა საზღვართა აქათი წმიდამან ანდრია მოციქულმან ნათლითა მიუჩრდილებელითა განანათლნა"** (ქსძ, 1970:222).

„მესხური გადმოცემის" პირველი ლიტერატურული ვარიანტი ფიქსირდება მზეჭაბუკ ათაბაგის „სიგელში" (ჟორდანია, 1897:321). XVII ს.-ის მე-2 ნახევარში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა ზაქარია ქვარიანმა (†1660) გელათის ღვთისმშობლის ტაძარში „მესხური გადმოცემის" პირველი ილუსტრაცია შეაქმნევინა. გელათურ ფრესკაზე წმ. ანდრიას ხელში აწყურის ხატი უპყრია, რომელიც 1562 წლიდან გელათის ტაძარში იყო დაბრძანებული. სწორედ იმ პერიოდში კი, როცა გელათში „მესხური გადმოცემის" ილუსტრაციას გამოსახავდნენ, აწყურის ეპარქია უკვე აღარ არსებობდა და ოსმალები სამცხე-საათაბაგოში ისლამს ავრცელდებნენ.

ლიტერატურა:

ავგაროზი, 2007: „ავგაროზის ეპისტოლის" ძველი ქართული რედაქციები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. ჩხიკვაძემ, თბ., 2007

არსენ ბერი, 1971: არსენ ბერი, ნინოს ცხოვრება // ძეგლები, III (მეტაფრასული

რედაქციები XI-XIII სს.), თბ., 1971

გიორგი მცირე, 1967: გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება // ძეგლები, II, თბ., 1967

ეფრემ მცირე, 1959: ეფრემ მცირე, უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენების, თ. ბრეგაძის გამოცემა, თბ., 1959

თამარაშვილი, 1995: თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995

ინგოროყვა, 1954: ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954

მენაბდე, 1980: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980

მიმოსვლა, 2008: მიმოსვლა ანდრია მოციქულისა, ძველი ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მ. კობიაშვილმა, თბ., 2008

მრავალთავი, 1991: კლარჯული მრავალთავი, თ. მგალობლიშვილის გამოცემა, თბ., 1991

ჟორდანია, 1897: ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, ტფ., 1897

შვინაქსარი, 2003: დიდი სვინაქსარი, მ. ღოლაქიძის გამოცემა // საქართველოს საეკლესიო კალენდარი, 2003

შულავა, 2003: სულავა ნ., XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003

სურგულაძე, 2006: სურგულაძე მ., ქართული საისტორიო აქტები (XI-XV სს.), თბ., 2006

სჯულისკანონი, 1975: დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. ოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975

ქცა, 1955: ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955

ქცა, 1959: ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959

ქცა, 1994: ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი შეადგინეს, კომენტარები და ლექსიკონი დაურთეს მ. სანაძემ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1994

ქსძ, 1970: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, III, თბ., 1970

ძეგლები, 1964: „მოქცევაჲ ქართლისაჲ" // ძეგლები, I, თბ., 1964

ხალვაში, 2009: ხალვაში რ., ანდრია პირველწოდებულის ქადაგება საქართველოში (ძველი ქართული ლიტერატურული წყაროებისა და „ახალი ქართლის ცხოვრების" მიხედვით) // გონიო-აფსაროსი, VIII, ბათუმი, 2009

ჯავახიშვილი, 1900: ჯავახიშვილი ივ., ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში // ჟურნ. „მოამბე", №6, განყ. II, 1900

ჯავახიშვილი, 1977: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი 12 ტომად, VIII, თბ., 1977

მარინა ორაგველიძე

აჭარის მუზეუმში დაცული ჭურჭელი – სურა

აჭარის მცხოვრებნი ისტორიულად ხის საუკეთესო მოხელეებად ითვლებოდნენ, რის შესახებ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა: „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობით" (ვახუშტი, 1941:139). ხელოსნობის აღნიშნული დარგის მაღალ დონეზე მეტყველებს, ასევე აჭარის მოსახლეობის ყოფაში დაცული მრავალფეროვანი ხის ჭურჭლეულობა.

საქართველოს ნეოლითური ხანის არქეოლოგიურ მასალებში დაწინაურებული ჩანს ხითხუროობასთან დაკავშირებული კაჟის იარაღები. განსაკუთრებით კი ცულები, საჭრელ-სათლელები, შალაშინები, კაჟის ხერხები (საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1970:119). ამ სახის იარაღთა მრავალფეროვნება თავისთავად მიუთითებს, არა მხოლოდ ქვის ჯიშებისა თუ თვისებების ცოდნაზე, არამედ ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ ქვის იარაღები ხის დამუშავების მიზნითაც გამოიყენებოდა.

აჭარაში დაცული ხის ჭურჭელი ორი სახისაა: მოხვეწილი და საყოლი. მოხვეწილი ჭურჭელი მზადდებოდა კუსტარულად, დაზგა-სამხვეწლოებზე. საყოლ ჭურჭელს კი ყავრისაგან აკეთებდნენ. მოხვეწილი და საყოლი ჭურჭელი ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვდა და ამიტომ მათი ოსტატები იყოფოდნენ „მხვეწავებად" და „მეგვარდეებად" (დავითაძე, 1980:4). ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში შეკრებილი ხის კოლექციებიდან და ეთნოგრაფიული მასალიდან ირკვევა, რომ ხის ჭურჭლეულის ხელით დამზადება ფართოდ ყოფილა გავრცელებული აჭარაში. შემდგომ კი ადამიანის ცოდნა-გამოცდილებას სპეციალური ჩარხ-სამხვეწლოები გამოუგონია. ხის ოსტატობაში ხელით მუშაობა ჩარხ-სამხვეწლოებს ვერ განუდევნია. ადგილობრივი მეჭურჭლეები ხელით ხვეწდნენ დიდი რაოდენობით საოჯახო დანიშნულების ხის ჭურჭელს: ჯამებს, გობებს, როდინებს, სურებს და ხის სხვა ინვენტარს (გასიტაშვილი, 1962:74).

მოპოვებული მასალებით დასტურდება, რომ ჭურჭლის ოსტატობა მამიდან შვილზე გადადიოდა. ერთი გვარის კარგი მხვეწავები შვილებს ადრიდანვე აჩვევდნენ ჭურჭლის ოსტატობას, როცა საყვარელ საქმეში გამოზრდიდნენ, სიბერის დროს სამხვეწლოს მთლიანად შვილებს ანდობდნენ. შვილები მამა-პაპურ ხელობას უფრო ამდიდრებდნენ. პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილებით სრულყოფდნენ სამხვეწლო საქმეს (დავითაძე, 1980:12) სოფელ მერისის მცხოვრები მურად ახმედის ძე სურმანიძე (78 წლის) გადმოგვცემს „ჭურჭლის მოხვეწა მამისგან ვისწავლე. მამას ეს ხელობა დიდმა დედემ (ბაბუამ) ასწავლა". სოფელ სიხალიძეებში ძველი მეჭურჭლე იყო მუხამედ სულეიმანის ძე ლამპარაძე. მას მემკვიდრე არ დარჩენია, მაგრამ მან ოსტატობა შეასწავლა ძმიშვილს - სულეიმანს. სულეიმანმა კი ხელობა შვილებს ასწავლა. სოფ სიხალიძეებში ჭურჭლის საუკეთესო ოსტატებად ცნობილნი იყვნენ სულეიმან ლამპარაძის ოჯახი შვილებითურთ. მისი ბიძაშვილი რეჯებ ლამპარაძე და სულეიმან დუმბაძე. სიხალიძეებელ ოსტატებს სამხვეწლოები სოფლის გარეუბანში – ტყეში ჰქონდათ. სამხვეწლოს სიახლოვე ტყის ზოლთან განპირობებული იყო საჭურჭლედ ვარგისი ხის ჯიშებითა და წყლის ენერგის ხელმისაწვდომობით. გარდა აღნიშნული ხეობისა ეს წესი დასტურდება სხალთის, ჭვანისა და მარითის ხეობებში. ცნობილი იყო აგრეთვე წისქვილებთან გამართული სამხვეწლოებიც, სადაც წისქვილისათვის მოყვანილ წყალს, თავისუფალ დროს იქვე გამართულ სამხვეწლოებისთვისაც იყენებდნენ. წისქვილთან მომუშავე სამხვეწლო აჭარაში პირველად აღწერილი და შესწავლილი იქნა ი.ადამიას მიერ ხულოს რაიონის სოფ. ოქტომბერში (დღევანდელი სოფელი ვაშლოვანი) (ადამია, 1956:73), აგრეთვე ჩაქვის ხეობაში – სოფ. ჩაისუბანში (ქობულეთის რაიონი) და ჭვანის ხეობის სოფ ხაბელაშვილებში (შუახევის რაიონი). საველე გამოკითხვებით ირკვევა, რომ უპირატესობით ტყეში გამართული ჩარხები სარგებლობდნენ. მთხრობელთა დახასიათებით: „ტყეში გათლილი ქოფიტის (უხეშად დამუ-

შავებული ხის მასალა) გადმოტანა ძნელი საქმე იყო, ამიტომ ჯობდა ჩარხი ისევ ტყეში გაგვეკეთებინა. მოხვეწილი ჭურჭლის გადაზიდვა კი უფრო ადვილი ხდებოდა". სწორედ ამის გამო იყო სამხვეწლო ჩარხები სხალთის ხეობის სოფელ კვატიაში, მთა ბეშუმში (ხულოს რ-ნი) ჭვანის ხეობის სოფ. ჟანივრში, ნაღვარევში, ინწკირვეთში (შუახევის რ-ნი), კინტრიშის ხეობაში, სოფ. მესხიქედში, წერაქვეთში, ხინოში (ქობულეთის რ-ნი) და უჩამბას ხეობის სოფ. ლაკლაკეთში (შუახევის რ-ნი) სოფლის ახლოს ტყეებში ჰქონდათ გამართული.

საჭურჭლე მასალას ოსტატები შემოდგომასა და ზამთარში არჩევდნენ. ამ დროს მოჭრილ ხეს წყალი არ აქვს და იგი არ სკდება. საჭურჭლედ აღიარებული იყო თხმელა, თელა, ცაცხვი. გამონაკლის შემთხვევაში წიფელასაც იყენებდნენ. საჭურჭლე ხის შერჩევას თვით მეჭურჭლე ოსტატის გამოცდილი თვალი სჭირდებოდა. მოჭრას კი თავისი ცოდნა-გამოცდილება. მასალის მოჭრას ყოველთვის მთვარეს უფარდებდნენ. თუ მთვარე აღმა (სავსე მთვარე) იყო, შეიძლებოდა შაბათს და ხუთშაბათს მოეჭრათ. ოსტატთა გადმოცემით ასე მოჭრილი მასალა არ ირკილებოდა, მატლი არ უჩნდებოდა. მასალის მოჭრა შეგუებული იყო წელიწადის დროსთან. იანვარში მოჭრილი მასალა ყავრად არ გაიხდებოდა, უმჯობესი იყო თებერვალში მოჭრილი მასალა, იგი „სახადშიც კარგი გამოდიოდა და სათალშიც" (დავითაძე, 1980). მასალა დაცემისაგან არ უნდა „დაჟეჟილიყო". სამხვეწლოში მიტანილ მასალას ოსტატი ერთხელ კიდევ გაწმენდდა ცულით და სახვეწად მოამზადებდა. განსაკუთრებული ყურადღება ჭურჭლის გამძლეობასთან ერთად ექცეოდა გარეგნულ სილამაზეს. ყოველმხრივ სრულყოფილი ჭურჭელი კი დიდი მოწონებით სარგებლობდა.

აჭარის მუზეუმში დაცული ხის ჭურჭლებიდან განსაკუთრებული ორიგინალობით და იშვიათობით გამოირჩევა ხის სურები (იბრეხი) რომელიც გამოფენილია მუზეუმის ექსპოზიციაში. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით სურა ანუ საღვინე, ჭურჭელი, რომელსაც იყენებდნენ ღვინისთვის (ორბელიანი, 1966:117) სურები შემოვიდა მუზეუმში 1933 წ. მოქალაქე მიქელაძისაგან (სახელი უცნობია). საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს:

1. **სურა (იბრეხი), საინვენტარო №1944,** ზომა 33-15 სმ. დამზადებულია ერთიანი ხისგან. შუა წელამდე ცილინდრისებური ფორმისაა, შემდეგ კი კონუსისებური. აქვს გრძელი ცხვირი, ყელი, სახელური, დგას სამ ფეხზე, კორპუსზე ამოშანთვის წესით მოცემულია ორნამენტები (სურ. 1).

2. **სურა საინვენტარო №1946. ზომა 37-18** სმ. დამზადებულია ერთიანი ხისგან, აქვს ცილინდრისებური ფორმა, ვიწრო ყელი, სახელური და სამი ფეხი. იხმარებოდა, როგორც ღვინისა და წყლის ჭურჭელი (სურ. 2).

ამდენად, აჭარის მუზეუმის ხის ნაკეთობათა ფონდი მოიცავს ჭურჭლის იმ სახეობებს, რომლებიც თანამედროვე ყოფაში უკვე აღარ დასტურდება და მათ შესახებ ცნობები მხოლოდ ხანდაზმულთა მეხსიერებაში შემორჩა. აღნიშნული თემატიკის შესაბამისი მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის მასალები, შესაბამის ექსპონატებთან ერთად ადასტურებს, რომ აჭარაში მცხოვრები ოსტატები ხის ჭურჭლის დამუშავების მდიდარ ხერხებსა და მეთოდებს ფლობდნენ.

ლიტერატურა

1. ადამია ი., ძველი ხალხური ხუროთმოძღვრება – აჭარა, თბ., 1956
2. აჭარის სახელმწიფო მუზეუმი, ძირითადი ფონდი, წიგნი I
3. გასიტაშვილი გ., ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962
4. დავითაძე ალ., ფოლკლორული მასალები. – მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ბათუმი, 1980
5. დავითაძე ალ., აჭარული ჯამ-ჭურჭელი, ბათუმი, 1980
6. ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", თბ., 1991
7. ორბელიანი ს. საბა, ქართული ლექსიკონი, ტომი, 2, თბ., 1966
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970

სურ. 2

სურ. 1

ნატო ცეცხლაძე

მუზეუმში დაცული სპილენძის ჭურჭელი

სპილენძის წარმოებას ჭოროხის აუზში, უძველესი ტრადიციები აქვს. არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სპილენძის წარმოების შესახებ, საინტერესოა ანტიკური პერიოდის ბერძენ მწერალთა ცნობები სპილენძის ჭურჭლის დამზადების მოსინიკური ტრადიციების შესახებ. უფრო თვალსაჩინოდ კი ამ დარგის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს ეთნოგრაფიული ყოფის მონაცემები, კერძოდ სპილენძის ჭურჭლეულობის ფორმათა და ფუნქციათა მრავალფეროვნება.

არისტოტელეს ცნობით (ძვ.წ. IV ს.) მოსინიკები საუკეთესო ხარისხის სპილენძის მიღების საიდუმლო ხერხებს ფლობდნენ. ისინი სპილენძს ურევდნენ ერთგვარ მიწას, მას ერთად ადნობდნენ და ამ გზით ღებულობდნენ თეთრ სპილენძს, რომლისგანაც მაღალი ხარისხის ჭურჭელი მზადდებოდა, ამ საიდუმლოებას მოსინიკები სხვას არ ასწავლიდნენ. მოსინიკური სპილენძის ნაკეთობანი საბერძნეთშიც გაჰქონდათ (კახიძე, 1987:40-41).

სპილენძის ჭურჭელი, უძველესი დროიდან მოყოლებული, დიდ ადგილს იჭერდა ამა თუ იმ ხალხის ყოფა-ცხოვრებაში. ისინი: ხის, თიხის, ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელთან ერთად, ქართული სუფრის, ქართული საეკლესიო ტრაპეზის მშვენება იყო.

აჭარის მუზეუმში დაცული მასალებიდან ჩანს, რომ საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით სპილენძის ჭურჭელს საოჯახო სახმარ ჭურჭელთა შორის წარსულში გაბატონებული ადგილი ეჭირა ჭოროხის აუზის მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში. აქ გავრცელებული სპილენძის ჭურჭელი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. აღსანიშნავია სხვადასხვა ტევადობის ქვაბები, ჯამები, ტაფები, თუნგები, ყავის სახარშები, ლანგარი, ტაშტები და სხვა. ჩამოთვლილი სახის სპილენძის ჭურჭელი მზადდებოდა ართვინში, ბათუმში, ხულოში და სხვა ცენტრებში, სადაც სპილენძის საუკეთესო მჭედლებად ითვლებოდნენ ბერძენი და სომეხი ოსტატები. ბათუმში ართვინიდან გადმოსახლებული მესპილენძეები მუშაობდნენ. ამ სახელოსნო ცენტრებიდან მარაგდებოდა სპილენძის ჭურჭლით მთელი ჭოროხის აუზის, აგრეთვე აჭარის მოსახლეობაც, მეორე მსოფლიო ომამდე, ნაწილობრივ აჭარის ბარის, განსაკუთრებით კი მთიანი ზონის მოსახლეობის საოჯახო ყოფაში სპილენძის ჭურჭელი გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა.

სპილენძის სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ტრადიციები ჭოროხის აუზში აღმავლობის გზაზე დადგა XIX ს. 80-იანი წლებიდან. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამთამადნო მეტალურგიული წარმოების ისეთ ცენტრებს როგორიცაა: ძანსუღი, ხულო, ლომაშენი, მერისი და სხვა. მერისის საბადოები რამდენიმე მსხვილ ძარღვს აერთიანებდა, რომელთაგან წამყვანი იყო ყანლი-ყაი, ობოლო, სათევზია. სათევზიას საბადო პირველად ადგილობრივ მცხოვრებს ომერ ხალვაშს აღმოუჩენია. მერისის სისტემის საბადოებს ეკუთვნოდა უჩამბის სპილენძის საბადოც. 1889 წ. სოფელ ერგეში (ქედა) ამოქმედდა პირველი სპილენძის სადნობი ქარხანა. 1902 წლამდე აქ გამოდნობილი იქნა 100 ათასი ფუთი სპილენძი, რომელიც მთლიანად რუსეთში იგზავნებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ სპილენძის სადნობი ქარხნები გაჩნდა ხოდში, ძანსუღსა და კვარცხაში (ართვინის ოკრუგი) მუზეუმის ხელნაწერი ფონდის მასალების მიხედვით სამჭედლო ხელოსნობის მთავარ საქალაქო ცენტრს სამცხე-ჯავახეთში ახალციხე და ახალქალაქი წარმოადგენდა. სპილენძისაგან მზადდებოდა სხვადასხვა ზომის და ფორმის საოჯახო ჭურჭელი, მესპილენძე ოსტატები სოფლებშიც დადიოდნენ სეზონურ სამუშაოზე, მათ სოფლის მოსახლეობაც იწვევდა (კახიძე, 1981:61-63).

აჭარის მუზეუმის სპილენძის ფონდის შევსება, ძირითადად 1933 წლიდან იწყება, იმ დროიდან, როცა ზემო აჭარაში მოეწყო პირველი საველე–ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ახვლედიანი, 1975:6-7). საექსპედიციო საქმიანობა, რომლის დროსაც ხდებოდა სხვადასხვა სახის, მათ შორის სპილენძის

ნაკეთობების შეგროვება, შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. 1949, 1951, 1965, 1971 წლების სამეცნიერო ექსპედიციების დროს მნიშვნელოვნად შეივსო მუზეუმის სპილენძის ფონდი, რომლის ერთეულთა რაოდენობა დღეისათვის 398 ცალს შეადგენს. ესენია სპილენძის სხვადასხვა ფორმისა და ზომის საოჯახო ჭურჭლეულება: ქვაბები, თუნგები, ლანგრები, თეფშები, ტაშტები და სხვა. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი:

1. **ქვაბი** (კარდალი). საინვენტარო № 22018 (სურ. 1). სიმაღლე 28 სმ., პ.დმ. 9,50 სმ., საკიდი 50 სმ., მუცელგამობერილი, აქვს საკიდი ჯაჭვი კაუჭით, გამოიყენებოდა წყლის გასაცხელებლად, ასევე სამგზავროდ. ექსპონატი მუზეუმში შემოვიდა ხელვაჩაურის რაიონის სოფლებში ჩატარებული ექსპედიციის მიერ 1980 წ. ხელმძღვანელი ი. დავითაძე, წევრები: ე. ჩხაიძე, დ. წულაია, ს. ლეკვეიშვილი, ნ. შერვაშიძე.

2. **კოკა**. საინვენტარო №17259 (სურ. 2). მაღალი ყელით, სახურავით, გრძელი სახელურით, რომელზეც მიმაგრებულია სახურავი. შემკულია რელიეფური ორნამენტით. სიმაღლე 27 სმ. პირი 18 სმ. 1957 წ. შესყიდულია ქობულეთის რაიონის სოფ. მუხაესტატეში მცხოვრები ქესკინ ნიჟარაძისაგან.

3. **თასი** (ბადია). საინვენტარო №19974/21 (სურ. 3). სიმ.12 სმ. პ.დმ. 17 სმ. მრგვალი ფორმის, ოდნავ გამოზნექილი და დაკბილული, გარედან რომბისებური ამობურცული ორნამენტებით, რომლებიც 3 რიგად მიუყვება თასს. დგას 2 სმ-ის სიმაღლის სადგამზე. წარმოებულია მე-19 ს. 80-იან წლებში, გამოიყენებოდა სასმისად, მუზეუმში შემოსულია 1973 წლის სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად, რომელიც ჩატარდა ქედის რაიონის სოფლებში, ექსპედიციის ხელმძღვანელი ე. ჩხეიძე. წევრები: ს. ლეკვეიშვილი, ე. ყიფიანი, ბ. აფხაზავა, ი. ქარცივაძე, ზ. შენგელია.

4. **ჯეზვე** (ყავის მადუღარა). საინვენტარო №22759/2 (სურ. 4). სიმ. 7,8 სმ. პ.დმ. 6 სმ. სახელური 27 სმ. პატარა ზომის, გრძელი ტუჩით, გრეხილი სახელური ბოლოში გადაღუნული. შეძენილია 1985 წ. ხელვაჩაურის რაიონის სოფ. თხილნარში მცხოვრები ხ. კარანაძისაგან.

5. **ტაშტი** (ხელსაბანი). საინვენტარო № 21295/2 (სურ. 5). მრგვალი, პატარა ზომის, ყვითელი ფერის, პირგადაშლილი. სიმ. 6 სმ. პ. დმ. 19 სმ. 1978 წ. შეძენილია მოქალაქე ნ. ფილიპოვისაგან (ქ. ბათუმი, ბარათაშვილის ქ. ნ.18)

6. **ტაშტი** (ლეგენი). საინვენტარო № 20135 (სურ. 6). ხელსაბანი, მრგვალი ფორმის, ღია ფერის, პირგადაშლილი, დახვრეტილი სახურავით, ფსკერზე დამღით – „T. K“. მონიკელებული სპილენძი, ბაგრატ ხალვაშის ოჯახიდან მუზეუმს საჩუქრად გადასცა მეცნიერ მუშკმა გ. ახვლედიანმა 1975 წ. პ.დმ. 38 სმ, სიმაღლე 8 სმ.

7. **თუნგი** (გუგუმი). საინვენტარო № 22827/54 (სურ. 7). ძირი ფართო, ყელი გამოყვანილი, ღია ფერის წყლის სადინარით, სახურავით, ოვალური სახელურით. მუზეუმში შემოსულია 1986 წ. სამეცნიერო ექსპედიციის მიერ, ჩაქვის და კინტრიშის ხეობის სოფლებში, ექსპედიციის ხელმძღვანელი მ. ქაჯაია. წევრები: ა. დავითაძე, ნ. შერვაშიძე, ნ. ჟამიერაშვილი, ექსპონატი შემოვიდა ქობულეთის რაიონის სოფ. ჩაისუბანში მცხოვრებ გ. კუდბას ოჯახიდან. ზომა: სიმაღლე 23 სმ. პ.დმ. 6 სმ.

8. **საინი** (თეფში). საინვენტარო № 22837/14 (სურ. 8). ღრმა, გადაკეცილი ზედაპირით, ფსკერზე წრიული ზოლით. სიმაღლე 4,5 სმ., პ.დმ. 23 სმ., შეძენილია ხულოს რაიონის სოფ. ხიხაძირში მცხოვრებ გულნარა გაბაიძისაგან. 1986 წ. სამეცნიერო ექსპედიციის მიერ. ხელმძღვანელი ო. ცეცხლაძე, წევრები: დ. წულაია, ნ. შერვაშიძე.

ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ხ., აჭარის სახელმწიფო მუზეუმის გზამკვლევი, ბათუმი, 1975
2. ახვლედიანი ხ., აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 1975 წლის კომპლექსური ექსპედიციის მასალები.
3. კახიძე ნ., სამჭედლო ხელოსნობა. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IX, თბ., 1981
4. კახიძე ნ., სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში და მოსახლეობის საწარმოო და საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XIV, თბ., 1987

სურ. 1. ქვაბი

სურ. 2. კოკა

სურ. 3. თასი (ბადია)

სურ. 4. ყავის სადუღარა (ჯეზვე)

სურ. 5. ტაშტი (ხელსაბანი)

სურ. 6. ტაშტი (ლეგენი)

სურ. 7. თუნგი (გუგუმი)

სურ. 8. საინი (თეფში)

ნანა ძორიძე

კავკასიური მხატვრული ბრინჯაო

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და რთული პერიოდია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა. ძვ.წ. II–I ათასწლეულის მიჯნაზე. ბრინჯაოს მეტალურგია ამიერკავკასიაში განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს და მხატვრულად დამუშავებული ლითონის წარმოების არსებობა საყოველთაო ხასიათს ღებულობს. შესრულების მაღალი დონე კი აშკარას ხდის პროფესიონალ-შემსრულებლებით დაკომპლექტებული სახელოსნოების არსებობას (წერეთელი, 2008:29)

დადგენილია, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა მეტალურგიის სამი ძირითადი მძლავრი კერა: ჭოროხის აუზი, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი. ამის გარდა, ივარაუდება წვრილი მეტალურგიული კერების არსებობაც (ლორთქიფანიძე, 1972:17)

გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხ მელითონეთა ნაწარმი ძალზე მრავალრიცხოვანია და გასაოცრად მრავალფეროვანი: საომარი, სამეურნეო-სარიტუალო ცულები (ე.წ. კოლხური ცულები), სამიწათმოქმედო იარაღები (თოხი, წალდი, ნამგალი), საბრძოლო იარაღის აღჭურვილობა ე.წ. „სეგმენტური იარაღი“ (სატევრები, შუბისპირები, ჩაფხუტი), ტანისამოსთან დაკავშირებული საგნები (ბალთები, მშვილდსაკიდები, ქინძისთავები) მრავალრიცხოვანი სამკაული (სამაჯურები, მძივები, ზინზილაკები, საკიდები), მაღალი ოსტატობით შექმნილი მცირე ზომის ადამიანთა ქანდაკებები, ცხოველთა, ფრინველთა გამოსახულებანი და მრავალი სხვა. სწორედ ეს მრავალფეროვანი ლითონის ნაწარმი განსაზღვრავს ძირითადად კოლხური ბრინჯაოს კულტურის სახეს (ლორთქიფანიძე, 1972:19-20). ბრინჯაოს სამკაულებიდან ფართოდაა გავრცელებული სამაჯურები, ქინძისთავები, ფეხის მრგვალი მასიური საკანჭე რგოლები, ზოგჯერ გრავირებული გეომეტრიული და ცხოველთა ორნამენტებით შემკული, რომლებიც განეკუთვნებიან ყუბანურ კულტურას. (Доманский, 1984:58). ძველი კავკასიის მხატვრული კულტურის თემატიკაში წამყვან როლს ასრულებს ცხოველთა გამოსახულება. აღნიშნული ეპოქის სახვითი ხელოვნების ძეგლების შესწავლა ავლენს განსაკუთრებულ სტილს ცხოველთა გამოსახულებებში, რომელსაც „კავკასიურს“ უწოდებენ. ამ გარემოებას უდაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს სახვითი ხელოვნების საერთო ისტორიისათვის (ამირანაშვილი, 1961:32).

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ძეგლებზე ცხოველთა გრავირებული სახეები ოსტატურადაა შერწყმული გეომეტრიულ ორნამენტთან. ამასთან ერთად დამახასიათებელია გამოსახულებისა და მისთვის განკუთვნილი კადრის ურთიერთშეთავსება, რაც ძველი კოლხური გრაფიკული ხელოვნების თავისებურად და მხატვრული სტილიზაციის ერთ-ერთ ძირითად სახედაა აღიარებული. მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ძველი კოლხური სახვითი ხელოვნება გამოსახულების შესრულების მანერითა და, ზოგჯერ შინაარსითაც ძალიან ახლო მსგავსებას ამჟღავნებს ჩრდილოეთ კავკასიის ე.წ. ყობანურ კულტურასთან. ზოგიერთი მკვლევარი ადრეკოლხური სახვითი ხელოვნების საწყისებს ყობანურ კულტურაშიც კი ეძებდა, მაგრამ დღეს უკვე აღიარებულია, რომ ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი ცული, კოლხური ცულის ვარიანტს წარმოადგენს.

ბრინჯაოს კოლხური ცული გრავირებულ ორნამენტთან ერთად ხშირად შემკულია ცხოველთა პლასტიკური გამოსახულებებითაც, უპირატესად გვიან ეტაპზე (ძვ.წ. I ათასწლეულის I მეოთხედში). ძირითადად გამოყენებულია ორი ხერხი. ერთ შემთხვევაში ცხოველი (იგი მიჩნეულია ჯიქის გამოსახულებად) მოცემულია მუცლის ქვეშ მოკეცილი ფეხით. მეორე შემთხვევაში ცხოველის ქანდაკება ცულის ყუაზე მთელი ტანითაა აღმართული. გვხვდება ცხენის, ხარის, ირმის და ძაღლის გამოსახულებანი. რომლის ანალოგებიც გამოსახულია აჭარის მუზეუმში დაცულ გრავირებულ ცულებზე.

იმისათვის, რომ შესაძლებელი სისრულით წარმოვადგინოთ კოლხური ლითონის ნაწარმი გრაფიკული თუ მხატვრულ-სტილისტური სახით, აუცილებელია გავარჩიოთ საერთოდ კავკასიური ხელოვნებისა და, კერძოდ, მისი შემადგენელი ნაწილის, კოლხური ხელოვნების მხატვრული ხელოსნობის

ძეგლებისათვის დამახასიათებელი სტილი (ფანცხავა, 1988:12).

კავკასიის ხელოვნებამ, კერძოდ კი ე. წ. ცხოველურმა სტილმა, მეცნიერთა ყურადღება გასული საუკუნიდან მიიქცია. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რ. ვირხოვის შეხედულებას, რომ კავკასიის უძველეს ხელოვნებაში მხოლოდ ადგილობრივი ფაუნისათვის დამახასიათებელი ცხოველებია გამოყენებული, შესაძლებელია დავუშვათ, რომ აჭარის მუზეუმში დაცული საკანჭე რგოლი და მასზე, სავარაუდოდ, ჯიქის გამოსახულებად მიჩნეული ცხოველი საქართველოს ტყეების და ველის უძველესი ბინადარი ყოფილა.

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ძეგლებზე ცხოველთა გრავირებული სახეები ოსტატურადაა შერწყმული გეომეტრიულ ორნამენტებთან. ამასთან ერთად დამახასიათებელია გამოსახულებისა და მისთვის განკუთვნილი კადრის ურთიერთშეთავსება, რაც ძველი კოლხური გრაფიკული ხელოვნების თავისებურად და მხატვრული სტილიზაციის ერთ-ერთ ძირითად სახედაა აღიარებული. მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ძველი კოლხური სახვითი ხელოვნება გამოსახულების შესრულების მანერითა და ზოგჯერ შინაარსითაც, ძალიან ახლო მსგავსებას ამჟღავნებს ჩრდილოეთ კავკასიის ე.წ. ყობანურ კულტურასთან. ამასთან ერთად გრავირებული ცხოველური და გეომეტრიული სახეებით მორთულია ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც უცხოა ყობანური კულტურისათვის და პირიქით, ტიპიურია კოლხურისათვის (მაგ. ცულების ზოგიერთი სახეობა, შუბისპირები).

აღსანიშნავია ის საოცარი სტილისტური და ტიპოლოგიური ერთიანობაც, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების კოლხურ ბრინჯაოს ნივთებზე (ცულები, სატევრები, შუბისპირები, სარტყელები, მასიური რგოლები, მშვილდსაკინძეები, ქინძისთავები და სხვა). ყველას ამკობს ერთი წესით (გრავირებით) შესრულებული ცხოველური სახეები, თუ საერთო ტიპოლოგიური იერის გეომეტრიული დეკორი, რომელსაც კოლხური სახვითი ხელოვნება დიდხანს შემოინახავს, კერძოდ ანტიკურ ხანაშიც - ბერძნულ კულტურასთან ურთიერთობის ეპოქაშიც (ლორთქიფანიძე, 1972:20-21).

კოლხური „გრაფიკული“ სტილისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხელოსნობის ძეგლებზე ცხოველები ყოველთვის მოძრაობაშია გადმოცემული. თავი წინაა წაგრძელებული, მუცელი ძალზე დაწვრილებული, ხოლო გავა აწეული. წინა ფეხები შიგნით აქვთ შებრუნებული, ცხოველის თათები ან სამკუთხა ჩლიქით არის გამოსახული, ან სამკუთხა ფარფლებით. ცხოველთა გადმოცემაში იგრძნობა სტილიზაცია, რომელიც ზოგჯერ ისე შორსაა წასული, რომ ცხოველის ამოცნობა შეუძლებელი ხდება.

ბრინჯაოს რგოლები ფართოდაა გავრცელებული კოლხურ–ყობანურ და ცენტრალურ ამიერკავკასიურ კულტურაში. მათი დანიშნულება ზუსტად ჯერ კიდევ არაა გარკვეული. მათ საწვივე რგოლებსაც უწოდებენ. გვხვდება, როგორც განძებში, ასევე სამარხეულ კომპლექსებში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან მსგავსი ნივთები იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნებიან (კახიძე, მამულაძე, 2007:231).

აჭარის მუზეუმის მასიურ რგოლზე გამოსახული ჯიქის ფიგურა, ირგვლივ გეომეტრიული ფიგურებით, წარმოადგენს კოლხური კულტურის იშვიათ ნიმუშს. იგი მუზეუმში შემოვიდა 1954 წ. მუზეუმის მეცნიერ-მუშაკების შ. რუხაძისა და ა. ნიკოლაიშვილისაგან. რგოლის დაბოლოებაზე მკაფიოდ ჩანს ცხოველის გრავირებული გამოსახულება, სავარაუდოდ ჯიქის. ახასიათებს ნახტომისებური ფორმა, მომცრო და მომრგვალებული თავი, ფართედ დაღებული ხახა და დიდრონი თვალებით, მოგრძო სხეული ოვალური ტანით, რომელიც მთლიანად დაფარულია დაქანებული ხაზებით, შტრიხებით; წვრილი წაგრძელებული კისერი და ღია პირი; წაწვეტებული ყურები; წინ მიმართული ფეხები ნახტომისებურ მდგომარეობაშია; ელასტიურად შეკეცილ კიდურებს ფარფლის ფორმა აქვს. მომცრო, მომრგვალებულ თავს ახასიათებს ფართედ დაღებული ხახა და დიდრონი თვალები. სხეული მოგრძოა, კუდის ნაწილი არ არის დაცული.

ბრინჯაოს მასიური რგოლის დაბოლოებაზე გრავირებულია ცხოველის გამოსახულება თავისი აგებულებით (ტანი, თავი,

ფეხები, ბრჭყალები) მტაცებელთა იმ ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს, რომლებიც კატისებრთა ოჯახის სახელითაა ცნობილი. სახელდობრ თუ რა ცხოველა, სტილიზაციისა და ნივთის დაზიანების გამო, ძნელდება დაზუსტება, მაგრამ სავარაუდოა იგი ჯიქი იყოს.

ჯიქი საქართველოს ტყეებისა და ველის უძველესი ბინადარი ყოფილა და მას იცნობდნენ ჩვენი წინაპარები. არა ერთი და ორი წერილი მიეძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ ცხოველთა სამყაროს, კერძოდ ფართო მსჯელობის საგანი გახდა რუსთაველის პოემის „ჯიქი“ და „ვეფხვი“. სარგის ცაიშვილი მრავალ მასალას აქვეყნებს იმასთან დაკავშირებით, რომ ვეფხვი სწორედ ხალებიან ცხოველად, ანუ ლეოპარდად ჰყავდათ წარმოდგენილი ძველ მწიგნობრებს. თეიმურაზ ბაგრატიონი, როგორც ს. ცაიშვილი მიუთითებს, „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებაში აღნიშნავს, რომ ჯიქი - ტიგრი, რომელიც სასტიკი ცხოველი არის, მხეცთაგანი, საქართველოშიც იპოვება. ჯიქი ქართული სახელი არისო - რომ „ჯიქი“ და „ვეფხვი“ სხვადასხვად მიაჩნიათ, ეს კარგად ჩანს მე-11 საუკუნის ქართული მემატიანის ლეონტი მროველის სიტყვებიდან: „მაშინ მირვან გადახდა ცხენისგან და მივიდა კართა მათ შინა, ვითარცა ჯიქი სიფიცხითა, ვითარცა ვეფხვი სიმხნითა, ვითარცა ლომი ზახილითა“.

ს. ცაიშვილის მიხედვით: „პირველ ხანებში „ტიგრის“ აღსანიშნავად შემოუღიათ ტერმინი „ვიგრ“. ძველ ქართულ მატიანეში ნათქვამია, რომ ვახტანგს ფარზე ვიგრის ტყავი ჰქონდა გადაკრული. გიორგი ათონელიც ბერძნულ „ტიგრის“ ვიგრის სახელწოდებით თარგმნის, მაგრამ უკვე ამ დროიდან თანდათან „ტიგრის“ შესატყვისად მკვიდრდება „ჯიქი“, თავისი წერილის დასკვნით ნაწილში მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ეს ტერმინები წარმოდგენილია ძველი ქართულის კვალობაზე. „ჯიქი“ არის იგივე, რაც ბერძნული „ტიგრი“, ხოლო „ვეფხის“ შესატყვისია ბერძნული „პარდალის“ ლათინური „ლეოპარდუს“ და ა.შ.

საბა სულხან ორბელიანს თავის ლექსიკონში აღნიშნული აქვს, რომ „ჯიქი” ვეფხვს ჰგავს, უდიდეს, რომელსა სპარსნი ბაბრს უწოდებენ. სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაში, რომლის მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, ვკითხულობთ: „Барс закавказский - ჯიქი ამიერკავკასიური“. ჩვენი სპეციალური კვლევის საგანი არ არის, საერთოდ კატისებრი ოჯახის წარმომადგენელთა „ვინაობის“ გარკვევა, მაგრამ, როგორც დავინახეთ ჯიქი ჩვენი ქვეყნისათვის არ ყოფილა და არ არის უცხო. მას უძველეს დროში უცხოვრია აქ, და შემდეგშიც იყო აქაური ბინადარი. ამიტომ დასაშვებია მათი გამოჩენა რგოლების გაფორმებაში. რა შინაარსის მატარებელი იყო იგი, რისთვის გაუკეთა ხელოსანმა რგოლს მსგავსი გრავირება, დაკავშირებული იყო კეთილ და სასიცოცხლო ინტერესებთან, თუ ეს მტაცებელი მაშინდელი ადამიანების ფსიქიკაზე დიდ გავლენას ახდენდა, როგორც მათთვის საშიში არსება, ძნელია თქმა. შესაძლოა, ხელოსანი ჯიქის სახით ძალის ან სიმარდის სიმბოლოს წარმოადგენდა. მაშასადამე, არც შინაარსობრივად (გაფორმების შინააარსის მხრივ) არ არის იგი უცხო ჩვენი უძველესი კულტურული სამყაროსათვის (ქორიძე, 1968:79). მით უმეტეს, ეს რგოლი საკანჭე რგოლად არის მიჩნეული, ის ამავე დროს ფეხის სიმარდის მანიშნებელი უნდა იყოს.

საკმაოდ რთულია კოლხური ლითონის ნივთებზე გამოყენებული ცხოველური სახეებისა და განსაკუთრებით დეკორატიულ-გეომეტრიული ორნამენტის რეალური შინაარსისა და აზრის ახსნა. კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს მხატვრულ აღმოჩენად სამართლიანადაა აღიარებული ორნამენტი, რომელიც ძველ ხალხთა სახვით ხელოვნებაში, განსაკუთრებით პირველყოფილი საზოგადოების კულტურის განვითარების ადრინდელ ეტაპზე, გამოხატავდა გარემომცვლელი სამყაროს უმთავრეს ელემენტებს: ცას, დედამიწას, წყალს, ხოლი მათი მეშვეობით, საერთოდ, ყოველივე სულიერს - ცხოველებს, ფრინველებს, აგრეთვე მცენარეულ გარემოს.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ორნამენტის საწყისი ელემენტები უკვე შეიცავდა საერთო მნიშვნელობის სიმბოლოებს, ხოლო დეკორატიული ორნამენტის სილამაზის შეცნობა ადამიანს, მის მიერ გამოყვანილი პირობით ნიშნების მეოხებით, ბუნების მოვლენების დამორჩილების შინაგან შემოქმედებით ძალას ანიჭე-

ბდა. კაცობრიობის ისტორიის ადრინდელმა ეტაპმა ორნამენტი შექმნა, როგორც ხელოვნების განსაზღვრული სახეობა. დღეს ჩვენთვის ნაწილობრივ გაუგებარია კონკრეტული შინაარსი იმ ნიშნებისა, ადამიანმა, რომ ააგო რიტმისა და სიმეტრიის წესების გასაოცარი დაცვით, ხოლო გეომეტრიული ნიშნებით გამოსახა თავისი პრიმიტული აბსტრაქტული განზოგადოებით. ამიტომაც ვერ ვიტყვით, თუ რას წარმოსახავდა სოფ. ხალაში აღმოჩენილი ბრინჯაოს საწვივეზე გამოსახული ჯიქის ორნამენტი. იქნებ ამ დროისათვის ამ ნიშნებს უკვე დაკარგული ჰქონდათ კიდეც პირვანდელი სიმბოლური მნიშვნელობა და ისინი მხოლოდ დეკორატიულ-ორნამენტულ ფონს ქმნიდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხურ ბრინჯაოს ნივთებზე ხშირად გამოსახული ცხოველთა სეგმენტი გარკვეულ ტოტემისტურ შეხედულებათა ანარეკლია, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ ტოტემურმა წარმომადგენლებმა დაკარგეს თავდაპირველი აზრი და მისმა ნივთიერმა გამოხატულებამაც თანდათანობით წმინდა დეკორატიული სახე მიიღო (ლორთქიფანიძე, 1972:22).

კოლხური ხელოვნების „გრაფიკული“ სტილით შესწავლილი ძეგლები საზრდოობდა ადგილობრივი უძველესი იდეებითა და სახეებით, რომელთა ფესვები კავკასიის, კერძოდ კი ქართული ტომების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში იძებნება, მაგრამ მაინც სავსებით ნათელი არ არის ფესვები იმ ორიგინალური ფორმებისა და მანერისა, რომლებმაც ხორცი შეასხეს ამ იდეებსა და იერსახეებს, თუმცა მათი კავშირი ბრინჯაოსა და წინარე ხანის კავკასიის და ჩრდილოაღმოსავლეთ ანატოლიის ხელოვნებასთან დღესაც შეიძლება მოიხაზოს,

მართალია, კოლხური კულტურის არსებობის ბოლო ეტაპისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხელოსნობის ძეგლების გრაფიკული დეკორი ეხმარება სხვა მეტნაკლებად სინქრონული კულტურების (ლურისტანი, სკვეთური, ჰალშტატი და სხვ). ხელოვნებას, მაგრამ იგი რჩება განსაკუთრებულ, თვითმყოფად, მხოლოდ დასავლეთ კავკასიისათვის დამახასიათებელ მოვლენად რკინის ხანაში (ფანცხავა, 1988:90).

ლიტერატურა

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961
2. კახიძე ა. მამულაძე შ., აჭარის მთიანეთის წინაქრისტიანულ ძეგლები. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, I, თბ., 2007
3. ლორთქიფანიძე ო., ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972
4. ფანცხავა ი., კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ., 1988
5. ქორიძე დ., კოლხური ცულები. – საბჭოთა ხელოვნება, № 10, თბ., 1968
6. ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961
7. წერეთელი მ., კოლხური სარიტუალო ცული. – ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, თეზისები, თბ.2008
8. Я. В. Доманский. Древная художественная бронза Кавказа. Москва, 1984

სურ. 1

სურ. 2

ნანა ფაღავა

მოქანდაკე სტეფანე დიმიტრის ძე ნეფედოვი - ერზია

XX საუკუნის დასაწყისი მეტად წარმატებული აღმოჩნდა ბათუმის ხელოვნების ისტორიისათვის. ამ პერიოდისათვის ბათუმში ჩამოვიდნენ ისეთი ცნობილი მხატვრები როგორიც იყვნენ ვლ. ილუშინი, პახომული, ეისნერი. 1922 წ. მათ შეუერთდა მორდველი მოქანდაკე სტეფანე ნეფედოვ–ერზია. მათი შემოქმედების ნაწილი დაცულია აჭარის მუზეუმში.

სტეფანე დიმიტრის ძე ნეფედოვი–ერზია დაიბადა 1878 წ. ციმბირის გუბერნიის სოფელ ბაევოში. მან ფსევდონიმად აიღო მორდველი ხალხის ერთერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდება - ერზი.

ბავშვობიდანვე მას გარს ერტყა მშობლიური მხარის შესანიშნავი ბუნება უღრანი ტყეები, მდინარე ბეზდნა, მისი ბორცვიანი ნაპირები. ასევე, მინდვრებისა და ქედების თვალუწვდენელი სივრცეები. ერთი ყველაზე ძლიერი ბავშვობის შთაბეჭდილება გახდა სახალხო გენიის ნაწარმოებები - ხის სახლები, მასზე გამოხატული ჩუქურთმები, ჩაცმულობა - თანასოფლელთა პიჯაკები. გასაოცარია თავისი სიმკვეთრით, სიკოხტავითა და ნათელი ფერებით. ასევე, ყველანაირი ნივთი, რომლითაც ყოველდღე სარგებლობდნენ გლეხის ქოხში: დოქები, კოვზები, სკივრი და სხვა. სტეფან ნეფედოვის ნიჭის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ძველი მორდველი ხალხის ხელოვნება.

ერზიას სკულპტურული ხელოვნებისადმი მიდრეკილება ადრე შენიშნეს, რამაც ჭაბუკი სტრაგანოვის სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელში მიიყვანა (1901-1902 წწ). შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და საერო- მოძღვრების სასწავლებელში სერგეი ვოლნუხინის სახელოსნოში (1902-1906 წწ). აქ იგი შეხვდა იტალიელ მხატვარს დანიელ ტინელოს, მისი რჩევით ერზია 1906 წელს იტალიაში გაემგზავრა, სადაც გაეცნო იქაური ოსტატების მდიდარ მემკვიდრეობას. შვიდი წელი გაატარა მორდველმა მოქანდაკემ იტალიასა და საფრანგეთში (1906-1914 წწ). 1909 წ. ის პირველად მონაწილეობს ვენეციის საერთაშორისო მხატვრულ გამოფენაში ნაშრომებით: „გასამართლებულის უკანასკნელი ღამე“ და „ავტოპორტრეტი“. მიაღწია არა მარტო წარმატებასა და ტალანტის აღიარებას, ასევე განამტკიცა მისი ხალხის ხელოვნების ავტორიტეტი საზღვარგარეთ. იტალიასა და საფრანგეთში გატარებული წლები აღმოჩნდა ხელოვნების შესანიშნავი სკოლა ახალგაზრდა ერზიასათვის, რომელიც სრულ საფუძველს იძლევა ჩავთვალოთ ის არა მხოლოდ ერთ–ერთი ყველაზე ნიჭიერ, არამედ პროფესიულად მომზადებულ მოქანდაკედ XX საუკუნის დასაწყისისათვის.

მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ერზია აგრძელებს ძირითადი თემატური ხაზის განვითარებას, რომელიც ადრეც შეინიშნებოდა მის ხელოვნებაში. ჯერ კიდევ იტალიისა და საფრანგეთის პერიოდში. ქალთა სახეები, რომელიც გამოხატავდნენ სულიერ განცდებს, პორტრეტები, სიმბოლური გამოსახულებები მე-20 სს- ის რუსულ პლასტიკაში ერთერთმა პირველმა გვიჩვენა ღირსება და სილამაზე ქალისა, შექმნა სახეები სავსე ლირიზმით ღრმა და ჭეშმარიტი გრძნობებით: „მონგოლი ქალი“, „ერზიას ქალი“, „მორველი ქალი“.

1922 წ. ერზია ჩამოდის ბათუმში.აქ მისი სიმამრი ე. იმროზი ცხოვრობდა. ცოლის და მარია ადგილობრივი თეატრის ბალერინა იყო. სარეკომენდაციო წერილით ერზიამ მიმართა მხატვარ ვლ. ილუშინს და სწორედ მან გამოუყო სტუმარს საცხოვრებელი თავის ვიწრო ბინაში.

ვლ. ილუშინმა ერზიასთან, ს. გერასიმოვთან, ა. გარიბიანთან, გ. იოჰანსონთან ერთად ბათუმში შექმნა რუსეთის მხატვართა ასოციაციის ფილიალი. ერზია მიიწვიეს ბათუმის მუშათა კლუბში ძერწვის მასწავლებლად. მაშინდელმა ბათუმის ხელისუფლებამ ერზიას დაუკვეთა ვ.ი.ლენინის ბიუსტი, რომელიც შესრულებული იყო ტუფის ქვისაგან. აღნიშნული ძეგლი 1923 წლის 1 მაისს საზეიმოდ გაიხსნა ბათუმში კომინტერნის ქუჩაზე (ახლანდელი მემედ აბაშიძისა და გამსახურდიას ქუჩების კვეთა) მდებარე პატარა სკვერში წარწერით: „ლენინს ბათუმისაგან“. აღნიშნული ძეგლი იყო პირველი, რომელიც დაიდგა ბელადის სიცოცხლეში.

ინფორმაციაც ამის თაობაზე დაიბეჭდა გაზეთში «Трудавой Батум». 1934 წელს მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ბიუსტი აღებული იქნა, ხოლო 1940 წელს გადაეცა მუზეუმს.

ერზიას ნამუშევრებმა მალე მიიპყრო საზოგადოების ყურადღებაც, მას ტექნიკურ სასწავლებელში (ყოფილი მარქსის ქუჩა №1) გამოუყვეს ფართობი სახელოსნოს გასამართავად. აქვე მოაწყო მან საცხოვრებელი ოთახიც.

ბათუმში გატარებული წლები ნაყოფიერი გამოდგა მის შემოქმედებაში. ის მოიხიბლა საქართველოს ბუნებით, გაეცნო ქართულ ტრადიციებს, ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებას. დროის მცირე მონაკვეთში მან შექმნა შ. რუსთაველის (სურ. 1) და ი. ჭავჭავაძის (სურ. 1) მარმარილოს ბიუსტები, რომლებიც 1925, 1932, 1940 წლებში გადაეცა მუზეუმს, მათ შორისაა, ასევე ხეში შესრულებული შოთას ბიუსტიც.

ბათუმის ხელისუფლებამ ერზიას მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის შეუკვეთა კ. მარქსისა და ფ. მახარაძის ბიუსტები. ბიუსტები დამზადებული იქნა მარმარილოსაგან. ისინი 1922 და 1940 წლიდან მუზეუმშია.

აღსანიშნავია, რომ ერზიამ თავის შემოქმედებაში პირველად, ბათუმში გამოიყენა ხე. ერთი ზაფხულის განმავლობაში კავკასიური კაკლისა და მუხისაგან სკულპტურული ნამუშევრების მთელი სერია შექმნა: „შ. რუსთაველი“, რომელიც მუზეუმშია 1925 წლიდან (სურ. 3), „დედობა“, „ჩურჩული“, „გედი“. აქვე მარმარილოზე გამოკვეთა მარია მროზის ბიუსტი „მსახიობის პორტრეტი“. მე-20 საუკუნის რუსულ პლასტიკაში პირველმა ერზიამ გვიჩვენა ქალის ღირსება და სილამაზე. შექმნა სახეები სავსე ლირიზმით, ღრმა და ჭეშმარიტი გრძნობებით (ამჟამად მათი ადგილსამყოფელი ცნობილი არ არის).

გაზეთის «Трудавой Батум» კორესპონდენტის ი. ცენზორის თქმით „ერზიას უდიდესმა ტალანტმა, თავდაჯერებამ „მუჟიკურმა“ სიჯიუტემ და უიშვიათესმა შრომისმოყვარეობამ მისგან შექმნა ბრწყინვალე სკულპტორი რუსი „როდენი“, რომელმაც მთელს ევროპაში გაიქუხა. დიახ, ბათუმის ცენტრში რამდენიმე წლის მანძილზე გამუდმებით, დღისით და ღამით ისმოდა ჩაქუჩის ხმა, სახელოსნოში მარმარილოს მტვრის ბუღი იდგა და მასში ამოვლებული ხელოვანი სტეფანე ერზია ახალ-ახალ ნამუშევრებს ქმნიდა“.

1926 წლის შემოდგომაზე ერზია პარიზს ეწვია, ხოლო რამდენიმე თვეში არგენტინაში გაემგზავრა. 1927 წ. ის ბუენოს-აირესშია. მან აქ სრულიად მოულოდნელად აღმოაჩინა ის რასაც ეძებდა. აი უკვე რამდენიმე წელი, ადგილობრივი წარმოების ხის მასალა, რომელთანაც იქნება დაკავშირებული მომავალში მისი შემოქმედება. ერზიამ არგენტინაში ოცი წელი დაჰყო და შექმნა ნაწარმოებები, რომლებიც შედევრებად იქნა აღიარებული.

1950 წელს ერზია სამშობლოში დაბრუნდა და გააგრძელა საქმიანობა. მან შეძლო შეენარჩუნებინა და მშობლიურ მიწაზე ჩამოეტანა თავისი ნაწარმოებები. მრავალწლიანი დაძაბული შრომის ნაყოფი, ხან აუტანლად მძიმე, მაგრამ იმავდროულად მისთვის დიდი სიხარულის მომტანი. 1954 წელს მოსკოვში მოეწყო ხელოვანის პერსონალური გამოფენა. 1957 წ. დაჯილდოებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

სკულპტორი სტეფანე ერზია გარდაიცვალა 1959 წ. 27 ნოემბერს მოსკოვში, დაკრძალულია ქ. სარანსკში. მოქანდაკე ერზიას შემოქმედების ღვაწლის პატივსაცემად მორდვეთში გახსნილი იქნა მისივე სახელობის სახვითი ხელოვნების რესპუბლიკური მუზეუმი.

ლიტერატურა

1. სურმანიძე რ., ჩვენი მორდველი მეგობარი. – ჟურნალი „მარჯი“, №1, თბ., 1993, გვ. 12
2. Сурманидзе Р. Скулптор Эрьзя и Аджария. – Советская Аджария, №231, 21.XI. Батуми, 1987
3. Знаменитые люди Мордвии – Степан Дмитревич Эрьзя. – www.erzya.by.ru



სურ. 1



სურ. 2

სურ.3

ნათელა შერვაშიძე

მუზეუმის ფონდებში დაცული ხელნაწერები

მუზეუმი თავის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ამოცანებს ახორციელებს ნივთიერი დოკუმენტებით, ილუსტრირებული და სხვადასხვა სახის მასალების მეშვეობით.

1939 წლამდე მუზეუმს არ გააჩნდა არცერთი ხელნაწერი. დღეისათვის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია 2000-ზე მეტი ხელნაწერი: ქართულ, რუსულ, სომხურ, სპარსულ, თურქულ, არაბულ, ფრანგულ ენებზე.

მუზეუმში დაცული ძველი ქართული ხელნაწერებიდან საყურადღებოა „ზოდიაქო – ეტლისა და ბედისწერის წიგნი“, მე-19 სს. ხელნაწერი (სურ.1); „რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (სურ.2); „ხელნაწერი ლოცვებზე“ (სურ.3), რომელიც წარმოადგენს ლოცვების კრებულს, ლოცვები ამოკრებილია სახარებიდან და ფსალმუნებიდან. წერის მანერით ირკვევა, რომ ხელნაწერი XIX საუკუნეზე ადრე არ უნდა იყოს შედგენილი. ხელნაწერთა ფონდში დაცულია ი. თაყაიშვილის „ლექსთა კრება“ (სურ. 4), ხელნაწერი მიეკუთვნება 1890 წ. და შეიცავს მოთხრობებს, ზღაპრებს, გამოცანებს, თქმულებებს, სადღეგრძელოებს და სხვა.

ძველ ქართულ ხელნაწერს მიეკუთვნება 1788 წლის სიგელ-გუჯარი – შეწირულობის წიგნი ანა დედოფლისა წმინდა გიორგის ჩხარის ეკლესიისადმი: „აჰა შენ მხნეო და ახოვანნო, ღვაწლის მძლეო შვიდწილ უძლეველო“ (სურ. 5).

მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება მე-19 სს დამლევის ქართული ხელნაწერები: მიწის ნასყიდობის საბუთები, ხელწერილები, ოქმები და ცნობები. საინტერესოა აკაკი წერეთლის ძმის დავით წერეთლის ხელნაწერები, რომლებიც 1878-1881 წწ. მუშაობდა აჭარაში. ხელნაწერები ასახავს მის სამსახურებრივ საქმიანობას. მოცემულია თურქული საბუთები, სამსახურეობრივი მიმოწერები, ანდაზები.

მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება „დედაბრული ხელნაწერი“ (სურ. 6). ხელნაწერი შედგება 3 ფურცლისაგან, პირველ ფურცელზე ძველი დედაბრულით დაწერილია არაბული ლოცვები, სიტყვები, ხოლო ორ ფურცელზე ძველი დედაბრულით დაწერილია მოკითხვის წერილი, რომელიც ნაწილობრივ იკითხება.

ხელნაწერთა ფონდში მოიპოვება სხვადასხვა საარქივო მასალები (დოკუმენტები) მათ შორის საყურადღებოა 1912 წლის საარქივო მასალები, დოკუმენტები შეეხება რუსეთის მიერ აჭარაში მცხოვრები აღა ბეგების პრივილეგიების აღიარებას (სურ. 7).

მუზეუმში დიდი ყურადღება ეთმობა ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალების შეგროვებას. თავისი არსებობის მანძილზე მუზეუმმა ზეპირსიტყვიერების საკმაოდ მდიდარი ფონდი შექმნა. შეკრებილია აჭარაში გავრცელებული ხალხური ლექსები, პოემები, ბალადები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, თქმულებები და სხვა.

მუზეუმმა დაუფასებელი ამაგი დასდო ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და შესწავლის საქმეს. მათი გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია აჭარის ეთნოგრაფიული და ფოლკლორული საკითხის მეცნიერული კვლევა. მეცნიერ თანამშრომლების მიერ შეგროვებული მასალები მეცნიერულად სანდო და კვლევისათვის ადვილად გამოყენებულია, მათ თან ერთვის კომენტარები, შენიშვნები, სიტყვათა განმარტებანი, სათანადო პირველადი ცნობები.

ეთნოლოგიური მეცნიერება დიდ ყურადღებას უთმობს სამიწათმოქმედო ტრადიციული ტექნიკისა და მასთან დაკავშირებული შრომის პროცესების შესწავლას.

ხელნაწერთა ფონდში ინახება მასალები მიწათმოქმედებისა და შესაბამისი სახვნელი იარაღების შესახებ. დაგროვილია მდიდარი ფაქტობრივი მასალა და გამოკვლევები საქართველოს მიწათმოქმედების ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხების გასაშუქებლად. საველე მუშაობის დროს აჭარის ხეობებსა და სოფლებში მოპოვებულია მასალები სახვნელი იარაღების კონსტრუქციის, მისი ცალკეული ნაწილებისათვის ხის ჯიშების გამოყენების შესახებ.

საინტერესოა ეთნო-ბოტანიკური და ეთნო-ზოოლოგიური მასალები ხალხური მედიცინისა და ხალხური მკურნალობის შესახებ; მასალები აჭარის მაღალმთიან სოფლებში გავრცელებულ მცენარეებზე;

ადგილობრივი კერძები, თქმულებები, ცრურწმენები მცენარეებზე; ბუნების მოვლენებზე; აჭარაში გავრცელებული ფრინველთა და ცხოველთა ადგილობრივი სახელები, გადმოცემები ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს შესახებ.

მუზეუმში ინახება ხელნაწერები მონოგრაფიებისა და ნარკვევების სახით, რომელიც გვაძლევს ნათელ წარმოდგენას ჩვენი კუთხის ისტორიულ წარსულზე. ქ. ბათუმში სტამბის დაარსების, ქ. ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის, სასამართლო ორგანოების, მასალები სპორტზე, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაზე.

მუზეუმი დღესაც აგრძელებს ხელნაწერთა ფონდის შევსება–გამდიდრებას ახალი მასალების შეგროვების გზით.



სურ. 1

სურ. 2



სურ. 4



სურ. 3



სურ. 5



Протоколъ.

ОСНОВАНІЕ: Предписаніе Императора ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

IX Дел. о Сост.

სურ. 7



სურ. 6

თამარ ტარიელაძე

აჭარის მუზეუმში დაცული ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენელი

კაცობრიობის ისტორიის გრძელ მანძილზე ადამიანი შეიმეცნებდა სამყაროს, აკვირდებოდა მცენარეებსა და ცხოველებს, მის გარშემო მყოფ არსებებს და აყალიბებდა თავის შეხედულებას ამა თუ იმ სახეობებზე.

ადამიანთა უმეტესობა ამფიბიებისა და ქვეწარმავლების მიმართ განიცდის ზიზღსა და შიშს. ამ ორი სახის ცხოველები ანატომიური აგებულებითა და ცხოველების ნირით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში მათ ერთად განიხილავენ. როგორც ჩანს ამის მიზეზი მდგომარეობს ამ ორი სახის ცხოველებისადმი ერთგვაროვანი დამოკიდებულებით.

დედამიწის ზედაპირზე არ არსებობს ისეთი ქვეყანა, ან კუთხე სადაც არ ყვებოდნენ ლეგენდებს და ზღაპრებს გველებზე, ბაყაყებზე და კუებზეც კი. ასე მაგალითად, ევროპის ბევრ ქვეყანაში სასარგებლო და უწყინარ გომბეშოზე ყვებიან, რომ თითქოს ის შედის ბოსტანში და ჭამს მარწყვს, იმ დროს, როდესაც ის იკვებება ჭიებით, მწერებით და მოლუსკებით. ჩრდილოეთ ამერიკაში მიაჩნიათ, რომ გომბეშოებს გააჩნიათ მაგნიტური თვისება და შეუძლიათ კომპასზე მაგნიტური ისრის გადახრა. ეს არის ხალხის ფანტაზიის ნაყოფი, რომელიც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. სინამდვილეში გომბეშოს კანზე აქვს შხამიანი ჯირკვლები, რომლებიც მას იცავს სხვა ცხოველების თავდასხმისაგან და თავდაცვის საშუალებას წარმოადგენს.

კიდევ უფრო უარესადაა საქმე გველების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ გველების 2600 სახეობიდან მხოლოდ რამდენიმეა შხამიანი. ხალხში გაბატონებულია რწმენა იმისა, რომ გაქცეულ ადამიანს შესაძლებელია დაედევნოს გველი. ამერიკელების რწმენით, როდესაც გველი მისდევს მსხვერპლს - ღებულობს ბორბლის ფორმას. ბევრი ფიქრობს, რომ ქვეწარმავლები ფლობენ გიპნოზს (Млынарский, 1967:10).

რაშია საქმე? რითაა გამოწვეული ესოდენ პოლარული რეაქციები? გულახდილად რომ ვთქვათ ის ცოდნა, რასაც სკოლის სახელმძღვანელოთი აძლევენ ბავშვებს საკმარისი არ არის. ამფიბიები და ქვეწარმავლები მაინც უცნობ სამყაროს წარმოადგენს.

ახლა ოცდამეერთე საუკუნეა. ახალგაზრდობას ცოცხალი ბუნების ასეთი ელემენტალური არცოდნა უკვე აღარ ეკადრება. ყველასათვის ანბანად უნდა იქცეს აქსიომა, რომ ყოველი ცოცხალი არსება ერთიანი ცოცხალი ბუნების განუყოფელი ნაწილია და თავის მოვალეობას ასრულებს ამ ერთიანობაში (მუსხელიშვილი,1988:29).

კავკასიის ფაუნა, რომელიც ევროპისა და აზიის ფაუნათა შორის გარდამავალ ადგილზე დგას და დიდი მრავალფეროვნებით განირჩევა, ძველთაგანვე იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. ხარკოვის უნივერსიტეტის ზოოლოგიის პროფესორი ა. მ. ნიკოლსკი XIX საუკუნის ბოლოდან დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა კავკასიის ქვეწარმავალთა და ამფიბიების შესწავლას. ამ სამუშაოების შედეგს წარმოადგენს მნიშვნელოვანი თხზულება - „კავკასიის ქვეწარმავლები და ამფიბიები“, რომელიც გამოიცა 1913 წ. მასში აღწერილია კავკასიაში მობინადრე ქვეწარმავალთა სამი რაზმის წარმომადგენლები: კუების (3 სახე), ხვლიკების (37 სახე), გველების (27 სახე), ასევე ამფიბიების ორი რაზმი - უკუდოთა (10 სახე) და კუდოსანთა (5 სახე). წიგნში დაწვრილებით აღწერილია კავკასიის რეპტილიებისა და ამფიბიების სისტემატიკური ნიშნები, მოცემულია დაკვირვებანი მათ ყოფა-ცხოვრებაზე, გეოგრაფიული გავრცელება და სხვა (მარუაშვილი, 1975:98).

საქართველოს ფარგლებში გავრცელებულია ქვეწარმავლების 42 სახეობა, რომლებიც ეკუთვნიან 4 რიგს. ესენია: ხვლიკისნაირნი, ქამელეონისნაირნი, გველები და ფარულკისრიანი კუები (ნაცვალაძე, 2004:21).

ხვლიკისნაირთა რიგში ერთიანდება 17 სახეობა. აჭარის მუზეუმში წარმოდგენილია მათი რამდენიმე სახეობა. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ხვლიკისნაირთა რიგიდან აჭარის მუზეუმში წარმოდგენილია **თითისტარა** (Anguedae). თითისტარას სხეული გველისებურად წაგრძელებულია. კანი დაფარულია წვრილი ქერცლით. სხეულის შეფერილობა დამოკიდებულია გარემო პირობებზე.

სხეულის ტემპერატურაც ასევე გარემოზეა დამოკიდებული. კბილები განლაგებულია ყბის ძვლებზე მთლიანად, მაგრამ გამოიყენება არა საღეჭად, არამედ მსხვერპლის დასაჭერად, ახასიათებს კანის ცვლა **(სურ. 5)**

ნამდვილ თითისტარას არ გააჩნია ფეხი. კანის გვერდით ნაოჭში ძნელად შესამჩნევია ყურის ხვრელი. ექვსკუთხა მბრწყინავი ქერცლები მწყობრ რიგად განლაგებულია სხეულის გვერდებზე. თავზე აქვს უფრო დიდი რქოვანი ფარები. კბილები გრძელი წვრილი და მახვილია. ენა ფართე, თხელი და ბოლოზე მცირედ ამოკვეთილია.

ახალგაზრდა თითისტარები ძალიან ლამაზებია. ზევიდან შეფერილნი არიან თეთრვერცხლისფრად, რომელსაც გასდევს შავი ფერის ერთი მსხვილი ან ორი ვიწრო ზოლი. სხეულის ქვედა ნაწილი შავია. საერთოდ თითისტარას სხეულის შეფერილობა დამოკიდებულია გარემო პირობებზე. ძნელია ორი ერთნაირი შეფერილობის ეგზემპლარის ნახვა. მდედრი და მამრი ფერით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. დიდი ეგზემპლარები აღწევენ 43 სმ-ს, საიდანაც 23 სმ კუდზე მოდის (Никольский, 1902).

მარდი ხვლიკი - აჭარაში ფართოდაა გავრცელებული (სურ. 6). აღწევს 2100 მ-დე ზღვის დონიდან. ბინადრობს, როგორც ბუნებრივ, ისე კულტურულ ლანდშაფტებში. იკვებება მცირე ზომის უხერხემლო ცხოველებით. წელიწადში ორჯერ მრავლდება. თითო ჯერზე დებს 4-14 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი გრძელდება 50-55 დღემდე. სქესობრივად მწიფდება 2 წლის ასაკში (ჯანაშვილი... 1979:80).

ხვლიკი ძალიან სწრაფად მოძრაობს და საფრთხის შემთხვევაში მოხერხებულად იმალება ქვებს შორის. ხვლიკის წინა და უკანა ფეხები მოკლეა და ხუთ-ხუთი თითით ბოლოვდება. ხვლიკის ფეხები იმდენად სუსტია, რომ ვერ სწევენ მაღლა სხეულს. ამიტომ მოძრაობის დროს ხვლიკი მარტო ფეხებს კი არ ეყრდნობა, არამედ მუცელსაც და კუდსაც. ხვლიკის თავი მოძრავად არის შეერთებული ტანთან კისრის საშუალებით.

ხვლიკის კანი მშრალია და დაფარულია რქოვანი საფარველით რომელიც კარგად იცავს სხეულს დაზიანებისაგან და წყლის აორთქლებისაგან. ეს საფარველი შედგება რქოვანი ქერცლებისაგან, რომლებიც სხეულზე კრამიტის მსგავსად არის განლაგებული. გამონაკლისია თავი და მუცელი, რომლებიც დაფარულია მსხვილი რქოვანი ფარებით. კანის ზედაპირული გარსი წელიწადში რამდენჯერმე სცილდება.

ხვლიკი მტრისაგან თავს იცავს გაქცევით. მაგრამ, თუ მტერი მას მაინც დაეწია და კუდში სტაცა პირი, კუდი წყდება და სცილდება სხეულს. სხეულის მოცილებული კუდი განაგრძობს ერთხანს მოძრაობას და მტაცებლის ყურადღებას იპყრობს, ხოლო ხვლიკი ამასობაში შველის თავს. შემდეგ ხდება კუდის დაკარგული ნაწილის აღდგენა (კობახიძე, მაჩაბელი, 1986:145).

ქამელეონისნაირთა რიგის წარმომადგენელთაგან საქართველოში გვხვდება მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი **ქამელეონი** (chameleon), რომელიც ჩვენი რესპუბლიკისათვის შემთხვევით ელემენტს წარმოადგენს. აჭარის მუზეუმში წარმოდგენილია მისი ორი ეგზემპლარი **(სურ. 1).**

ქამელეონი ცხოვრობს ხეზე, იკვებება მწერებით. მისი თვალები ისეა მოწყობილი, რომ ის ხედავს ყველა მიმართულებით. აქვს ძალიან გრძელი ენა, რითაც ძალიან მოხერხებულად იჭერს მწერს. სექტემბერ-ოქტომბერში დებს 25-40 კვერცხს. ნაშიერი იჩეკება მომდევნო წლის ივნის-ივლისში (ნაცვალაძე, 2004:21).

ამჟამად მსოფლიოში ცნობილია დაახლოებით 2600 სახეობის გველი. ამათგან შხამიანი მხოლოდ 16%-ია. საქართველოში გავრცელებულია 21 სახეობა, მათ შორის მხოლოდ ოთხია შხამიანი. ორ სახეობას აქვს შხამიანი აპარატი, მაგრამ მისი თავისებური აგებულების გამო პრაქტიკულად ისინიც უვნებელნი არიან (მუსხელიშვილი,1988:29).

გველებს კარგად აქვთ განვითარებული კბილები, რომლებითაც იკბინებიან, ან მსხვერპლს იჭერენ. ყველა კბილი თხელია და უკან გადახრილი. შხამიან გველებს აქვთ ღარიანი და მილისებური კბილები, რომლებითაც მსხვერპლს შხამავენ. გველს შხამიანი კბილები უფრო გრძელი აქვს, მაგრამ მცირე ზომის სარეზევრო კბილებიც გააჩნია, თუ კბენის დროს გველს შხამიანი კბილი მოსტყდა დაშხამვის პროცესში ჩაერთვებიან სარეზერვო შხამიანი კბილები (ჯაფოშვილი, 1987:84).

შხამიანი გველების კბილები შეერთებულია ზედა ყბაში მოთავსებულ შხამიან თოფრაკთან, თვით კბილებს კი აქვთ ხვრელი. დააჭერს თუ არა გველი კბილს, უკანასკნელი აწვება შხამიან თოფრაკს, საიდანაც გამოდის შხამი, გამოყვება კბილის ხვრელს და ჩადის ნაკბენში. შხამი ძალას ინარჩუნებს 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, შხამის მისაღებად გველებს სპეციალურად აშენებენ და შხამის მოქმედებას სწავლობენ მრავალ ავადმყოფობაზე, მათ შორის კიბოზეც (ღლონტი, 1960:91). შხამიანი გველები მსხვერპლს ელვისებურად ესხმიან თავს. ერთსა და იმავე ინდივიდს შხამიანი გველი მეორედ იშვიათად კბენს. მრავალჯერადი დაკბენისას გამომუშავდება მდგრადი იმუნიტეტი. რთულია სქესთა შორის დამოკიდებულება ქვეწარმავლებში, რაც მათ ცხოვრებაში შინაგანი განაყოფიერების წარმოშობით უნდა აიხსნას. გველებში ჩვეულებრივი მოვლენაა წყვილთა საქორწინო ცეკვა. მანამდე კი მამრები სატურნირო ბრძოლებში არკვევენ ურთიერთობებს. ჯერ ერთმანეთს შემოეკვრებიან, შემდეგ ზამბარასავით იშლებიან და რომელიც უფრო შორს გასტყორცნის თავის მოწინააღმდეგეს გამარჯვებულიც ის არის და მდედრიც მას რჩება (ასათიანი, 1987:46).

ზოგიერთი სახეობის გველები ცოცხალ შვილს შობს, ზოგი კი კვერცხს დებს. გველების უმეტესობა დადებულ კვერცხს არ უვლის და ტოვებს. წიწილები კი თავისით იჩეკებიან. არის ისეთი გველებიც რომლებიც დადებულ კვერცხებს გარს შემოეხვევიან და ათბობენ თავისი ტანით (ღლონტი, 1960:93).

ჩვენში გავრცელებული შხამიანი და უშხამო გველები გარეგნულად ერთმანეთისაგან შემდეგი უმთავრესი ნიშნებით განსხვავდებიან:

1. შხამიან გველებს თავი აქვთ სამკუთხედის ფორმის;
2. კისერი აქვთ შევიწროებული, რომელიც შესამჩნევად გამოიყოფა ტანიდან;
3. ახასიათებთ მოკლე კუდი;
4. ზურგზე შეიმჩნევა ზიგზაგური ზოლი;
5. თვალის გუგა მოთავსებული აქვთ ვერტიკალურ სიბრტყეში;
6. თავი ტანთან შედარებით დაფარული აქვთ უფრო მცირე ზომის ქერცლებით (ნაცვალაძე, 2004:21).

აჭარის მუზეუმში წარმოდგენილი ზოგიერთი ქვეწარმავლიდან აღსანიშნავია შემდეგი: **ცხვირრქოსანი გველი** (Vipera ammodytes), იგი იშვიათ და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ ცხოველებს მიეკუთვნება. შეტანილია „წითელ ზიგნში“. ეს ქვეწარმავალი გვხვდება მესხეთის და თრიალეთის ქედის მიდამოებში **(სურ.8).**

ცხვირრქოსანი გველის რამდენიმე სახეობა არსებობს. ჩვენში გავრცელებული ქვესახეობის სხეულის სიგრძე 90 სმ-ს აღწევს. მისი საცხოვრებელი ადგილებია კარგად გამთბარი ქვაღორღიანი სამხრეთისკენ და სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულების ფერდობები. შეფერილობა მოკლებულია მუქ ფერებს. მდედრები ჩვეულებრივ შეფერილი არიან რუხ ან მურა ყავისფრად. ზურგზე გასდევთ ყავისფერი ზიგზაგი. ღია რუხი ფერის მამრებს აქვთ შავი ზიგზაგი. ამიერკავკასიური ცხვირრქოსანი გველი სხვა ქვესახეობებისაგან განსხვავდება ნახატებით ზურგზე. ნაცვლად ჩვეულებრივი ზიგზაგისა მათ ზურგზე ხერხემლის გასწვრივ გასდევთ ტოლგვერდა სამკუთხედის მსგავსი ფიგურების ძეწკვი. კუდის დაბოლოება შეფერილია მოყვითალო-ლიმონისფრად, ან მოწითალო-ნარინჯისფრად. ახალგაზრდა ეგზემპლარები შეფერილობით თითქმის არ განსხვავდებიან მოზრდილებისაგან.

სეზონური აქტიურობა იწყება მარტის ბოლოს აპრილის დასაწყისში და გრძელდება სექტემბრის ბოლომდე. მაისში ხდება შეწყვილება. აგვისტო-სექტემბერში მდედრი შობს 4-დან 12-მდე წიწილას, სიგრძით 16,5 სმ-დან 18,5 სმ-მდე. ცხვირრქოსანი გველი წელიწადში ორჯერ მრავლდება. ადვილად ეგუება ტყვეობას. არის მშვიდი. აგრესიას მხოლოდ გადამრავლების პერიოდში იჩენენ მამრები.

კავკასიური ცხვირრქოსანა გველგესლას ზედა ყბის წვეროზე აქვს ზემოთ აწეული რქისებრი გამონაზარდი, რომელიც გადაფარულია წვრილი მონაცრისფრო ქერცლით. აქედან წარმოსდგება მისი სახელწოდებაც (Божанский, Кудряцев, 1997).

მცირე რიცხოვნების გამო საქართველოს „წითელ წიგნში“ შეტანილია, აგრეთვე, **კავკასიური გველგესლა** (Vipera kaznakovi Nikolsku 1910), იგივე კაზნაკოვის შხამიანი გველი (სურ. 3). იგი გვხვდება ჩაქვში,

ბათუმის მიდამოებში, ციხისძირში, კინტრიშის ნაკრძალში, ქობულეთიდან ჭოროხამდე. ვერტიკალურად აღწევს 2500 მ-მდე. გველგესლა შეიძლება იყოს, როგორც ფიგურებიანი, ასევე შავი ფერისაც (ჯანაშვილი, ცეცხლაძე..., 1979:85).

ქვეწარმავალთა რიგის წარმომადგენელია **კუ** (სურ. 7). მათ სხეული მოქცეული აქვთ ძვლოვან ჯავშანში, რომელიც შედგება ამობურცული ზურგის ბაკნი, ანუ კარაპაქსისაგან და უფრო ბრტყელი მუცლის ფარის ანუ პლასტრონისაგან. ორივე ფარი ერთმანეთთან მოძრავად ან უძრავადაა დაკავშირებული. ჯავშანს ქმნის მალების გაფართოებული წაზრდილი მორჩები და ნეკნები, აგრეთვე კანის გაძვალებანი. ლავიწი და მკერდის ძვალი შესულია მუცლის ფარის შედგენილობაში. კუების უმრავლესობას ჯავშანი დაფარული აქვთ რქოვანი ფირფიტებით, ან ფარებით, ზოგიერთებს კანით. კბილები არა აქვთ. ყბების ბოლოები დაფარულია რქოვანი შალითით. კისერი მოძრავია, აქვთ ორი ანალური ბუშტი, რომელიც წყლით ივსება და გამოიყენება დამატებითი სუნთქვის ორგანოდ (წყლის ფორმებში), აგრეთვე გრუნტის დასარბილებლად კვერცხის დების დროს. კიდურების კუნთები კარგად აქვთ განვითარებული, ტანისა კი თითქმის გამქრალია. ზურგის ტვინი უკეთესად არის განვითრებული, ვიდრე თავისა. გრძნობის ორგანოებიდან ყველაზე კარგადაა განვითარებული ყნოსვის, გემოვნებისა და შეხების ორგანოები. ტანად ყველაზე დიდებია ზღვის ფორმები.

თანამედროვე კუებს ყოფენ ოთხ ქვერიგად და 250-მდე სახეობად. საქართველოში გავრცელებულია სამი: ხმელთაშუაზღვის კუ, ჭაობის კუ და კასპიური კუ (ჯანაშვილი, 1981:45)

აჭარის მუზეუმში წარმოდგენილია ჭაობისა და ხმელთაშუაზღვის კუ. ჭაობის კუ მოიპოვება ჭოროხში, ჩაქვის მახლობელ მდინარეებში, ქობულეთის, ციხისძირის, მწვანე კონცხის, ბათუმის მიდამოებში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში. აღწევს 600 მეტრამდე ზღვის დონიდან.

წელიწადში 1–3-ჯერ მრავლდება. თითოეულ ჯერზე დებს 5-10 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი გრძელდება 2-3 თვემდე. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 6-8 წლის ასაკში (ჯანაშვილი, ცეცხლაძე..., 1979:86)

ხმელთაშუაზღვის კუს რიცხოვნობა შემცირებულია, რომელიც გამოწვეულია მისი საცხოვრებლის სამეურნეო დანიშნულებით ათვისების გამო. სახეობა შეტანილია „წითელ წიგნში“, აღნიშნული ცხოველის დაცვის მიზნით სასურველია მისი ხელოვნური მოშენება და ბუნებაში გაშვება (ყურაშვილი, 1988).

ჰერპენტოლოგიურ ფაუნას მიეკუთვნებიან ამფიბიები. ყველა ამფიბიებისათვის დამახასიათებელია, რომ ისინი მრავლდებიან და სიცოცხლეს პირველად აუცილებლად წყალში ატარებენ, ხოლო შემდეგ ხმელეთზეც. სწორედ აქედან წარმოსდგება ცხოველთა ამ კლასის სახელწოდება - ამფიბიები, რაც ორნაირ გარემოში ცხოვრებას ნიშნავს.

ამფიბიები არიან კუდიანები და უკუდოები. კუდიანი ამფიბიების გვარს მიეკუთვნება ტრიტონი (სურ. 4). ისინი შედიან სალამანდრისებრთა ოჯახში. გავრცელებულნი არიან ყველგან. ზამთარს ატარებენ ხმელეთზე – მღრღნელების ორმოებში, ხის კუნძების, მორების ან ქვების ქვეშ. ზაფხულობით გადადიან წყალსატევებში, სადაც მრავლდებიან, ახასიათებთ შინაგანი განაყოფიერება. ლარვას გარდაქმნა 3-5 თვემდე გრძელდება. იკვებებიან მცირე ზომის კიბოსნაირებით, მწერებითა და მათი მატლებით, ჭიებით. საქართველოში გვხვდება რამდენიმე სახეობა, მათ შორის მცირეაზიური ტრიტონი. იგი აღწერილია როგორც უნიკალური ქვესახეობა, რომელიც შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში (ჯანაშვილი, 1981:45).

უკუდო ამფიბიებიდან აჭარის მუზეუმში წარმოდგენილია ტბის ბაყაყი, **გომბეშო** (სურ.2) ტბის ბაყაყი გავრცელებულია წყალსატევების ახლოს. მისი შეფერილობა კარგადაა შეხამებული საარსებო გარემოს ფერებთან. ბაყაყის სხეულის ზემო მხარე მწვანეა, მომწვანო მურა ან მურა ყავისფერი, შავი ან მუქი მწვანე ლაქებით. გამრავლება ხდება წყალში (კობახიძე, მაჩაბელი, 1986).

ახალგამოჩეკილი ბაყაყი დიდხანს მიაგავს თევზს. მას აქვს თევზივით კუდი, არ აქვს ფეხები, სუნთქავს ლაყუჩებით. გაიზრდება თუ არა, კარგავს კუდს, ეზრდება

ფეხები და იწყებს სუნთქვას ფილტვებით (ღლონტი, 1960:112).

აჭარაში ტბის ბაყაყი მოიპოვება ყველგან, სადაც კი მისი არსებობისათვის ხელშემწყობი პირობებია. ზღვის დონიდან 2500 მ-მდე აღწევს. სქესობრივად მწიფდება 3 წლის ასაკში.

ჩვეულებრივი გომბეშო გვხვდება ბათუმის მიდამოებში, კინტრიშის ნაკრძალში, ქობულეთში, გოდერძის გადასასვლელზე. (ჯანაშვილი, ცეცხლაძე..., 1979:90).

ქვეწარმავლებისა და ამფიბიების მრავალი სახეობის რიცხოვნობა შესამჩნევად შემცირდა, ზოგან კი ზოგიერთი სახეობა საერთოდ გაქრა. ეს გამოწვეულია ერთის მხრივ მრავალი რაიონის სამეურნეო ათვისებით, რამაც გამოიწვია ადგილსამყოფელოების რღვევა. არანაკლები ზიანი მიაყენა მათ უშუალო დევნამ, რაც განპირობებული იყო ადამიანების მხრიდან ამცხოვლების მიმართ უკეთური დამოკიდებულებით. ზოგიერთი სახეობის რიცხოვნება და გავრცელება შემცირდა მათი უკონტროლო ჭერის გამო – შხამის მოპოვების მიზნით.

ამის გამო საქართველოში გამოიტანეს დადგენილება გველების დაცვის შესახებ, რომლის თანახმად საყოველთაოდ აკრძალულია გველების განადგურება ყველგან, გარდა დასახლებული პუნქტებისა და მათთან მიმდებარე ორკილომრტრიანი ზოლისა.

ქვეწარმავლების დაცვის ძირითადი ღონისძიება უნდა მდგომარეობდეს ადგილსამყოფელის შეძლებისდაგვარად, ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნებაში და თვით ცხოველებისადმი სათუთ დამოკიდებულებაში, მათი განადგურების ან მასობრივი ჭერის აკრძალვაში (ყურაშვილი, 1988).

ლიტერატურა

1. ასათიანი შ., საქორწინო ურთიერთობანი ნადირ–ფრინველთა შორის. – ჟურნალი მონადირე და მეთევზე, თბ., 1987
2. ბუნების კარი, თბ., 1988
3. მარუაშვილი ლ., კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1975
4. მუსხელიშვილი თ., წყეული უხსენებელი. – ბუნების კარი, თბ., 1988
5. ნაცვალაძე კ., საქართველოს ხერხემლიან ცხოველთა სამყარო, თბ., 2004
6. ღლონტი მ., უცნაური ცხოველები, ბათუმი, 1960
7. ჯანაშვილი ნ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VIII, თბ., 1981
8. კობახიძე დ., მაჩაბელი ა., ზოოლოგია, თბ., 1986
9. ჯანაშვილი ა., ცეცხლაძე პ., მესხიძე ჯ., და სხვ., აჭარის ფაუნა, ხერხემლიანები, ბათუმი, 1979
10. ჯაფოშვილი ო., ზოგი რამ ჩვენში გავრცელებულ ქვეწარმავლზე. – ჟურნალი მონადირე და მეთევზე, თბ., 1987
11. ყურაშვილი ბ., საქართველოს ცხოველთა სამყაროს დაცვა და რაციონალური გამოყენება, თბ., 1988
12. Божанский А. Кудряцев С. Рогатое Гадюка. - Природа, №2. М., 1997
13. Млынарский Мариан. Пресмыкающиеся. Варшава, 1967
14. Никольский А. М. Гады и рибы, Типография Брокгауз-Ефрона, 1902

სურ. 1. ქამელეონი

სურ. 2 გომბეშო

სურ. 3. აზნაკოვის შხამიანი გველი

სურ. 5. თითისტარა

სურ. 6.
მარდი ხვლიკი

სურ. 4.
ტრიტონი



სურ. 7. კუ

სურ. 8. ცხვირრქოსანი
გველი

ლამარა გულორდავა

დაცული ტერიტორიები აჭარაში[3]

ბუნების დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს, ქმედით საშუალებას, ბუნებრივი ანუ ადამიანის ზემოქმედებისაგან ნაკლებად შელახული ტერიტორიების დაცვა წარმოადგენს. ბუნების ცალკეული მონაკვეთებისა თუ ობიექტების შენარჩუნების მაგალითები ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდანაა ცნობილი. ძველი დროის ბუნებრივი წარმონაქმნების, გარკვეული სანახების დაცვა ძირითადად საზოგადოების რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდებოდა. მაგალითად, ძველი ბერძნები, რომაელები და კელტები უმკაცრესად იცავდნენ „წმინდა ტყეებს". მსგავსი ობიექტების კვალს დღესაც შეიძლება წავაწყდეთ ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში და სხვა. ბუნების დაცვის შესახებ სახელმწიფო კანონებიც არსებობდა, რომლებსაც ქვეყნის მმართველები გამოსცემდნენ.

საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის ისტორია საუკუნეების წინ იწყება. ჯერ კიდევ XII საუკუნეში თამარ მეფემ (1160-1213) გამოსცა სამეფო ბრძანება ზოგიერთი ტერიტორიების დასაცავად. XIII საუკუნეში საქართველოს სამეფო კარზე იყო ტყითუხუცესი, რომელსაც ებარა განსაკუთრებული დანიშნულების ტყეების დაცვისა და მოვლის საქმე. ასევე, ვახტანგ VI (1675-1737) „კანონთა კრებული" მოიხსენიებს ყორუღის ტერიტორიას, როგორც დაცვის ობიექტს – იქ აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა, ტერიტორიას კი მცველები იცავდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1756) ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" მიუთითებს კახეთში არსებულ სამეფო ნაკრძალებზე. საქართველოს მთაში არსებობდა ე. წ. „ხატის ტყეები", რომლებიც რელიგიური ნიშნით იყო მარკირებული.

უძველესი დროიდან საქართველოს ტყეები სხვადასხვა ნაწილებად იყო დაყოფილი, ასე: სამეფო, საერისთავო, საუფლისწულო, საეკლესიო, სტრატეგიული მნიშვნელობის და სხვ., სადაც იკრძალებოდა ნადირობა, ხის ჭრა, საქონლის ძოვება და გათიბვა. ეს აკრძალვები ხელს უწყობდა ნადირ-ფრინველის გამრავლებას და ტყის პირვანდელი სახით შენარჩუნებას. შეიძლება ითქვას ისინი ტიპიურ ნაკრძალებს წარმოადგენდნენ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ბუნების დაცვამ განსაკუთრებული აქტუალობა მხოლოდ ინდუსტრიული ეპოქის პირობებში მიიღო, როცა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოხდინა ფლორასა და ფაუნაზე.

საქართველოში დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბება სამეცნიერო საფუძველზე დაყრდნობით XX საუკუნის ათიანი წლებიდან, როცა 1912 წელს დაარსდა კავკასიაში პირველი – ლაგოდეხის ნაკრძალი. დღეისათვის საქართველოში 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 8 ეროვნული პარკი, 14 ბუნების ძეგლი, 12 აღკვეთილი და 2 დაცული ლანდშაფტია, რომელთა საერთო ფართობი ქვეყნის ტერიტორიის 7 %-ს შეადგენს.

1996 წელს საქართველოს პარლამეტმა, გაითვალისწინა რა ჩვენი ქვეყნის თვითმყობადი და უნიკალური ბუნებრივ-კულტურული გარემოს მნიშვნელობა, მიიღო კანონი „დაცული ტერიტორიების" სისტემის შესახებ". ეს კანონი ქმნის იურიდიულ საფუძველს დაცული ტერიტორიების დასაარსებლად, რომელთა დანიშნულებაა დაიცვას ქვეყნის ღირსშესანიშნავი ბუნებრივი გარემო და ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობა. შედეგად, საქართველოში დაკანონდა საერთაშორისო კრიტერიუმებისა და ნორმების შესატყვისი დაცული ტერიტორიების კატეგორიები და მათი ჩამოყალიბების პროცედურა, რომელიც კონსერვაციის მსოფლიო კავშირის რეკომენდაციებს ემყარება.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საქართველოში შეიძლება არსებობდეს შემდეგი სახის დაცული ტერიტორიები:

- **სახელმწიფო ნაკრძალი**. მკაცრად დაცული ტერიტორიაა, სადაც შეიძლება მხოლოდ საგანმანათლებლო კვლევები სპეციალური ნებართვით.
- **ეროვნული პარკი**. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის. ეროვნული პარკები დიდ როლს ასრულებენ ტურიზმის განვითარებაში, საერთაშორისო დონეზე საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაში.
- **ბუნების ძეგლი**. შედარებით პატარა ზომის ტერიტორია, რომელსაც განსაკუთ-

[3] ფოტოების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს.

რებული ფასეულობა ან თავისებურება აქვს. მაგალითად: მღვიმე, ხეობა, ტყის კორომები, მდინარის დელტა და სხვა.

 აღკვეთილი ტერიტორია. ამ სახის ტერიტორიაზე ნებადართულია ადამიანის ჩარევა ცხოველების ან მცენარეების სახეობების აღდგენის მიზნით. ამას გარდა დაშვებულია ცალკეული განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოხმარებაც.

 დაცული ლანდშაფტი. აქ შესაძლებელია ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარება და ტურიზმის განვითარება კონსერვაციის მიზნების ხელშესაწყობად.

საქართველო დიდი და უნიკალური ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ შენარჩუნებულია ველური ბუნების თითქმის ხელუხლებელი ფართობები. საქართველოს ფარგლებში კი განსაკუთრებული ადგილი აჭარას - სამხრეთ კოლხეთს უჭირავს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, განუმეორებელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ულამაზესი და უნიკალური ლანდშაფტებით, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების მრავალფეროვნებით.

აჭარის ბუნების უნიკალურობას პირველ რიგში რელიქტური კოლხური ფლორა, მარადმწვანე ქვეტყით დამშვენებული კოლხეთის მთისა და მთისწინეთის ტენიანი ტყეები განსაზღვრავს. პლანეტარულ გამყინვარებათა პერიოდში კოლხეთი წარმოადგენდა უძველესი მცენარეული სახეობების თავშესაფარს და მესამეული პერიოდიდან აქ მეზოფილური ტყეები უწყვეტად ხარობდა. ამასთან, თვით კოლხეთის ფარგლებში (ანუ ტუაფსედან ტრაპიზონამდე) მსოფლიო მასშტაბით ცნობილი და უნიკალური მცენარეული ტიპი – კოლხურ ტყე-ბუჩქთა ერთობა – შქერიანი, ყველაზე უხვი და მრავალფეროვანი სამხრეთ კოლხეთშია. აჭარაში წარმოდგენილი უძველეს სახეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ენდემურია. ზომიერ განედებში მარადმწვანე ფოთლოვანი მცენარეულობის მსგავსი სიუხვე მხოლოდ კანარის კუნძულებსა და იაპონიის ზოგიერთ რეგიონს ახასიათებს.

უნიკალური ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, კოლხური ტყეების ეკოსისტემების გრძელვადიანი დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოების და ბუნებრივ გარემოში ეკო-ტურისტული და რეკრეაციული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, აჭარაში შექმნილია ორი სახელმწიფო ნაკრძალი (კინტრიშის და ქობულეთის), ერთი ეროვნული პარკი (მტირალას), ერთი აღკვეთილი (ქობულეთის) და ერთი დაცული ლანდშაფტი (კინტრიშის); ასევე არსებობს დაგეგმარების პროცესში მყოფი ორი დაცული ტერიტორია: მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონა (მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია) და მაჭახელას დაცული ლანდშაფტი.

კინტრიშის ნაკრძალი კოლხური ბუნების მნიშვნელოვანი ნაწილია. ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირმა იგი შეიტანა 1990 წელს გამოცემულ მსოფლიოს ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების ერთიან სიაში. საერთაშორისო სტატუსის მიხედვით კინტრიშის ნაკრძალი მეცნიერული რეზერვატია და გამიზნულია მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს ბუნებრივი განვითარების პროცესების შენარჩუნებისათვის, სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნებისა და ბუნების მდგომარეობათა შეცვლაზე კონტროლისათვის.

კიტრიშის ნაკრძალი დაარსდა 1956 წელს. ამჟამად მას 13 893 ჰა ფართობი უჭირავს. ნაკრძალი მდებარეობს ქობულეთის რაიონში. ტერიტორია განლაგებულია მცირე აჭარის ქედზე, მდ. კინტრიშის (ხინოსწყლის) ხეობაში. ნაკრძალის ქვედა საზღვარი გადის სოფ. ცხემლოვანში ზ.დ. 450 მ-ზე, უმაღლესი წერტილი მდებარეობს ხინოს მთაზე – ზ.დ. 2 600 მ.

ნაკრძალის ტერიტორია ხასიათდება საკმაოდ ციცაბო ფერდობების მქონე მთაგორიანი რელიეფით. ვაკე ადგილები მცირეა, დასერილია მდინარეებით და ნაკადულებით, უხვადაა წყაროები და ჩანჩქერები. ძირითადი მდინარეა კინტრიში, რომლის სიგრძე 50 კმ-ს აღწევს.

სუბალპურ ზონაში ზ.დ. 2 000 მ-ზე მდებარეობს პატარა ტბები: ტბიყელი და სიძერძალი, რომელთა საერთო ფართობი 1 ჰა-ს არ აღემატება.

ნაკრძალში ძირითადად წარმოდგენილია წითელმიწა და ყომრალი ნიადაგები.

ნაკრძალის ტერიტორია მდებარეობს ნოტიო სუბტროპიკულ სარტყელში. ძაფხული თბილია, ზამთარი ზომიერად ცივი. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 3000-4000 მმ-ს. ხშირია ღრუბლიანი, წვიმიანი და ნისლიანი დღეები.

ნაკრძალის მოწყობის ძირითადი მიზანია კოლხური საშუალო მთის ტყეებ-

ის ფლორისა და ფაუნის დაცვა. ნაკრძალში ბუნების მრავალფეროვნებას განსაზღვრავს ის, რომ კოლხეთი გამყინვარების პერიოდში უძველესი მცენარეული სახეობების თავშესაფარი იყო. მცენარეულობა ზონალობის მიხედვით ასე ნაწილდება: ტყის მცენარეულობა: შერეული კოლხური ტყე, წაბლნარი, წიფლნარი, შქერიანი; სუბალპური სარტყელი: სუბალპების ტყეები, სუბალპების ბუჩქნარები, სუბალპური მაღალბალახეულობა, სუბალპების მდელოები; ალპური სარტყელი: დაბალი ბუჩქნარები, ხალიანი მდელოები, ქვანაშალების მცენარეულობა.

კინტრიშის ნაკრძალის ძირითადი, მკაცრი დაცვის ზონა მოიცავს თითქმის ხელუხლებელი კოლხური ტყით დაფარულ ტერიტორიას, რომელიც უნიკალური მერქნიანი მცენარეულობითაა წარმოდგენილი.

კინტრიშის ნაკრძალი გამოირჩევა არა მარტო კოლხეთის ფლორის უძველესი ელემენტების (პონტოს მუხა, ლიტვინოვის და მედვედევის არყი, ჰართვისის მუხა) სიმრავლით, არამედ მათი სიცოცხლის ნირითაც. პონტოს შქერის, ბზისა და ბაძგის ხისმაგვარი ფორმებისა და ოც მეტრამდე სიმაღლის წყავის ხეების მარადმწვანე იარუსი ხუთასწლოვანი უთხოვრის, წიფლის, წაბლის, ცაცხვის და რცხილის ბუმბერაზი ხეები და მათში დახლართული მძლავრი კოლხური სურო, აგრეთვე ეკალღიჭი, ღვედკეცი და კატაბარდა მცენარეულობას მეტად მდიდარ და თავისებურ იერს აძლევს. ნაკრძალის ძირითად ჯიშებს ერევა ნაძვი, თელადუმა, მურყანი, ვერხვი, ტირიფი. ქვეტყეში შემავალი ჯიშებიდან აქ გავრცელებულია იელი, ძახველი, მოცვი, მაჯაღვერი, ღვია, მაყვალი და სხვ. მაღალი სინოტივის გამო ტყეებში ხშირად გვხვდება ხეებზე ეპიფიტურად მოზარდი ხავსები, გვიმრები, ბალახოვნები და ბუჩქებიც კი. უამრავია სხვადასხვა სახის სოკო.

ალპური სარტყელი ბალახეული საფარითაა წარმოდგენილი. ხშირად ერევა შქერი, ღვია, მაჯაღვერას ბუჩქნარი.

ნაკრძალის ტერიტორია მდიდარია ნაირგვარი ბალახეული საფარით. მათ შორის აღსანიშნავია: კრაზანა, სხვადასხვა სახის გვიმრები, ქრისტესბეჭედა, მრავალძარღვა, ანწლი, ჭიაფერა, წივანა და სხვ.

კინტრიშის ნაკრძალის ბუნებას ალამაზებს გარეული ცხოველები და ფრინველები. მტაცებლებიდან აქ ბინადრობს კავკასიური მურა დათვი, მგელი, მელა, კვერნა, მაჩვი, წავი, ტყის კატა, კავკასიური დედოფალა, ჩლიქოსნებიდან – შველი, არჩვი.

მდიდარია ნაკრძალის ჰერპეტოფაუნა. აქ ბინადრობენ კუდიანი და უკუდო ამფიბიები: კავკასიური და მცირეაზიური ტრიტონები (ტბიყელში), გომბეშო, მწვანე ბაყაყი, ტყის ბაყაყი, ხის ბაყაყი (ვასაკა). ქვეწარმავლების კლასიდან გავრცელებულია მარდი ხვლიკი, მწვანე ხვლიკი, ფსვენი. გველებიდან – ანკარა, წყლის ანკარა და კაზნაკოვის შხამიანი გველი.

ნაკრძალი მდიდარია ფრინველებით, რასაც ხელს უწყობს მდიდარი ფლორა. აქ გავრცელებულია როჭო, კაკაბი, მტრედი, კოდალა, ჩხიკვი, ყორანი, კულუმბური, წვანულა, სკვინჩა, მთიულა, მინდვრის ბეღურა, დიდი წიწკანა, შაშვი, ჩხართვი, ბოლოცეცხლა, გულწითელა, ჭინჭრაქა. მტაცებელი ფრინველებიდან: ჩია არწივი, ქორი, შავარდენი, ბოლობეჭედა, მიმინო, ზარნაშო, ყურებიანი ბუ, ტყის ბუ. გადამფრენი ფრინველებიდან აღსანიშნავია ყაპყაპი, კვირიონი, ოფოფი, ქოჩორა ტოროლა, სოფლის მერცხალი, მეკირია, მწყერი, ტყის ქათამი, მედუდუკე და სხვ.

თევზებიდან ნაკრძალის მშვენებაა ანკარა წყლის თევზი – კალმახი.

კინტრიშის ნაკრძალს დიდი მნიშვნელობა აქვს წყლისა და ჰაერის რეჟიმის დაცვაში. მისი ბუნება ჭაშმარიტ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს.

ნაკრძალის ტერიტორიის მონახულება შესაძლებელია მხოლოდ საგანმანათლებლო თვალსაზრისით. აგრეთვე, შეიძლება ეკოლოგიური და ფრინველებზე დაკვირვების ტურების მოწყობა. კინტრიშის ხეობაში ტურისტები დაათვალიერებენ შუა საუკუნეების თაღოვან ხიდებს, ხინოს (XV ს.) სამონასტრო კომპლექსს.

მტირალას ეროვნული პარკი დაარსდა 2006 წლის 25 მაისს მიღებული კანონით „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ". იგი შეიქმნა უნიკალური ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, კოლხური ტყეების ეკოსისტემების ხანგრძლივი დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში ეკოტურისტული და რეკრეაციული საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

აჭარაში, მწვანე კონცხის ფერდობზე, საბჭოთა პერიოდამდეც არსებობდა უძვე-

ლესი დროიდან შემორჩენილი ხელუხლებელი, ულამაზესი კოლხური ტყის კოროში. 1912 წელს ცნობილმა გეოგრაფმა პროფესორმა ა. კრასნოვმა ამ ტერიტორიაზე დაარსა ბათუმის ბოტანიკური ბაღი. იგი დღეს მტირალას ეროვნული პარკის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს.

მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორია მოქცეულია ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტების ფარგლებში. გეოგრაფიულად იგი მიეკუთვნება აჭარა-იმერეთის ქედის უკიდურეს დასავლეთ ნაწილს – ქობულეთ-ჩაქვის ქედს. პარკი განფენილია 15 806 ჰა-ზე და მოიცავს საკმაოდ კარგად შემონახულ ტყისა და ბუჩქნარის ეკოსისტემებს.

ოროგრაფიულად ქობულეთ-ჩაქვის ქედი, სადაც პარკი ჩამოყალიბდა, აჭარას ყოფს ზღვისპირა და შიდა ნაწილებად. პარკის ტერიტორიაზე, რომელიც ძირითადად ზღვისპირა აჭარის ზონას მოიცავს, გამოიყოფა მთისწინეთის გორაკ-ბორცვიანი სარტყელი (ზ.დ. 500-600 მ.), მთის ქვედა (ზ.დ. 1000-1200 მ.), შუა (ზ.დ. 1500-1600 მ.) და ზედა (ზ.დ. 1500-1600 მეტრზე მაღლა) სარტყლები. ანაწევრებულ რელიეფურ ფორმებს შორის გამოირჩევა თვალწარმტაცი ვიწრო ხეობები და კანიონები.

პარკის ტერიტორიაზე ძირითადი ჰიდრორესურსებია მდინარეები: ჩაქვისწყალი და ყოროლისწყალი, ხოლო ქედის სამხრეთ ფერდობზე დოლოგანი, ზუნდაგისწყალი და სხვ. ბევრი მათგანი ულამაზეს ჩანჩქერებსა და ჭორომებს ქმნის. ტერიტორიაზე მრავლადაა მინერალური და მტკნარი წყაროები, რომლებიც სამკურნალო თვისებითაა გამორჩეული.

პარკის უმაღლესი წერტილია 1761 მ. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური მაჩვენებელი 2000 მ-ზე მეტია, ხოლო მთა მტირალა (ზ.დ. 1381 მ.) ყველაზე ნალექიანი ადგილია პოსტ-საბჭოთა სივრცეში. მთელი წლის მანძილზე აქ 4000 მმ-ზე მეტი ნალექი მოდის. უხვი ნალექი განაპირობებს ადგილობრივი ბიოტის უნიკალურობას. ხშირია ნისლიანი დღეები, რაც თავისებურ ელფერს ანიჭებს მარადმწვანე ქვეტყით მოცულ გაუვალ კოლხურ ტყეებს.

პარკის ძირითადი, მკაცრი დაცვის ზონა მოცავს თითქმის ხელუხლებელი კოლხური ტყით დაფარულ ტერიტორიას, რომელიც უნიკალური მერქნიანი მცენარეულობითაა წარმოდგენილი. მცენარეული საფარის ხელუხლებლობა განპირობებულია რთული რელიეფითა და ძნელად მისადგომი მდებარეობით.

პარკის ტერიტორია დღემდე რჩება კოლხეთის ცხოველთა და მცენარეთა ენდემური და რელიქტური სახეობების თავშესაფრად.

მდიდარია და მრავალფეროვანია მტირალას ეროვნული პარკის ფლორა. აქ აღრიცხულია 310 სახეობის ველურად მოზარდი მცენარე. მათ შორის რელიქტურია 67 სახეობა. ენდემურია 27 სახეობა. აქედან 17 სახეობა მხოლოდ აჭარასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გვხვდება. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი იშვიათი რელიქტური ენდემებია: პონტური მუხა, მედვედევის არყი, უნგერნის შქერი, პონტოს შქერი, ეპიგეა და სხვ.

პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულ წითელმიწებზე, ყვითელმიწებზე თუ ყომრალ ნიადაგებზე წარმოდგენილია ტყის ფიტოცენოზები, წიფლის და წაბლის დომინირებით, კოლხური ტიპის შერეულ ტყეში გვხვდება: მუხა, ცაცხვი, იფანი, მურყანი, რცხილა, ტირიფი და სხვ. ქვეტყე დაფარულია შქერიანით, რომელსაც წყავი, კოლხური ჭყორი, კოლხური ბზა და რამდენიმე ტიპის ლიანები ქმნიან.

მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიის ფაუნა (ძუძუმწოვრები, ფრინველები, ამფიბიები და რეპტილიები, თევზები) წარმოდგენილია 150-მდე სახეობით. 29 სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი, ხოლო 9 სახეობა (ღამურები: სამხრეთული ცხვირნალა და ევროპული მაჩქათელა, კავკასიური ციყვი, დიდი მყივანი არწივი, გავაზი, კავკასიური სალამანდრა, კავკასიური გველგესლა და პეპლები – აპოლონი და კავკასიური ზერინთია) საერთაშორისო წითელ ნუსხაშია შეტანილი, როგორც მსოფლიოს მასშტაბით გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი.

პარკის ტერიტორიაზე ფაუნის წარმომადგენლებიდან გვხვდება: მურა დათვი, ფოცხვერი, ტყის კატა, წავი, ტურა, მელა, მაჩვი, კვერნა, კურდღელი, ციყვი, თხუნელა, ჩლიქოსნებიდან – შველი, უფრო იშვიათად ღორი. მდინარეებში – კალმახი. ამფიბიებიდან პარკში ბინადრობენ კავკასიური სალამანდრა, მცირეაზიური ტრიტონი, ჩვეულებრივი გომბეშო, ვასაკა, მცირეაზიური და ტბის ბაყაყები. აქ გავრცელებულია ხვლიკების სამი და გველის რამდენიმე სახეობა: ჩვეულებრივი და წყლის ანკარები, სპილენძა გველი და კავკასიური გველგესლა.

ეროვნული პარკის ორნითოფაუნა საკმაოდ მდიდარია მტაცებელი ფრინველებით. აქ აღრიცხულია ჩია არწივი, კაკაჩა, ქორი, მიმინო, ირაო, მარჯანი, ზარნაშო, წრომი. სხვა ფრინველებიდან ბუდობს ხოხობი, ქედანი, რუხი ყანჩა, ყორანი, კოდალა, შაშვი, გარეული იხვი და სხვ.

მტირალას ეროვნული პარკსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ისტორიისა და კულტურის მრავალი ძეგლია წარმოდგენილი. აღსანიშნავია ჩაქვისწყლის ხეობის გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანის რკინის სადნობი ქურები, თაღოვანი ხიდები და სხვ. უძველესი ხის სახლების უნიკალური ნიმუშები, ძველი მარნების ნაშთები.

მტირალას ეროვნული პარკი გვევლინება ერთადერთ დაცულ ზონად, რომლის ბაზაზეც ეკოტურიზმის და საზღვაო ტურიზმის შეხამებაა შესაძლებელი. ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება შესანიშნავი საშუალებაა მკვლევარებისათვის, ფიტოცენოზებზე თუ ფრინველებზე დაკვირვებისათვის.

აჭარაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქობულეთის დაცული ტერიტორიები – ქობულეთის სახელწიფო ნაკრძალი და ქობულეთის აღკვეთილი, რომლებიც ცენტრალური კოლხეთის სხვა ტორფნარებთან ერთად (როგორებიცაა: იმნათი, ნაბადა, ანაკლია-ჭურია) 1996 წლიდან რამსარის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი, წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიაა.

კოლხეთი განუმეორებელი და უნიკალურია მსოფლიოში ცნობილი მესამეული პერიოდის, გამყინვარების დროინდელი სფაგნუმიან-ტორფიანი ჭაობებით. აქ გავრცელებულია მცენარეები, რომლებიც მთელი დედამიწის ზურგზე მხოლოდ საქართველოში ან კავკასიაში გვხვდება.

ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროსთან, ქ. ქობულეთის ჩრდილოეთით. ნაკრძალის ტერიტორია (331,25 ჰა) მოიცავს ქობულეთის ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ქობულეთის (ისპანი 2) ჭაობს და მიმდებარე ტყით დაფარული ფართობის ვიწრო ზოლს.

ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შეიქმნა ბუნების, ბუნებრივი რესურსების დინამიკურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოს მონიტორინგის მიზნით. ნაკრძალის შექმნის ძირითადი მიზანია აგრეთვე, მის საზღვრებში არსებული ბუნებრივი ეკოსისტემების და გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების შენარჩუნება და დაცვა.

ქობულეთის აღკვეთილი (438,75 ჰა) მოიცავს ქობულეთის ნაკრძალის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიას (ისპანი 1-ს). იგი შეიქმნა ეროვნული მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმების ველური სახეობების, სახეობათა ჯგუფების, ბიოცენოზების და არაორგანული ბუნების წარმონაქმნების შესანარჩუნებლად საჭირო ბუნებრივი პირობების დაცვის მიზნით. ქობულეთის აღკვეთილის შექმნის ძირითადი მიზანია აგრეთვე, მის საზღვრებში არსებული ბუნებრივი ეკოსისტემების და ბიოლოგიური მრავალფეროვნების აღდგენისა და დაცვის ხელშეწყობა.

ისპანი 2 კოლხეთის სფაგნუმიან-ტორფიან ჭაობებს შორის ყველაზე მეტადაა ხელუხლებელი. იგი მსოფლიოში უნიკალური, პერკოლაციური (შეღწევადი) გუმბათისებრი ჭაობია. 1996 წლიდან შეტანილია რამსარის კონვენციის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭაობების სიაში, როგორც დასასვენებელი ადგილი მიგრირებადი, მობუდარი და მოზამთრე ფრინველებისათვის. 1997 წლიდან კი ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაა. ჭაობი საზრდოობს მხოლოდ წვიმის წყლით. აქ დომინირებს ცოცხალი სფაგნუმი. წყალი სფაგნუმთან ერთად ქმნის გლუვ გუმბათს, რომელიც შემოგარენიდან 4-5 მეტრით მაღლაა წამოწეული. საოცარია ჭაობი, იგი თითქოს ტბაა ნიადაგის ზედაპირის ზემოთ, რომელსაც საბანივით ახურავს 25-45 სმ სისქის ცოცხალი სფაგნუმი, რომელიც არასოდეს არ იფარება წყლით. აქ შეხვდებით სფაგნუმის მიერ შექმნილ „ბალიშებს", სადაც იზრდება „წითელი წიგნის" ბინადარი მრავალი სახეობა, მათ შორისაა მრგვალფოთოლა დროზერა, სამეფო გვიმრა, ჯადვარი, ლიკიპოდიელა. აქ იქნა აღმოჩენილი კავკასიისათვის ახალი სახეობა – მანანა ჩვეულებრივი. ტორფზე მოზარდი მცენარეები (ჩრდილოეთის ისლი, კავკასიის და თეთრი რინხოსპორა} პაპანაქება სიცხეში ამცირებენ აორთქლების პროცესს და იცავენ ხავსს გამოშრობისაგან. ჭაობში ახლაც მიმდინარეობს

ტორფის აკუმულაციის პროცესი. მისი ასაკი 4 000 წელს ითვლის.

ორიგინალურია ისპანის და სფაგნუმიან-ტორფიანი ჭაობების და მისი განაპირა კოლხური ტყეების მცენარეულობა. აქ იზრდება კოლხეთის რელიქტური და ენდემური სახეობები, როგორებიცაა ლაფანი, იმერული და ჰართვისის მუხა, რცხილა, ქვეტყეში ხარობს – თაგვისარა, ძმერხლი, ჭყორი, კოლხური ბზა, ყვითელი დუმფარა, კოლხური დუმფარა, მწერიჭამია დროზერა, სამეფო გვიმრა, მანანა ჩვეულებრივი, ლაზური ისლი, ჩრდილოეთის ისლი.

ცხოველთა სამყაროდან ჭაობების განაპირას, არხებსა და მდინარეებში ბინადრობს უძვირფასესი წავი. ამფიბიებიდან ჩვეულებრივი და მცირეაზიური ტრიტონი, ვასაკა. ქვეწარმავლებიდან მრავლადაა ჭაობის კუ, ხვლიკები, წყლისა და ჩვეულებრივი ანკარები.

ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე და შავი ზღვის მიმდებარე აკვატორიაზე გადის ევრაზიის ზომიერი და პოლარული სარტყლებიდან აფრიკისაკენ ფრინველების გადაფრენის გზა. გაზაფხულზე და შემოდგომაზე აქ თავს იყრის უამრავი მიგრირებადი თუ მოზამთრე ფრინველი, როგორიცაა ტურუხტანები, ზღვის კაჭკაჭები, ჭოვილო, კაკაჩა, ყარყატი, ძერა და სხვა. რომელთა ნაწილი ამჟამად გადაშენების პირასაა მისული და გულმოდგინე დაცვას საჭიროებს.

ტორფიანები ინახავენ მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლებს. ისპანი 1-ში 1964 წელს სადრენაჟო არხის გათხრისას აღმოჩენილი იქნა „ისპანის" ძვ. წ. IV და III ათასწლეულის მიჯნის დროინდელი ტორფქვეშა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. აქ 5-6 ათასი წლის წინ დასახლებულა ადამიანი, მაშინ, როცა ეს ადგილი ჯერ კიდევ არ იყო დაჭაობებული.

ისპანის დაცული ტერიტორიების ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის შესართავთან, მდებარეობს შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი „ნამჭედური" და ანტიკური ეპოქის ნაქალაქარი „ფიჭვნარი".

ამრიგად, დაცული ტერიტორიების შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს, ერთის მხრივ გაგრძელდება ამ მხარის უნიკალური ბუნების დაცვისა და შესწავლის თითქმის საუკუნოვანი ტრადიცია, მეორე მხრივ ხელი შეეწყობა ბუნებრივი ფასეულობების ინტეგრირებას ტურიზმის განვითარებაში.

დაცული ტერიტორიებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ არა მხოლოდ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნების მიღწევაში, არამედ რეგიონის მდგრადი განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის საქმეში.

ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973
2. გორდელაძე ა., კინტრიშის ნაკრძალი'. ბათუმი, 1970
3. გულისაშვილი ვ. ურუშაძე თ., ბუნების დაცვის საფუძვლები, თბ., 1983
4. ეროვნული პარკის დაარსების საჭიროება და პერსპექტივა აჭარაში, თბ., 1997
5. კაჭარავა ვ., მადლი დედაბუნებისა, თბ., 1983
6. მაჭუტაძე ი., კოლხეთის ტორფიანები (ბროშურა), 2002
7. საქართველოს დაცული ტერიტორიების აწმყო და მომავალი, თბ., 1997
8. საექსკურსიო-სასაუბრო ტექსტი. აჭმ., ბათუმი, 2005
9. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ. - პარლამენტის უწყებანი №3, 1996; №1-2, 1997
10. საქართველოს კანონი „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ". საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 2006
11. საქართველოს კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ". საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №7, 1998
12. ფირცხალაიშვილი გ., მტირალას ეროვნული პარკი, თბ., 2008

მწერიჭამია დროზერა (ისპანი)

ჯადვარი (ისპანი)

თეთრი დუმფარა (ისპანი)

მალეევის წყლის კაკალი (ისპანი)

მედვედევის რამფიკარპა (ისპანი)

სფაგნუმის ხალიჩა (ისპანი)

შროშანი (ისპანი)

იელი (კინტრიში)

ბოლოკარკაზი (მტირალა)

კრასნოვის თეთრყვავილა (მტირალა)

უნგერის შქერი (მტირალა)

აჭარული ხვლიკი (მტირალა)

ნათელა ახვლედიანი

მუზეუმის ექსპოზიციაში გამოფენილი პეპლები

ბუნებაში სახეობათა მრავალფეროვნება თანდათანობით მცირდება. ბევრი წარმომადგენელი მთლიანად გაქრა ფაუნიდან, ზოგს მხოლოდ ბუნებრივ ნაკრძალში, ზოოპარკში ან მუზეუმში თუ შეხვდებით – ფიტულის ფორმით. მაგრამ დარჩენილია მრავალფეროვნება ყვავილების, ფრინველების, მსხვილი თუ წვრილი მწერებისა, რომელთა შორის განსაკუთრებული სილამაზითა და მრავალფეროვნებით პეპლები გამოირჩევა, ესენი ის მარგალიტებია მწერებს შორის, როგორც ორქიდეა ყვავილებს შორის და სამოთხის ჩიტი ფრინველებში.

მილიარდობით პეპელა გვხვდება მთელ პლანეტაზე ისინი ფრენენ მთებში თუ ველზე, ტყეებში თუ გამოქვაბულებში, სტეპებში თუ უდაბნოებში. პეპლები გამორჩეული არიან როგორც სილამაზით, ასევე თავიანთი საინტერესო ცხოვრებით. პეპლებმა ბევრი გამოჩენილი ფილოსოფოსის ყურადღებაც მიიპყრო.

ძველი ბერძნები თვლიდნენ რომ პეპლები ბუნებაში ყვავილებიდან გაჩნდნენ. ბევრი, განსაკუთრებით უძველესი პეპლების სახელები ძველი ბერძნული მითოლოგიის გმირების და ღმერთების სახელებიდან მოდის: აპოლონი, ფებ, ლაერატ, ქიბრიდა... პეპლები (hepidoptera - ბერძნულად, lipis - ქერცლი და pteron - ფრთა)

მწერების მრავალრიცხოვანი რიგი 140 000-ზე მეტი სახეობისა და სხვადასხვა ზომის არიან. ყველაზე დიდია სამხრეთ ამერიკის **ხვატარი** [Erebius (Thysania) agrippinae], რომლის ფრთების შლილი 30 სმ-ს აღწევს. საქართველოში ყველაზე დიდია **ფარშავანგთვალასებრი** (Attacidae -12-14 სმ) და **ბრამეასებრნი** (Brahmaedidae 9-10 სმ) არსებობენ ციცქნა ფორმებით (ციცქნა ჩრჩილისებრნი Stigmellida რომელთა ფრთების შლილი 3 მმ აღწევს.

ნამარხი ქერცლფრთიანები ცნობილია მხოლოდ პალეოგენური ეპოქიდან, ძირითადად ბალტიისპირა ქარვიდან.

პეპლები განეკუთვნებიან ლეპიდოპტერებს, რაც ბერძნულად ქერცლფრთიანებს ნიშნავს. ამ მწერების ფრთები და სხეული დაფარულია თხელი, ფერადოვანი ურთიერთგადამფარავი ქერცლით. მათი ფრთები ხშირად კაშკაშა ფერებით გამოირჩევა. აქვთ ორი წყვილი ფრთა, რომლებსაც ერთდროულად იქნევენ ფრენის დროს. თითქმის ყველა ქერცლფრთიანი მცენარეული საკვებით საზრდოობს. მათი პირის აპარატი ქმნის გრძელ, აპრეხილ მილს-ხორთუმს, რისი ფორმაც შეგუებულია ყვავილიდან ნექტრის ამოწუწნას. ზოგიერთ სახეობას არა აქვს პირის აპარატი და არ იკვებება.

ქერცლფრთიან ლარვებს მუხკუხა ეწოდება. მათი უმეტესობა მცენარით იკვებება.

ქერცლფრთიანების ანუ პეპლების რიგი მდიდარია სახეობებით, რომელთა შორის მრავალი, საყოველთაოდ ცნობილი მავნებელია. მიღებულია ქერცლფრთიანების დაყოფა 3 რიგად: უმდაბლესი თანაბარფრთიანები, უმაღლესი თანაბარფრთიანი და ნაირფრთიანები. ეს უკანასკნელი 70-მდე ოჯახს შეიცავს და იყოფა ძირითად ფილოგენეტიკურ შტოდ: Monotrysia და Ditrysia.

ქერცლფრთიანების საერთო მორფოლოგიურ ნიშნად პირველ რიგში ის უნდა დასახელდეს, რომ მათი სხეული ძალიან წვრილი, მტვრისებური ქერცლითაა დაფარული. იგი შეხებისას ადვილად სცილდება მწერის სხეულს. თავზე მსხვილი რთული თვალები აქვს.

ქერცლფრთიანების რიგიდან აღსანიშნავია შემდეგი ოჯახები:

1. თეთრულების ოჯახი. მაგ. კომბოსტოს თეთრულა;
2. ხვატრების ოჯახი – შემოდგომის პურეულის ხვადარი;
3. მზომელების ოჯახი – მოზამთრე მზომელა;
4. ალურების ოჯახი – ლეღვის აკურა;
5. ჩრჩილების - ჩაის რჩილი;
6. ფოთოლმხვევების ოჯახი – ნაირჭამია ფოთოლმხვევია;
7. პარკმხვევების ოჯახი რგოლური პარკმხვევი;
8. ტალღურების ოჯახი;

9.ნამდვილი აბრეშუმმხვევების – აბრეშუმის ჭია.

ამ ოჯახების მრავალი წარმომადგენელი ფართოდაა გავრცელებული საქართველოში.

კერძოდ აჭარაში და დაცულია ჩვენს მუზეუმში.

კომბოსტოს თეთრულა–ს ნაცრისფერი სხეული ბუსუსიანია (სურ. 2). მას ქინძისთავისებური ულვაშები აქვს, ფრთები თეთრი ფერისაა და წინა ფრთების წვეროზე შავი ნამგლისებური ლაქაა. ამ მწერისათვის დამახასიათებელია სქესობრივი დიმორფიზმი: მდედრ პეპელას წინა ფრთაზე ორი მრგვალი ლაქა აქვს, მამრ პეპელას ასეთი ლაქები არ გააჩნია. მამრი პეპელას გაშლილი ფრთების სიგრძეა 55 მმ. მდედრის 60 მმ.

ნამდვილი აბრეშუმმხვევების (Bombycidae) ოჯახიდან „**აბრეშუმის „ჭია“** ადამიანმა მოიშინაურა. ეს მწერი და გააუმჯობესა მისი დადებითი თვისებები (სურ. 1).

აბრეშუმის ჭიის პეპელა დიდი ზომის მწერია, ის თეთრი ფერისაა, ცოტა ხანს ცოცხლობს და არ იკვებება. დაწყვილების შემდეგ პეპელა ყრის კვერცხებს. კვერცხიდან გამოჩეკილი მატლი ხარბად იკვებება თუთის ნაზი ფოთლებით, იზრდება, ჭუპრდება და შეუდგება ცახზე (ხმელი მცენარეებით შედგენილი დასაჭუპრებელი ადგილი) პარკის ახვევას. ეს მწერი 3-4 ათასი წლის წინათ მოიშინაურეს. მას აშენებენ იმისათვის, რომ მიიღონ წვრილი და მაგარი ძაფისაგან შემდგარი აბრეშუმის პარკი.

მერქნიჭამიასებრი (Cosidae) ღამის პეპლების ოჯახი აერთიანებს 600-მდე სახეობას, გავრცელებულია თითქმის ყველა კონტინენტზე. მერქნიჭამიასებრთა მატლები მერქანში ღრღნიან გრძელ სავალებს, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვთ. მუზეუმში ორი სახეობაა დაცული. არის **სუნიანი მერქნიჭამია** (Cossus cossus) (სურ. 3) და მჟაურა, რომელიც აზიანებს ხეხილის ბაღებს (დაზიანებულ ხეს ძმრის სუნი ასდის). ორივე სახეობა გვხვდება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ამერიკული თეთრ პეპელა საქართველოში წარმოდგენილია ორი სრული გენერაციით, ხოლო იშვიათად სამით. მწერი იზამთრებს ჭუპრის ფაზაში ხის ქერქის ქვეშ, ნაპრალებში, შენობებსა და ღობეებში. გაზაფხულზე, აპრილ-მაისში პეპლები იწყებენ ფრენას, პეპელა თეთრია, ზოგჯერ მოყავისფრო წინწკლებით, გაშლილი ფრთებით მისი ზომაა 20-36 მმ. მდედრი პეპლები ფოთლის ქვედა მხარეს დებენ კვერცხებს ერთ სიბრტყეში 200-დან 2000- მდე, რომელსაც ფარავენ თეთრი ბუსუსებით. კვერცხის განვითარების ხანგრძლივობა შეადგენს 7-20 დღეს, რისთვისაც ოპტიმალური ტემპერატურაა 20-230 c, ხოლო ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 75%-ია საჭირო. მატლის განვითარება გრძელდება 30-45 დღეს, ზაფხულის ჭუპრის კი 14-20 დღეს. ახლადგამოჩეკილი მატლები კვების დაწყებასთან ერთად იწყებენ ბუდის კეთებას აბლაბუდით. ბუდეების ზომა იზრდება მატლების ზრდასთან ერთად, მეხუთე ასაკის მატლები გამოდიან ბუდეებიდან და საკვებად გადადიან მთლიან ვარჯზე. დაჭუპრების წინ მატლები აქტიურად მოძრაობენ თავშესაფრის მოსაძებნად. მატლებს ახასიათებთ 7 ხნოვანება. ზრდასრული მატლის სიგრძე 40 მმ-ს აჭარბებს. პირველი თაობის მატლები ხშირად ფოთლებშივე იჭუპრებენ. ჭუპრი მუქი შეფერილობისაა, 10-15 მმ სიგრძით. მეორე თაობა გრძელდება ივლისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის დასაწყისამდე. ამერიკული თეთრი პეპელა წარმოადგენს ინვაზიურ სახეობას, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკიდან ჯერ ევროპაში გავრცელდა, შემდეგ კავკასიაში. საქართველოში მავნე მწერი პირველად დაფიქსირდა 1976 წელს სამტრედიის რაიონში. დღეისათვის დასავლეთ საქართველოში მავნებელი გავრცელებულია თითქმის ყველგან ზღვის დონიდან 800 მ-მდე. მწერი პოლიფაგია, სახლდება ტყეებში, ბაღებსა და პარკებში. ბოლო მონაცემებით აზიანებს 600-მდე სახეობის ფოთლოვან მცენარეს, უმთავრესად თუთის ხესა და ხეხილს, მთლიანად ჭამს ფოთოლს, ხოლო ტოტებზე აბლაბუდას აბამს, წელიწადში იძლევა ორ თაობას.

ექსპოზიციაში ასევე გამოფენილია **ამერიკავკასიური ფარშავანგთვალა** (სურ. 4). ფარშავანგთვალასებრნი (Attacidae ან Saturniidae) ღამის ოჯახის პეპლებია. პეპელა სიცოცხლეს მუხლუხის სახით იწყებს, რომელიც ზრდისას სახეს სრულად იცვლის, სანამ საბოლოოდ პეპლად არ გადაიქცევა. ტანად დიდი პეპლებია, ფრთების შლილი 25 სმ-ს აღწევს. აქვთ ბუსუსებიანი, შედარებით პატარა სხეული. თითოეულ ფრთაზე თითო დიდი თვალისმაგვარი ლაქა აზის. პეპელა არ იკვებება. მატლი მსხვილია, უფრო ხშირად

მწვანე, მრავალი ბორცვითა და მეჭეჭით მოფენილი. იკვებება ხეებისა და ბუჩქების ფოთლებით. ოჯახი 1000 სახეობაა აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში 20-მდე სახეობაა ცნობილი. მავნებელია ღამის დიდი ფარშავანგთვალა, რომელიც საქართველოში ყველგან გვხვდება. იგი ნაირჭამია მწერია, აზიანებს ხეხილს.

ადმირალი (pyrameis atajanta) დღის პეპელა ნიმფალიდისებრთა ოჯახიდანაა (სურ. 5). ფრთების შლილი 5-6 სმ. წინა ფრთები ზევიდან შავია წვერზე თეთრი კოპლები და ირიბი წითელი ზოლი აქვს. უკანა ფრთებიც შავია და კიდეზე წითელი ზოლი გასდევს. დაფრინავს ივლის–სექტემბერში. გავრცელებულია ევროპასა და აზიაში, საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება.

ადმირალის მუხლუხი ბინადრობს ჭინჭარსა და ნარშავზე. კულტურულ მცენარეებს არ აზიანებს.

აპოლონი დღის პეპელაა აფროსნისებრთა ოჯახიდან. ფრთების შლილი 9 სმ-მდეა. თეთრი ფრთები შავი და წითელი რგოლებითაა მოხატული, მუხლუხი შავია, გვერდებზე წითლად დაწინწკლულია. აპოლონი ბინადრობს კლდისდუმასა და კლდისვაშლაზე. ჭუპრდება მიწაზე და თხელ პარკში. გავრცელებულია ევროპაში, კავკასიასა და სამხრეთ ციმბირში, როგორც მთიან ადგილებში ისე ველებზე. საქართველოში გვხვდება კავკასიური აპრეინი.

არაფარდი პარკხვევია (Ocneria dizpar) პეპელა ტალღურასებრთა ოჯახისაა (სურ. 6). დედალ-მამალი ერთმანეთისგან განირჩევა სიდიდით, ფერით და ულვაშების ფორმით, რისთვისაც არაფარდა (არაერთნაირი) შეარქვეს. დედალი პეპელა 1500-მდე კვერცხს დებს გროვებად შტამებზე, მსხვილ ტოტებზე და სხვა. წელიწადში ვითარდება ერთი თაობა, იზამთრებს მატლი. ა.პ. გავრცელებულია მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც. მატლი იკვებება ტყის ჯიშებისა და ხეხილის მწვანე ნაწილებით.

პეპელა **ბირკავა** ანუ ოროვანდი (სურ. 7), ფრენს მინდორ-ველებში, ჭალებში, სტეპებში. გაურბის ტყეებს. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გადამფრენი პეპელაა. სამხრეთიდან ცენტრალურ და დასავლეთ ევროპიდან მოფრინავს აპრილში და ფრინავს აქ გვიან ზაფხულამდე. ჩვენს მხარეში 1952 წლიდან გვხვდება, წარმოშობა დიდი ბრიტანეთია. თითქმის მთელ პლანეტაზე ცხოვრობს. გარდა სამხრეთ ამერიკისა. ეს არის ერთ-ერთი უძველესი სახეობა რომელიც აღმოჩენილია ირლანდიასა და ისლანდიაში. კვერცხს ტოვებს მისი სახელის მცენარეზე. მისი კვერცხი სიმაგრით გამოირჩევა. ჭუპრი სერი ან ყავისფერი, ოქროსფერი წინწკლებით. პეპელა იჩეკება 2 კვირის შემდეგ.

ფიჭვის პარკხვევია (Dendrolimus pinir) პეპლების წინაფრთები მოწითალო-მურა, ან რუხი-ყავისფერია (სურ. 8). თითოეულ ფრთაზე პატარა თეთრი, ნახევარმთვარის მსგავსი ლაქაა, კიდეებზე კლაკნილა ზოლებია. უკანა ფრთები რუხი მურაა. ფრთაგაშლილი 60-80 მმ.როცა პეპელა დაკეცილი ფრთებით ზის ფიჭვის ღეროზე ძნელად შესამჩნევია, რადგანაც ფრთების ფერი ძლიან უახლოვდება ქერქის შეფერილობას.

მატლები სხვადასხვა ფერისაა. პეპლები გამოჩნდებიან ივნის-ივლისში. დღისით განუძრევლად სხედან ტოტებზე, შებინდებისას აქტიურდებიან. კვერცხებს გროვებად დებენ ხის წიწვებზე, ღეროებზე, ტოტებზე რომლებიდანაც იჩეკებიან მატლები და აზიანებენ ახალგაზრდა წიწვებს.

მუზეუმში ასევე გამოფენილია ულამაზესი პეპელა, რომელიც ზაფხულში იშვიათად შეგხვდებათ. ქართული სახელწოდება არაა ცნობილი. თუ არ ვცდებით მას სატურნი ჰქვია, ლათინურად SATVRNIBAE – ღია ოქროსფერი (სურ. 9). ჭარბობს თეთრი ხალებით ზედა ფრთების ბოლო თითო შავი ხალით მთავრდება.

მუზეუმის ექსპოზიციაში გამოფენილია პეპელა, რომლის სახელწოდების დადგენაც ჩვენს ხელთ არსებული სამეცნიერო მასალებით ვერ ხორციელდება. იგი ვარდისფერი ლამაზი პეპელაა, გამოირჩევა თავის ფერებით და ადვილათ შეიძლება განასხვავო სხვა პეპლებისაგან. შეხვდებით მთელი ევრაზიის კონტინენტზე (სურ. 10).

პეპლების გამოფენა აჭარის მუზეუმში 1940 წლიდან იღებს სათავეს, რის შესახებას ნათლად მეტყველებს ფონდების წიგნი. პეპლები, როგორც ცნობილია რთული შესანახი ექსპონატებია და მუზეუმი ცდილობს

სახეობის აღდგენას, განახლებას და გამოფენ-ის შენარჩუნებას.

ლიტერატურა

1. კობახიძე დ., უხერხემლოთა ზოოლოგია, თბ., 1956 წ. გვ.400
2. გეგეჭკორი არნ., დედა ბუნება, თბ., 2004 წ., გვ. 320
3. დიდმანიძე ე., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, X, თბ., 1986 წ.
4. Моуха Йозеф. Бабрага, 1979
5. ქარჩხაძე გ., ოქსფორდის ილუსტრირებუ-ლი სამეცნიერო ენციკლოპედია, თბ., 2005 წ.



აბრეშუმის პარკი

სურ. 1. აბრეშუმის ჭია, მატლი და პარკი

სურ. 2. კომბოსტოს თეთრულა

სურ.4. ამიერკავკასიური ფარშავანგთვალა

სურ.3. სუნიანი მერქნიჭამია

სურ.5. ადმირალი

სურ.6. არაფარდი პარკხვევია

სურ.7. ბირკავა

სურ. 8. ფიჭვის პარკიხვევია

სურ.9. „სატურნი“

სურ.10. უცნობი პეპელა

მიხეილ ალშიბაია

ფილატელია – ბათუმის ფოსტის საიდუმლო (ბრიტანული ოკუპაცია 1919-1920 წლებში და მის დროს გამოშვებული მარკები)

ბრიტანული ოკუპაცია და მის დროს გამოშვებული მარკები ძალიან საინტერესო ეპიზოდია ქ. ბათუმის ისტორიაში.

1918 წელს ბათუმი დაიკავეს თურქებმა, რომლებმაც წლის ბოლომდე შეძლეს აქ გაჩერება. ამ დროის საფოსტო მოწმობაა 1916-1918 წლების „გამოყენებული“[4] თურქული მარკები, რომელზეც არაბული „ხვეული“ წარწერთ მოცემულია სიტყვა „ბათუმი“ – თარიღითა და ნომრით (1-დან - 4-მდე).

ასეთი „გამოყენებული“ მარკები უმეტესად გვხვდება ფილატელისტური კონვერტებიდან და ღია ბარათებიდან „ამონაჭრებზე“. 1918 წლის 25 დეკემბერს 2000-იანი ინგლისური არმია შემოვიდა ბათუმის ოლქში, ოლქი გამოცხადდა ბრიტანიის იმპერიის სამხედრო პროტექტორად, ბრიგადის გენერლის კუკ-კოლისის მეთაურობით. 1918 წლის 31 დეკემბერს თურქულმა არმიამ საბოლოოდ დატოვა ბათუმი და მისი შემოგარეთი. ასე, რომ 1919 წლის 1 იანვრიდან დაიწყო ბრიტანული ოკუპაცია (თუმცა ბათუმი შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში), რომელიც გრძელდებოდა 1920 წლის 7 ივლისამდე.

როგორ მდგომარეობაში დახვდა ინგლისელებს ბათუმის ფოსტა? თურქული ოკუპაციის წინ მთელი საფოსტო მარაგი, საფოსტო მარკების, კონვერტების და შტემპელების ჩათვლით, გადაიტანეს ქუთაისში. თურქული ოკუპაციის შედეგად კი დარჩა კონვერტები და მელანი. ამიტომაც, თავდაპირველად საფოსტო გზავნილების დამუშვება ხდებოდა ძალზე უცნაურად, დამზადდა სპეციალური „პოჩტმეისტერული“ სწორკუთხა ფორმის შტემპელი შემდეგი ტექსტით: „ბათუმის საფოსტო-ტელეგრაფის კონტორაში, საფოსტო გადასახადების ნიშნების უქონლობის გამო, გადასახადი ამოიღება ნაღდი ფულით...“ და ა.შ. საფოსტო ჩინოვნიკი ხელით აკეთებდა ფრანკირებას (15 დან 50 კაპიკამდე გზავნილის წონისა და მისამართის შესაბამისად) და აწერდა ხელს (ილ.2) კონვერტების უქონლობის გამო მოიხმარებოდა გადმობრუნებული თურქული კონვერტები, რომელზეც ტექსტი იყო არაბულ და ფრანგულ ენებზე. ბუნებრივია ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, ამიტომაც ინგლისელებმა გადაწყვიტეს გამოეშვათ სპეციალური მარკები ბათუმის ფოსტისათვის. საფოსტო ემისიის განხორციელების ფუნქცია გადაეცა ადგილობრივ მუნიციპალურ ხელისუფლებას. ბათუმის ფოსტის პირველი მარკა გამოვიდა 1919 წლის 4 აპრილს. ეს იყო უბრალო მაგრამ ეფექტური დიზაინის მარკა, ეგზოტიკური ხის – ალოეს (ან პალმა, როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ) გამოსახულებით წრეში, მარკის ზედა ნაწილში ვიწრო ლენტზე იყო წარწერა „ბათუმის ფოსტა“, ხოლო ქვემოთ – ნომინალი. გამოშვებულია ექვსი სხვადასხვა ფერის ნომინალი. „კაპიკიანი“ და „რუბლიანი“ ნომინილების დიზანს შორის მცირე განსხვავებაა (ილ.3 ა, ბ) ბათუმის მარკების დიზაინის შემმუშავებელი მხატვრის სახელი დღემდე უცნობია.

პირველი ტიპის ბათუმური მარკების გამოშვების შემდეგ, გამოუშვეს მეორე ტიპი მარკებისა, რომელიც წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ძველი მარკების ანაბეჭდს რეზინის შტემპელით: «Батум. Обл. \ Руб 10 Руб.». ანაბეჭდები შესრულებული იყო რუსეთის იმპერიის სტანდარტულ მარკებზე (ორთავიანი არწივი) ნომინალით: 1 კ. 3 ფ. კბილანით, 5 კ. 7/16 კ. კბილანიანი. მარკები ჩამოართვეს ბათუმის კომერციულ დაწესებულებებს. ეს გახლავთ ე.წ. ბათუმის ფოსტის მეორე ტიპის მარკები (ილ. 4. ა,ბ,ვ). მარკების გამოშვებაზე დაწესებული იყო მკაცრი კონტროლი ხელისუფლებასა და ადმინისტრაციის მიერ. ყველა შემთხვევითი დეფექტიანი ნადგურდებოდა მაშინვე

---

[4] ორიგინალში მითითებულია „гашеная марка“. ეს სპეციფიკური – დარგობრივი ტერმინია, რომელიც გულისხმობს შტემპელიან მარკას, რომელიც უკვე გამოყენებულია და მას მეორედ ვერ გამოიყენებ, რადგანაც უკვე აზის ერთხელ გამოყენების დამადასტურებელი შტემპელი თარიღით. აღნიშნული რუსული ტერმინის ქართულ შესატყვისად შევარჩიეთ სიტყვა „გამოყენებული“ („гашеная марка“). უკეთესი შესატყვისის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.

დამზადების პროცესში. ჩემს კოლექციაში არის პირველი გამოშვების 10 კაპიკიანი მარკების ფურცელი (ულტრამალინის ფერის მინაბეჭდის გარეშე) ფურცლის ცენტრში აკურატულადაა ამოჭრილი ერთი მარკა - რაც მოწმობს რომ დეფექტიანი მარკა განადგურდა (ილ.5) მაგრამ მე მაქვს მეორე ტიპის „გამოყენებული“ მარკა, გამოტოვებული „უ“ ასოთი სიტყვაში „ბატუმ“, რომელიც, რა საკვირველიც არ უნდა იყოს, შემოინახა. ასეთი დეფექტური მარკები ამ ადრეულ გამოშვებაში დიდი იშვიათობაა (ილ.6).

იმავდროულად, ანალოგიური ორსტრიქონიანი მინაბეჭდით (მეორე ტიპი), 35 კაპიკიანი ნომინალი, გამოჩნდა დაახლოებით 1900 ცალ, 3 და 4 კაპიკის ღირებულების საფოსტო ბარათზე (ილ.7). ამ ღია ბარათებს შორის არის რამდენიმე ათეული ბარათი, რომელზეც დაწებებულია 4 კაპიკიანი მარკა (78 ცალი სტანდარტული მარკით (ორთავიანი არწივი) და 46 ცალი „რომანოვების“ სერიის მარკებიდან, პეტრე 1 გამოსახულებით). ასეთი მარკები – დაუზიანებელ ბარათებზე მეორე ტიპის მინაბეჭდებით „35 კაპ“ და ბარათებიდან „გადარეცხილი“ მარკები იშვიათია ბათუმის ფოსტაში (ილ.4)

მალე, ბათუმის ფოსტის პირველი ორი ტიპის მარკის გამოშვების შემდეგ, ბრიტანული საოკუპაციო ჯარებთან ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგობა იქამდე მივიდა, რომ ბრიტანელებმა საფოსტო უწყება საკუთარ კონტროლის ქვეშ აიყვანეს, ამის შემდგომ ბათუმის მარკების გამოშვება ხდებოდა ბრიტანული არმიის კაპიტნის გოტის ზედამხედველობის ქვეშ.

1919 წ. 10 ნოემბერს გამოვიდა „ალოეს ხის“ მეორე გამოშვება, ანუ ბრიტანელი ოკუპაციის პირველი გამოშვება. თავისი დიზაინით ეს მარკები არაფრით არ განსხვავდება პირველი გამოშვებიდან თუმცა დაიბეჭდა ახალ ლითოგრაფიულ ქვებზე. ისევე როგორც პირველ გამოშვებაში, კაპიკიან და რუბლიან მარკებს შორის იყო უმნიშვნელო განსხვავება. იყო ფერთა მცირე შეცვლა, ხოლო ნომინალების რაოდენობა ავიდა რვამდე. მეორე გამოშვების ყველა მარკაზე იყო ტიპოგრაფული მინაბეჭდი ორ სტრიქონზეა: „BRITISH OCCUPATION“ ეს ე. წ. მესამე ტიპია ბათუმის მარკებისა, რომელთა დამზადებასაც, ასევე, მკაცრ კონტროლს უწევდა ბათუმის საფოსტო-სატელეგრაფო კონტორა. მინაბეჭდების გარეშე ეს მარკები არ გვხვდება (ილ.9).

ბათუმის მარკების შემდეგი გამოშვება შედგა 1919 წლის 27 ნოემბერს. ეს, ე.წ. მეოთხე და მეხუთე ტიპის მარკები, წარმოადგენს მინაბეჭდებს, რეზინის შტემპელით, რუსეთის იმპერიის ძველ მარკებზე, მეოთხე ტიპი – 4 სტრიქონიანი მინაბეჭდი. უკბილო სტანდარტულ მარკაზე (ორთავა არწივი), 3 კაპიკის ნომინალი (კაჟის ფერი წითელი), წარწერით: „BATUM OBLAC.\ P. 10 P.\ BRITISH \ OCCUPATION“. სიტყვები „BATUM“ და OBLAC“ დაბეჭდილია ერთმანეთის მიმართ 80 გრადუსიანი დახრილობით. მეხუთე ტიპი - ხუთსტრიქონიანი მინაბეჭდით: BATUM \ BRITISH \ P.15 p. \ OCCUPATION \ ОБЛ. უკბილანო მარკაზე 1 კაპიკის ნომინალი (ფორთოხლისფერი-ყვითელი) მინაბეჭდები არის სამი ფერის: შავი, წითელი, იისფერი (ფერის ეს ვარიანტი დამატებულია 1920 წელს). წითელი და იისფერი მინაბეჭდები გაკეთებულია წყალში ხსნადი მელნით. იგი ცნობილია დიდი რაოდენობის „უკუღმა ნაბეჭდებით“ და, შესაბამისად, „ტეტ–ბეშით“. მსხვილი ბლოკებისა და დიდი ფორმატის ფურცლების ანალიზი, რომელიც ჩაატარა რ. გერესმა (R.J.Ceresa) გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ საფოსტო მუშაკები, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ მის გამოშვებაზე, ნორმალურ და გადაბრუნებულ მარკებს ისე ალაგებდნენ, რომ მიეღოთ „ტეტ-ბეშთა“ მაქსიმალური რაოდენობა, ასეთი ტიპის უკუღმა ნაბეჭდი მარკების საერთო რაოდენობა 25%-ია (ილ.10).

ბათუმის ფოსტის მარკების შემდგომი გამოშვება განაპირობა სამმა თვალნათელმა მიზეზმა: 1. ადრე გამოშვებული მარკების მარაგის შემცირება (ძირითადად ისინი ხვდებოდა კოლექციონერებისა და დილერების ხელში - საფოსტო მიმოქცევა სამოქალაქო ომის პირობებში უკიდურესად შეზღუდული იყო); 2. ინფლაქცია, რომელიც ითხოვდა ნომინალების შეცვლას; 3. ახალი გამოშვების მარკებზე მომუშავე ფოსტის მუშაკებზე კონტროლის დაწესებით ცდილობდნენ შეემცირებინათ „ფილატელისტური“ ნაწარმი (გადაბრუნებული ანაბეჭდი, ტეტ–

ბეშები და ა.შ.). ამიტომაც ბოლო გამოშვებები გამოიცემოდა სპეციალური კომისიის ზედამხედველობით, რომელშიც შედიოდნენ, როგორც ადგილობრივი ფოსტის მოსამსახურეები, ასევე, ბრიტანეთის ოკუპაციის ძალთა წარმომადგენლები (როგორც ჩანს, იგივე კაპიტანი გოტი). 1920 წლის დასაწყისის გამოშვებაში იყო 25 და 50 რუბლიანი ნომინალები. დასაწყისში განხორციელდა „ექსტრემალური“ ემისია – მეოთხე ტიპის ანაბეჭდი რეზინის შტემპელით (ფილატელისტებს შორის ეს ანაბეჭდები იწოდება, როგორც «Домик»–ები) და რვა ნომინალი სტანდარტული რუსული მარკებისა. ე.წ. „მცირე“ 50 რუბლიანი წითელი ფერის მინაბეჭდი გაკეთდა შეზღუდული რაოდენობისა. (ერთ–ერთმა გამოშვებამ შეადგინა სულ 180 ეგზემპლარი). ორ ნომინალზე (მწვანე – 4 კაპიკიანი და მუქი ლურჯი – 25 კაპიკიანი, რამდენადმე იშვიათია) ანაბეჭდი გაკეთებული იყო წითელი მელნით (ილ.11). მიუხედავად მკაცრი კონტროლისა გადმობრუნებული მარკების რაოდენობა მაინც დიდი იყო. შემდგომ დამზადდა მეტალის შტემპელები მეექვსე ტიპის მინაბეჭდებისათვის. ეს ე.წ. „დიდი“ 50 და 25 რუბლიან მინაბეჭდებს ზედა ნაწილში აქვთ კამარისებური წარწერა, «батум. Обл» ქვემოთ კი ნომინალი „BRITISH OCCUPATION“ (ილ 12) მაგრამ ამ გამოშვებაშიც აღმოჩნდა გადაბრუნებული და ”ორმაგი გადაბეჭდილი” მარკები (ილ.13) ყოველივე ამას მივყავართ დასკვნამდის რომ იყო მეოთხე მიზეზი ახალი ტიპის ბათუმის მარკების გამოშვებისა თავად ბრიტანელებიც შეგნებულად ზრდიდნენ შესაძლებელი ვარიანტების რაოდენობას, რითაც ქმნიდნენ ფილატელისტიკურ რარიტეტებს, სხვაგვარად როგორ ავხსნით, რომ მეტალის შტემპელით გადაბეჭდილი 25 რუბლიანი გამოიცა მეფის მარკების 5 ნომინალი ორ ვარიანტად- შვი და ლურჯი საღებავით? დიდი 50 რუბლიანზე მეტალის შტემპელით გადაბეჭდილი 7 ნომინალი სტანდარტული მარკების, ხოლო ლურჯი საღებავით 4 კაპიკიანი მარკა რომანოვების სერიიდან (პეტრე 1 პორტრეტით ილ. 12 ბ).

ამგვარად, ბათუმის მარკების დამზადება ბრიტანეთის ოკუპაციის დროს, წარმოადგენდა თავისებურ მანკიერ წრეს. ფილატელისტიკური ”რარიტეტების” რაოდენობის გაზრდა ფოსტის კლერკების „თავისუფალი“ აქტიობის გამო, განაპირობებდა ახალი ემისიების გამოშვებას, პროცესის ”ნორმალიზაციისათვის”. ეს ახალი ემისიები, გადაიქცეოდნენ სუფთა ”ფილატელისტურ” გამოშვებად.

1920 წ.აპრილს გამოუშვეს ბათუმის ფოსტის კიდევ ორი ვარიანტი ე.წ. მეშვიდე და მერვე ტიპები. ეს იყო გადაბეჭდილი მეტალის შტემპელით 25 და 50 მან. ბათუმის ფოსტის მიერ გამოშვებულ ალოეს ხის მარკებზე. 25 მან. მინაბეჭდი გაკეთებული იყო მეორე გამოშვების ორ ნომინალზე (5 კაპ. მწვანე და 25 კაპ. ყვითელი), რომელზეც უკვე გადაბეჭდილი იყო „BRITISH /OCCUPATION“ იგი ორი სტრიქონისაგან შედგებოდა. ზედა «руб 25 лей» ქვედა „25 რუბ“ სტრიქონებს შორის მოექცა „ძველი“ მინაბეჭდი. გამოიყენეს ორი ფერის საღებავი შავი და ლურჯი. აღსანიშნავია, რომ არსებობს მინაბეჭდის ორი ვარიანტი სხვადასხვა შტემპელებით. ერთი იმათგანი გამოირჩევა შემოვლებული ზედა ჰორიზონტალური ხაზით მარჯვენა ქვედა ციფრზე 5. ასე რომ, მარკების ვარიანტების საერთო რიცხვი (7-ე ტიპი) სულ სხვაა.

50 რუბლიანი მინაბეჭდი გაკეთებულია 50 კაპიკიან ნომინალის (ყვითელი) გამოშვების ალოეს ხის მარკაზე. იგი ოთხი სტრიქონისაგან შედგება: R.50 R/BRITISH/ OCCUPATION/ руб. აქაც გვაქვს ორი ვარიანტი ფერისა შავი და ლურჯი და ორი შტემპელი. ერთერთ მათგანს 50-იანი ნომინალს აქვს დამახასიათებელი დეფექტი, რომლის შესახებ არსებობს ორი აზრი. ითვლებოდა, რომ ეს დეფექტები „ბეშტელები“ (bubblts) სახით გაკეთებულია ხელოვნურად, გაყალბებებთან ბრძოლა გაადვილებულიყო (ან მეტი „ვარიანტის“ შესაქმნელად) მეორე ჰიპოტეზის თანახმად „ბუშტელები“ ტექნიკური დეფექტის შედეგია, რომელიც შეიქმნა მეტალის შტემპელის დამზადების დროს, რამაც შემდგომში მისი შეცვლა გამოიწვია „ნორმალური“ (რეზინის) შტემპელით. ასეა თუ ისე არსებობს ამ მინაბეჭდის ოთხი ვარიანტი. მათგან ყველაზე იშვიათია - ლურჯი „დეფექტებით“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მეშვიდე და მერვე ანაბეჭდების ტიპები პრაქტიკულად არ გვხვდება „გადმობრუნებულის“ სახით ან

„ტებებებით...“, სამაგიეროდ ამ ვარიანტების გამოშვების რაოდენობა 12 (ილ.14 ა, ბ, ვ, გ). ეს ფაქტები ნაწილობრივ ამტკიცებენ ჩემს ჰიპოტეზას „მანკიერ წრეზე“, რომელიც წარმოიშვა ბათუმური მარკების დამზადების დროს.

ბათუმის მარკების უკანასკნელი გამოშვება, კიდევ ერთი ემისია მესამე ტიპისა გადაბეჭდილია BRITISH/OCCUPATION „ალოეს ხის“ ორიგინალურ მარკაზე, მაგრამ შეცვლილი ნომინალებითა და ფერებით. ამ „მესამე გამოშვებაში ალოეს ხით“ ან „მეორე გამოშვებაზე ალოეს ხით“ გადაბეჭდილი BRITISH/ OCCUPATION ცხრა „რუბლიანი“ ნომინალია (1,2,3,5,7,10,15,25,50) რაც მნიშვნელოვანი ინფლაციის რეზულტატია (ილ.15) ფურცლები, რომელიც შედგება 308 მარკიდან დაიბეჭდა ახალი ლითოგრაფიული სქემით. ამ გამოშვების მარკების საერთო ტირაჟია 2 მილიონ ეგზემპლარამდე, ისინი გამოუშვეს რამდენიმე კვირით ადრე ვიდრე ბრიტანული შენაერთები დატოვებდნენ ბათუმს. ინგლისელები ეტყობა არ ვარაუდობდნენ, რომ იმდროინდელი პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში ასე სწრაფად მოუწევდათ ბათუმის დატოვება. მეორე მხრივ, ემისიას ასეთი დიდი მოცულობა, საფოსტო კავშირების სიმცირის მიუხედავად, გვაფიქრებინებს, რომ აქ თავისი როლი ითამაშა „ფილატელისტურმა ინტერესებმა“.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბათუმის მარკების გამოშვება თავიდანვე იყო განპირობებული ფილატელისტური სახით, ანუ ისინი იმდენად არ იყო განკუთვნილი საფოსტო მოთხოვნილებით (თუმცა ეს ფაქტორი, უეჭველად იყო გამშვები) რამდენადაც ფილატელისტური რარიტების შექმნით.

ახლა განვიხილოთ ბათუმის მარკების გამოყენება. აქვე აღმოვაჩინეთ, რომ საფოსტო გზავნილების დიდი უმეტესობა ატარებდა ფილატელისტურ ხასიათს. ჩამქრალი კვარტბლოკები და ბათუმის მარკების დიდი ზომის ბლოკები ატარებდნენ აშკარა ფილატელისტურ ხასიათს, მათ როგორც წესი შეულახავი წებო აქვთ. ჩემს კოლექციაში არის დიდი ბლოკი, რომელშიც მარკების ნაწილი ჩამქრალია, ნაწილი კი „სუფთაა“ (ილ.16) ბათუმის ჩამქრალი მარკები გვხვდება, როგორც „ამოჭრილ“ ისე ქაღალდის მთლიან ფურცლებზე, რომლებიც ხშირად განლაგებულია უჯრედებად ან ხაზზე, როგორც სასკოლო რვეულის გვერდი. არსებობს მთელი რიგი სერიები, რომლებიც დაწებებულია კარგ ქაღალდზე, წყლის ნიშნებით და ჩაქრობილია ერთი თარიღის შტემპერებით. ამავე კლასს უნდა მივანიჭოთ უმისამართო ღია ბარათები და კონვერტები დიდი რაოდენობის ჩაქრობილი მარკებით, რომელთა ჯამური ნომინალი ბევრად აღემატება, იმდროინდელი საფოსტო გზავნილების საფასურს (ილ.17. 18) უმეტეს გზავნილებს, რომელთაც გაიარეს ფოსტა, აქვთ გადამეტებული ფრაკირება, რაც მიუთითებს მათ ფილატელისტურ ხასიათზე. ადგილობრივ წერილებზე ხან და ხან არ არის მიზამართი, არის მხოლოდ ადრესატის გვარი, რომელიც ხშირად თვლით გამგზავნია, ზოგჯერ კი მისამართი და გვარი მიწერილია შემდგომ ბრიტანული ოკუპაციის დრიონდელი ბათუმური საფოსტო გზავნილების ადრესატთა რიცხვი მცირეა. ესენი არიან ბატონები: ფ.ბლატერი, ვ.ტონი, შერმანი ბერნში (ესენი არიან ან ფილატელისტები ან ამ პროტექციით მოვაჭრენი) ე. ა. მილიანოვსკი (ბათუმის ფოსტის მუშკი) მისი მეუღლე „Mrs Milyanowsku“ მცხოვრები აშშ, ლ. მ. ანდრეევა, იგივე დოლინსკაია (პირველი ქმრის გვარით) რომელიც იყო დაკვეთილი წერილების განყოფილების გამგე ბათუმის ფოსტაში. (ილ.19.20. ა,ბ) ამავე ჯგუფს ეკუთვნის (მეწარმე) ანტანას კიჩუკისი თურქეთში, ბათუმელები ბ-ნი ხაზზოპულო, როგორც ჩანს ფილატელისტი, შემდგომ წავიდა სასღვარგარეთ, დ-რი კალანტინიანი (ილ.21) ”ფილატელისტურს” უნდა მივაკუთვნოთ კონვერტი, რომელიც როგორც ჩანს თავის თავს გაუგზავნა, ბათუმელმა კოლექციონერმა და ფოსტის მუშაკმა ს.ფ.დობრჟიცკიმ ასევე ბათუმის მარკების ცნობილი მკვლევარი ბ.პ.კრივცოვი (ილ.22) ადგილობრივ ადრესატებში ყარადღებას იპყრობენ ივან ივანეს ძე ალიბეკოვი და ნიკოლოზ პავლეს ძე დობროლიუბოკი. არ ვიცი არსებობდნენ ეს ადამიანები სინამდვილეში, მაგრამ მათ სახელზეა გაგზავნილი (მოკითხვამდე) ღია ბარათების დიდი რაოდენობა, ასე 50 - მდე. ყველა ამ საფოსტო ბარათების ღირებულება

3 კაპიკია. მათზე გადაბეჭდილი „Батум. Об./коп 35 кор“ სრულად ერთნაირადაა დამატებით ფრანკირებული ორი მარკით (პირველი გამოშვება ალოეს ხე გადაუბეჭდავი, 5 და 10 კაპ) თითქმის ყველა მარკაზე წარწერა შესრულებულია ერთი ხელით, წვრილი, მომრავლებული გვაგონებს ბავშვის ხელწერას. მთავარი საიდუმლო ამ მარკებისა ის გახლავთ რომ აქვს ჩაქრობის ორი თარიღი 35 კაპ. გადაბეჭდილი ჩამქრალია 23.8.19. ხოლო დამატებით დაწებებული მარკები - 26.8.19 ეს პარადოქსი შეიძლება აიხსნას შემდეგი ვითარებით, რომ დროის ამ მონაკვეთში 19 წლის 23-26 აგვისტოს შეიცვალა საფოსტო ბარათების გაგზავნის ტარიფები 35-50 კაპიკამდე. მაინც გაუგებარია 23 გაგზავნილ წერილს, რატომ დასჭირდა დამატებითი მარკები და რატომ უნდა გაუგზავნოთ იგი კიდევ ერთხელ. კიდევ უფრო გასაკვირია ჩემს კოლექციაში მოხვდა მარკა, რომელიც ჩაქრობილია 24.8.19 (ილ.23) როგორც ჩანს ეს ყველაფერი ფილატელისრული „ფოკუსებია“ რაც ბათუმის ფოსტის ძირითად „საიდუმლოს“ წარმოადგენს.

ბათუმურ ადრესატებს შორის არის ვინმე ა.ჯობავა. იშვიათ წერილებს და ღია ბარათებს, რომლებიც გაგზავნილია მასზე აქვს შემდეგი გასაოცარი წარწერა „ბათუმი, მიხაილოვსკის ქ. 33/ქ.ნიუ-იორკი/ ა.ჯობავა“ (ილ.24). რა შუაშია აქ ნიუ-იორკი? ჩემს კოლექციაშია საადგომო ღია ბარათი გაგზავნილი 1912 წელი ბათუმელი გოგონა ანიუტას მიერ (იგი ასე აწერს ხელს) თავის დაზე ჯობავაზე ახალ-სენაკში. ძნელია ამტკიცო, რომ ამ ღია ბარათზე და კონვერტზე ერთი და იმავე ხელითაა ნაწერი, მაგრამ რატომღაც მინდა ვიფიქრო, ბრიტანელი ოკუპაციის დროს გზავნილი ა. ჯობავასადმი ნიუ-იორკში არის ამ ანიუტას ხუმრობა. ბებია მიამბობდა, რომ ბრიტანული ოკუპაციის დროს, ბევრი ადგილობრივი მცხოვრები და მათ შორის ქუჩის ფეხსაცმლის მწმენდავი ბიჭუნები გაკვრით ლაპარაკობდნენ ინგლისურად. მართლაც ბათუმი დროებით იქცა ნიუ-იორკად (ეს ხუმრობა მართლაც გასართობია თუ ამ ქალაქის ზომებს შევადარებთ) მაგრამ შეიძლება, რეალურად ყველაფერი უფრო მარტივია, შეიძლება ასო გ (გოროდ) სულაც გოსტინცს ნიშნავს. რომ ბათუმში იყო სასტუმროები „ევროპა“ „ფრანცია“ „ესპანეთი“ ორი უკანასკნელი განლაგებული იყო სწორედ მიხაილოვსკის ქუჩაზე, ესენი კარგად ჩანან ძველ ღია ბარათებზე. მე ვერ მივაკვლიე ცნობებს სასტუმრო „ნიუ-იორკის“ არსებობაზე ბათუმში, მაგრამ რატომაა შეუძლებელი ეს ასე ყოფილიყო? მაგალითად ქ. სიზრანში იყო სასტუმრო „ბათუმი“ ა. ჯობავა შეიძლება იყო სასტუმრო „ნიუ-იორკის“ მფლობელი, მომსახურე ან მცხოვრები.

ბათუმის ფოსტის „საიდუმლოებაზე“ საუბრისას არ შეიძლება არ ითქვას ბათუმის მარკების გაყალბებაზე. ეს ძალიან საჩოთირო საკითხია, მით უმეტეს ჩემთვის ცნობილია ერთ-ერთი „გამყალბებელის“ სახელი, მას შემდგომ დიდი დრო გავიდა, ამიტომაც ჩემს თავს უფლებას მივცემ დავასახელო იგი. რომელიც გინდა, ოდნავ გათვითცნობიერებელი ფილატელისტი გეტყვით რომ ბათუმის მარკების 95% (თუ არა 99%) ყალბია. აშფორდისა და ცერეზიის სოლიდურ მონოგრაფიებში მოყვანილია ბათუმი მარკების გაყალბების 20 ტიპი. აყალბებდნენ ძირითადათ გადაბეჭდვას, ეს ბუნებრივია და ადვილია. საინტერესოა, რომ ინდენსიურად აყალბებდნენ მარკებს სადაც გამოსახულია „ალოეს ხე“ წრეში, მათ ტირაჟი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ბაზარზე დიდი ფასი არ ჰქონდა (ზოგიერთ იშვიათი ყალბი მარკა შეიძლება ნამდვილზე ძვირი ღირდეს) გაყალბება რა თქმა უნდა ხდებოდა ფილატელისტური მიზნებით. საქმე იმაშია, რომ ბათუმის მარკები მისი გამოშვების დასაწყისიდანვე, 1919 წელი ძალზე პოპულარული გახდა შესაბამისად ყალბი ბათუმის მარკების დამზადება დაიწყო 1920 წლიდან თბილისში. ეს ნაყალბევი არ იყო მაღალი ხარისხისა, მაგრამ მოგვიანებით ნოვოჩერსკაში გამოჩნდა ყალბი მარკები, რომლებიც ძალზე ჰგვანდნენ ნამდვილ მარკებს. მოკლედ ეს ნაყალბევი იმდენი დაგროვდა რომ უკვე 1923 წ. გ.პ.კრივცოვმა გამოაქვეყნა ჟურნალ „საბჭოთა ფილატელისტში“ დიდი სტატია „ყალბი ბათუმის მარკების შესახებ“.

რატომ გახდა ეს მარკები ასე მიმზიდველი ფილატელებისათვის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. ერთმა ამერიკელმა ფილატელისტმა გამომიგზავნა ბათუმის მარკა (უფრო სავარაუდოა ყალბი)

მომწერა, რომ ბათუმი მისთვის არის რომანტიკული კუთხე, სადაც ის არასოდეს ყოფილა და ამიტომაც აგროვებს ის ბათუმის მარკებს, თუმცა მისი კოლექციის თემა სულ სხვაა. შეიძლება სწორედ ამ „რომანტიკულმა“ ელემენტებმა განსაზღვრა კოლექციონერების სურვილი ჰქონდათ ბათუმის საფოსტო მარკები, ამ მცირე კუთხისა (ვგულისხმობ ბათუმის ოლქს ან აჭარას), რომელიც, როგორც ქვეყანა არასოდეს არსებულა. გარდა ამისა იგი საოცარია თვისი ბუნებით, იგი მათთვის „ქვეყნის კიდეა“ სამოთხისებურად მშვენიერი და ღვთისაგან დავიწყებული მხარე. არაა გამორიცხული, რომ ძალზე გაამართლა ბათუმის მარკების დიზაინის სინამდვილემ და უბრალოებამ, განსაკუთრებით „ალოეს ხის“ გამორჩეულმა დიზაინმა.

აქვე უნდა ითქვას ბათუმის მარკების პირველ ნაყალბევებზე. ისინი დამზადდა თავად ბათუმში 1920 წ. და დაამზადა იგი ბათუმის ფოსტა ტელეგრაფის თანამშრომელმა თვის სტატიაში ბათუმის ნაყალბევ მარკებზე ბ.პ.კრივცოვი წერს (ცოტა სიამაყითაც კი თავის თანამოძმეზე - ფილატელისტებსა და ფოსტის მუშაკებზე) რომ ბათუმელები, ერთი კაცის გამოკლებით, რომელსაც იგი არ ასახელებს, არასოდეს არ ცდილობდნენ დაემზადებინათ ყალბი მარკები. ეს კაცი ზოგიერთი ძალზე სანდო ცნობებით იყო ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის მოადგილე კარაპეტ დავითის ძე ბაღათუროვი. სწორედ მან დაამზადა ერთად ერთი ყალბი გამოშვება ბათუმში. ეს იყო ყალბი მარკები მეორე ტიპისა გადაბეჭდვით «Батум об руб 10 руб», ძველ რუსულ მარკებზე ორთავიანი არწივით. უნდა ითქვას, რომ დაამზადა რა ბაღათუროვმა ეს ნაყალბევები, არც კი უზრუნია მიესადაგებია ნამდვილი გადაბეჭდილების ორიგინალური დიზაინისათვის უბრალოდ გაიმეორა ტექსტი (ილ.25) ამის მიზეზი კი ის იყო 1920 წ. ამ დროისათვის მცირე ტირაჟით გამოშვებული ნამდვილი მარკები უკვე გასაღებული იყო. გადაბეჭდილის შრიფტი და ზომა სულ სხვაა, ვიდრე ორიგინალური მარკებისა, არ აქვს „სერიფი“ ეს სხვაობა, ასევე, მარკების ჩაქრობა ნამდვილი ბრიტანელი ოკუპაციის დრიონდელი ბათუმური შტემპელით, ხსნიან იმ ფაქტს, რომ ყველა კატალოგი 1921 წლისა (ზოგი 1924 –საც.კი) განიხილავენ ამ მარკებს, როგორც ნამდვილს. თანამედროვე კატალოგების მსხვილ გამოცემებში მითითებულია, რომ მეორე ტიპის მარკები „სერიფების“ გარეშე ნაყალბევია. ინგლისურ ენაში ნაყალბევის აღსანიშნავად გამოიყენება რამდენიმე სიტყვა, რომელსაც აქვთ ნატიფი არსობრივი სხვაობა. „Forgerie“ ან „Fake“. ეს უბრალოდ ნაყალბევს ნიშნავს, როცა „bogis“ აქვს განსხვავებული აზრი ის ნიშნავს მარკას, რომელიც არ შეეფერება ოფიციალურ გამოშვებას, რომელიც განკუთვნილია საფოსტო გზავნილებისათვის. ბაღათურეის ნაყალბევს კატალოგებში უწოდებენ „forgeries of bogus surchages“ - ნამდვილი გადაბეჭდილების ნაყალბევია. შეიძლება ეს ისტორია მივაკუთვნოთ ბათუმის ფოსტის „საიდუმლოება“ „უსერიფო“ ყალბი გადაბეჭდილები არსებობენ არა მარტო მარკების ოთხ ტიპზე, სადაც ნამდვილი გადაბეჭდილებია, არამედ ორთავიანი არწივის სტანდარტული მარკების უმეტეს ნომინალებზე. გარდა ამისა ეს გადაბეჭდილები არსებობენ გადმობრუნებული სახით ე.წ. „ტეტ-ბაშ“ და შემობრუნებულია 90 გრადუსით. ამ „გამოყენებული“ მარკების უმეტესობა გამოყენებულია 14.5.20 ან 6.7.20 დროს – ბათუმიდან ინგლისელების წასვლის წინ.

როგორც ჩანს ბაღათუროვმა გააყალბა შედარებით დიდი რაოდენობის კონვერტებიც, რომელსაც ერტყა „პოჩტმეისტერის“ შტემპელი, რომლის შესახებაც თავში ვწერდი, გამოჩნდა აუქციონზე. ადრესატი იყო ვინმე გ. კუსისი, მცხოვრები ვლადიკავკაზის ქ. 24. ამ კონვერტებს აქვს ფოსტა-ტელეგრაფის ჩინოვნიკი ხელწერა შესრულებული ერთი და იმავე ხელით. ამ „ფოსტმეისტელი“ გზავნილებისადმი მიძღვნილია R. L. Joseph მონოგრაფული ნაშრომი. Dr. R. J. Caresa გვიამბობს, რომ მას ინფორმაცია გაუზიარა, S Rockling, რომლის მიხედვითაც 40 ასეთი კონვერტი და 25 ღია ბარათი შეიძინა ვინმე Romeko ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ყოფილი თანამშრომლისაგან ინგლისელთა ოკუპაციის დროს. ჩინოვნიკის ხელწერაში თავისებური პირველი ასო „ხ“ ერთი ასეთი „ავტოგრაფი“ დარწმუნებით შეგვიძლია წავიკითხოთ, როგორც „ბაღათუროვი“ ყოველ შემთხვევაში აქ

ნათლად იკითხება შემდეგი ასოები: „B“, „a“, „t“, „y“, „p“, ასევე თავისებური ასო „B“ სიტყვის ბოლოში (ილ.260) გავითვალისწინებთ რა ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის (ფტკ) მუშაკთა შეზღუდულ რაოდენობას 1919-20 წლებში ეჭვის ადგილი აღარ რჩება, მაგრამ ისმის კითხვა რატომ აწერს ხელს ბათუმის ფტკ უფროსის მოადგილე გრაფაში. „ფოსტა-ტელეგრაფის ჩინოვნიკი“ ამას შესაძლებელია შემდეგი ახსნა მოუძებნოს კუსის წერილები დამზადებულია უკანა რიცხვით უკვე ბრიტანელი ოკუპაციის შემდეგ, გამოიყენეს შემონახული შტემპელი ან ადრე დაშტემპელებელი კონვერტები, სპეციალურად Rome ko-სათვის.

მთავარი ხელმძღვანელი ბათუმის მარკების ემისიისა იყო ფტკ საქმეთა მწარმებელ-ბუღალტერი ს.ფ. დობრჟიცკი (ამავე დროს ჟინინი ფილატელისტი) ის უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებლად ასეთ „ფილატელისტური ბათუმის მარკების გამოშვებაზე, უამრავი „გადაბრუნებული“, „ტეტ-ბაშე“, ორმაგი გადაბეჭდილი. გამყალბებელი ის არ იყო, მაგრამ ჰქონდა თავისი ფილატელისტური ინტერესები. როგორც ჩანს მისი კოლექციიდან მოხვდა დასავლეთში უიშვიათესი „სინჯები“ ბათუმის მარკებისა შავ–თეთრი საცდელი ტვიფრი და ზოგიერთი გამოშვების საცდელი გადაბეჭდილება შესრულებული წითელი საღებავით რომლებიც შემდგომში ტირაჟში არ გაშვებულა, ასევე ორფერიანი ორმაგი გადაბეჭდილები. კანონით ყველა ეს „საცდელი“ გამოშვება უნდა განადგურებულიყო.

შემდგომში ბათუმის ფოსტის თანამშრომლებმა პასუხი აგეს თავის აქტივობაზე ბრიტანელი ოკუპაციის დროს. კ.დ.ბაღათუროვი დააპატიმრეს 1930-იანი წლებში, ბრიტანელი ოკუპაციის დროს ყალბი მარკების დამზადებისათვის, შეიძლება უცხოელებთან კავშირების გამოცემის შემდგომი ბედი ჩემთვის უცნობია. ს.ფ.დობრჟისკი ასევე დააპატიმრეს 1930-იან წლებში, დაიღუპა ბანაკებში (იქნებ დახვრიტეს კიდეც) 1930-იანი წლების ბოლოს შსსკ თანამშრომლები აკითხავდნენ ბათუმის ფოსტის ყოფილ თანამშრომლებს, რათა ჩამოერთვათ ბრიტანელი ოკუპაციის დროინდელი მარკები, როგორც ჩანს ცდილობდნენ ბათუმის ისტორიიდან აღმოვფხრათ ბრიტანული ოკუპაცია ყოველ შემთხვევაში წარმოვიდგინოთ კომუნისტური ხელისუფლებისათვის მომგებიანი პოზიციიდან. მოვიდნენ ისინი ასევე უდანაშაულო ლიუბოვ მაქსიმოვანა ანდრეევასთან (იგივე დოლინსკაია) რომელიც იმ დროს ატარებდა მეორე ქმნის გვარს ტერ-აკოპოვა. ლ.მ.ტერ-აკოპუა ითვლებოდა ბათუმის ფოსტის მარკების ძირითად „შემნახველად“ ბრიტანული ოკუპაციის დროს იგი განაგებდა ფტკ შეკვეთილი წერილების განყოფილებას. მას ხშირად მიმართავდნენ ფილატელისტები ეშოვა მათთვის „ნამდვილი“ ბათუმური მარკები ლ. მ. ტერ-აკოპოვა იყო წევრი საერთაშორისო ფილატელისტური საზოგადოებისა (ბილეთი 650) სხვა 15 ბათუმელი ფილატელისტებთან ერთად (სია მოყვანილია ჟურნალში, ”საბჭოთა კოლექციონერი” ნ 3 1927 წ.) შსსკ თანამშრომელთა მოსვლამდე მეგობრებმა მას აცნობეს მოსალოდნელი „აქციის“ შესახებ და მან გადამალა თავის კოლექციის დიდი ნაწილი მეზობლებში. მას მხოლოდ ჩამოართვეს ე.წ. დუბლები (ილ.27 ა,ბ,ვ) ლ. მ. ტერ-აკოპოვას კოლექცია შემოინახა ბათუმელმა კოლექციონერმა მისმა შვილმა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ტერ-აკოპოვმა.

რატომ ვწერ ყოველივე ამას? ჩემთვის ფილატელია, არა უბრალოდ მარკების შეგროვებაა. საფოსტო გადასახადის ნიშნების კოლექციონერება ჩემი აზრით ისტორიული მეცნიერების ნაწილია. საფოსტო მარკები ძალზე ღირებული მასალაა თანდართული პოლიტიკური, სოციალური ძვრების შესასწავლად. შეიძლება ამიტომაცაა პოპულარული რუსეთში სამოქალაქო ომის დროინდელი და ბრიტანული კოლონების ინგლისში გამოშვებული მარკების კოლექციონირება. უნდა ითქვას, რომ «Батум»-ს აგროვებენ ფილატელიის დანაყოფში. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია რომ ფოსტის ისტორია, საფოსტო ემისიების ისტორია, ისტორია საფოსტო მარკებისა და გზავნილების და ბოლოს თავად კოლექციონირების ისტორია - ეს, ამასთან ადამიანური ფსიქოლოგიის ეტიუდიცაა.

გაურკვევლობა, რომელმაც მოიცვა ბათუმის ფოსტა 1919-20 წლებში, ასახავდა იმ გაურკვევლობას, რომელიც იყო ბათუმის ცხოვრებაში. მრავალრიცხოვანი პოლიტი-

კური პარტიები, შეიძლება უბრალოდ ბანალური ბანდიტებმა აქ გამოიჩინეს საოცარი აქტივობა ყვაოდა კორუფცია. ინგლისელები ვერაფერს გახდნენ, ამ მრავალენოვან, ქალაქში როგორც იყო იმ დროს ბათუმი. შვედეთის კონსულის შვილი დღისით-მზისით მოკლეს ქუჩაში, პოლიცია კი უძლური აღმოჩნდა ეპოვა დამნაშავე. კიდევ უფრო დიდი რეზონანსი გამოიწვია გენერალ ლიახოვის მკვლელობამ, მკვლელი ვინმე გუბელი დააკავეს, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ გენერალი კუკ-კოლისი ბოლშევიკების ზეწოლის გამო. მათ მოაწყვეს დემონსტრაცია და იმუქრებოდნენ არეულობით და გაფიცვებით, იძულებული გახდა მკვლელი გაეთავისუფლებია.

მაგრამ დაუბრუნდეთ ბათუმის ფოსტის საიდუმლოებებს. დავამთავრეთ რა საუბარი ნაყალბევ მარკებზე, მინდა მცირედ შევეხო ე.წ. "მთლიან ნივთებს". მათგან ყველაზე ცნობილია ყალბი კონვერტები გაგზავნილი ეკატერინოდარში მიწათმოქმედების განყოფილებაში, ვინმე ქ-ნ კოსოროტოვისადმი, გამგზავნები გლადენკო და ლოდჩენკო ბათუმიდან. ეს ძალზე „ლამაზი" კონვერტები, არც თუ ისე იშვიათად გვხვდება აუქციონებზე წარმოადგენენ აბსოლუტურად მაღალ მხატვრულ ნაყალბევს. აქ გაყალბებული ყველაფერი: თავად წერილი, საფოსტო მარკები, გადაბეჭდილები, ბათუმისა და ეკატერინოდარის შტემპელები. მხოლოდ ზოგიერთ კონვერტზე გვხვდება ნამდვილი მარკები პირველ-მეორე გამოშვებისა („ალოეს ხე") კონვერტების უმრავლესობა გადაფრანკირებულია, ანუ მარკების ჯამური ნომინალი მნიშვნელოვნად აჭარბებს იმ დროინდელ განფასებას წერილების გაგზავნაზე. მხოლოდ ერთ კონვერტზეა ფრანკირება, რომელიც შეესაბამება გზავნილის იმ დროინდელ ფასს 10 рублей. 5 копеек ამან ბათუმის ფოსტის ცნობილ სპეციალისტ Dr.R.J Ceresa-ს აფიქრებინა მათი ნამდვილობა. ამ შეკვეთილ კონვერტებზე არ არის ბათუმის შტემპელი «заказное» მის ნაცვლად უხეში ლურჯი ფანქრით, სამკუთხედში ან ოთხკუთხედში ჩასმულია ნომერი. აუქციონზე ხდებოდა წერილები, 61,69,76 ნომრებით, ასევე 514 და 917. ეს რა უთავბოლო ციფრებია იქნებ რიგითი ნომრებია? ამ შემთხვევაში რამდენი მსგავსი ყალბი კონვერტებია კოლექციებში? რამდენიმე ხნის უკან ცნობილმა მოსკოველმა ფილატელისტმა და დილერმა, შემომთავაზა ორი ასეთი კონვერტი, როგორც ნამდვილი, მე უცებ გავარკვიე რაშიც იყო საქმე, თუმცა ეჭვს ბადებს თავად წარწერაც, რომელიც შესრულებულია გამოყვანილი ეგზოტიკური ხელწერით და ბოლოს კიდევ ერთი გასაოცარი მაგალითი ბათუმის ფოსტის საიდუმლოებისა. ჩემ წინ დევს შთამბეჭდავი ზომის (19-24,5) კონვერტი მასზე დაწებებულია 24 ბათუმის მარკა - პატარა კოლექცია (ილ.29) ყველა მარკა „გამოყენებულია" ნამდვილი ბათუმური შტემპელით 6.7.1920. ერთი დღით ადრე ინგლისელების წასვლამდე. მხოლოდ ერთი მარკა „გამოყენებულია" (ასევე ნამდვილი შტემპელით) 14.5.1920. რატომაა ასე? მეორე კითხვა, ყველა მარკა დაწებებულია ჩვეულებრივად, ერთი კი 1 კაპიკის ნომინალით, ყვითელი, კბილების გარეშე, გადაბეჭდილი 10 რ. გადაბრუნებულია. გადაბრუნებულია არა გადაბეჭდილი, არამედ თავად მარკაა დაწებებული თავდაყირა. შეიძლება ადამიანმა, რომელიც ვერ კითხულობდა რუსულად, შეცდა, მაშინ რატომაა სხვა მარკა სწორად დაწებებული? შემთხვევითი შეცდომაა და განსაზღვრული „ფოკუსი" კონვერტის ყურადღებით დათვალიერების შემდეგ კიდევ ერთ საიდუმლოს წავაწყდებით. ორი მარკა მეორე ტიპისა უკანასკნელ რიგში 10 რ. გადაბეჭდილია 3 კ. წითელი უკბილები 10 რ. გადაბეჭდილი 7 კ. ცისფერი ეს ბაღათუროვის ნაყალბევია. აქვე გახსენდება, რომ ამ „ბოგუსების" უმრავლესობა რომელიც გვხვდება აუქციონებზე, სახელდობრ ჩამქრალია 14.5 და 6.7.20 შტამპელებით. ბოლოს ყველაზე საინტერესო კონვერტზე აღნიშნული ადრესატი დაბეჭდილია საბეჭდ მანქანაზე ინისფერი საღებავით ინგლისურად „Brig.Gen. j.A.Cookt-Collis, D.S.O.B.T.F, Miijitaru Gavernor Batum" ორი ბოლო სიტყვა რეგისტრით დაბლაა დაბეჭდილი. ეს ამტკიცებს რომ წარწერა დაბეჭდილი მარკების დაწებების შემდეგ (რეგისტრი, რომ არ დაეშვათ წარწერა მარკაზე გადავიდოდა) სინამდვილეში ეს წერილი გაგზავნილი იყო ბრიტანელი გენერლის კუკ-კოლისისადმი, ბათუმის რეალური გუბერნატორისადმი, ბრიტანელი ოკუპაციის დროს? შეიძლება ვივარაუდოთ რომ თავად კუკ-

კოლისმა, გაუკეთა თავისთავს ასეთი „გამოსათხოვარი სუვენირი“ სანამ სამუდამოდ დატოვებდა ბათუმს. აბრევიტურის ზუსტი მითითება გვაფიქრებინებს ამ კონვერტის „ნამდვილობას“, რომელიც რა თქმა უნდა ატარებს სუფთა ფილატელისტურ, სუვენირულ სახით. მეორე მხრივ რატომ არ გამოიყენა გენერალმა კუკ-კოლისმა ამ კონვერტზე სხვა ბათუმის მარკები, ყოველ შემთხვევაში ამ მინი კოლექციაში არ არის იშვიათი მარკები. შეიძლება მცირე ტირაჟების გამო იმ დროისათვის ისინი ძნელად ხელმისაწვდომი იყო. იქნებ არსებობს სხვა კონვერტებიც? ყველა მარკები ამ კონვერტზე ნამდვილია გარდა ორი „ბოგუსისა“, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ. შეიძლება ეს კონვერტი ბაღათუროვის ფანტაზიის ნაყოფია, მთლიანად შეთხზული წერილით, თუმცა ძირითად დაწებილი ნამდვილი მარკები, ნამდვილი შტემპელებით ხოლო გენერლის სახელი დაბეჭდილია რათა გაიზარდოს ამ „რარიტეტის“ ფასი?

მე მაინც მგონია მეტი ალბათობით, რომ ეს კონვერტი თავად გენერალმა გაუკეთა თავის თავს „სამახსოვროდ“ ბათუმში ყოფნის მოსაგონებლად. ბრიტანეთის გენერალი კუკ-კოლისი აშკარაა არ იყო ფილატელისტი, ხოლო „სუვენირი დაამზადეს“ ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მუშაკებმა, შესაძლებელია კ. დ. ბაღათუროვის ხელმძღვანელობით. ასე, რომ ეს კონვერტი შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს.

თარგმნა გოდერძი ტოტოჩავამ

სურ.1.



სურ.2.

სურ.3.

სურ.4

სურ..5.



სურ.6.



სურ.7.

სურ.8.

სურ.12-b.

სურ.9.



სურ.11.

სურ.10.

სურ.12-a.

სურ.13.

14 а, б, в, г. Типы седьмой и восьмой марок Батума.

სურ.14-a.b.v.g.



სურ.15.

სურ.16.

სურ.17.

სურ.18.



სურ.19.

სურ.20-a.



სურ.20-b.

სურ.21.

სურ.22.

სურ.23.

სურ.24.

სურ.25.

სურ.26. a. b.



სურ.27. b.



სურ.27. a.



სურ.28.

სურ.29. b.

სურ.29. a.

ნუგზარ მგელაძე

გიორგი ჩიტაია და საქართველოს სოციოკულტურული ისტორიის პრობლემები[5]

გიორგი ჩიტაია ღრმად ერუდირებული პიროვნება იყო, რამაც განსაზღვრა მისი ზოგადი განსწავლულობა და, შესაბამისად, წარმატება არა მარტო ეთნოლოგიაში, არამედ, საერთოდ, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში. იგი სათანადო მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე ურთულესი ამოცანების გადაწყვეტის პროცესში ფართოდ იყენებდა ეთნოლოგიის, ისტორიის, ლინგვისტიკისა და არქეოლოგიის მონაცემებს. სწორედ ამდაგვარმა კომპლექსურმა კვლევებმა მას საშუალება მისცა მაღალხარისხოვანი მეცნიერული ნაშრომები შეექმნა, რომელთა დიდი უმეტესობა პირველწყაროებს, კონკრეტულ საველე-ეთნოგრაფიულ მასალებს ეფუძნებოდა შეჯერებულთ არა მარტო ქართულ-კავკასიურ, არამედ მდიდარ ევროპულ სპეციალურ ლიტერატურასთან და, ზოგადად, ფართო ბიბლიოგრაფიასთან, ისე, როგორც კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი და უძველესი მოსახლეობის სოციოკულტურულ ფასეულობების ანალიზთან თუ წერილობით წყაროებთან, პალეოგრაფიულ, ეპიგრაფიკულ და არქიტექტურულ ფაქტებთან.

გიორგი ჩიტაიამ კარიერის დასაწყისიდანვე იერარქიული თვალსაზრისით სერიოზული სასწავლო-სამეცნიერო მომზადება გაირა. მას ასწავლიდნენ შესანიშნავი პედაგოგები ფოთსა და თბილისში. დიდი იყო გიორგი ჩიტაიას, როგორც მეცნიერის ფორმირების საქმეში პეტერბურგის უნივერსიტეტისა და ისეთი სახელგანთქმული ორიენტალისტების, ზოგადად, აღმოსავლეთმცოდნეებისა და კავკასიოლოგების, მათ შორის, ლინგვისტების, კონკრეტულად კი – არაბისტების, სინოლოგების, ქართველოლოგების,



გიორგი ჩიტაია

არმენოლოგების, არქეოლოგების, ისტორიკოსების, ბუნებისმეტყველების, ფილოსოფოსების, იურისტების როლი, როგორებიც იყვნენ ნ. მარი, ბ. ტურაევი, ი. სმირნოვი, ვ. ბარტოლდი, გ. ადონცი, პეტროვსკი, ლოსკი, ხვოლსინი, მ. პლატონოვი, მ. კოვალევსკი, შახმატოვი, შჩერო, ბოდუენ დე კურტენე, ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, დ. ყიფშიძე, კრაჩოვსკი, ალექსეევი, რაც აისახა კიდეც მის სამეცნიერო მემკვიდრეობაში. პეტერბურგში ნ. მარის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული იყო ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის კვლევის სხვადასხვა მიმართულებები. როგორც გიორგი ჩიტაია იგონებს ნ. მარი გლობალურად მოაზროვნე მეცნიერი იყო და უმთავრეს ყურადღებას კავკასიის ცივილიზაციის მსოფლიო მნიშვნელობას უთმობდა. ამის დასასაბუთებლად სხვა არგუმენტებთან ერთად ორ მაგალითს ასახელებდა, რაც აისახა კიდეც მის ცნობილ მოხსენებაში («Кавказ и его памятники духовной культуры»), რომელიც მან წაიკითხა 1913 წლის იანვარში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის

[5] წინამდებარე ნაშრომი მოხსენების სახით წაკითხულია გიორგი ჩიტაიას დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 2010 წლის 18 მარტს ბათუმში, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტმა არაერთხელ აღნიშნა აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას საიუბილეო თარიღები: 1960 წლის 24 დეკემბერს დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავი, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 65 წლისთავი,...

საჯარო სხდომაზე აკადემიკოსად არჩევასთან დაკავშირებით. ეს იყო: 1. კავკასიური ენები, რომლებიც დიალექტებთან ერთად შეიცავენ უძველესი ცივილიზაციისათვის დამახასიათებელ ცოცხალ მასალას და 2. კავკასიაში აღმოჩენილი ქვის ძეგლები თევზებისა და ხარის გამოსახულებებით. დროთა განმავლობაში ნ. მარმა კავკასიის ცივილიზაცია ხმელთაშუა ზღვის კულტურის მესამე ელემენტად დასახა (**ჩიტაია**, 1991:27).

გიორგი ჩიტაიას პეტერბურგში სწავლისა და მოღვაწეობის პერიოდში იქ საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიაში სამოღვაწეოდ და თბილისის უნივერსიტეტის დასაარსებლად ემზადებოდნენ ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ი. ორბელი, აკ. შანიძე,...

იმ ფართო თემატიკაში, რომელსაც გიორგი ჩიტაია იკვლევდა, მაგალითად, მატერიალური ფასეულობები (დასახლების ტიპი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, მათ შორის, ლაზური სახლი და ორნამენტი, სამცხური **დარბაზი**, ხევსურული **სენე** და **ვარია**, აჭარული ურდული: **დათვა-ბოყვა**, სვანური **საკურცხილ**, ქართული **თონე**, საკვები და კვების კულტურა, ჩაცმულობა, ნიმუშისათვის, ხევსურული კოსტუმი, საფლავის ქვები, საზომი ერთეულები – **სილა** და **ლაღა**, ხევსურული მშვილდ-ისარი და საბრძოლო იარაღი – **საცერელი**, ტრადიციული სამეურნეო ტექნოლოგიები, სათოხნი და სახვნელი იარაღები: თოხი, ჯილღა, გუთანი, კოლხური სამკალი – **შნაკვი**, მთიულური **ქიბორჯი**, უღელი, კევრი, ტრანსპორტი, ოქრომჭედლობა და ქართულ-კავკასიური სამკაულები,...), სამეურნეო ყოფა – აგროეთნოგრაფიისა (საქართველოს სამიწათმოქმედო სისტემა, ახოს აღება, ტერასული და მთური მიწათმოქმედება, ვაზის კულტურა – მევენახეობა და მეღვინეობა,... იხ. **ჩიტაია**, 1997) თუ მესაქონლეობის (კოლხური ცხვარი,...) პრობლემები, რელიგია და, ზოგადად, სულიერი კულტურა (მიცვალებულის კულტი, ქართული მითოლოგია,...), ქართველთა ეთნოგენეზი, სოფლებისა და თემების წარმოშობა და ისტორია, ხალხური სპორტი, ლუდის დამზადების წესები, საპატიო ადგილი სოციალურ, განსაკუთრებით, სოციოკულტურულ და სოციორელიგიურ პრობლემატიკას ეჭირა. უფრო მეტიც, მატერიალური კულტურის სფეროში – საცხოვრებელი ნაგებობა იქნებოდა ეს თუ სამეურნეო, სახვითი ხელოვნების ნიმუშები თუ სახვით ხელოვნებაში საკრალური ტიპის ორნამენტი და ტრადიციული ჩუქურთმა, ხეზე და ქვაზე კვეთილობა, გრაფიკა, მეცნიერი ყოველთვის ითვალისწინებდა მათში სოციალურ გამოვლინებებს, სოციონორმატივებს, რაც სავსებით ბუნებრივი და მის მიერ წინასწარვე ფუნდამენტურად გააზრებული იყო, რადგან მან, როგორც ეთნოლოგმა, შესანიშნავად იცოდა ნებისმიერი ტიპის კულტურა ადამიანის შემოქმედების ნაყოფს, ხოლო ადამიანი, უპირველესად, სოციალურ, უფრო კონკრეტულად, ბიოსოციალურ არსებას რომ წარმოადგენდა.

გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო კარიერის დასაწყისიდანვე შესანიშნავად ესმოდა საველე-ეთნოგრაფიული ფაქტების უაღრესად დიდი მნიშვნელობა წარსული ცხოვრების რეკონსტრუქციის საქმეში. იგი შესაშური ინტუიციით აცნობიერებდა, რომ კავკასიის ხალხები, მათ შორის, ქართველი ხალხის ტრადიციული ყოფა ინახავდა მრავალი საუკუნის გადანაცხოვრებს, ფასეულ და კულტურული ღირებულების ნაშთებს, რომელთა მოპოვება საშურ საქმეს წარმოადგენდა არაერთი რეგიონული კულტურულ-ისტორიული პრობლემისა თუ მსოფლიო საზოგადოებრივი პროცესების ახსნისათვის. სწორედ ამიტომ გიორგი ჩიტაიამ ყურადღება მიაქცია საველე მეთოდიკის პრობლემატიკას. რადგან მეცნიერება, განსაკუთრებით, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები ფაქტების გარეშე არ არსებობს, ამიტომ, მკვლევარმა, უპირველესად, ფაქტების მოპოვების აუთენტურობის მეთოდიკა განსაზღვრა. თანდათანობით მის მიერ ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიული კვლევაძიების ახალი მეთოდი, რომლის ცალკეული კომპონენტი ისტორიოგრაფიაში ადრეც იყო ცნობილი. მეთოდი ეთნოგრაფიული ფაქტების კომპლექსურად და ინტენსიურად შესწავლას გულისხმობდა. კომპლექსში შედიოდა ისტორიულ ჭრილში განხილული ბაზისური და ზედნაშური მოვლენები. ასეთი მიდგომით მოხერხდა ამა თუ იმ ხალხის კულტურის სრულყოფილი სახით შესწავლა, განსაკუთრებით, ღირებულებათა ისეთი ბლოკების, როგორიც იყო სოციალურ ურთიერთობათა სისტემა, მატერიალური და სულიერი კულტურა, სამეურნე ყოფა.

ამ მეთოდის მრავალი პოზიტიური ასპექტი შემდეგში გიორგი ჩიტაიას სკოლის მიერ განხორციელებულმა ექსპედიციებმა არა-ერთგზის დაადასტურა. ამ მეთოდის საქართველოში აპრობირება იყო გიორგი ჩიტაიას ერთ-ერთი ძირითადი მეცნიერული დამსახურება (**გეგეშიძე**, 1980:13-14).

ცალკე უნდა გამოიყოს გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (ხევსურეთი, თუშეთი, თიანეთი, ქართლი, ქსნის, ლიახვისა და მუჯუდის ხეობები, ლეჩხუმი, იმერეთი, სამცხე, აჭარა[6], კოლხეთი,...) განხორციელებული ექსპედიციები და ის საველე-ეთნოგრაფიული მასალები, რო-მელთა შედეგები ასახულია მის დღიურებში, არაერთ ანგარიშსა და სამეცნიერო გამოკვლევაში[7], გადმოცე-

[6] განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი გიორგი ჩიტაიას მიერ 1933 წელს ზემო აჭარაში ჩატარებულ ექსპედიციას, რომლის მუშაობაში მონაწილეობას არაერთი დღეს საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი ღებულობდა [ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: გიორგი ჩიტაია (ხელმძღვანელი), ვერა ბარდაველიძე, რუსუდან ხარაძე, ფ. გარდაფხაძე, სტეფანე მენთეშაშვილი (თბილისი), ჯემალ ნოდაიდელი, ვუკოლ იაშვილი (ბათუმი). ექსპედიციის შესახებ იხ. **ჩიტაია**, 2001:356-369]. ექსპედიციამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა სამომავლოდ აჭარაში ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებათა მიმართულებების ჩამოყალიბებაში, რადგან დიდი იყო ექსპედიციის წევრთა მოპოვებული საველე წყაროების პრაქტიკული და თეორიული ღირებულება და ამ მასალების როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება დღეს თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე პერიოდში გ. ჩიტაიასა და მისი კოლეგების მიერ შეკრებილი ფაქტობრივი მონაცემების ფიქსაცია თითქმის შეუძლებელია. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან აჭარაში წარმატებული ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება ცარიელ ადგილზე არ დაწყებულა. იგი იყო იმ ტრადიციების ლოგიკური გაგრძელება, რომლებსაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარეს ილია ჭავჭავაძემ, დიმიტრი ბაქრაძემ, ზაქარია ჭიჭინაძემ, თედო სახოკიამ და სხვა ქართველმა თუ უცხოელმა საზოგადო მოღვაწეებმა და მოგზაურ-მკვლევარებმა, ხოლო სისტემური და გეგმაზომიერი სახე მისცენ გიორგი ჩიტაიამ, ალექსი რობაქიძემ და მათმა მოწაფეებმა (დაწვრ. იხ. **მგელაძე**, 2002).

[7] გიორგი ჩიტაიას ნაშრომებმა აჭარაში მატერიალური კულტურის სფეროში არაერთი შემთხვევით აღმოჩენილი უნიკალური ნიმუში შემოგვინახა, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ხარიტონ ახვლედიანის აჭარის

მულია მეცნიერის ხანდაზმულ ასაკში შედგენილ მოგონებებსა და სხვა ტიპის წყაროებში (**ჩიტაია**, 1991), თუმცა იგი არანაკლებ ადგილს უთმობდა კულტუ-რასთან, მეთოდოლოგიასთან და საველე მუშაობის მეთოდიკასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების შესწავლასაც, სამუზეუმო საქმესა და ღია ცისქვეშ მუზეუმს. ეთნოლოგთა პროფესიულ აღზრდაში დიდი როლი შეასრულა ქართული ეთნოლოგიის ისტორიისადმი მიძღვნილმა ნაშრომებმა და სახელმძღვა-ნელომ ეთნოგრაფიაში – სალექციო კურსმა, რომელიც „სვეტების" სახელწო-დებით იყო ცნობილი. იგი ადრე ხელნაწერის სახით გავრცელდა, ხოლო მოგვიანებით მისი მოწაფეების მიერ მომზადებული მრავალტომეულის ერთ-ერთ ტომში დაიბეჭდა (**ჩიტაია**, 2001). საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გიორგი ჩიტაია იყო არა მარტო საქართველოსა და კავკასიის, არამედ, საერთოდ, ახლო აღმოსავლეთის ხალხების ძველი და უძველესი ისტორიის, ტრადიციული საზოგადოებების ეთნოგრაფიული პანორა-მის უბადლო დამსურათებელი, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ საქართველოს ეთნოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე მან დიდ ძალისხმევა ჩადო თეორიული ეთნოლოგიის, ისე, როგორც საქართველოს ეთნოლოგიის განზოგადოებაში და ქართულ ენაზე იმ დროის მოთხოვნებთან შესაბამისობაში სრულფასოვანი სახელმ-ძღვანელოების შექმნაში. დღეს ისტორიოგ-რაფიაში დასმული არაერთი საკითხი, მაგალითად, ეთნოლოგიისა (/ეთნოგრა-ფიის) და ისტორიის საგნობრივი სფეროებისა და დარგების მეცნიერული ურთიერთმიმართების შესახებ ახალი არაა და ეს პრობლემა გამუდმებით ისმებოდა არა მხოლოდ მსოფლიოს სხვადასხვა ეთნოლოგიური სკოლის წარმომადგე-ნელთა პუბლიკაციებში, თეორიულ სემინარებზე, არამედ საკუთრივ საქართვე-ლოში მოღვაწე მეცნიერების მიერ (გ. ჩიტაია, გ. ჩუბინაშვილი,...)[8].

სახელმწიფო მუზეუმში დაცული ქვის კუბო (**ჩიტაია**, 2000:323-332), რომელიც მრავალი კუთხითაა საინტერესო (**Мгеладзе**, **Тунадзе**. 2007:132-134).

[8] საქართველოში დარგი, მსგავსად დასავლეთ ევროპის რიგი ქვეყნისა, ვითარდებოდა არა ეთნოგრაფიის, არამედ ეთნოლოგიის სახელწოდებით, რისი დასტურიცაა გიორგი

საქართველოშიც მკვლევართა ნაწილი ამ დარგებს შორის ეძებდა სხვაობის მიჯნებს, მაგრამ ნაწილი ფიქრობდა ისტორიისა და ეთნოლოგიის სრული თანხვედრილობის შესაძლებლობებზეც. მ. გეგეშიძე ამ ფაქტის საილუსტრაციოდ ასახელებს 1930 წლის 6 ივნისით დათარიღებულ საარქივო დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენს გ. ჩუბინაშვილის დასკვნას საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ მოსაწყობი ქართული ყოფის კომპლექსური გამოფენის გიორგი ჩიტაიას მიერ შესრულებულ დეტალიზებულ პროგრამაზე. სახელმწიფო მუზეუმის საერთო საგამოფენო გეგმის განხილვის პროცესში გამოითქვა არაერთი შენიშვნა (გ. ნიორაძე, ს. მაკალათია,...) და მსჯელობა გაიშალა ისტორიისა და ეთნოლოგიის საგნობრივ პრობლემებზეც. გ. ჩუბინაშვილი ისტორიისა და ეთნოლოგიის (/ეთნოგრაფიის) სრული იდენტიფიკაციის, როგორც ისინი მიიჩნევდნენ, მცდარი შეხედულების ხაზგასასმელად ეყრდნობოდა გერმანელ მეცნიერებს: კულტურულ-ისტორიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლებს ფოისსა და ამ სკოლის ფუძემდებელს ფ. გრებნერს, რომლებმაც ეფუძნებოდნენ რა ფრიდრიხ რატცელის ანთროპოგეოგრაფიული ჯგუფის იდეებს[9], სკოლის სხვა

ჩიტაიას ადრეულ ნაშრომთა დასახელებები (იხ. **ჩიტაია**, 1926), თუმცა ასეთი მარკირება არ გამორიცხავდა ეთნოგრაფიის, როგორც განსაზღვრული საველე მიმართულების ეთნოლოგიაში არსებობას. შემდეგში ახალი იმპერიის ფარგლებში იდეოლოგიურმა მოტივაციებმაც განსაზღვრა ეთნოგრაფიული პრიორიტეტები (შდრ. შდრ. **მელიქიშვილი**, 2000).

[9] ანთროპოგეოგრაფიული სკოლა XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. ფრიდრიხ რატცელი და მისი მიმდევრები ადამიანთა ადგილმონაცვლეობაზე – გადასახლებებსა და მიგრაციებზე, საერთოდ, ადამიანის შრომა-საქმიანობაზე ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს როლის ზეგავლენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და თვლიდნენ, რომ კულტურის, უმთავრესად, სულიერი და მატერიალური კულტურის ელემენტების მიგრაციული გზით გავრცელება ტიპიური მოვლენა იყო. ამდენად, ამა თუ იმ ხალხის მიერ ნასესხები თუ შეთვისებული კულტურული ფასეულობების წარმომავლობის განსაზღვრის პროცესში გასათვალისწინებელი იყო მიგრაციის გზები და მარშრუტები და, შესაბამისად, მიგრანტთა თავდაპირველი იმ საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფიული გარემოს თავისებურებები, რომელმაც წარმოქმნა ახალ გარემოში მიგრირებული კულტურა. როცა გიორგი ჩიტაიას ბიოგრაფები საქართველოში ეხებოდნენ ეთოლოგიის (/ეთნოგრაფიის) კავშიურთიერთობის საკითხებს ისტორიასთან, იქვე, ფართოდ მიმოიხილავდნენ ანთროპოგეოგრაფიულ სკოლასა და იმ თეორიულ მიმართულებებს, რომლებიც კონცეფციებით მეტნაკლებად დავალებულნი იყვნენ მათგან. ისინი მიუთითებდნენ ფრიდრიხ რატცელის მიზნების რეალიზაციის გზების ტრაექტორიაზე და იმ გავლენების ადრესატებზე, რომლებმაც ანთროპოგეოგრაფიული სკოლის წარმომადგენლებზე დაყრდნობით ახალი თეორიები განავითარეს. მიაჩნდათ, რომ ფრიდრიხ რატცელის მიზანი რთულად განსახორციელებელ და გეოგრაფიისათვის ძნელად გადასაჭრელ ამოცანას წარმოადგენდა. ამ ამოცანის ლაიტმოტივი კი იყო – ახსნილიყო თუ როგორ ზემოქმედებდა კაცობრიობის ისტორიულ ბედიღბალზე გეოგრაფიული გარემო, თუმცა ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ ფრიდრიხ რატცელმა თითქოს ამ ამოცანის გადაწყვეტის გზაზე სამეურნეო ურთიერთობათა სისტემის კვლევას გვერდი აუარა და უპირატესობა მიანიჭა სოციოპოლიტიკური ინსტიტუტების შესწავლას. აქედან კი გამოდიოდა, რომ ფრიდრიხ რატცელს არ ესმოდა ეკონომიკურ საბაზო საყრდენზე – ბაზისზე აგებული სოციალური და პოლიტიკური სისტემის – ზედნაშენის არსი. ბუნებრივია, ამდაგვარი კრიტიკული ფონი მარქსისტულ პოზიციებს უახლოვდებოდა და ფრიდრიხ რატცელს მისი მოღვაწეობის პერიოდში ამ პოზიციების გაზიარება სრულიადაც არ მოეთხოვებოდა. მიუხედავად ფრიდრიხ რატცელის მარქსისტული ფლანგებიდან კრიტიკის მცდელობისა, ქართველი ეთნოლოგები ადიარებდნენ იმ დიდ დამსახურებას, რაც გერმანელ მეცნიერს ზოგადად ანთროპოლოგიის განვითარებაში მიუძღოდა. ისინი ეთანხმებოდნენ შეხედულებას იმის თაობაზე ფრიდრიხ რატცელის ანთროპოგეოგრაფიული სკოლის მიერ წარმოდგენილი დებულებები შემდეგში, XX საუკუნის დასაწყისში, წარმოქმნილ ახალ სკოლასა და თეორიულ მიმართულებას: კულტურულ-ისტორიულ სკოლას რომ დაედო საფუძვლად. ასევე, მეცნიერები ადასტურებდნენ ამ სკოლის იდეათა ტრანსმისიის პროცესს და იდეებს კულტურული წრეების (Kulturkreislehre) შესახებ ფ. გრებნერის მოძღვრების თეორიულ საწყისად მიიჩნევდნენ, რომლებიც, მათი აზრით, ფ. გრებნერს ფრიდრიხ რატცელის ანთროპოგეოგრაფიისა და რიკერტის ფილოსოფიის გავლენით განუვითარებია. ესეც ზოგიერთი ქართველი ეთნოლოგის მიხედვით

ფაქტიურად ერთიანი ისტორიული პროცესის უარყოფას ნიშნავდა. ფრიდრიხ რატცელის იდეები კვლავ აგრძელებდნენ ტრანსმისიას. კულტურული წრეების თეორიის განვითარების საფუძველზე ავსტრიელებმა – ვ. შმიდტმა და ვ. კოპერსმა შეეცადნენ მისთვის ისტორიზმის ელემენტები დაებრუნებინათ, მაგრამ, როგორც ამას ქართველი ეთნოგრაფი მ. გეგეშიძე შენიშნავდა, უკვე გვიან იყო, რადგან თვით კულტურული წრეების კონცეფცია საწყისშივე უარყოფდა საზოგადოების ევოლუციურ განვითარებას, უფრო ზუსტად, კაცობრიობა სწორხაზობრივად კი არ იზრდებოდა და იგი ერთიან ისტორიულ პროცესს კი არ წარმოადგენდა, არამედ დანაწევრებული იყო ცალკე სექტორებად და ამ სექტორებს – კულტურულ წრეებს დამოუკიდებელი წარმოშობა და მიმართულება ჰქონდა. ჯერ ხდებოდა მათი ჩასახვა, წარმოქმნა და მაღალ საფეხურამდე განვითარება, ხოლო ბოლოს გაქრობა. ერთი კულტურული ციკლი მეორეს არ მიყვებოდა, ე. ი. ისინი ზეადმავალი რიგით კი არ ლაგდებოდნენ, არამედ წყობაში დამოუკიდებელი ადგილი ეკავათ, რამდენადაც ქრონოლოგიურად არათანმიმდევრული წარმოშობისანი იყვნენ და ცოცხალი ორგანიზმების მსგავსად ჩასახვა და დაბადება, განვითარება და გაქრობა ახასიათებდათ (დაწვრ. იხ. **გეგეშიძე**, 1980:33-34). როგორც ვხედავთ, აქ რაიმე რეაქციულ მიდგომასთან სრულიადაც არ გვქონდა საქმე და ის, რომ თეორეტიკოსთა გარკვეული ჯგუფი უარყოფდა და უპირისპირდებოდა სწორხაზობრივი ევოლუციის იდეას, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უარყოფდნენ მოვლენათა მიმართებებში ისტორიზმის პრინციპებს. სხვათაშორის ამ ფაქტს თავად კულტურული წრეების თეორიის კრიტიკოსთა დიდი ნაწილიც ვერ უვლიდა გვერდს და მიუთითებდნენ რა მის სუსტ, უფრო კონკრეტულად, რეაქციულ შინაარსზე ეთნოლოგიაში, აღნიშნავდნენ, რომ მათი პოზიციის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზები კაცობრიობის ევოლუციური – ერთიანი ისტორიული პროცესის უარყოფა და დამოუკიდებელი ციკლების – კულტურული წრეების დამოუკიდებლივე განვითარების იდეის დამკვიდრების მცდელობა იყო. აქედან, მათ მიაჩნდათ, რომ ამ სკოლის თეორიული საწყისები შინაგანად წინააღმდეგობრივი იყო. მოიცავდა ისტორიზმსაც და ანტიისტორიზმსაც. ამდენად, ისინი იძულებული იყვნენ, რომ კულტურულ-ისტორიული სკოლის მიერ მოვლენათა ისტორიული პერსპექტივების გათვალისწინებით შესწავლა ეღიარებინათ, მაგრამ ისტორიის ფაქტორის როლის წამოწევას მათ ადრეულ დამსახურებად მიიჩნევდნენ. უფრო მეტიც, თვლიდნენ, რომ ისინი იმ დროს ეთნოგრაფიას ისტორიულ დისციპლინათა სისტემაში განიხილავდნენ, საუკეთესო წევრებთან ერთად კლასიკური ევოლუციური მიმდინარეობის ძირითადი თეორიული პოსტულატების ალტერნატიული შეხედულებები განავითარეს.

გარდა აღნიშნული ურთულესი პრობლემების კვლევისა გიორგი ჩიტაიამ იმთავითვე მიზნად დაისახა არა მხოლოდ კულტურულ ფასეულობათა შესწავლის საფუძველზე ადრეული საზოგადოებრივი ცხოვრების რეკონსტრუქცია, არამედ დინამიკაში მისი სინქრონული კვლევა. ადრე, მიჩნეული იყო, რომ ანთროპოლოგიურ დისციპლინებს, მათ შორის, ეთნოლოგებს უნდა ეკვლიათ პირველყოფილი საზოგადოება გვიანდელ ეპოქებში შემორჩენილი აბორიგენების „პრიმიტიული კულტურების" საფუძველზე. გიორგი ჩიტაიამ განსაზღვრა, რომ აბორიგენებში გამოყენებული მეთოდიკის დუბლირება, მაგალითად, კავკასიის ხალხების, მათ შორის, ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის არადამაკმაყოფილებელი იყო. კავკასიის საკმაოდ განვითარებული ხალხების თანამედროვეობაში შემონახული კულტურის ტრადიციული ელემენტები – წარსულის რელიქტები, უდავოდ, ადრეული ცხოვრების წესის აღდგენას ემსახურებოდა, მაგრამ იგი დახვეწილი მეთოდოლოგიითა და სრულიად ახლებური მიდგომით მოითხოვდა კვლევას. ეს ამოცანა გიორგი ჩიტაიამ მრავალრიცხოვანი საველე-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებითა და ამ კვლევა-ძიების საფუძველზე დაწერილი ნაშრომებით წარმატებით განახორციელა.

რაც დიდ მიღწევად ითვლებოდა, მაგრამ ბევრი რამ გაუგებარი იყო, რადგან ეთნოგრაფია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – ბიოლოგიური დისციპლინები ერთმანეშში იყო არეული, ხოლო, ხშირად, გაიგივებული (შდრ. **გეგეშიძე**, 1980:34). დროთა განმავლობაში დადგინდა, რომ ცალხაზობრივი ევოლუციის პოსტულატებში ბევრი რამ ბუნდოვანი და გადასასინჯი იყო, რაც ასეც მოხდა. ევოლუციონიზმის თეორიულ პარადიგმებში ბევრი რამ შეიცვალა და ძირითადადმა ქვაკუთხედმა შემდეგში არაერთი თეორიული მიმართულება წარმოშვა, რომელთა შორის, მაგალითად, ერთ-ერთი, ევოლუციონიზმს არ უარყოფდა, მაგრამ მიიჩნევდა რომ კაცობრიობის განვითარება მიმდინარეობდა არა მხოლოდ მარტივიდან რთული ფორმისაკენ ცალხაზობრივად, არამედ მრავალვექტორულად, მრავალწახნაგობრივად.

გიორგი ჩიტაია უაღრესად დიდ ყურადღებას უთმობდა ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის მოსახლეობის მიგრაციის პროცესებს შესაბამისი პირობების გათვალისწინებით. გლობალური და ეპოქალური მიგრაციების გარდა, რასაც გეომორფოლოგიური პროცესები, მრავალრიცხოვანი ლაშქრობები, პოლიტიკური მოვლენები თუ ეკონომიკური პრობლემები განსაზღვრავდა, ხალხთაშორისი თუ შიდაეთნიკური გადასახლებები და ჩასახლებები, რომლებიც როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური შინაარსის მატარებელი იყო, ხალხის ცხოვრების წესის ხასიათსა და მიმართულებებზე მუდამ დიდ გავლენას ახდენდა. ამ ტიპის მიგრაციები ზეგავლენას ახდენდა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობასა და, საერთოდ, ადამიანთა ცხოვრების წესზე. მიიჩნევა, რომ მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის შესწავლისას გ. ჩიტაიას მიერ გამოყენებულმა მეთოდიკამ ხელი შეუწყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის არაერთი საკვანძო საკითხის ახსნას. ეს იყო მიგრაციის მთა-ბარულ პრინცებზე დაფუძნებული საკლასიფიკაციო პრინციპების დამუშავების მცდელობა, რომელიც კონკრეტულ საველე წყაროებსა და ემპირიულ გამოცდილებაზე იყო აგებული. მეცნიერმა დაადგინა საქართველოს მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების ისტორიული პროცესების კანონზომიერება, რომელიც განსაზღვრული ყოფილა საქართველოს მთის პირობებში საწარმოო ძალთა განვითარების კონკრეტული პირობებით და ქართველი ხალხის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე წარმოადგენდა მუდმივმოქმედ მოვლენას. ამ ტიპის მოვლენების მიმართულებათა სწორად შეფასებას დიდი სამეცნიერო ღირებულება ჰქონდა, რადგან მკვლევართა გარკვეულ წრეებში საქართველოს მოსახლეობის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლება, უმთავრესად, გაგებული იყო როგორც ბარის იძულებითი დატოვება და მთაში თავშესაფარის საძებნელად გადასახლება უცხო დამპყრობთა მუდმივი შემოსევებისა და აოხრების ნიადაგზე. მიაჩნიათ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს მკვლევრის პრინციპული მნიშვნელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კონცეფციასთან, რომელიც საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის ეთნოსოციალურ ისტორიას განიხილავდა ამა თუ იმ ეპოქაში ერთმანეთისაგან არა მოწყვეტილად, არამედ ურთიერთდაკავშირებით (**გეგეშიძე**, 1980:18).

სადაც ადამიანის საქმიანობასთან – შემოქმედებასა და მოღვაწეობასთან გვაქვს საქმე, ბუნებრივია, იქ სოციალური პრობლემატიკაც მონაწილეობს. განსაკუთრებით ეს დასახლების სისტემის: დასახლების ფორმებისა და სტრუქტურის, საცხოვრებელი ნაგებობების კვლევის პროცესში იჩენს ხოლმე თავს (იხ. **ჩიტაია**, 1997). გიორგი ჩიტაია ცნება „დასახლებას" განმარტავდა, როგორც ადამიანთა საცხოვრებლისა და შრომის – სამეურნეო ადგილის ერთიანობას (დასახლების შესახებ იხ. **ჩიტაია**, 1956). გარდა იმისა, რომ ჩამოაყალიბა დასახლების კლასიფიკაცია, ამასთან, მან დაგვიხასიათა დასახლების მორფოლოგიური თავისებურებები და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სხვადასხვა შეხედულებების შუქზე განსაზღვრა ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც დასახლების იერსახეს ქმნიდნენ. მეცნიერი ამა თუ იმ სახის დასახლებული პუნქტების წარმოქმნას განიხილავდა არამარტო გეოგრაფიული, თავდაცვითი თუ სამეურნეო, არამედ სოციალური დეტერმინანტების, მაგალითად, დიდი ოჯახების სეგმენტაციის საფუძველზეც და მრავალფეროვანი საველე-ეთნოგრაფიული წყაროების ანალიზის შედეგად გამოყოფდა დასახლებაში არსებული სხვადასხვა ქრონოლოგიური შრის კულტურულ ფასეულობათა პლასტებს. ის, რომ დასახლების წარმოქმნა სოციალური თვალსაზრისით დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციის მინიმალურ ფორმებთან მეტყველებს იმ ტიპის ტოპონიმიკური ფაქტებიც, რომლებიც მკაცრად განსაზღვრული დაბოლოებებით არის წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით გიორგი ჩიტაია გამოყოფდა არაერთი მეცნიერის მიერ დადგენილ ისეთ ფორმანტებსა და დაბოლოებებს, როგორებიც იყო: **-ისი**, **-ვანი**, **-ბანი**, **-კარი**, **-ახო**, **-ანი**, **-იანი**, **-იონი**, **-დაბა**, **-ები**, **-თა**, **-მანი**,... ეყრდნობოდა რა ზოგად სპეციალურ ლიტერატურას მეცნიერი სხვადასხვა განზომილების დასახლებებს საკლასიფიკაციო პრინციპების საფუძველზე ალაგებდა. მაგალითად, განლაგების მიხედვით წინამორბედ მკვლევართა კვალდაკვალ

იგი სამი, ხოლო სოციალური თვალსაზრისითაც, ასევე, სამი სახის სოფელს გამოყოფდა. ესენი იყო: 1. უწესრიგოდ განლაგებული სოფელი; 2. ცენტრალური მოედნის გარშემო განლაგებული სოფელი; 3. ქუჩის გასწვრივი, ქუჩის ერთ ან ორ მხარეზე განლაგებული სოფელი, რომელიც სოციალურად შეიძლება ყოფილიყო: 1. შეჯგუფებული, რომელიც ნიშანდობლივი იყო დაუნაწევრებელი საზოგადოებისათვის; 2. ცალკე ჯგუფებად დასახლება დამახასიათებელი ფენებად დანაწევრებული საზოგადოებისათვის – მაღალი წოდება, გლეხები, ხელოსნები; 3. უბნური დასახლება თანმხლები მეზობლად მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ფენის. დასახლების ტიპებზე გავლენას ახდენდა ახოს აღება, მესაქონლეობა და მიწათმოქმედება – მიწის მოხვნის სისტემა, მიწის ფართობის ეკონომია, მტრისაგან თავდაცვის საჭიროება, ტოტემიზმი, საქორწინო კლასები და სხვა. ავტორი განიხილავს გლეხობის, როგორც სოციალური კატეგორიის ფორმირების შესახებ არსებულ საყურადღებო მოსაზრებას. მაგალითად, მიიჩნეოდა, რომ სახვნელის კულტურა უმეტეს სამეურნეო-კულტურულ გარემოში იქმნებოდა სპეციალიზებული ტიპის მესაქონლეობისა და მიწისმოქმედების სიმბიოზის თანაარსებობის შედეგად, რაც, თავის მხრივ, წარმოქმნიდა მეურნეობის ახალ სახეობასა და აყალიბებდა გლეხობას, რის საფუძველზეც თანდათანობით ვითარდებოდა კომლთა მრავალი რიცხვისაგან შემდგარი დასახლება. დასახლების ტიპში მეურნეობის ხასიათი, მტრისაგან დაცვის საჭიროება, ტოტემიზმი, მატრილინეალურ საზოგადოებაში საქორწინო კლასები აპირობებდა შეჯგუფებულ, კომლთა მცირე რიცხვისაგან შემდგარ, ტერასულ, აკროპოლისის სახის, საკარმიდამო, ქუჩის გასწვრივ დასახლებებს. გიორგი ჩიტაია საველე წყაროებისა და მდიდარი ზოგადი ლიტერატურის[10] შეჯერების საფუძველზე საქართველოსათვის დასახლების სისტემაში გეოგრაფიული ზონალობის გათვალისწინებით გამოყოფდა სხვადასხვა ვარიანტს. მეცნიერის დაკვირვებით, საქართველოში მჭიდროდ დასახლება წარმოდგენილია მთისძირა ზოლში (ლაგოდეხი, ყვარელი, ახმეტა, თიანეთი, დუშეთი, ქვემოჭალა, მეჯვრისხევი, ლენინგორი, სტალინირი, ონი, ლაილაში, ცაგერი, ლექსურა, ლია, ჯვარი, სუხუმი, გაგრა, ლესელიძე), სადაც კვადრატულ კილომეტრზე მცხოვრებთა მაქსიმალური რაოდენობა იყო შეჯგუფებული. ავტორის აზრით, სხვაგვარი ვითარება მოწმდება ბარისა და მთის ზოლის საქართველოში, სადაც დასახლების სიმჭიდროვე შედარებითი მცირეა (დაწვრ. იხ. **ჩიტაია**, 1997:17-171).

დასახლებული პუნქტების ჩამოყალიბებაში გიორგი ჩიტაია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დამხმარე სამეურნეო ბაზების როლს და შესაბამისი ტერმინოლოგიის ისტორიულ-ეთნოლოგიური და ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის საფუძველზე საკმაოდ თამამ დასკვნებსაც აკეთებდა, რომლებიც უაღრესად ფასეულია ქართული სამამულო ისტორიოგრაფიისათვის. ამ თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ აფხაზური ტერმინი **აგვართა** (//**აგვარა**, **აგუარა**, **გვალ**, **გომი**), რომელსაც იგი ქართულ *გვართან* კონტექსტში განიხილავდა. ამდაგვარმა დასკვნებმა ჩვენ საშუალება მოგვცა აფხაზური ტერმინი **აგვართა** დაგვეკავშირებინა არა მარტო ქართულ *გვართან*, არამედ, ერთი მხრივ, ქართული ენის ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელ ნათესაობის აღმნიშვნელ ისეთ სიტყვებთან, როგორებიცაა **ნოგრო** (//**ნეგრო**), **ნაგრამი**, **მონაგარი**, ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდილოკავკასიაში ვაინახური ტომებისათვის დამახიათებელ **გერ** და **გარ** სიტყვებთან (იხ. **მგელაძე**, 2002:108-120; 2004:70-88). გიორგი ჩიტაია ფიქრობდა, რომ ქართული **გვარი** და აფხაზური **აგუარა** ადრე აღნიშნავდა როგორც პირუტყვის სადგომს, ისე ადამიანის სადგურსაც დაახლოებით ზოგადქართულ ტერმინ *სახლის* მსგავსად (შდრ. **ხულა**, **ოხორი**, სვანური **ქორ** და აჭარული **ქორი**,.. იხ. **ჩიტაია**, 2000:127-129). დასახელებულ ლექსიკურ ფენასთან მიმართებაში გასათვალისწინებელია ოსებში გავრცელებული ტერმინი **ქურთათა** (შდრ. ოსურ *каерта*-ს ეზოს მნიშვნელობით), რომელიც თავისი საფუძვლებით შესაძლოა მიწაზე ადრეფეოდალური საკუთრების ფორმებთან ყოფილიყო დაკავშირებული. ქურთათის ხეობის ტერიტორიებს მეზობელი რეგიონის მოსახლეობა საზაფხულო საძოვ-

[10] მაგალითად, იხ. შ. ჩოჩია (**Tschotschia**, 1927); ფრ. ბაუმჰაუერი (**Baumhauer**, 1928); ლ. პანეკი (**Панек**, 1930), ბ. დეგენ-კოვალევსკი (**Деген-Ковалевский**, 1936) და სხვა.

რებად იყენებდა, სადაც პარალელური სამეურნეო ბაზები – დროებითი სადგომები იყო მოწყობილი. მათ **ქართა** (შდრ. დასავლურ-ქართულ თხისა და საქონლის სადგომის გამომხატველ სიტყვებს – *ქართასა* და *ქალტას*) ეწოდებოდა. **ქართა** დროთა განმავლობაში მუდმივ საცხოვრებლად იქცეოდა ხოლმე და დასახლებულ პუნქტად – სოფლად ყალიბდებოდა[11]. უმართებულო არ იქნება თუ მითითებულ ნომენკლატურასთან და მათ მნიშვნელობებთან საერთო კონტექსტში განვიხილავთ ისეთ ეთნონიმებსა და ეთნოტოპონიმებს, როგორიცაა **ქართლელი** (**ქართველი**) და **ქართლი** (**საქართველო** – დაწვრ. იხ. **მგელაძე**, **შოშიტაშვილი**,... 2009:262-263). თუ **ქართა** შეიძლება **საქართველოს** დავუკავშიროთ, მაშინ *ბერაც* დასაშვებია *იბერიასთან* კონტექსტში განვიხილოთ. ჩვენ იმ ვარაუდსაც შეგვიძლია დავუჭიროთ მხარი, რომელიც *იბერიასა და იბერებს* ჩვენი ქვეყნის წარმართობის თუ ანტიკურ-ელინისტური ეპოქის დროინდელ სახელწოდებად, ხოლო *ქართლსა* (/*ქართლელებს*) და *საქართველოს* (/*ქართველებს*) ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ ადრეფეოდალური ურთიერთობების წიაღში ჩამოყალიბებულ ეთნიკური რაობის ამსახველ სიტყვებად მიიჩნევს, თუმცა არსებობს სხვა ტიპის თვალსაზრისებიც, მაგალითად, ექვთ. თაყაიშვილის. ექვთ. თაყაიშვილი იბერსა და ქართველს მთა-ბარული სისტემით ხსნიდა და ეთნონიმურ ტერმინთა წარმომავლობას განიხილავდა არა ქრონოლოგიურ ჭრილში, არამედ სინქრონულ სიბრტყეზე. ამ თვალსაზრისის მხარდამჭერები იბერების ენობრივ მახასიათებლად ხანმეტ, ხოლო ქართების – ჰაემეტ კილოკავებს მიიჩნევდნენ. ბოლო პერიოდის გამოკვლევებიდან ქართველთა და ქართველთა საცხოვრისის აღმნიშვნელი ცნებების შესახებ ყურადღებას იქცევს თ. გამყრელიძის ნაშრომი, სადაც პრობლემა ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტითაა განხილული (**გამყრელიძე**, 2010)

ეთნოკულტურულმა და ეთნოგენეტიკურმა თეორიებმა ადრეული თაობის ისტორიკოსთა, ეთნოლოგთა, ლინგვისტთა და არქეოლოგთა შორისაც იჩინა თავი, რასაც, მაგალითად, საქართველოში ბიძგი მისცა XI საუკუნის მემატიანის – ლეონტის მროველის თხზულებებმაც და ამ თხზულებებში ასახულმა ეთნოგენეტურმა კონცეფციამ ქართველი და კავკასიის ხალხების საერთო წარმოშობის შესახებ, ამ ხალხების საერთო წინაპრების: ლეგენდარული ეთნარქეპონიმების ბიბლიურმა სიუჟეტებმა. ბუნებრივია, ქართული ეთნოსის რაობასა და ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემას ვერც გიორგი ჩიტაია აუვლიდა გვერდს. მან ეთნოგრაფიული ფაქტებისა და წერილობითი წყაროების ეთნოლოგიური ანალიზის საფუძველზე არაერთი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ისეთ ცნობილ ნაშრომებში, როგორებიც იყო: „ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიულ პრობლემები" „თეორიები ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ", „აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა", „საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ", „ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური ჩამომავლობის შესახებ" (**ჩიტაია**, 2000). გიორგი ჩიტაია ეთნოგენეზს განიხილავდა როგორც ტომთა და ხალხთა ისტორიულ კავშირს, კულტურული შერწყმითა და კულტურული გავლენებით დეტერმინებული შინაგანი განვითარების პროცესს, ეთნიკურ თავისებურებათა კომპლექსს, რაშიც გულისხმობდა სულიერი და მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის სპეციფიკურ თავისებურებათა კონკრეტულ ერთიანობას. გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო მოღვაწეობის გარიჟრაჟზე ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ განვითარებული ლინგვისტიკა, ეთნოლოგია, არქეოლოგია. ასეთ პირობებში საკმაოდ ფართოდ იწყებდა გავრცელებას კულტურის დიფუზიისა თუ კულტურული მიგრაციების, კულტურულ მიღწევათა სესხების, მათ შორის, იძულებითი სესხების შესახებ სხვადასხვა ანთროპოლოგიური სკოლის შეხედულებები და ცალკეულ მეცნიერთა კონცეფციები. მაგალითად, მიიჩნეოდა, რომ საქართველო და კავკასია იყო თავშესაფარი მცირე და დიდი ტომებისა, სადაც ისინი თითქოს მხოლოდ თავდასხმითი ომების შედეგად იყვნენ დაბინავებული. ამით ხაზი ესმებოდა იმ ფაქტს, რომ საქართველო და კავკასია იყო დერეფანი თუ დიდი სავაჭრო გზა და სატრანზიტო მაგისტრალი, სადაც ჩრდილოეთიდან სამხრეთით და, პირიქით,

[11] ალ. რობაქიძის ამ მოსაზრებების შესახებ დაწვრილებით იხილეთ (**გამყრელიძე**, 2007:84).

ადგილმონაცვლეობდნენ ხალხთა მასები, რომლებიც ერთმანეთს გადასცემდნენ კულტურის მიღწევებს[12]. აქედან კი გამოდიოდა, რომ თითქოს უშუალოდ საქართველოსა და კავკასიის ხალხებს ასეთი გამოცდილება არ გააჩნდათ. გიორგი ჩიტაიას გამოკვლევათა ციკლი ამ მოსაზრებების პირდაპირი უარყოფაა, სადაც თვალნათლივაა ნაჩვენები საქართველოსა და კავკასიის ხალხთა თვითმყოფადი კულტურის სიძველე და ადგილობრივი წარმომავლობა. განსაკუთრებით ეს მკაფიოდაა ასახული სამეურნეო კულტურაში – სამიწათმოქმედო სისტემასა და მესაქონლეობაში. სამიწათმოქმედო სისტემაში გამოვლინდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები სამიწათმოქმედო ტექნოლოგიების, მემინდვრეობის, შრომითი ჩვევებისა თუ საწარმოო ემპირიული გამოცდილების, ენდემური პურეულის მრავალფეროვან ჯიშთა, მევენახეობის, ისე, როგორც საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, ჩაცმულობის სფეროში. ყველაფერი ეს იბერიულ-კავკასიურ ენებთან კონტექსტში მეცნიერის ეთნოგენეტიკური კვლევების ამოსავალი იყო. ეთნოგენეზის – ამ დიდი და ზოგადი ეთნოლოგიური პრობლემის საველე და კამერალური დამუშავება გიორგი ჩიტაიას მიერ ყველა ძირითადი საკლასიფიკაციო კულტურული კომპონენტის საფუძველზე განხორციელდა, რამაც განსაზღვრა კიდეც სათანადო პროდუქციის მაღალი მეცნიერული ღირებულება (შდრ. **გეგეშიძე**, 1980:15-17).

გიორგი ჩიტაია უაღრესად დიდ ყურადღებას კავკასიური საცხოვრებელი ნაგებობის ისტორიას აქცევდა. განსაკუთრებით მისი კვლევის სფეროში მოქცეული იყო დარბაზული ტიპის საცხოვრებელი. სომხეთში ანისის არქეოლოგიური გათხრების შემდეგ გიორგი ჩიტაიამ ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის მიზნით ი. ორბელთან ერთად მონაწილეობა მიიღო შირაქის საველე ექსპედიციაში, სადაც მან ეთნოგრაფიული თვალსაზრისით პირველად იმუშავა სომხურ სოფლებში – მდინარე ახურიანის აუზის დასახლებებში (მარმაშენი, ახურიანი, მარალიკი,...), გაეცნო სომეხთა ყოფასა და ცხოვრებას. მეცნიერმა იქ დააფიქსირა ქართული დარბაზული ტიპის სომხური ვარიანტი. შემდეგში ამ ტიპის სახლები არქიტექტორ სევეროვთან ერთად ქართლში გ. ჩუბინაშვილმა შეისწავლა, ხოლო ოდნავ გვიან არქიტექტორ შავიშვილთან ერთად დაიწყო მესხური დარბაზის გამოკვლევა (იხ. **ჩიტაია**, 1926). გიორგი ჩიტაიას მიაჩნდა, რომ სწორედ ამ კვლევებით შევიდა სამეცნიერო მიმოქცევაში საცხოვრებლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ტიპი (**ჩიტაია**, 1991:36). საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინციის კომპლექსურმა კვლევამ ურთიერთშედარების საფუძველზე მრავალი საყურადღებო მიგნება განაპირობა. მაგალითად, სამეურნეო ფუნქციის მიხედვით საცხოვრებელი სახლის შესწავლის ტრადიციულ ნიმუშს წარმოადგენდა ხევსურული სახლი და ამ სახლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი – **სენე**, რომელიც რძის პროდუქტების დამუშავებისათვის განკუთვნილი საგანგებო ადგილი იყო (**ჩიტაია**, 1947). სწორედ კომპლექსური ექსპედიციების წრაროთმცოდნეობითმა შედეგებმა მისცა გიორგი ჩიტაიას საშუალება დაენახა *სენეში* აჭარული *სარძიეს* მსგავსი ელემენტები, რომელიც, ასევე, აჭარული სახლის ორგანული ნაწილი იყო (**გეგეშიძე**, 1980:56). ქართული საცხოვრებლის მრავალმიმართულებიანმა კვლევამ გიორგი ჩიტაია მნიშვნელოვან დასკვნებამდე მიიყვანა და საშუალება მისცა საცხოვრებელი ნაგებობის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი საკლასიფიკაციო კრიტერიუმები ჩამოეყალიბებინა, რაც საწინდარი გახდა მატერიალური კულტურის სფეროში ხალხური ხუროთმოძღვრების ქართული ნიმუშების ტიპოლოგიური დახასიათებისა. ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო კონსტრუქციული პარამეტრები –

[12] XIX საუკუნის ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, ზისერმანი მიიჩნევდა, რომ საქართველოში ხევსურები წარმოადგენდნენ პალესტინიდან დაბრუნებული ევროპელი ჯვაროსნების ნაწილს, რომელთაც თითქოს კავკასიის მთებისათვის თავი შეუფარებიათ და ხევსურეთის ტერიტორიაზე გამრავლებულან. გიორგი ჩიტაია ამ პრობლემით მაშინ დაინტერესდა, როცა მან ვერა ბარდაველიძესთან ერთად ქართული, კერძოდ, ხევსურული ორნამენტის შესწავლა დაიწყო და ეს ბუნებრივიც იყო, რადგან მეცნიერები მსგავს შეხედულებას სწორედ ჩუქურთმებზე დაკვირვებებით ანვითარებდნენ და ყურადღებას ამახვილებდნენ ხევსურულ ტანსაცმელში ჯვრის ფართოდ გამოყენების ფაქტსა და განვითარებული შუა საუკუნეების ხმალხანჯლების საგულდაგულოდ შემონახულობაზე (დაწვრ. იხ. **ბარდაველიძე**, **ჩიტაია**, 1939).

გადახურვის პრინციპის თავისებურებები. ამ ნიშნით გიორგი ჩიტაიამ გამოყო ქართული საცხოვრებელი ნაგებობის ოთხი უმთავრესი ტიპი: 1. ბრტყელი გადახურვით – **ბანიანი სახლი**; 2. ორფერდასახურავიანი სახლი – **აფრიანი სახლი**; 3. ოთხფერდა პირამიდულ-სახურავიანი სახლი – **კუნჭულიანი სახლი** და 4. ღია გადახურვის ლატერნადახის ტიპის სახლი – **ლირსიანი სახლი**.

ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართულ-კავკასიური კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც მსოფლიო ცივილიზებული სამყაროს კულტურული ფასეულობების ორგანული ნაწილი იყო, მოითხოვდა პოპულარიზაციასა და ცნობადობის ხარისხის ზრდას. ამის საუკეთესო ადგილს კი სამუზეუმო კომპლექსები წარმოადგენდა, რაც, იმ დროს, შესანიშნავად ესმოდა ღვაწმოსილ მეცნიერს. სწორედ ამიტომ მან მთელი თავისი ენერგია და ძალისხმევა საქართველოში მაღალი დონის მუზეუმების და ამ მუზეუმებში ეთნოგრაფიული ექსპოზიციების სეგმენტების მეცნიერულ დონეზე ორგანიზაციას მოახმარა. დიდი იყო გიორგი ჩიტაიას ღვაწლი სამუზეუმო ცხოვრების ჩამოყალიბებისა და განვითარების სფეროში, რასაც აპრობირებული სამეცნიერო გამოცდილება დაედო საფუძვლად (იხ. **ჩიტაია**, 2001). სამუზეუმო საქმიანობის იმდროინდელი მდგომარეობა, სამუზეუმო აზრის განვითარების დონე, საექსპოზიციო მუშაობის სოციალური ფუნქციაზე ფოკუსირების ხელოვნების დახვეწა მოითხოვდა ღრმა განსწავლულობას, ინტელექტუალურ ძალისხმევასა და ინტენსიურ შრომას. თავის დროზე, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, განსაკუთრებით, თბილისში გაბნეული სამუზეუმო კოლექციები საჭიროებდა ერთ ადგილზე თავმოყრას, პასპორტიზაციასა და კამერალურ დამუშავებას. დაქსასული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საკორდინაციო ქსელის გარეშე, ბუნებრივია, რთულდებოდა მათი ეროვნული ღირებულებისა და მსოფლიო მნიშვნელობის განსაზღვრა. ამასთან, როგორც ამას გიორგი ჩიტაიას ერთ-ერთი ბიოგრაფი მ. გეგეშიძე აღნიშნავდა, შეუძლებელს ხდიდა თემატური კომპლექსების შედგენას, კულტურულ ფასეულობათა სამუზეუმო ექსპოზიციას. 1926 წელს განხორციელდა გაბნეული ფონდების ცენტრალიზაცია და ხელმისაწვდომი ექსპონანტები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაბინავდა. გარდა ქართულ-კავკასიური ექსპონანტებისა, აქვე, წარმოდგენილი იყო აბისინიის, ირანისა და, საერთოდ, აზიის არაერთი ქვეყნის რიგი უნიკალური კოლექცია. ამასთან ერთად გიორგი ჩიტაია მეცნიერულად დამუშავებული პროგრამის ფარგლებში საველე-ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში ინტენსიურად აგროვებდა უნიკალურ ნივთიერ და წერილობით კოლექციებს, მათი პოპულარიზაციის მიზნით აწყობდა ექსპოზიციათა პრეზენტაციებს და მაღალი დონის აკადემიურ პუბლიკაციებში ანხორციელებდა მათი მნიშვნელობის განსაზღვრას არა მხოლოდ ქართულ-კავკასიურ ცივილიზაციასთან, არამედ, ზოგადად, მსოფლიოს ხალხთა კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში. გამოფენებში ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული ტანსაცმელი, კავკასიური ხალიჩები, ხის ჩუქურთმები, ქართული საბრძოლო იარაღი,... მისი ღვაწლის დაფასებისათვის სავსებით საკმარისი იქნებოდა ღია ცისქვეშ მუზეუმის ჩამოყალიბებისათვის მხარდაჭერის წარმოჩენა (იხ. **ჩიტაია**, 2001), მუზეუმის, რომელმაც ქართული გამოყენებითი ეთნოგრაფიის – ქართული ხალხური კულტურის სივრცობრივად წარმოსახვაში უდიდესი როლი შეასრულა (დაწვრ. იხ. **გეგეშიძე**, 1980:19),

გიორგი ჩიტაია წარმატებით სწავლობდა ეთნოგრაფიის საკითხებს ცნობილი ადამიანებისა და გამოჩენილი მეცნიერების ბიოგრაფიებში, რომელთაგან უნდა გამოიყოს ვახუშტი ბაგრატიონი, ნიკო მარი, ნიკო ხიზანიშვილი, თედო სახოკია, დიმიტრი არაყიშვილი, დავით კლდიაშვილი, რობერტ ბლაიხშტაინერი, კაზიმირ მოშინსკი, ლადო აღნიაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, აკაკი შანიძე, შალვა ამირანაშვილი, ვარლამ დონდუა, მარიამ ლორთქიფანიძე და სხვები.

თავი, რომ დავანებოთ გიორგი ჩიტაიას კონკრეტულ გამოკვლევებს, დაბეჯით შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერის ღვაწლის ფასდაუდებლობისათვის სავსებით საკმარისი იქნებოდა მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული დაკვირვებები, რომლებიც ასახულია წერილებში, რეცენზიებში, კრიტიკულ მიმოხილვებსა თუ სადისერტაციო ნაშრომების დასკვნებში, მოგონებებში.

ლიტერატურა

ბარდაველიძე, ჩიტაია, 1939 – ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია. ქართული ხალხური ორნამენტი (ხევსურული), თბილისი, 1939;

გამყრელიძე, 2007 – ბ. გამყრელიძე. სამეურნეო ყოფის საკითხები ალექსი რობაქიძის შემოქმედებაში.-„კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი საქართველოში", II, ბათუმი, 2007;

გამყრელიძე, 2010 – თ. გამყრელიძე. *ქართუ როგორც „ქართველის", „ქართველთა ქვეყნის" აღმნიშვნელი უძველესი ქართველური სახელი.-„ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი", ბათუმი, 2010;

ბაუმჰაუერი, 1928 – Fr. Baumhauer. Forschungen uberdie hausformen in Georgien.-«mittelingen aus museum fur volkerkunde in Hamburg», XII, Hamburg, 1928;

გეგეშიძე, 1980 – მ. გეგეშიძე. გიორგი ჩიტაია, თბილისი, 1980;

კოვალევსკი, 1936 – Б. Деген-Ковалевский. Сванское село, как исторический источник.-«СЭ», №4-5, 1936;

მგელაძე, 2002 – ნ. მგელაძე. საველე-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება აჭარაში, ხელნაწერი (იხ. პირადი არქივი), ბათუმი, 2002;

მგელაძე, 2002 – ნ. მგელაძე. ქართული **გვარი**: სოციალური ფუნქცია, ტერმინის წარმომომავლობა და გავრცელების ეთნოლინგვისტური არეალი.-„ქართველური მემკვიდრეობა", VI, ქუთაისი, 2002;

მგელაძე, 2004 – ნ. მგელაძე. აჭარული **გვარი** და **ნოგრო**, ბათუმი, 2004;

მგელაძე, ტუნაძე – Н. Мгеладзе, Т. Тунадзе. Каменный гроб из села Вашловани (Алме).-«Археология, этнология, фолклористика Кавказа».–Сборник кратких содержаний докладов, Тбилиси, 2007;

მგელაძე, შოშიტაშვილი,... 2009 – ნ. მგელაძე, ნ. შოშიტაშვილი, ჯ. მიქელაძე, თ. ტუნაძე. ლაზი ხელოსნების სამშენებლო ტრადიციები ჭოროხ-აჭარისწყლის ხეობებში.-„გურამ კარტოზია – 75", თბილისი, 2009;

მელიქიშვილი, 2000 – ლ. მელიქიშვილი. ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია, თბ., 2000;

პანეკი, 1930 – Л. Панек. Жилище мтиулов.-«Сборник музея антропологии и этнологии», т. XI, Ленинград, 1930;

ჩიტაია, 1926 – გ. ჩიტაია. ქართული ეთნოლოგია (1917-1926).-„მიმომხილველი" (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო), ტ. I, თბილისი, 1926;

ჩიტაია, 1947 – გ. ჩიტაია გლეხის სახლი ქვაბლიანში (დარბაზული ტიპი).-„მიმომხილველი" (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო), ტ. I, თფილისი, 1926;

ჩიტაია, 1947 – გ. ჩიტაია. ხევსურული სახლი „სენე".-„ანალები", I, თბილისი, 1947;

ჩიტაია, 1956 – გ. ჩიტაია. დასახლების ტიპი მთიულეთში.-„მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", ტ. VI, თბილისი, 1956;

ჩიტაია, 1991 – გ. ჩიტაია. ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, თბილისი, 1991;

ჩიტაია, 1997 – გ. ჩიტაია. ქართულ-კავკასიური სამიწათმოქმედო სისტემა.-„ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა", ტ. I, თბილისი, 1997;

ჩიტაია, 1997 – გ. ჩიტაია. საქართველოსა და კავკასიის სამეურნეო იარაღების ისტორიისათვის..-„ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა", ტ. I, თბილისი, 1997;

ჩიტაია, 1997 – გ. ჩიტაია. დასახლების ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო იარარები.-„ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა", ტ. I, თბილისი, 1997;

ჩიტაია, 2000 – გ. ჩიტაია. ქვის კუბო ქვემო ალმედან.-„ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები", II, თბილისი, 2000;

ჩიტაია, 2000 – გ. ჩიტაია. ქართველი ხალხის ეთნოგენეზი (შესავალი საქართველოს ეთნოგრაფიისათვის):-„ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები", II, თბილისი, 2000;

ჩიტაია, 2000 – გ. ჩიტაია. თეორიები ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ.-„ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები", II, თბილისი, 2000;

ჩიტაია, 2000 – გ. ჩიტაია. აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა.-„ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები", II, თბილისი, 2000;

ჩიტაია, 2000 – გ. ჩიტაია. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ-„ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები", II, თბილისი, 2000;

ჩიტაია, 2000 – გ. ჩიტაია. ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური ჩამომავლობის შესახებ. - „ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები", II, თბილისი, 2000;

ჩიტაია, 2001 – გ. ჩიტაია. 1933 წლის აჭარისტანის ექსპედიცია (დღიური). - „XX ს. ქართული ეთნოგრაფია. საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, მეთოდოლოგია", ტ. III, თბილისი, 2001;

ჩიტაია, 2001 – გ. ჩიტაია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. - „XX ს. ქართული ეთნოგრაფია. საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, მეთოდოლოგია", ტ. III, თბილისი, 2001;

ჩიტაია, 2001 – გ. ჩიტაია. ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ.- „XX ს. ქართული ეთნოგრაფია. საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, მეთოდოლოგია", ტ. III, თბილისი, 2001;

ჩიტაია, 2001 – გ. ჩიტაია. „სვეტები".- „საუნივერსიტეტო ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში", ტ. IV, თბილისი, 2001;

ჩოჩია, 1927 – Schal. Tschotscia. Agrarverfassung und Landwirischaft in Georgian, Berlin-Lepzing, 1927.

† ვლადიმერ მგელაძე

სახლი და კარმიდამო ზემო აჭარაში[13]

ღორჯომის მოსახლეობის უმრავლესობა ყოველთვის განიცდიდა მიწის ნაკლებობას. მომთაბარული მესაქონლეობა და საქონლის *ახორში* (ბოსელში) დაზამთრების პრაქტიკა, ისიც მიწის სიმცირის პირობებში, ხელს უწყობდა საკარმიდამო კომპლექსის ვერტიკალურ ჭრილში განვითარებას, მის მრავალსართულიანობას.

ღორჯომის მთაგორიანი გარემოს პირობებში მიწაზე გაზრდილი მოთხოვნილება და მეურნეობის მთავარი დარგების (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა) სიმბიოზური განვითარება კონკრეტულად სვამდა საკითხს საკარმიდამო ფართობის ეკონომიურად გამოყენების შესახებ.

დემურალ წინწკალაძის სახლი, ს. წინწკალაშვილები (ღორჯომი), 1958 წ. ფოტო ვლ. მგელაძისა

საკარმიდამო კომპლექსის მოხაზულობა ღორჯომის ხეობაში კლიმატური, ტოპოგრაფიული და ეკონომიკური პირობებით განისაზღვრებოდა. ერთსა და იმავე სოფელში მომიჯნავე საკარმიდამო კომპლექსის განაშენიანება და ფართობის სიდიდეც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა, თუმცა მათ გააჩნდათ რიგი ისეთი საერთო ელემენტი, რომელიც საკარმიდამოთა დაგეგმვა-განაშენიანების ერთიანობას გვისურათებს.

მთა აჭარის, კერძოდ, ღორჯომის ხეობის კარმიდამოთა მიწის ნაკვეთები ხშირად ხელოვნურად შექმნილ მიწაყრილზე იყო განთავსებული ან ადგილი ბუნებრივი ტერასებურობით გამოირჩეოდა. ბუნებრივი ალისწინებული იყო კარმიდამოს განაშენიანებისათვის, უმთავრესად, სოფლის შიდა სამიმოსვლო გზებთან იყო უშუალო კავშირში. ბუნებრივ და ხელოვნურად შექმნილ ტერასებურ ადგილზე გლეხური კარმიდამოს დაგეგმვა ძირითად მიწის სიმცირის გამო ითვალისწინებოდა. თ. სახოკიას ცნობით, ღორჯომ-დიდაჭარის დამაკავშირებელი „გზის იქით-აქეთ ფერდობნი სიმინდის ყანებს უჭირავს და შიგ სახლებია" (**სახოკია**, 1950:139).

სახნავ-სათესებში ხელოვნური ტერასების შექმნა მხარის გეოგრაფიული პირობების კარნახით განვითარდა. ამ ფაქტს ნათლად შენიშნავდა თ. სახოკია: საყანე ადგილები ისეთი მდებარეობისაა, რომ მომკელნის ფიქრი და გონება იმას უნდება „ფეხი მოვიმაგრო როგორმე და არ დავგორდეო". კიდევ მეტი, „ასეთ დაქანებულ ადგილას, სადაც ნიადვრისაგან ნიადაგი სანახევროდ ჩამოირეცხება ხოლმე, თესლი ფეხს ვერ იკიდებს" (**სახოკია**, 1950:139). ამიტომ საჭირო იყო ნიადაგის შეკავების ღონისძიებების განხორციელება. აჭარელთა ყოფაში ხელოვნური ტერასების შექმნის მადალ დონესა და ოსტატობაზე, მის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე მიუთითებს ტერმინ *ოროკი*'ს ამ ოლქის ტოპონიმიკაში არსებობაც (**სიხარულიძე**, 1958:48)[14].

საკარმიდამო მიწის ნაკვეთები მთა აჭარაში ბარის აჭარასთან შედარებით საგრძნობლად მცირე იყო და ძირითადად მესერის (**სარი**) ღობე ჰქონდათ შემოვლე-

[13] ამჯერად ვბეჭდავთ ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის – ვლადიმერ მგელაძის გამოუქვეყნებელ ხელნაწერს – „სახლი და კარ-მიდამო", რომელიც ნაწილია დიდი მონოგრაფიისა – „ზემო აჭარული სოფელი ძველად". ონოგრაფიის – „ზემო აჭარული სოფელი ძველად" – მცირე მონაკვეთი დაიბეჭდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1973 წელს, მისი კოლეგების მხარდაჭერით. ნაშრომი „სახლი და კარ-მიდამო" პირველად ქვეყნდება. ამოკვლევა არაა დათარიღებული, თუმცა ყველა შემთხვევაში იგი დაწერილი უნდა იყოს 1958-1966 წლებში პირველწყაროების საფუძველზე და, ვფიქრობთ, დააინტერესებს ქართველოლოგთა და, საერთოდ, კავკასიოლოგთა ფართო წრეს. სტატია იბეჭდება მცირეოდენი რედაქტირებით. ხელნაწერი ინახება ხარიტონ ახვლედიანის აჭარის სახელმწიფო მუზეუმის საარქივო ფონდებში – **რედაქტორი**.

[14] საბას განმარტებით, „**ოროკო** მიწა ბაქან ბაქანად მოვაკებული" ყოფილა (**ორბელიანი**, 1949:266) ხოლო ნ. ჩუბინაშვილის თქმით, **ოროკი** არის ბაქან-ბაქან ანუ ხარისხეულად მოვლებული მიწა გვერდობთა ზედა (**ჩუბინაშვილი**, 1961:3324).

ბული ან მორებით (**ჭერები**) იყო შემორაგული. საკარმიდამო კომპლექსის შემოკავების ამ ორიგინალურ წესს გ. ყაზბეგი ხის მასალის სიუხვით ხსნიდა (**ყაზბეგი**, 1960:7), თუმცა ამაში მესაქონლეობასაც მიუძღოდა წვლილი. საკარმიდამო ნაკვეთებზე გვხვდებოდა აგრეთვე ქვის კედლები (**ტვარი**), რომელიც ერთდროულად ორ ფუნქციას ასრულებდა – იგი ღობე და იმავდროულად ტერასაც იყო.

საკარმიდამო კომპლექსის შემოზღუდვა (**შემოღობვა**) და მათი ერთი ღობის შიგნით მოქცევა ღორჯომის სინამდვილეში ტრადიციად იყო ქცეული და ადგილობრივ ხასიათს ატარებდა[15]. საკარმიდამო კომპლექსის სამეურნეო და დეკორატიული ეზო, როგორც ამ ერთეულის ელემენტი, წნული ღობით ან უბრლოდ მესერით იყო გამოყოფილი და სხვადასხვა დანიშნულებას ემსახურებოდა (**ჩიქოვანი**, 1960:95). ამავე დროს საკარმიდამო კომპლექსი, განსაკუთრებით სახლი, როგორც წესი, ერთ ღობეში იყო მოქცეული.

ღორჯომში ფიქსირებული და შესწავლილი აჭარული საკარმიდამო კომპლექსი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მას ჰქონდა ორი ეზო და ზოგიერთი სამეურნეო ნაგებობა ჰორიზონტალურად იყო განლაგებული, მაინც წამყვანი ელემენტების მიხედვით ვერტიკალური გეგმით ვითარდებოდა. ალ. რობაქიძის დაკვირვებით ეს ტენდენცია უფრო აჭარის მთიანეთში იყო გამოკვეთილი (**რობაქიძე**, 1960:21).

აჭარაში, როგორც წესი, ძირითადი სახნავი ნაკვეთი – **ფუძე//ნაფუძარი**, განსხვავებით შემდეგ გაჩენილი *ახლო* და *შორიყანისაგან*, ოჯახის სამოსახლო კომპლექსში შედიოდა, თუმცა აჭარული ძველი კარმიდამოს განაშენიანების ძირითად ელემენტს მაინც საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა, რომლის გარშემო მეტნაკლებად განლაგებული იყო სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი. ზემო აჭარული სამეურნეო ეზოს სხვადასხვა კუთხეში განლაგებული იყო საბძელი, ბეღელი, ნალია და, ზოგჯერ, საქათმეც. საკარმიდამო კომპლექსის ძირითადი ნაგებობა – სახლი წინა ფასადით დეკორატიულ ეზოში გამოდიოდა, ხოლო ზურგით ყოველთვის სამეურნეო ეზოსაკენ – *ნაფეზარი*‘საკენ იყო მიმართული. ამ მონაცემებით ზემო აჭარული და დასავლურ-ქართული საკარმიდამო კომპლექსი გარკვეულ სიახლოვეს ავლენდნენ (**ჩიქოვანი**, 1960:95). საერთოდ, დაბლობში აჭარული დასახლება დასავლურ-ქართული დასახლების იერსახის მატარებელი იყო.

საკარმიდამო კომპლექსში სამოსახლოდ (**სასახლე**) უმთავრესად შერჩეული იყო ქვიანი, გამოუყენებელი და ამავე დროს დაფერდებული ადგილი. სახლი, როგორც წესი, საკარმიდამო ნაკვეთის ყველაზე მაღალ ადგილზე იყო გამართული.

საბძელი, ს. საციხური. ალიოსმან ვაშაყმაძის ვაჟი, 1958 წ. (ღორჯომი). ფოტო ვლ. მგელაძისა

ღორჯომში სახლი ზურგის ფასადით – *სანაწყლით*, ტიპიურად, ნაფუძარისაკენ იყო მიმართული. ამ მხარეში ადგილს, სადაც სანარწყულიდან გადაყრილი ნაკელი გროვდებოდა **ახორთუკანა** ეწოდებოდა. იგი შედარებით მოვაკებული და კალთისებური იყო, რათა უმიზნოდ არ მომხდარიყო დაგროვილი პატივის დაკარგვა. ახორთუკანას (სანარწყულს) დაახლოებით 15-20 კვ. მ. ადგილი ეკავა. პატივი ამდაგვარ ადგილებში, როგორც ზვინი, ისე იყო განთავსებული და სახნავ-სათესი ნაკვეთების გამანოყიერებელ საშუალებად იხმარებოდა. საკარმიდამო კომპლექსში სახლის აღნიშნული ორიენტაციაც დაკავშირებული იყო სავარგული მიწების მორწყვა-გაპატივების სისტემასთან, რომელიც გულისხმობდა გამდინარი წყლის საშუალებით გათხიერებული ნაკელის გამოყენებას (**რობაქიძე**, 1960:19) – *ნაფუძარის*, *ეზოყანის*, *ახლოყანის* და ზოგჯერ კი *შორიყანის გასუქებას*.

მთა აჭარის საკარმიდამო კომპლექსში სახლის უკანა მხარეს განლაგებული იყო **ბახჩა** – ხეხილისათვის განკუთვნილი ტერიტორია, **ბოსტანი** – მწვანილის სათე-

[15] ზემო აჭარაში ხშირად გვხდება ღია, შემოუზღუდავი კარმიდამოებიც, – **რედაქტორის შენიშვნა**.

სი ადგილი, ზოგჯერ კი – **სასკე** (საფუტკრე). კარმიდამო ხეხილის ნარგავებში ისე იყო ჩაფლული, რომ ხშირად არც კი ჩანდა ნაგებობანი. თ. სახოკიას თქმით, ღორჯომში „ხილი ყოველ მეოჯახეს უდგას ეზოში" (**Сахокиа**, 1950:35-136). შხვა ადგილას იგი წერს: ღორჯომის „ყოველ მოსახლეს თავისი საკუთარი ეზო აქვს, სადაც ხეხილი უდგას და სიმინდი უთესია" (**Сахокиа**, 1950:133).

ანანიძის სერისპირული სახლი, ისმაილ მიქელაძის ფოტო. ს. ვაშაყმაძეები (ღორჯომი), 1958წ. ფოტო ვლ. მგელაძისა

საკარმიდამო კომპლექსში მიწის სიმცირის გამო სხვადასხვა დანიშნულების რამდენიმე სამეურნეო ნაგებობა ერთიმეორეზე დაშენების წესით სართულებად გაერთიანებული და ერთი სახურავის ქვეშ იყო მოქცეული. ასე მაგალითად, ბოსელი, საცხოვრებელი სახლი და ბეღელი უმთავრესად ერთ შენობად იყო წარმოდგენილი. გვხვდებოდა ბოსელი საბძლით და ნალია ან სახლი საშუშე ფარდულით – *კარაპანი*'თ. **კარაპანი** ზოგჯერ *საჩახი*'ს სახელითაც დასტურდება. საბძლის წინა ნაწილი წარსულში *კალო*'დ იყო გამოყენებული.

ღორჯომის სინამდვილეში დამოწმებულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ერთ კომპლექსში მოქცევა – ვერტიკალური განლაგება და მრავალსართულიანობა ამ კუთხის სამეურნეო ყოფით უნდა ყოფილიყო შეპირობებული. აგებობათა ამდაგვარი ტიპის ჩამოყალიბებაში ეკონომიკური ფაქტორებიდან გარკვეული როლი შეასრულა მესაქონლეობის იმ ფორმამ, რომელიც ღორჯომისათვის იყო დამახასიათებული. მესაქონეობის ეს ფორმა მოითხოვდა წლის გარკვეულ მონაკვეთში (ადრე გაზაფხულზე, შემოდგომის მიწურულსა და ზამთრის პერიოდში) საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულში საქონლის დაბინავებას. მესაქონლეობის ანალოგიური ფორმა დამოწმებულია აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში – დაღესტანში, სადაც საქონელი ისე, როგორც აჭარაში, მთელი ზამთრის განმავლობაში სახლში იმყოფებოდა. აღესტანის მცხოვრებთაგან ამ რიგის მესაქონლეობას მისდევდნენ ავარები, დარგელები, ლეზგინები, ლეკები, ტაბასარანები, აგულები და ცახურები (**Народы**... 1960:90, 112, 168, 190, 224).

ბუნებრივი პირობების გავლენით და ეკონომიკური ყოფის ზემოქმედებით ღორჯომში და, საერთოდ, მთიან აჭარაში განვითარების თვალსაზრისით დასრულებული სახით იყო წარმოდგენილი ძველი ქართული ხალხური საცხორებელი სახლის ტიპი ე. წ. „აჭარული სახლი".

ღორჯომის სინამდვილეში შესწავლილი ქართული ხალხური საცხოვრებელი სახლის პირველ სართულს – ბოსლის ქვემოთ არსებულ სივრცეს ადგილობრივი მოსახლეობა *ახორქვეშ*'ს ეძახდა. იგი, ხშირად, ორმხრივ ღიად იყო დატოვებული ჰაერის ცირკულაციის მიზნით. **ახორქვეშა** უმეტესად გამოყენებული იყო მასალის, ინვენტარის (**ჯილღა**, **არვანა**, **სელი**, **გარი**, **გოდორი**, **ციგა**) და სხვათა სათავსოდ. ცოკოლის ნახევარი (ფასადის უკანა მხარე) მიწის ზედაპირიდან ზღვემდე[16] მეტრიდან ორ მეტრამდე აღწევდა, ხოლო წინა ნაწილი – **სატვინე** ძლიერ დაბალი იყო და წვიმიან თუ თოვლიან ამინდში ქათმების დასამუდრებელად გამოიყენებოდა. სოფელ საციხურში შესწავლილი 96 წლის ა. მარკოიძის სახლის შესახებ თ. ჩიქოვანი აღნიშნავდა: სახლი ოდნავ შეფერდებულ ადგილზეა გაშენებული და ხის ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენს. არასწორი რელიეფის გამო პირველი სართული, ზურგის მხარეს, ქვევიდან ღია არის. ამ ღია ნაწილის ზემოთ ბოსელია გამართული და ამის გამო ამ ღია

[16] სულხან საბა ორბელიანის განმარტებით **ზღვე** არის „ქვით გინა ძელით იატაკი დაფენილი" (**ორბელიანი**, 1949:131)

ნაწილს – ცოკოლს **ახორქვეშა** ეწოდება. სამოსახლო ადგილი, რაც უფრო დამრეცია, ახორქვეშა მით უფრო მაღალია. ზოგჯერ იგი საქონლის სადგომადაც არის გამოყენებული (**ჩიქოვანი**, 1960:98-99).

საცხოვრებელი სახლი (ღორჯომი). ფოტო ვლ. მგელაძისა

აჭარული სახლის პირველი სართული *ახორს* ეკავა. ამ სართულზე ჩვეულებრივ ორი **ახორი** იყო გამართული – საკუთრივ **ახორი** და **სამფეხი** ერთი ბაგით. ზოგ სახლს სამფეხი არ ჰქონდა, თუმცა ამ შემთხვევაში ორივე ახორში ორ-ორი ბაგა იყო წარმოდგენილი. ახორს წინ სიგანით გასდევდა **ჰავლი**, რომლის ერთ კუთხეში გამართული იყო **სათხე** თუ **საცხვარე**. **სახბოერე** (//**სახბორე**) კი – როგორც წესი, ყოველთვის დიდი ახორის უფრო ნათელ ნაწილში იყო გამართული.

ჰავლი, როგორც სახლის პირველი სართულის აუცილებელი ელემენტი, წინა ფასადს მთელს სიგანეზე გასდევდა, ხოლო ახორები სიგრძით იყო დაგეგმარებული. ყოველ ახორს თავისი შესასვლელი კარი ჰქონდა. ჰავლს, თავის მხრივ, უმთავრესად ორი კარი გააჩნდა, რომელთაგან ერთი ეზოში გადიოდა, ხოლო მეორე – წინა ფასადის მხარეს. ჰავლიც დამხმარე სათავსო იყო, სადაც ყოველდღიურად ინახავდნენ საქონლისათვის საჭირო სადღეღამისო საკვებს და დაპობილ შეშას. აქვე იყო გამართული საქონლიათვის ცუდ ამინდებში წყლის დასალევი და „ნარცხის მისართმევი" ჯარები.

სახლის პირველი და მეორე სართული *ჰავლიდან იაზღლოში* ასასვლელი კიბით და *სათვალეთი* იყო დაკავშირებული. შენობის მეორე სართული შორსწასული დანაწევრებით ხასიათდებოდა და რამდენიმე (ოთხი, ექვსი, რვა) ოთახისაგან შედგებოდა. გარდა ოთახებისა აჭარული სახლის ზედა სართულის აუცილებელი ელემენტები **სარძიე**, **დეფანი**, **ქოშკი**//**კოშკი,** დამხმარე ჰიგიენური ნაგებობები და გრძელი დერეფანი – **იაზლოღი** იყო. ამ დერეფნის მეშვეობით ხდებოდა ოთახებსა და სათავსოებს შორის კავშირის დამყარება.

ხალხური საცხოვრებლის ყველა ოთახს განსაზღვრული დანიშნულება ჰქონდა. ძირითად ოთახს **სახლი** ანუ **შინა** ეწოდებოდა. ოთახი, რომელიც საკუთრივ *სახლის* სახელით იყო ცნობილი, განკუთვნილი იყო ოჯახის უფროს წევრთათვის, ე. ი. საუფროსო ოდას **შინა** წარმოადგენდა. ა. მარკოიძის სახლის *შინა*'ს აღწერისას თ. ჩიქოვანი შენიშნავდა, რომ **სახლი** „წარმოადგენს ზემოაჭარული საოჯახო ყოფის ცენტრს. აქ ცხოვრობენ სახლის დიდი და მისი მეუღლე დიდი ნენე, რომლის სახელსაც ხშირად **ზარეული** ენაცვლება"(**ჩიქოვანი**, 1960:100).

ოჯახის უფროსები *სახლში* იძინებდნენ. დღისით აქვე აძინებდნენ ძუძუმწოვარა ბავშვებს. ამავე ოთახში საუზმობდნენ, სადილობდნენ და ვახშმობდნენ. აქვე სწარმოებდა კერძების მომზადება და რძის პროდუქტების გადამუშავება. ქალები აქვე მისდევდნენ ხელსაქმეს (რთვა, ქსოვა, ძახვა, კერვა). მუშაობისაგან თავისუფალ დროს ოჯახის ყველა წევრი დროს ამავე ოთახში ატარებდა. აქვე სწარმოებდა ახლობლების: მეზობელ-ნათესავებისა და მოყვრების მიღება და სჯა-ბაასი. ერთი სიტყვით, ყველა სახის საოჯახო საკითხი და შინასამეურნეო საქმე ამ ოთახის კედლებს შიგნით წყდებოდა და კეთდებოდა. სხვა ოთახებში მხოლოდ დასაძინებლად გადიოდნენ.

აჭარული სახლის – *შინა*'ს გვერდზე გამართული იყო სამეურნეო დანიშნულების ოთახი, სადაც რძის და სხვა პროდუქტები ინახებოდა. მას **სარძიე** ეწოდებოდა. აქ არ გვხვდებოდა ბუხარი და სედრ-სექვები. სარძიეს ცალკე გამოყოფა რძის პროდუქტების დამზადება-შენახვას-

თან იყო დაკავშირებული. ღოგორც ცნობილია, აჭარულ *სარძიე*'ს ხევსურული **სენე** ენათესავებოდა, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც შეინიშნებოდა. ხევსურულ სენეში წარმოებდა რძის პროდუქტების დამზადება-გადამუშავება (**ჩიტაია**, 1947:152), ხოლო აჭარულ სარძიეში კი ეს ასე არ იყო. მაგალითად, კარაქის შედღვება თუ **მორევა**, **დოს შერეკვა**, **ყველის აღება**, **შრატის მოჟრობა** უშუალოდ *სახლში* სრულდებოდა. **შინა** და **სარძიე** შუა კარებით იყო დაკავშირებული, ზოგჯერ კი შინასა და სარძიეში მოსახვედრად კორიდორის გავლა იყო საჭირო.

სარძიე, როგორც წესი, მზარეულის ხელთ იყო. მასვე ევალებოდა ძროხების მოწველა და სადილ-ვახშმის მომზადება. იგი იყო საქალებო საქმეების წინამძღოლი. ამ ფუნქციას ყოველთვის დედამთილი ან უფროსი **შილი** ასრულებდა. აჭარელი ქალი მონაწილეობას იღებდა არამარტო საშინაო საქმეებში, არამედ იგი სახლის გარეთაც საქმიანობდა. მიდიოდა *ფერდა*'ზე (**ყიშლა**) და *თა*'ზე, სადაც მის მთავარ საქმიანობას წველა და რძის პროდუქტების გადამუშავება-დამზადება შეადგენდა. ამ საქმიანობაში ჩაბმულ ქალს აჭარაში **მენთევრი** (//**მემთევრი**) ეწოდებოდა, ისევე, როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონებში – **მემთიური** (**Харадзе**, 1960:146).

საცხოვრებელი სახლის ერთი ოთახი დათმობილი ჰქონდა სტუმარს. იგი **სასტუმრო** ან *მეიდან ოდის* სახელით იყო ცნობილი. აქ იყო ყველა ის ნივთი და ინვენტარი, რაც სტუმრის მოვლა-მომსახურებას ესაჭიროებოდა. შიდა მოწყობილობით სასტუმრო სხვა ოთახებთან შედარებით ყველაზე უკეთ გამოიყურებოდა. სასტუმრო ოდის კარები *იაზლოღში* კი არ გამოდიოდა, არამედ მის გვერდზე არსებულ *ქოშკში*, რომელსაც გარედან მიდგმული ჰქონდა კიბე. კიბის საშუალებით სტუმარი შედიოდა სახლში. შინიდან *მეიდან ოდა*'სთან კავშირი კორიდორიდან შესასვლელი *კოშკის* კარით იყო დამყარებული.

საცხოვრებელი სახლის შემდეგი ოთახი პირველი ნეფე-პატარყლის იყო. ა. მარკოიძის სახლში საქორწინო წყვილის ოთახი „საუფროსო ოდას წრმოადგენს და ყოველთვის სახლის დიდის ძმას ანდა მის უფროს ვაჟიშვილს ეკუთვნის" (**ჩიქოვანი**, 1960:101). ახალი საქორწინო წყვილის გაჩენისას მათაც გამოეყოფოდათ ცალკე ოთახი. აჭარულ ოჯახში საქორწინო წყვილის პირადი საკუთრება (ტანსაცმელი, ლოგინი, სამკაული, იარაღი,...) მათთვის განკუთვნილ ოთახებში ინახებოდა და ამ წყვილის გარეშე სხვას არ შეეძლო მათი გამოყენება. ოთახებს *სახლი*'ს მიმართ მდებარეობის მიხედვით **შუა**, **ბოლო**, **ზედა**, **ქვედა** და **წინა ოდა** ეწოდებოდა. უმრავლეს შემთხვევაში სახლს გააჩნდა საზაფხულო ოთახი ე. წ. **ქოშკი**//**კოშკი**, რომელსაც საჭიროებისდა მიხედვით სამყოფადაც იყენებდნენ. საზაფხულო საწოლად დერეფანიც იყო გამოყენებული, რაც მისი სახელწოდებითაც (**იაზლოღი** = საზაფხულო) დასტურდება.

აჭარული სახლის, უფრო ზუსტად, ღორჯომში დამოწმებული სახლის მეტნაკლებად სრული დახასიათების პირველი ცდა თ. სახოკიას კალამს ეკუთვნის. იგი ღორჯომელი გლეხის – სულეიმან ბერიძის სახლის დაგეგმარებას ასე ახასიათებს: „სულეიმანას სახლი, როგორც ყველა სხვა აქაურისა, ხისაა, ორ-სართულიანი, ჯერ შევდივართ ძირის სართულში, რაღაც წინა ოთახის მსგავს განყოფილებაში, რომლის იქით ახორი (ბოსელი) იწყება, საქონლის დასაბმელი. აქედან (**ჰავლი** – ვლ. მ.) ზევით ასდევს კიბეს. ჯერ ადიხართ ვიწრო სოხასში (ტალანი). ამ სოხასის იქით-აქეთ სამი თუ ოთხი ოთახია, სულ პატარები და ერთიმეორის სახისა. ამათგან ერთი საჯალაბოა (იგივე სამზარეულო და სამრეცხაო). აქ დედათა სქესისანი და წვრილფეხობა ფუსფუსებენ. განი ორი მხარი აქვს, ამდენივე სიმაღლე და სიგრძე. ერთ კუთხეში ბუხარია, რომელშიც რკინის ზედადგარზე სპილენძის ქვაბებით საჭმელი მზადდება. არის მეორე ოთახი, ამავე სიდიდისა, სადაც ორს მხარეს განიერი ტახტებია შეკრული. შუაში მიწურია (ფიცრის იატაკს მიწა აყრია). ბუხარი აქაც აქვს კედელს დატანებული. კაცის სიმაღლეზე პატარა სარკმელი აქვს გამოჭრილი. მინების მაგივრად ფიცრის დარაბა აქვს ჩარჩოშო ჩამჯდარი, მისაწევ-მოსაწევი. კედელში გამოჭრილია „მესანდარა" (თახჩა), სადაც საბან-გობანი ინახება. აქვე დგას სკივრი ხისა შინაური რაგინდარამეების შესანახად. ეს არის საწოლი ოთახი მათი. მესამე ოთახი – სასტუმროა ან აქაურულად „მუსაფირლიქი". აქ სტუმრები იყრიან თავს ქორწილის ან სხვა დროს. იქით-აქეთ განიერი ტახტებია, ზედ ჰფენია ქეჩა ან და ტიტველია. ტახტსა და ტახტს შუა ადგილი მიწურია და ძალიან ცოტა, სულ ადლნახევარის

სიგანე ... მეოთხე – ნახევარი ოთახია. კოშკი ჰქვია, საზაფხულო ოთახს წარმოადგენს, აივნის მსგავსს. აქა ჰყრია გოდრები, შინაური იარაღი ... ზაფხულში ჯალაბი მომეტებულ დროს აქ ატარებს: ართავს, ქსოვს, მატყლსა სთელავს, ლობიოს არჩევს და სხვა. კოშკთან ფეხის ალაგიცაა გამართული. ზემო სართულშივეა ხულა (ბეღელი), სადაც ხაროებია (განყოფილებები): ზოგან ხორბალი ჰყრია, ზოგან სიმინდი, ზოგან კიდევ ლობიო". ღორჯომის საცხოვრებელი სახლის ოთახები ყველა ბნელია, ჰაერი მძიმე დგას შიგა და დიდი მტვერიც იცის (**სახოკია**, 1950:134-135).

აჭარული საცხოვრებელი სახლი შორს წასული სეგმენტაციით გამოირჩეოდა და უმთავრესად ოთხი ოთახისაგან შედგებოდა. დიდი და მრავალრიცხოვანი ოჯახები ზოგჯერ ორ ან სამ სახლსაც იგებდნენ. მასიურად გვხვდებოდა ექვსოთახიანი სახლებიც. იყო შემთხვევები რვა ოთახიანი სახლების აგებისა და მათი ბეღლისოთახად გადაქცევისა. ჩვეულებრივ, აჭარული სახლის ოთახები (ოთხი), ალ. რობაქიძის სამართლიანი თქმით, ოჯახისათვის სავსებით საკმარისი იყო, რადგან მრავალცოლიანობას აჭარაში დიდი გავრცელება არ ჰქონდა. იგი უპირატესად გაბატონებულ წოდების ოჯახთა შორის იყო ცნობილი (**რობაქიძე**, 1960:20).

მრავალოთახიანობის თვალსაზრისით აჭარული სახლის ანალოგად შეიძლება დავასახელოთ ბალყარული საცხოვრებელი, თუმცა იგი ერთსართულიანი იყო და მისი სეგმენტაცია ოჯახში საქორწინო წყვილის გაჩენის მიხედით წარმოებდა. აჭარული სახლი, უფრო ზუსტად, მისი ზედასართული, ე. ი. საკუთრივ **სახლი** კორიდორის საშუალებით ორად იყო გაყოფილი. ყოველი ნაწილი, თავის მხრივ, ცალკე ოთახებად იყოფოდა. განსხვავება ამ შემთხვევაში მხოლოდ აჭარული სახლის ორსართულიანობაში მდგომარეობდა და იგი თავიდანვე სეგმენტირებული სახით შენდებოდა

ღორჯომის საცხოვრებელ სახლში სახურავის ქვეშ არსებული სივრცე – **თავანი** აგრეთვე გამოყენებული იყო სამეურნეო დანიშნულებისათვის. თავანში იყო გამართული ბეღელი – მარცვლეულის, ხილისა და პროდუქტების შესანახად. თავანში ინახებოდაა ცელი, ფოცხი, ცულები, საძახ-საქსოვი დაზგები – ქსელი და ჭახრაკი, საოჯახო იარაღები. აქვე იყო განთავსებული თესლეულობა – სიმინდი, ლობიო, ხაპი და სხვა. ზოგჯერ დერეფნის (*იახლოღი*'ს) ხარიხებზე გადებული იყო ხის კეტი – ქანდარა, რომელზედაც გაზაფხულამდე სათესლე სიმინდის გაურჩეველი ტაროები ეკიდა (**ჩიქოვანი**, 1960:102).

აჭარული საკარმიდამო კომპლექსის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტი, როგორც უკვე ითქვა, ე. წ. **კარაპანი** იყო. ღორჯომში ფიქსირებული *კარაპანი*'ს აღწერისას თ. ჩიქოვანი შენიშნავდა, რომ ა. მარკოიძის სახლს ფასადის მხარიდან გადმოფარებული ჰქონდა ერთფერდა ყავრიანი სახურავი და მის ქვეშა ნაწილს **კარაპანი** ეწოდებოდა. აქ წარმოებდა შეშის დაჩეხვა, დიდი ზომის სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთება და გაკეთება, პურის გარჩევა. კარაპანი ყველა სახლს არ ჰქონდა, თუმცა მის მაგივრობას ხშირად „ნალიას ქვეშა" ეწეოდა. კარაპანი უმთავრესად ახასიათებდა ისეთ სახლებს, რომელთა მეორე სართული ფასადის მხარეს პირდაპირ მიწაზე იყო შედგმული (**ჩიქოვანი**, 1960:99-100).

აჭარული სახლის საცხოვრებელი ფართობის შორს წასული სეგმენტაცია და ფართის განაწილება ოჯახის სტრუქტურის, მისი შემადგენლობის, ქონებრივი ურთიერთობის და სამეურნეო ფუნქციების განაწილების შუქზე იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ აჭარულ ოჯახს XIX საუკუნეში ახასიათებდა საოჯახო-თემური ტრადიციების გადმონაშთები. აჭარული დესპოტური ოჯახის[17] თვისებების ჩამოყალიბებაზე გარკვეული გავლენა ისლამმაც მოახდინა, რომელიც მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად და ხელოვნურად ახდენდა ძველი ყოფისა და კულტურის ტრადიციული ფორმების კონსერვირებას. XIX საუკუნის მეორე ნახევარის აჭარული ოჯახი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიე-

[17] ცნება „დესპოტური ოჯახი" ისტორიგრაფიაში შემოტანილი იყო მ. კოსვენის მიერ, რომელიც მასში გარკვეული ფორმის ოჯახს გულისხმობდა (იხ. **Косвен**, 1963). აჭარული ოჯახის მიმართ ამ ტიპის დეფინიციას არაერთხელ ჰქონდა ადგილი (შდრ. **რობაქიძე**, 1960), თუმცა აჭარული ოჯახი, საქართველოში გავრცელებული სხვა ოჯახების მსგავსად, მართალია, ატარებდა ავტორიტარიზმის ნიშნებს, მაგრამ ზოგადი არსით იგი სოლიდარული ბუნების იყო. ამიტომ უმჯობესია ვისაუბრობთ დესპოტური ელემენტების მატარებელი ოჯახების შესახებ, ვიდრე კლასიკურ დესპოტიზმზე – **რედაქტორის შენიშვნა**.

რთობების თვალსაზრისით უფრო განვითარებულ საფეხურს შეესატყვისებოდა, ვიდრე ეს საქართველოს მთიანეთის სხვა მთიანი რეგიონების მოსახლეობის ამავე პერიოდის საოჯახო ყოფის შესახებ ითქმის, მაგრამ მათ შორის მკაფიოდ შეინიშნება საერთო დამახასიათებელი ნიშნები.

მთა აჭარის, კერძოდ, ღორჯომის საკარმიდამო კომპლექსი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით, საცხოვრებლის ვერტიკალური მიმართულებით და მესაქონლეობასთან და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობებისა თუ სხვა აუცილებელი ატრიბუტების ურთიერთმიმართებითი განლაგებით, რაც სამეურნეო ყოფის თავისებურებებით იყო შეპირობებული, საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეების დასახლების ფორმათა სისტემაში გაერთიანებული საკარმიდამო კომპლექსების მსგავსია. ალ. რობაქიძის გამოკვლევით, ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს ამაგრებს ტერმინოლოგიური თანახვედრილობაც. ამ რიგის სიტყვებია აჭარული და სვანური **კარაპანი** და **დეფანი**, ხევსურული და აჭარული **შინა**. ეს ტერმინები არა მარტო ლექსიკური იდენტობის, არამედ შინაარსობრივი მსგავსების თვალსაზრისითაცაა თანაბარი, რაც ჩვენს მიერ დასმული საკითხის მართებულობის სასარგებლოდ მეტყველებს. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია თ. ჩიქოვანის მიერ აჭარაში ტერმინ *ქორი*'ს დამოწმება. **ქორი** აჭარაში საბძლის სახურავის ქვედა ნაწილი იყო, ხოლო სვანეთში იგი დღესაც ორსართულიანი სახლის ამღვნიშვნელი სიტყვაა. გარდა ამისა, აჭარაში შემოგვრჩა ახორისა და სახლის პარალელური ტერმინები: **ძირთაჲ სახლი** და **ზედაჲ სახლი**. სახლის ნაწილების ეს სახელწოდებები ნაწარმოებია ისე, როგორც შესაფერისი მოხეური **ქოით სახლი** და **ზაით სახლი**, სვანური **მაჩუბ** – საქვედაო და **მაჟიბ** – საზედაო (**ჩიქოვანი**, 1960::20-22).

აჭარულ სახლს განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. აჭარული საცხოვრებელი სახლის თანამედროვე ტიპს წინ უსწრებდა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა განსაზღვრული ფორმები. ამ რიგის ნაგებობებიდან მთა აჭარაში ჩვენ ახლაც გვხვდება **ძირთული ჯარგვალი**, **ზედშედგმული ჯარგვალი** და **ცალპირი სახლი**. ძირთული და ზედშედგმული ჯარგვალი გავრცელებული იყო ფერდსა და მთაში. აჭარის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კლასიფიკაციაში განსაკუთრებული ადგილი გ. ჩიტაიას კლასიფიკაციას უკავია. ავტორის დაკვირვებით აჭარაში გვხვდება **ჩარხილი** და **ორთა სახლი** – ბარში, **ჯარგვალა სახლი** – ფერდაში და **ხულა სახლი** *თა*'ში (**ჩიტაია**, 1947:155–157). აჭარული საცხოვრებელი სახლის ჩანასახს თუ მის პროტოტიპს, არქიტექტორ ი. ადამიას გამოკვლევით, წარმოადგენდა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, განსაკუთრებით ისეთი ბოსლები, რომლის ერთ მხარეზე გაუტიხრავ მდგომარეობაში მოცემული იყო ადამიანის საცხოვრებელი ფართი. ამ რიგის ნაგებობაა ე. წ. **ჯარგვალა სახლი** (**ადამია**, 1956:39).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1958 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ სხალთის ხეობის საზაფხულო საძოვრებზე – ახალდაბის იოლებზე ფიქსირებული იქნა **ძირთული ჯარგვალი**, რომელიც დაგეგმარებით გრძივი ოთკუთხედია და ერთასრთულიანია. ნაგებობა ორ ფერდად არის გადახურული. იგი სამი ნაწილისაგან შედგება. კორიდორის ერთ მხარეზეა ბოსელი, ხოლო მეორე მხარე ადამიანის სადგომსა და *სარძიე*'ს უკავია. ამ რიგის ნაგებობა თ. სახოკიას მიერ ჯერ კიდევ ადრე, XIX საუკუნის დასასრულს, ღორჯომის მთა ზოტის-ყელში აღიწერა, რომლის ერთი კამერა თავლა იყო, ხოლო მეორე – ადამიანის სადგომი. თ. სახოკია წერდა: ზოტის-ყელში „დგანან ზემო აჭარის სოფლის ღორჯომის მცხოვრებლები თავიანთი საქონლითა". აქ არის „ორ-ორ სართულიანი ჯარგვლისებური ხის სახლები ... სოფლის შესავალთან განმარტოებითა დგას ხის დაბალი, მხარნახევარი სიმაღლე ჯარგვალი, ორთვალიანი. ეს გახლავთ სასტუმრო სოფლისა, მხოლოდ უსასყიდლო ... სასტუმროს ერთი თვალი ადამიანისათვის არის და შიგ იქით-აქეთ ფართო, მაგრამ ძალზე დაბალი (ერთი მტკაველი სიმაღლე) ტახტებია შეკრული, ხოლო შუაში ცეცხლი ანთია. მეორე თვალი კი – ცხენის დასაბმელად აქვს მოდგმული" (**სახოკია**, 1950:114).

ქართული და კავკასიური ეთნოგრაფიული მასალის შედარებითი შესწავლით გაირკვა, რომ **ძირთული ჯარგვალი** იყო ნაგებობის ის უმარტივესი ფორმა იყო, რომელიც აჭარული სახლის შემდგომ განვითარებას დაედო საფუძვლად. უფრო ად-

რე, ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება მრავალსართულიანი კომპლექსის განვითარების პროცესთან დაკავშირებით, რომლის ადრინდელ საფეშესახებ, რომ დაღესტანის მთიანეთის ვერტიკალური საკარმიდამო კომპლექსის საფუძვლად, მის არქაულ ფორმად, მიჩნეულია ერთსართულიანი ნაგებობა.

აჭარული *ჯარგვალა სახლი*'ს შემდგომი განვითარებით მიღებულია სხვადასხვა დანიშნულების რამდენიმე სამეურნეო ნაგებობის ერთ სახურავს ქვეშ გაერთიანებული შენობა – **ხულა სახლი**[18]. *ხულა სახლი*'ს სანიმუშო მაგალითად მიაჩნიათ ბოსელი საბძლით (**ადამია**, 1956:39). ოსელი საბძლით ჩვენს მიერ ფიქსირებულია სოფელ ვანაძეებში – რაშიენთის (ვანაძის) კარმიდამოში. ამავე რიგის იყო ჯერ კიდევ 1950 წელს ი. ადამიას მიერ სხალთის ხეობის სოფელ ფაჩხაში მიკვლეული ნაგებობა (**ადამია**, 1956:39).

აჭარული ძირთული ჯარგვალის განვითარების მომდევნო ეტაპს **ზეთშედგმული ჯარგვალი** უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ახლაც მასიურად გვხვდება აჭარის *თა*'ზე (**ჩიქოვანი**, 960:100). ზედშედგმული ჯარგვალის ახლოს დგას სოფელ დიდაჭაარში ფიქსირებული ცალპირი სახლი (**რობაქიძე**, 1960:23).

ლიტერატურა

1. **ადამია**, 1956 – ილ. ადამია. *ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება* (*აჭარა*), თბილისი, 1956.
2. **კოსვენი**, 1963 – М. О. Косвен. *Семейная община и патронимия*, Москва, 1963.
3. **ნაროდი**... 1960 – *Народы Кавказа*, 1, Москва, 1960.
4. **ორბელიანი**, 1949 – სულხან-საბა ორბელიანი. *სიტყვის კონა*, თბილისი, 1949.
5. **სახოკია**, 1950 – თ.სახოკია. *მოგზაურობანი* (*გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი*), თბილისი, 1950.
6. **სიხარულიძე**, 1958 – ი. სიხარულიძე. *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა*, წიგნი 1, ბათუმი, 1958.

[18] **ხულა** საბას განმარტებით არის „სახლი სავაჭროს სადები" (**ორბელიანი**, 1949:470), ხოლო ნ. ჩუბინაშვილის თქმით კი – „ქოხი, ქულბაქი, დუქანი, სავაჭრო სადები სახლი (**ჩუბინაშვილი**, 1961:473). ივ. ჯავახიშვილი ხულა-სახლის საბასეულ განმარტებას იზიარებს (**ჯავახიშვილი**, 1946:60).

ხურს აჭარის მთიანეთში ერთსართულიანი და რამდენიმე კამერიანი ნაგებობა წარმოადგენდა (**ალ. რობაქიძე**). ამ დებულების სასარგებლოდ მეტველებს ფაქტი იმის

7. **რობაქიძე**, 1960 – ალ. რობაქიძე. ასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში.-*ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომები*", I, ბათუმი, 1960.
8. **ხარაძე**, 1960 – Р. Л. Харадзе. *Грузинская семейная община*, 2, Тбилиси, 1960.
9. **ყაზბეგი**, 1960 – გ. ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში.-„*გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ*", ბათუმი, 1960.
10. **ჩიტაია**, 1947 – გ. ჩიტაია. ხევსურული სახლის „სენე".-"*ანალები*", 1, თბილისი, 1947.
11. **ჩიქოვანი**, 1960 – თ. ჩიქოვანი. ზემოაჭარული სახლი (1958 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის წინასწარი სამეცნიერო ანგარიში). - *ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომები*", I, ბათუმი, 1960.
12. **ჩუბინაშვილი**, 1961 – დ. ჩუბინაშვილი. *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, თბილისი, 1961.
13. **ჯავახიშვილი**, 1949 – ივ. ჯავახიშვილი. მასალები *ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1, სამშენებლო ხელოვნება ძველ საქართველოში*, თბილისი, 1946.

რესპოდენტები. ს. მინთაძეები (ღორჯომი), 1958 წ. ფოტო ვლ. მგელაძისა



თემურ ტუნაძე, თამარ ორაგველიძე

სამუზეუმო საქმის ექსპერტის შვიდი კვირა აჭარაში

სამუზეუმო საქმის გერმანელი ექსპერტი – ულრიხ შმიდტი, ჩვენს კუთხეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის, განათლების, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით ეწვია. იგი კომპანია SES-ის (senior exsperten service) წარმომადგენელია.

ბატონი ულრიხი აჭარის მუზეუმებს შვიდი კვირის განმავლობაში აკვირდებოდა და სასარგებლო რჩევებს აძლევდა. ამ ხნის მანძილზე მან ოცდაერთი მუზეუმი მოინახულა

– ბატონო ულრიხ, როგორია თქვენი პირველი არაოფიციალური შთაბეჭდილება საქართველოზე?

– წვიმას თუ არ ჩავთვლით, პირველად თვალში შავი ფერი მომხვდა. თქვენს ქვეყანაში, გლოვის დროს, შავი ფერის ხანგრძლივად ტარების ტრადიცია ყოფილა. თავიდან ეს მეუცხოვა და რასაკვირველია ჩემი ყურადღება მიიპყრო. შვიდი კვირის განმავლობაში რამდენჯერმე დავესწარი დაკრძალვას და დროთა განმავლობაში შევამჩნიე, რომ შავი ფერის მიღმა უსაზღვროდ კეთილშობილი და სტუმართმოყვარე ხალხია ქართველები.

– როგორი იყო თქვენს მიერ განვლილი გზა სტუდენტობიდან სამუზეუმო საქმის ექსპერტამდე?

– მცირე ექსკურს გავაკეთებ თუ საიდან მოვხვდი ამ სფეროში. მრავალი წელი გერმანიის ნაციონალური ისტორიის მუზეუმის დირექტორი ვიყავი და ამ სფეროში მუშაობის ოცდაათწლიანი გამოცდილება მაქვს. ამჟამად, საპენსიო ასაკის გამო, კონსულტანტი ვარ. მიღებული მაქვს საუნივერსიტეტო განათლება ქიმიასა და ბიოლოგიაში, ვარ უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი. პარალელურად ვმუშაობდი გერმანიის ნაციონალური ისტორიის მუზეუმთა ასოციაციაში, რომელშიც სამი ქვეყანა შედიოდა: ავსტრია, გერმანია და შვეიცარია. ასოციაციის წევრები წელიწადში ორჯერ ვიკრიბებოდით და ვეძებდით მსოფლიოს ამა თუ იმ მუზეუმის პრობლემური საკითხების გადაჭრის გზებსა და საშუალებებს. ოცი წლის წინ ცენტრალური აფრიკის კვლევა დავიწყე და ჩემი პირველი ჩანაფიქრი იყო იქ დამეარსებინა ნაციონალური ისტორიის მუზეუმი. ყოველწლიურმა ვიზიტმა რუანდაში თავისი შედეგი გამოიღო, დღეისათვის იქ საკმაოდ საინტერესო მუზეუმია გახსნილი. ჩემი მუზეუმის ახალმა დირექტორმა მთხოვა, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამეწყვიტა კავშირი რუანდასთან და იქ კონსულტანტად მიმავლინეს.

– ჩვენს ქვეყანაში მოწვევის მიზანზე რას გვეტყვით?

საქართველოს ექსპერტის სტატუსით ვეწვიე. აჭარის კულტურის სამინისტრომ კომპანია SES-ს თხოვნით მიმართა, რომ სამუზეუმო საქმის გასაუმჯობესებლად ექსპერტის რჩევებს საჭიროვებდნენ. ძალიან გამიხარდა, რომ შემომთავაზეს და სიამოვნებით დავთანხმდი.

ჩემი, როგორც ექსპერტის როლი იმაში მდგომარეობდა, რომ საჭირო რჩევები მიმეცა არა მხოლოდ სამინისტროსთვის არამედ მუზეუმებში მომუშავე პერსონალისთვისაც. მოვინახულე ოცდაერთი მუზეუმი. ყოველი მათგანისთვის ინდივიდუალური რჩევა მაქვს. ვესაუბრებოდი, როგორც დირექტორებს ისე პერსონალს და შესაბამისად ვხედავდი კულისებს ანუ, იმაზე მეტს ვიდრე ჩვეულებრივი დამთვალიერებელი.

ვაკვირდებოდი თანამშრომლების მუშაობას და დავინახე როგორც ცუდი ისე ბევრი კარგი რამ. სანამ მინისტრს გადავცემდი მოხსენებით ანგარიშს მანამდე, აუცილებლად, კოლექტივს ვაცნობდი როგორც შენიშვნებს, ისე რჩევებს.

უპირველესი შენიშვნა და ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა იყო კითხვაზე პასუხი – ფული არ გვაქვს! ყველა პრო-

ბლემის გადაჭრას ფული არ სჭირდება. მაგალითად: ექსპონატის საფარი გაბზარული მინის შეცვლას ან ექსპონატის გვერდით მოკლე შინაარსის მქონე ტექსტის მშობლიურ და საერთაშორისო ენაზე განთავსებას. ამ სახის შენიშვნა ბევრი მუზეუმის მიმართ მქონდა.

ძალიან მომეწონა ძველ მეჩეთში განთავსებული მუზეუმი მაჭახელაში. არაჩვეულებრივი ბუნებაა. შეიძლება მოაწყო პიკნიკი და სულიერედ დაისვენო, რაც უდაოდ მოხიბლავს ტურისტს.

– ამ პრობლემას გიდის არსებობა ვერ წყვეტს?

– გარკვეულწილად რასაკვირველია წყვეტს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დელეგაციასთან გვაქვს საქმე. ზაფხულობით მატულობს კერძო დამთვალიერებლები. ჩვენ ხომ არ შეგვიძლია თითოეულ მათგანზე პერსონალური გიდი გამოვყოთ? ბუნებრივია დამთვალიერებალთა ნაწილი დარბაზში იფანტება და თუკი მას ყოველი ექსპონატის გვერდით წარმომავლობა და მოკლე შინაარსი არ დახვდება ის ვერ ისიამოვნებს მუზეუმში სტუმრობით.

სტუმრობას რაც შეეხება აქაც მაქვს შენიშვნები – მუზეუმის კარი ყოველთვის ღია უნდა იყოს. (რასაკვირველია სამუშაო საათებს ვგულისხმობ) მიხურული კარი, ფსიქოლოგიურ ბარიერს ქმნის მუზეუმსა და ვიზიტორს შორის, თუმცა მხოლოდ კარის გაღება არ შველის, უნდა აჩვენო სად მივიდეს. აუცილებელია პროპაგანდა რეგიონალური გაზეთის, ტელევიზიისა თუ რადიოს მეშვეობით. როგორც წესი მოსახლეობის ძირითად ნაწილს მუზეუმი მოსაწყენ დაწესებულებად ეჩვენება. ჩვენ ეს სტერეოტიპი უნდა დავამსხვრიოთ ღია კარის დღეების მოწყობით. უფასოდ დათვალიერების რეკლამა მოიზიდავს ვიზიტორს. ამ შემთხვევაში დამხმარე ძალას მუზეუმის მაღაზია წამოადგენს სადაც ღია ბარათების, სხვა და სხვა სუვენირებისა და ექსპონატების მაკეტების გაყიდვა შეიძლება. ღია კარის დღეებზე მოსულმა უფასო დამთვალიერებელმა სასურველია თან წაიღოს სამახსოვრო სუვენირი, რომელიც გარკვეულ ადგილს დაიკავებს მის სამყაროში. როგორც წესი ერთი უფასო დამთვალიერებელი და შემდეგ მის მიერ მოზიდული დაინტერესებული დამთვალიერებლები შემოსავალს წარმოადგენენ მუზეუმისთვის,

შესაძლებელია მუზეუმის საღამოების მოწყობა, სულ არ არის აუცილებელი ექსპოზიციაზე აქცენტის გაკეთება. შეიძლება მოსახლეობა ჭიქა ღვინოზე, კარგ მუსიკაზე ან ცეკვაზე დაპატიჟო.

– დღეს მუზეუმს, თქვენი აზრით, მხოლოდ მუზეუმის ფუნქცია აკისრია თუ სხვა დატვირთვაც აქვს?

– მუზეუმი განათლების დაწესებულებაა, რომელიც იძლევა ინფორმაციას წარსულზე, ეროვნულ წარსულზე და ცდილობს თვალნათლივ დაგვანახოს რა ხდებოდა წლების და საუკუნეების წინ. იგი ცოდნას იძლევა არა მხოლოდ მოსწავლეთათვის, არამედ ნებისმიერი ვიზიტორისთვის, რომელიც მუზეუმში მოდის.

მუზეუმი თავისი არსით მოსაწყენია და ადამიანს შუალედში განტვირთვა სჭირდება. ამისათვის მუზეუმთან არსებული კაფე იდეალური საშუალებაა შესვენებისთვის.

საერთოდ, თანამედროვე მუზეუმის წარმატება დამოკიდებულია, როგორც შიდა ისე გარე მენეჯმენტზე. გარე მენეჯმენტი ხალხის მოზიდვას გულისხმობს. შიდა მენეჯმენტი კი პერსონალის მართვას, ყოველმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს, თუ რა საქმეზე აგებს პასუხს.

– რას იტყვით სამუზეუმო პედაგოგიკაზე?

– მუზეუმს, რომელშიც არ ვითარდება სამუზეუმო პედაგოგიკა, უბრალოდ, რომ ვთქვათ მომავალი არ აქვს. მივესალმები ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის ამ წამოწყებას. მოსწავლეებს გიდის მიერ გადმოცემული ინფორმაცია ნაკლებად მოსაწყენად ეჩვენებათ და ე. წ. „უჩვეულო გაკვეთილი" გაცილებით საინტერესოა, ვიდრე მასწავლებლის ტექსტი საკლასო ოთახში, სადაც ყოველი გაკვეთილი ერთმანეთს გავს, ჩვენ ყველამ ვიცით რა არის სკოლა.

– გამართლებულია ექსპერიმენტები მუზეუმში?

– კი. არ შეიძლება შეუშინდე ექპერიმენტებს, სხვა შემთხვევაში წარმატებული ვერ იქნები.

მე ხშირად ვატარებდი ექსპერიმენტულ ექსკურსიებს, თუმცა რასაკვირველია სპეციალური გიდის თანხლებით. როცა მუზეუმში უსინათლოები მოგვყავდა, ერთი გიდი ტექსტს კითხულობდა, დანარჩენები კი მათ ექსპონატების აღქმაში ეხმარე-ბოდნენ ხელის შეხებით. ბუნებრივია საგამოფენო

დარბაზს სპეციალურად, წინასწარ ვამზადებდით.

საინტერესო მომენტია ბავშვებთან მუშაობა, ერთის მხრივ ჩვენ პროპაგანდას ვუწევთ თავისუფლებას და სამუზეუმო სინამდვილეში ჩარჩოებს ვამსხვრევთ. თუმცა ვერ წარმოიდგენთ, რისი გაკეთება შეუძლია ბავშვს თუ თავისუფლების ფუფუნებას მიანიჭებ. ამიტომ მეტად ფრთხილები უნდა ვიყოთ ამ შემთხვევაში.

– როგორი შთაბეჭდილებებით ტოვებთ აჭარას?

– მე ოცდაერთი მუზეუმი მოვინახულე და შევისწავლე. სტუმრობის მიზანი ამ ეტაპზე ტრენინგს არ გულისხმობდა და მხოლოდ სასარგებლო რჩევებით შემოვიფარგლე, მაგრამ თუკი კიდევ მივიღებ მოწვევას სიამოვნებით დავთანხმდები. აჭარა ძალიან მომეწონა. გერმანიაში დაბრუნებული აუცლებლად ვურჩევ ჩემს მეგობრებს, ნახონ ეს ფანტასტიური ბუნება, რომელსაც ერთ მხარეს ზღვა, ხოლო მეორე მხარეს მთის მწვერვალზე დადებული თოვლი ამშვენებს.

აქ არის საუკეთესო ხილი და ღვინო. ხანდახან კარგი, მზიანი ამინდიც. შვიდი კვირიდან რომელიც აჭარაში გავატარე ხუთი კვირა წვიმდა.

სხვადასხვა ფორმატის სამუშაო შეხვედრები ბატონ ულრიხ შმიდტან

რუსუდან კობრავა

აჭარის მუზეუმის დაიჯესტი – 2010 წელი

▪ 8 თებერვალი – ქ. ბათუმის N12 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულ ლიტერატურასა და ისტორიაში თემაზე: „დღეს დავითობაა“.

▪ 8 თებერვალი – ქ. ბათუმის N16 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით გაიმართა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ვიქტორინა.

▪ 8 თებერვალი – ბათუმის საზღვაო კოლეჯში მუზეუმის ისტორიის განყოფილებამ ჩაატარა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია

▪ 21 თებერვალი – საქართველოს სიახლეთა კვლევის ცენტრმა ასოციაცია „მცოდნელმა“ მუზეუმში ჩაატარა ინგლისური ენის კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეთა დაჯილდოება

▪ 22 თებერვალი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა ქართველი მწერლის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო.

▪ 25 თებერვალი - მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგემ ასმათ ბაჯელიძემ ქ. ბათუმის N16 საჯარო სკოლის IX – X კლასების მოსწავლეებს ჩაუტარა ლექცია თემაზე „25 თებერვალი საქართველოს ოკუპაციის დღეა“.

▪ 25 თებერვალი – მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა მაყვალა გოგუამ ბათუმის საზღვაო კოლეჯის X – IX კლასების მოსწავლეებს ჩაუტარა ლექცია თემაზე „25 თებერვალი საქართველოს ოკუპაციის დღეა“.

▪ 4 მარტი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

▪ 18 მარტი – ჩატარდა ქართული ეთნოგრაფიის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

▪ 19 მარტი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „საქართველოს ისტორიის პრობლემები“.

▪ 23 მარტი - 6 აპრილი – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩომ საქართველოში მოაწყო ფოტოგამოფენა „ჩინეთის კალეიდოსკოპი – დაკვირვება თანამედროვე ჩინეთის ცხოვრების სტილზე“.

▪ 30 მარტი – გაზეთებმა „აჭარა“ და „Аджаря“ ჩაატარეს გაზეთის დაარსების 90 წელთან დაკავშირებული საზეიმო შეხვედრა.

▪ 14 აპრილი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

▪ 30 აპრილი – ჩატარდა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის ნიაზ ბოლქვაძის შემოქმედებითი საღამო.

▪ 5 მაისი – აჭარის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კლუბში მუზეუმის ისტორიის განყოფილებამ ჩაატარა შეხვედრა ომის ვეტერან ანგელინა მახარაძესთან.

▪ 9 მაისი – სტალინის სახლ-მუზეუმში ჩატარდა ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა ომის ვეტერანებთან.

▪ 7-9 მაისი – მუზეუმი მონაწილეობდა საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ მოწყობილ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „ექსპო-ბათუმი – 2010“.

▪ 18 მაისი – მოეწყო მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა „ორი დირექტორი“.

▪ 20-21 მაისი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა დემოკრატიის ინსტიტუტის, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის და მუზეუმის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ქართული კულტურა და დემოკრატიული ღირებულებები“.

▪ 9 ივნისი – მოეწყო მხატვარ ზურაბ ჩხარტიშვილის პირველი პერსონალური გამოფენა.

▪ 10-13 ივნისი – იაპონია–ევრაზიის ქვეყნების საზოგადოების ქალაქ ოსაკას ფედერაციამ, საქართველო–იაპონიის ასოციაციამ და მისმა აჭარის ფილიალმა მუზეუმში მოაწყო 7-12 წლის ასაკის იაპონელი ბავშვების ნახატების გამოფენა.

▪ 17 ივნისი – მოეწყო ქ. ბათუმის N2 საჯარო სკოლისა და სტუდია „ანდამატის“ ნამუშევრების გამოფენა.

▪ 18-28 ივნისი – მოეწყო თურქი მხატვრების გურბუზ დოღან ექშიოღლუს, ემინ ოზთურქ სადიქ ქარამუსთაფასა და უღურჯან ათაიღლუს სურათების, ილუსტრაციების და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა.

▪ 18 ივნისი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში განვითარებისა და ინიციატივების რეგიონალურმა ცენტრმა ჩაატარა შეხვედრა ბათუმის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან თემაზე: „არასამთავრობო სექტორის განვითარების პერსპექტივები აჭარის რეგიონში“

▪ 3 ივლისი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია

მიძღვნილი ბათუმის ისტორიის კარდინალური საკითხებისადმი.

▪ 28 სექტემბერი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჰაინრიხ ბოილის ფონდის ეგიდით ჩატარდა კონფერენცია თემაზე „უნივერსიტეტის როლი აჭარის რეგიონის ცხოვრებაში“

▪ 28 სექტემბერი – მუზეუმის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ბათუმის №3 საჯარო სკოლის X–XII კლასების მოსწავლეებთან ჩაატარა ღია ლექცია თემაზე „დემოკრატიული მმართველობის ნიშნები XI–XII საუკუნეების საქართველოში“

▪ 30 სექტემბერი – ბათუმის მერიასთან ერთად მოეწყო გამოფენა „ბათუმელი ქალები“

▪ 1 ოქტომბერი – მუზეუმის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ბათუმის №4 საჯარო სკოლის X–XII კლასების მოსწავლეებთან ჩაატარა ღია ლექცია თემაზე „დემოკრატიული მმართველობის ნიშნები XI–XII სს. საქართველოში“.

▪ 5 ოქტომბერი – მუზეუმის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ადლიის საჯარო სკოლის IX–X–XI კლასების მოსწავლეებთან ჩაატარა ღია ლექცია თემაზე „აკაკი წერეთლის პატრიოტული ლირიკა“

▪ 11 ოქტომბერი – მუზეუმის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ქალაქ ბათუმის №1 საჯარო სკოლის X-XII კლასების მოსწავლეებთან ჩაატარა ღია ლექცია თემაზე: „ აკაკი წერეთლის პატრიოტული ლირიკა“

▪ 13 ოქტომბერი– მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგემ ასმათ ბაჯელიძემ ქალაქ ბათუმის №16 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეებთან ჩაატარა საუბარი მიძღვნილი კვართობის სვეტიცხოვლობის დღისადმი.

▪ 15 ოქტომბერი – ქალაქ ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საერთაშორის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა მუზეუმის დირექტორის მოადგილე პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი, მან გააკეთა მოხსენება თემაზე: „აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში“

▪ 28 ოქტომბერი – აჭარის განათლებისა და კულტურის მუზეუმში ჩატარდა იაკობ გოგებაშვილის დაბადების 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

▪ 29 ოქტომბერი – მუზეუმის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ბათუმის №5 საჯარო სკოლის X-XII კლასების მოსწავლეებთან ჩაატარა ღია ლექცია თემაზე: „აკაკი წერეთელი - 170“.

▪ 2 ნოემბერი – ჩატარდა ელგუჯა კიკვაძის ლექსების კრებულის „შევცოდე, შემინდე უფალო“ პრეზენტაცია.

▪ 4 ნოემბერი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს მხარდაჭერით გაიმართა საჯარო დისკუსია თემაზე: “ქალაქის ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები”.

▪ 5 ნოემბერი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა გამოჩენილი ქართველი მწერლის, პოეტის და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 173-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

▪ 10 ნოემბერი – მუზეუმის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ხელვაჩაურის რაიონის ურეხის საჯარო სკოლაში XI–XII კლასების მოსწავლეებთან ჩაატარა ღია გაკვეთილი თემაზე “აკაკი წერეთელი - 170 წელი”.

▪ 12 ნოემბერი – მუზეუმის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ქედის საშუალო სკოლაში ჩაატარა დემოკრატიის ინსტიტუტთან ერთად ღია ლექცია თემაზე: “დემოკრატიული მმართველობის ნიშნები XI–XIII საუკუნეების საქართველოში” IX–XII კლასების მოსწავლეებთან.

▪ 12-14 ნოემბერი – მოეწყო ცნობილი მხატვრისა და მოქანდაკის, ღირსების ორდენის კავალერის უშანგი ქადაგიშვილის პერსონალური გამოფენა

▪ 30 ნოემბერი – მოეწყო გამოფენა: მუზეუმში დაცული კულტურული მემკვიდრეობა – სპილენძის ჭურჭელი.

▪ 16 დეკემბერი – მოეწყო ხულოს სახელოვნებო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

18 მაისი –
მუზეუმების საერთაშორისო დღე

აკადემიკოს გ. ჩიტაიას დაბადების
120 წლისთავისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია

ზურაბ ჩხარტიშვილის
პერსონალური გამოფენა

იაპონელი ბავშვების
ნახატების გამოფენა

ხულოს სახელოვნებო სკოლის
ბავშვთა ნახატების გამოფენა

ხულოს სახლოვნებო სკოლის
ბავშვთა ნახატების გამოფენა

ჩინეთის ელჩი გუნ ცზინვეი
აჭარის მუზეუმში

გამოფენა „ექსპო - ბათუმი – 2010“

თურქი - ორდუელი მხატვრების
ნამუშევრების გამოფენა

გამოფენა „ორი დირექტორი“

უშანგი ქადაგიშვილის პერსონალური გამოფენა

გამოფენის „ბათუმელი ქალები“ ამსახველი ფოტოკოლაჟი

სარჩევი

გოდერძი ტოტოჩავა, ბათუმის ურბანიზაციის ზოგიერთი საკითხი	3
რუსუდან კობრავა, ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ისტორიიდან	10
ოთარ გოგოლიშვილი. ინგლის–თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან აჭარის დედა–სამშობლოსთან დაბრუნების პერიოდში (1877–1878 წწ.)	21
მაყვალა გოგუა, ჩაის კულტურის განვითარების ისტორიიდან აჭარაში	25
ასმათ ბაჯელიძე, ბათუმის კათოლიკური ეკლესია	31
საშა ლეკვეიშვილი, მუზეუმის ფონდში დაცული გარდამოხსნები	37
რამაზ ხალვაში, წმ. ანდრია პირველწოდებული – ქრისტეს პირველმქადაგებელი საქართველოში	43
მარინა ორაგველიძე, აჭარის მუზეუმში დაცული ხის ჭურჭელი – სურა	50
ნატო ცეცხლაძე, მუზეუმში დაცული სპილენძის ჭურჭელი	53
ნანა ქორიძე, კავკასიური მხატვრული ბრინჯაო	57
ნანა ფაღავა, მოქანდაკე სტეფანე დიმიტრის ძე ნეფედოვი – ერზია	62
ნათელა შერვაშიძე, მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში დაცული ხლნაწერები	65
თამარ ტარიელაძე, აჭარის მუზეუმში დაცული ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენელი	69
ლამარა გულორდავა, დაცული ტერიტორიები აჭარაში	76
ნათელა ახვლედიანი, მუზეუმის ექსპოზიციაში გამოფენილი პეპლები	84
მიხეილ ალშიბაია, ფილატელია - ბათუმის ფოსტის საიდუმლო (ბრიტანული ოკუპაცია 1919-20 წლებში და მის დროს ბათუმში გამოშვებული მარკები). თარგმნა გოდერძი ტოტოჩვამ.	90
ნუგზარ მგელაძე, გიორგი ჩიტაია და საქართველოს სოციოკულტურლი ისტორიის პრობლემები	104
ვლადიმერ მგელაძე, სახლი და კარმიდამო ზემო აჭარაში	116
თემურ ტუნაძე, თამარ ორაგველიძე, სამუზეუმო საქმის ექსპერტის შვიდი კვირა აჭარაში	125
დაიჯესტი – რუსუდან კობრავა	128

ციტროს ხე. საბაევის დაჩა.
ლია ბარათი ბიძინა აფხაზავას კოლექციიდან

ფორთოხლის ხე. ქალბატონ ბარათოვის დაჩა.
ლია ბარათი ბიძინა აფხაზავას კოლექციიდან